

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ე
1992

✓

ენისა
და
ლიტერატურის
სერია

30
N 3-4

3.1992

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

3. 1992

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი),
ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე),
გ. თოფურია, ს. ცაიშვილი, ბ. ჯორბენაძე (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),
Алексидзе З. Н., Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),
Джорбенадзе В. А. (зам. редактора), Топурия Г. В., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глонти

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1992, № 3

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 27.VII.92; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.VII.92;
ანაწყოების ზომა 7×123/4; ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.35;

ტირაჟი 1150;

შეკვეთა 868;

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060. კუტუშოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060. კუტუშოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ლ. გუგუნავა, ქართული რომანტიზმის ლირიკული გმირი და ჰამლეტი	5
თ. გიორგაძე, ივანე მაჩაბლის ერთი თარგმანის გამო	19
თ. ჩავლეიშვილი, შალვა დადიანის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან	24
ს. თურნავა, არტურ რემბო ქართულ მწერლობაში	41
ი. იმერლიშვილი, უნგრული ლიტერატურის ჩასახვის ისტორიიდან	52
თ. კეშელავა, სპარსული ნოველის მეკვლე	57
თ. ბიტ-ბაბიკი, ბგერობრივ-ფერითი შესატყვისობანი ი. ანენსკის პოეზიაში	69
ა. სილაგაძე, რეპროდუქციის თვისება და ლექსმცოდნეობითი კვლევის მასალის შერჩევა	75
მ. ალექსიძე, ლიტერატურისმცოდნეობის პრობლემების კვლევის ავტომატიზაცია და ფორმალიზაცია	81
ნ. ჩიკვატია, ანტიმონოთელიტური თხზულებები ძველ ქართულ მწერლობაში	94
თ. ოთხმეზური, ერთი გრამატიკული ხასიათის შენიშვნის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში	105
თ. ვაშაკიძე, „უჩინს“ მეშველზმნიანი აღწერითი წარმოება ძველ ქართულში	118
ი. კიკნაძე, ხევ//ხივ ფუძის ერთი მნიშვნელობისა და „მესახინის“ დაზუსტებისათვის	122
ჭ. გიგაშვილი, ე- პრეფიქსიანი ვნებიუბების I სერიის მწკრივთა წარმოებისათვის საშუალ ქართულში	127
ნ. ჩიჩუა, ნარატიული ეპიზოდის სემანტიკა	138
ლ. თურმანიძე, კომპოზიციური ფორმები და ტექსტის მაკროსინტაქსი	146
ს. ბოლქვაძე, ზოგი რამ კილოს შესახებ	150
ლ. გოქსაძე, ი. დემეტრაძე, მაერთებლების წვლილი შეტყობინების სრულ დე-კოდირებაში	155

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Л. Г. Гугунава, Лирический герой грузинского романтизма и Гамлет	5
Т. Г. Георгадзе, Об одном переводе Иване Мачабели	19
Т. П. Чавлейшвили, Из творческой лаборатории Шалвы Дадиани	24
С. Э. Турнава, Артур Рембо в грузинской литературе	41
И. Б. Имерлишвили, Из истории зарождения венгерской литературы	52
Т. Г. Кешелава, Ровесник века	57
О. Г. Бит-Бабики, Звуко-цветовые соответствия в поэзии И. Анненского	69
А. А. Силагадзе, Свойство репродукции и подбор материала для стиховедческого исследования	75
М. М. Алексидзе, Автоматизация и формализация исследования литературоведческих проблем	81
Н. В. Чикватия, Антимонифелитские произведения в древнегрузинской письменности	94
Т. З. Отхмезури, Об одной грамматической заметке в древнегрузинской письменности	105
Т. В. Вашакидзе, Аналитические формы с вспомогательным глаголом UCNS «кажется» в древнегрузинском языке	118
И. Г. Кикнадзе, Об одном значении хев>хув и термин «месахиени»	122
К. Г. Гигашвили, К вопросу образования скрив первой серии глаголов страдательного залога с префиксом в среднегрузинском	127
Н. Ш. Чичуа, Семантика нарративного эпизода	138
Л. З. Турманидзе, Композиционные формы и макросинтаксис текста	146
С. А. Болквадзе, Некоторые замечания относительно применения наклона в современном английском языке	150
Л. С. Гоксадзе, И. Г. Деметрадзе, Роль коннективов в правильном декодировании высказывания	155

ლია გუგუშავა

პართული რომანტიზმის ლირიკული გმირი და ჰამლეტი

ზნეობრივი ასპექტები

50128

ჩვენს მიზანს არ შეადგენს რომანტიკული გმირის ყოველმხრივი და ამომწურავი განხილვა ჰამლეტთან მიმართებაში. ეს სცილდება ჩვენი კვლევის საგანს. ჩვენი ამოცანაა, გავაანალიზოთ მეამბოხეობის პრობლემა ნ. ბარათაშვილის ლირიკაში და პარალელები გავავლოთ ჰამლეტთან. ქართულ ლიტერატურულ ტრადიციასთან ჰამლეტის იდეური ნათესაობა ნაწილობრივ ამ პრობლემის შესაფერისად გადაწყვეტამაც განაპირობა, რომელიც სათავეს იდებს ქართული მიოლოგიური გმირის პრომეთე-ამირანის ხასიათში. რადგანაც ბარათაშვილის ლირიკა ქედმოუხრელი ბრძოლის წყურვილით ეხმიანება თავისი ეპოქის განმათავისუფლებელ მოძრაობას, ეპოქალური საჭირობოროტო საკითხები პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენლებს ერთმანეთთან აერთიანებთ, ისინი ერთ მილიანობას ქმნიან საკაცობრიო მნიშვნელობით; ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ბარათაშვილის „მერანის“ ჰამლეტთან ანალოგიები სხვა დიდი მასშტაბის პროგრესული რომანტიკოსების ნიმუშების ფონზე მოვძებნოთ. ამბოხის თემა ამ გმირებში დაკავშირებულია საერთო ჭირთან, რომელიც ერთნაირად აღქმვებთ სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს. ილიას სიტყვებს თუ გავიხსენებთ, ნ. ბარათაშვილის „კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“ და ბედის საზღვრის გარღვევისა და მოქმედებისათვის დაუსრულებელი სივრცის ძიებისათვის „ბაირონის კაინმა ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა „მერანი“, ესე იგი თავისი სულის ქროლა“¹. რადგანაც პრომეთე ერთგვარ ხიდსა ქმნის რომანტიკულ გმირსა და ჰამლეტს შორის, გვერდს ვერ ავუვლით პრომეთე-ამირანის მითურ და ლიტერატურულ სახეებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა პრომეთეს სახელწოდება, არამედ ლიტერატურულ გმირში პრომეთესტური მოტივების გამოვლენა: ტიტანიზმი, ძალმომრეობის წინაშე ქედმოუხრელობა, ნებისყოფის სიმტკიცე, ადამიანის ვალის შეგნება, რაც ზნეობრივ ასპექტსაც შეიცავს, ბრძოლა პროგრესისათვის და ა. შ. ე. ი. ისეთი თავგანწირული ადამიანის ტიპი, რომლისათვისაც კრედიო პრომეთეს სიტყვები: „მე არ გავცვლიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე“ (ესქილდე, „მიჯაჭვული პრომეთე“, თბ., 1958, თარგმანი ა. ქუთათელაძის, გვ. 54—55).

1. პრომეთე-ამირანის ინტერპრეტაცია. მითს პრომეთეს შესახებ პირველად ვეცნობით ჰესიოდეს ნაწარმოებებიდან (VIII ს. ჩვ. წ-მდე). როგორც ვიგებთ, პრომეთე ხალხის საკეთილდღეოდ ორჯერ მოატყუებს ზევსს — ერთხელ სამსხვერპლო დეკეთლის გაყოფის დროს, მეორედ ოლიმპოს მთიდან ცეცხლს მოპარავს და ხალხს ჩამოუტანს, რისთვისაც ზევსი პრომეთეს ბოძზე მიაჯაჭვავს და არწივს მიუჩენს. ჰერაკლე მოკლავს არწივს და გაათავისუფლებს პრომეთეს. თუ რა სახე ჰქონდა პრომეთეს მითს ჰესიოდემდე — უცნობია.

ესქილდე მითს ფილოსოფიურ სიღრმეს აძლევს და პრომეთეს ტანჯვა

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1958, გვ. 211, 216.



ტრაგიკულ სიმაღლემდე აჭყავს. ერთ-ერთი სიახლე, რაც ჰესიოდეს მიერ გადმოცემულ პრომეთეს მითში ესქილეს შეაქვს — ის არის, რომ „ესქილეს (525—455) ვარკვევით მიუთითებს იმ ქვეყანაზე, სადაც მრავალხნოვან წამებას მიეცა უსამართლოდ დასჯილი ტიტანი. ეს ადგილი — კავკასიაა“.

აქედან გამომდინარე, მ. ჩიქოვანი ასკვნის, რომ „V საუკუნეში ჩვ. წ-მდე საბერძნეთში არსებობდა ცნობა კავკასიონის მთას მიჯაჭვული გმირის შესახებ. როგორც სხვა მწერლებისგან ვგებულობთ, კავკასიაში პრომეთეს ორეულიც არსებობდა და მას ქართველები ამირანს უწოდებდნენ“².

პრომეთე-ამირანის მითურ სახეს ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ წიგნში „ამირანის თქმულება“, სადაც მ. ჩიქოვანს შეკრებილი აქვს ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული თქმულებები ამირანზე. თქმულებების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად მ. ჩიქოვანი შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

„სიუჟეტურმა და შინაარსობრივმა შედარებამ ცხადყო, რომ ძველი მთლიანი გადმოცემა თანდათან გადასხვაფერებულა, განშტოებულა და ისე დამკვიდრებულა ზეპირსიტყვიერებაში. ხალხის მხატვრული შემოქმედებიდან ამირანის სიუჟეტი აღრევე გადავიდა ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ...კოლხეთის გზით კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ღვთის ურჩი გმირის თავგადასავალმა საბერძნეთამდე მიაღწია და გამოხატულება ჰპოვა ანტიკურ მწერლობაში“³.


როგორც ცნობილია, ესქილეს ტრილოგიის მიხედვით ბოლოს პრომეთე ურიგდება ზევსს. პრომეთეს მითის ასენა მიუღებელი იყო რომანტიკოსებისათვის. მაგალითად, შელიმ არ მიიღო ბერძნული მითისეული გადაწყვეტა. ზევსისა და პრომეთეს შერიგება ულოგიკობად ჩათვალა, პრომეთეს სახის დამამკირებლად. მისი აზრით, ამით იჩრდილებოდა პრომეთეს სიდიადე. „არ მომწონდა კვანძის ამგვარი გახსნა, რაც კაცობრიობის მხსნელისა და კაცობრიობის მჩაგვრელის შერიგებით მთავრდებოდა. ზნეობრივი არსი ლეგენდისა — რომლის სიდიადესაც პრომეთეს ტანჯვა და გამძლეობა გვიმჟღავნებს — მთლიანად გაცამტვერდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ პრომეთე გადათქვამს თავის ნათქვამს და შიშით ცახცახებს მოხეიძე და ცბიერი მტრის წინაშე. ერთადერთი, ვინც პრომეთეს სიდიადეს მოგვავაგონებს, სატანაა; მაგრამ პრომეთე, ჩემი აზრით, უფრო პოეტური ხასიათისაა, ვიდრე სატანა; რადგან სიმამაცით, ბრწყინვალეობით, სიმტკიცითა და შეურიგებლობით წინ აღუდგება უზენაეს ძალას და, ამავე დროს, თავისუფალია პატივმოყვარული სენის, შურის, შურისგებისა და პიროვნული განდიდების სურვილისაგან... პრომეთე უაღრესად დახვეწილი ზნეობისა და ინტელექტუალური ბუნებისა გახლავთ, უწმინდესი და უჭეშმარიტესი სურვილებით ისწრაფის საუკეთესო და უკეთესობილესი მიზნისაკენ“⁴.

ბერძნულ მითში პრომეთეს კონცეფციას თავისი გამართლება აქვს. ჰერაკლეს ის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, რომ პრომეთე დაემკირებინა. შალვანუტუბიძის მტკიცებით, „პრომეთე-ამირანი განთავისუფლებულია ზევსის მიერ არა უკანასკნელის წამებისადმი სიბრალულისა და სიმპათიის გამო, არამედ იმისათვის, რომ... ნაჩვენები ყოფილიყო ბერძნული გმირის ჰერაკლეს ძალა, რომელიც პრომეთე-ამირანს უპირისპირდებოდა... ჰერაკლეს... დავაღე-

² მისილ ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 126.

³ „ამირანის თქმულება“, დამუშავებული მ. ჩიქოვანის მიერ, ბოლოსიტყვაობა, თბ., 1961, გვ. 156.

⁴ წინასიტყვაობა დრამისა „განთავისუფლებული პრომეთე“, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, ესეები, თბ., 1989, გვ. 91—92.



პული ჰქონდა, ელინური მითოლოგიური წარმოდგენით, დაეძლია გმირი პრომეთე-ამირანის უცხო სახე“⁵.

შელისეული ინტერპრეტაცია ახლოსაა ხალხურ პრომეთე-ამირანის სახესთან. ამირანი თქმულებაში ბოლომდე რჩება ქედმოუხრელი, ძლიერი და იბრძვის კეთილშობილი მიზნებისათვის. თუმცა არიან ისეთი კრიტიკოსები, რომლებიც არ ეთანხმებიან ამირანის ასეთ გაგებას და არც პრომეთესთან ნათესაობა მიაჩნიათ დამარწმუნებელ ფაქტორად. ერთ-ერთი მკვლევარი ერთმანეთს აღარებს ბერძნული ლიტერატურული ძეგლებიდან შექმნილ პრომეთეს სახეს ხალხურ ლიტყვიერებაში გაგრძელებულ ამირანის თქმულებებს და მათ შორის კავშირის უარსაყოფად ასეთი მცდარი არგუმენტები მოჰყავს: „В греческих памятниках Прометей всегда является защитником человека от несправедливости богов ... между тем, в большинстве кавказских легенд прикованный гигант наказан богом за те обиды, которые он причинял людям. Это— богатырь хищник, кровожадный, своевольный, безнаказанно расправлявшийся со слабыми... если бы он порвал цепи и вырвался на волю, то это привело бы к гибели человека, к разрушению мира“⁶.

რამდენად სწორია ამირანის ამგვარი ინტერპრეტაცია, შეგვიძლია განვსაჯოთ შალვა ნუცუბიძის მიერ რესტავრირებულ მითოლოგიურ პოემა „ამირანის“ მიხედვით. აქ ნათლად ჩანს ამირანის საქციელის მოტივები.

უპირველეს ყოვლისა, არის თუ არა პოემაში ცეცხლის მოტაცება სიმბოლურად გამოსატყული და ჰქონდა თუ არა მას კაცობრიობისათვის სარგებლობას მოტანის იდეა?

ამირანი მიმართავს ყამარს:

„ყამარო, შენთან მოვსულვარ,
მნათობო ქვეყნის თხემისა,
ჩამოდი ქვეყნად, წაიდეთ
საშველად კაცთა თემისა“⁷.

ღმერთთან ბრძოლა პოემაში დაკავშირებულია ცეცხლის მოტაცებასთან. ყამარი-მნათობი ცეცხლის სიმბოლური გამოსატყულება; ყამარის მამა, ღრუბელთა ღმერთია, რომელიც ეწინააღმდეგება ამირანს ყამარის მოტაცებაში, რაც სიმბოლურად აღნიშნავს ზეციერის მიწაზე ჩამოყვანას. ისე რომ, ქალის მოტაცება აქ, სიმბოლურად, პროგრესისათვის ბრძოლაა და არა პირადი ძალის გამოჩენა:

„არავის სურდა ზეციერს
ყამარს ქვეყანა ენათა,
ზეციდან ცეცხლის წაღება
ვერ ეთქვა ღმერთთა ენათა,
კაცთა უცეცხლოდ დაგდება
ღმერთებს ჰქონოდათ რწმენათა;
დღეს ის მიწიერს მიჰქონდა
ღმერთების შესარცხვენადა“.

ახლა საინტერესოა, რამდენად ჩანს პოემაში ამირანისაგან ხალხის მოსარჩლეობა:

⁵ შალვა ნუცუბიძე, ფილოსოფიამდელი საპროფნო ელემენტები მითოლოგიურ პოემა „ამირანში“, ქართულ ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956, გვ. 54.

⁶ И. М., Н у с н к о в, История литературного героя, М., 1958, გვ. 9.

⁷ „ამირანი“, მითოლოგიური პოემა, განახლებული და რესტავრირებული შალვა ნუცუბიძის მიერ, თბ., 1945, გვ. 101.

„მოისმა ამირანზედა
ხმა ზეციერთა წყრომისა,
გასამართლება უნდობი
ქვეყნიერების ლომისა.
შეშინდა ხალხი, ნაშობი
გაჭირვების და შრომისა;
ახსოვდა ამირანისგან
მაღლი დევებთან ომისა,
რომ დაარჩინა, არ გახდნენ
მსხვერპლი იმათი ნდომისა“.

ხალხს რომ ამირანი უყვარს და მასზე იმედებს ამყარებს, ეს ჩანს მათ
ლოცვაში:

„ბატონებო მოუსმინეთ
ლოცვა. ცაში ერთა.
ამირანის უყოლობა
გაგვხვდის მთლად მშვიერსა...
ნეტავი ვინ-ღა იფიქროს
კაცთა მოსდგმისა ბედზედა?“

ისე რომ, ამირანი პროგრესისათვის მებრძოლია. დევებთან ბრძოლა სიმ-
ბოლურად ხალხის გადარჩენის იდეას ატარებს.

პრომეთეს შესახებ მითი რომ იცნობდა თქმულებას ამირანზე და რომ
პროგრესულობა პრომეთეს ამირანისგან აქვს მემკვიდრეობით გადმოცემული,
ამის შესახებ მრავალი საბუთი მოგვეპოვება.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „თქმულება კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული
ჯშირის შესახებ საქართველოში არსებობდა უკვე ქრისტიანობის წინათ, წარ-
მართობის დროს“⁸.

სიმონ ყაუხჩიშვილის მტკიცებით, „პრომეთე არ არის ბერძნული ღვთაე-
ბა, იგი იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და
რომელიც მაღალი კულტურის მატარებელი იყო. ხოლო ზევსი წმინდა ბერძ-
ნული ღვთაება... ჩვენი მეცნიერების დღევანდელი მოღვაწეები გვავალებენ
რსიც ვთქვათ, რომ ის ძველი მოსახლეობა მერმინდელი საბერძნეთისა (ე. წ.
წინაბერძნული მოსახლეობა) ენათესავება ქართველურ-კავკასიურ ტომებს
და პრომეთეს თქმულება, რომელიც საბერძნეთში დარჩენილი უძველესი თქმუ-
ლებათაგანია, მოუთხრობდა სწორედ ახლად მოსული ბერძნების ბრძოლაზე
წინაბერძნულ მოსახლეობასთან... ესქილეს დროს (VI—V საუკუნეები), რა-
საკვირველია, აღარავის ახსოვდა ამ თქმულების წარმოშობა და პრომეთეც
და ზევსიც ბერძენ ღმერთებად მიაჩნდათ, რადგან ახალმა ძველი დაიმორჩი-
ლა და, ბოლოს და ბოლოს, პრომეთეც შეურიგდა ზევსს. ხოლო დაპირისპი-
რება კულტურულობისა და ჩამორჩენილობისა, პროგრესისა და რეგრესისა,
მუდამ იგრძნობოდა ამ თქმულებაში“⁹.

ჩვენმა თანამედროვე მეცნიერებამ განავითარა პრომეთეს საკითხი. პრო-
მეთეს მითი ახლებურად ახსნა. დღესდღეობით დამტკიცებულია, რომ მითი
პრომეთეს შესახებ ქართული წარმოშობისაა. იგი ეკუთვნის წინაბერძნულ,
პროტო-ქართულ მოდგმას. არა მარტო პრომეთე, არამედ ჰერაკლეც არ არის
ბერძნული ღვთაება. ჰერაკლე ძველ იბერთა უძველესი ღვთაება და გმირია.
პრომეთეს, ანუ პროქართული (იაფეტური) მოდგმის, დამდაბლება იმაში კი არ

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 161.

⁹ ესქილე, მიჯაჭვული პრომეთე, თბ., 1958, გვ. 7—8.

ვამოიხატება, რომ პრომეთე ჰერაკლემ იხსნა, არამედ იმაში, რომ პრომეთე ზევსმა, ანუ ახლად მოსულმა ინდოევროპულმა მოდგმამ, მიაჯაჭვა კავკასიაზე, ე. ი. მისი მოღვაწეობის სფერო შემოზღუდა კავკასიით. მაგრამ პრომეთე განთავისუფლდება და დაიბრუნებს თავის ძალას, კაცობრიობისათვის კვლავ გახდება კულტურისა და პროგრესის მომტანი.

ქართულ მითოლოგიურ ძეგლში პრომეთე-ამირანი არამცთუ არ ურიგდება ტირანს, ძალმომრეობას, არამედ რჩება მარად ცოცხალ გმირად, ჩაგრულთა მფარველად. „ხალხს სჯერა, რომ ამირანი ახლაც ცოცხალია, ამირანი უკვდავი არსებაა“¹⁰.

ამირანის გამარჯვების რწმენა მუდამ თან სდევდა ქართულ პოეზიას, სჯე-როდა, რომ

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!..“¹¹

2. ინდივიდუალური ამბოხის პარადიგმა უცხოურ რომანტიკულ ლიტერატურაში. მითი პრომეთეს შესახებ რომანტიკოსებისათვის საყვარელ სიუჟეტად იქცა. რომანტიკოსებმა პრომეთეში იპოვეს უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი. ამაყი პიროვნების პროტესტი სამყაროს მოუწყობლობის წინააღმდეგ რომანტიკოსების ერთ-ერთი ძირითადი თემაა, რასაც დასაბამი ზისცა გოეთეს გმირებმა (პრომეთე, გოეტ ფონ ბერლინჰიგენი, ვერტერი).

გოეთეს დაუმთავრებელი ტრაგედიის გმირი, პრომეთე, კაცობრიობისათვის თვდადებული მეთომარია. მას არ ესაჭიროება ზეცის მაცხოვრებლების ძალაუფლება და სიმდიდრე. პრომეთეს ენატრება უსაზღვრო თავისუფლება და ძალა. გოეთეს პრომეთეს ამბოხის მოტივია ხალხისათვის სიკეთის მოტანა, ძალადობის მოსპობა. „ცეცხლოვანი გული“ აძლევს გოეთეს პრომეთეს გამძლეობას და ძალას წინ აღუდგეს ძალმომრეობას.

„მე ვინ მიშველა, როს შევმართე
შეზმა ტიტანებს?
სიკვდილს, კავშანს და მონობას
ვინ განმარბდა?
ო, ცეცხლოვანო გულო, ეს ხომ
შენ აიტანე,
შენ გამოხვედი ყველა საფრთხის
ნიაქიდან“¹².

გოეთეს ეს ადრეული ნაწარმოები რომანტიკოსებისათვის იმით არის მნიშვნელოვანი, რომ „პრომეთეს სახით გოეთემ გამოხატა შტურმერული ტირანმებრძოლობა და თავისუფლებისმოყვარეობა. პრომეთეს აღნიშნული ღირსებანი. — ნების სიმტკიცე და ხასიათის შემმართველობა, სულის სიმადლე და ღირსების გრძნობა, — ნამდვილი მებრძოლის თვისებებს წარმოადგენენ და კაცს არავეითარად ავტორიტეტისა და ძალმომრეობის წინაშე არ ახრვეინებენ ჭედს“¹³.

10 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

11 აკაკი წერეთელი, ლექსები, ტ. I, თბ., 1940, გვ. 352.

12 ოპან ვოლფგანგ გოეთე, რჩეული ლირიკა, პრომეთე, თარგმნილი აკაკი გელოვანისა, თბ., 1972, გვ. 105—107.

13 ოთარ ჯინორია, გოეთეს შემოქმედებითი გზა, თბ., 1966, გვ. 160.

გოეთეს პრომეთემ გამოძახილი პოვა ბაირონისა და შელის პოეზიაში. ბაირონის მთელი შემოქმედება გაყენებულია პრომეთეიზმის მოტივებით, მაგრამ პრომეთეს მებრძოლი ხასიათი ყველაზე მკვეთრად გამოხატულია ლექსში „პრომეთე“, რომელიც ხაზს უსვამს პრომეთეს ნებისყოფას. სწორედ ნებისყოფამ გაამარჯვებინა ხალხისათვის თავდადებულ გმირს.

„შენს სხეულში იბრძოდნენ ორნი —
ნებისყოფა და წამების ღმერთი...
შენმა ფარულმა, დიდმა ძალამ ისე იმძლავრა,
რომ მეხთამტეხელს ხელში ელვა აუცახცახდა...“¹⁴.

ბაირონის აზრით, პრომეთესნაირი ადამიანიც კი ღვთაებრივია და მასაც ძალუძს გრივალევით მოვარდნილ ჭირ-ვარამს მკერდით დაუდგეს:

„შენ გვიანდრძე გაკვეთილი ჯერ არანახი;
თუ ძლიერების საღმე გმირია,
შენ ხარ სიმბოლო მოკვდავთ ბედის და სიამაყის.
ადამიანი შენნაირი, ღვთაებრივია...
დიდი სიმტკიცით, ნებისყოფით და აზროვნებით
თვით წამებაშიც იმარჯვებს და ლაშრად არ რჩება.
იმარჯვებს იგი, არც ერთ გრივალს არ ემონება“.

რომანტიკოსებისათვის არანაკლებ საინტერესოა პროტესტის გამომხატველი გოეთეს სხვა გმირებიც. გოეთეს ვერტერის რეალისტური ხასიათი პრომეთეს მითოლოგიური სახის მხატვრული ეკვივალენტია. რომანში „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ გოეთემ წარმოგვისახა პიროვნება გრანდიოზული პრეტენზიებით; პიროვნება, რომელიც ვერ ურიგდება გარემოცულ სინამდვილეს. გმირი ტიტანური პრეტენზიებით ეძებს გრანდიოზულ საქმეებს სამოღვაწეოდ, ვერ ნახულობს თავისი ნიჭის შესაფერ საბიედს, მაგრამ მისთვის უცხოა ბრძოლა. ვერტერს ბევრი რამ აკავშირებს ჰამლეტთან. ზოგადსაკაცობრიო იდეები, შეურიგებლობა არსებულ სინამდვილესთან, დიადი საქმეებისაკენ სწრაფვა, ტრაგედია იმის გამო, რომ მოწოდების მიხედვით არ ცხოვრობს და სხვა. მაგრამ მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც ბევრია მათ შორის. ჩვენ თუ ვერტერს გოეთეს თვალთ დანახულ სენტიმენტალურ ჰამლეტს შევადარებთ, მაშინ ის ვერტერთან იქნება გაიგივებული.

„Мне ясно, что хотел изобразить Шекспир: великое деяние, возложенное на душу, которой деяние это не под силу... здесь дуб посажен в драгоценный сосуд, которому годиться принять в свое лоно лишь нежные цветы, корни растирают сосуд, и он гибнет“¹⁵.

ასეთი თვალსაზრისით დანახული ჰამლეტი ვერ უძლებს სიძნელებსა და წინააღმდეგობების გადალახვას. ამიტომ იღუპება. ასე შეიძლებოდა გაგვეგო ვერტერი, რომელიც უმხედრდება გურმანულ ფეოდალურ ოლიმპს, მაგრამ მისი ამხედრება ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ მთავრდება თვითმკვლელობით. ვერტერს არა აქვს მებრძოლის ის თვისებები, რაც გოეთეს პრომეთეს ახასიათებს: ტირანმებრძოლობა, თავისუფლებისმოყვარულობა, ნების სიმტკიცე. ამ მხრივ ჰამლეტი გოეთეს პრომეთესთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ვერტერთან.

გოეთეს გავლენით, მაგრამ სრულიად თავისებურად აქვს განვითარებული პრომეთესტური მოტივები ბაირონს თავის დიად ხასიათებში მანფრედი და

¹⁴ ჯორჯ გორდონ ბაირონი, ლირიკა, პრომეთე, თარგმნილი ჯანსუღ ჩარკვიანის მიერ, თბ., 1965, გვ. 69—70

¹⁵ Г е т е, Годы учения Вильгельма Мейстера, Пермь, 1959, გვ. 209.

კენი, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოებრივი ბოროტების წინააღმდეგ ამბოხს.

მანფრედი ინდივიდუალური მემბოხეა. იგი უმხედრდება ხალხის შემგუებლობას, ფლიდობას, ორპირობას და ა. შ. მაგრამ მისი უკმაყოფილება მხოლოდ ადამიანის გაუტანლობით როდია გამოწვეული. მას არ აკმაყოფილებს ის ცოდნა, რაც მისცა XVIII საუკუნის განმანათლებლობამ. მანფრედის ძალა ცოდნაშია, რომელიც მისთვის არ მიუნიჭებია არც ღმერთს და არც ეშმაკს, თვითონვე შეიძინა მძიმე შრომის შედეგად:

„მე მქონდა ძალა, მაგრამ იგი შენგით არ იყო,
ის მომანიჭა ნებისყოფამ უტეხმა ჩემმა,
შრომამ სასტიკმა, ღამეებმა ნათლად ნათევმა
და იმ უძველეს დღეთა სიბრძნემ...“¹⁶

ეს აშკარა პრომეთეისტური გამოწვევაა. მანფრედი თავის თავში გრძნობს პრომეთეს ცეცხლს. აკი თვითონვე ამბობს:

„ნაღვერთალი პრომეთეოსის,
ჩენში გიზგიზით რომ ანთია, — იმდენადვეა
ყოვლის შემცველი და ძლიერი, რამდენად თქვენი...“

მანფრედი გმირად დაიჩა ბოლომდე. ქედი არ მოიხარა ტირანიის წინაშე. ბაირონმა „კაენში“ უკვე პრომეთეს მისია დააკისრა ბიბლიურ გმირებს — კაენსა და ლუციფერს. კაენში იღვიძებს პროტესტის გრძნობა ღვთისადმი. კაენი მოკავშირედ ნახულობს ლუციფერს. ღმერთი გაიგივებულია მიწიერ ტირანთან. ლეგენდის გმირები ბაირონს გააზრებული აქვს ახლებურად. კაენი და ლუციფერი სიძულვილით ივსებიან ყოველივე იმისადმი, რაც ახშობს თავისუფალ აზრს და ზღუდავს პიროვნებას. თუ მანფრედი თვლის, რომ ცოდნას არ მოაქვს ზედნიერება, კაენის დევიზია ცოდნა ემსახურებოდეს ზედნიერებას. მაგრამ ვერც კაენი და ვერც მანფრედი ვერ მალღლებიან ბაირონის პრომეთემდე, რადგანაც ისინი ვერ პოულობენ გამოსავალს.

შელის დრამაში „განთავისუფლებული პრომეთე“ პრომეთე ატარებს იმ იდეას, რომ ხალხის დაღუპვისაგან დასახსნელად ერთადერთი გზაა — დაუცხრომელი ბრძოლა პოლიტიკურ ტირანიასთან. პრომეთეს გმირობა შთააგონებს ადამიანებს, რომ მხოლოდ ბრძოლით შეუძლიათ მოიშორონ ზევსის უღელი:

„Вот обманутый народ
От отчаянья восстал,
Полднем ярким заблистал,
Правды хочет, правды ждет.
Воля дух его ведет...“¹⁷

ჰერკულესში შელი სიმბოლურად გულისხმობს ხალხის მასას. ამდენად, პოეტის ახსნით, მამაც და დაუცხრომელ მებრძოლ პრომეთეს ხალხის შეერთებული ძალა უდგას მხარში. ხალხის გარეშე შელისათვის არ არსებობს გმირის ბრძოლა და ამ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება. ამიტომაც იყო, რომ მან ბაირონის მისამართით საყვედური გამოთქვა გმირის ხალხისაგან მოწყვეტის გამო. მიუხედავად ბაირონის გენიოსობისა, შელიმ ვერ აპატია მას მანფრედის განცალკევებული ამბოხი.

¹⁶ ბაირონი, მანფრედი, კაენი, ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა. თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძესა, თბ., 1948, გვ. 62.

¹⁷ Ш е л и, Освобожденный Прометей, М., 1904, გვ. 10.

3. მეამბოხე ინდივიდი ბარათაშვილის, შექსპირისა და ბაირონის მხატვრული წარმოსახვით (მერანი, ჰამლეტი და მანფრედი). პროგრესული რომანტიზმი მთელ მსოფლიოში განმათავისუფლებელი მოძრაობის თანახმიერად ივლიდა შექსპირის იდეალური გმირების სწრაფვას სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ. ერთ-ერთი მიზეზი, რითაც რომანტიკოსები დაინტერესდნენ რენესანსის ეპოქის დიდი დრამატურგით ის არის, რომ შექსპირი აღიღებს ადამიანს, მის ძალას, ტიტანურ გმირებს ხატავს. ყურადღების ცენტრში აყენებს ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისაკენ. შექსპიროლოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია ჰამლეტის ნათესაობა პრომეთესთან, რასაც დავუმატებდით იმას, რომ რომანტიკოსებისათვის, ალბათ, სწორედ ამ მხრივ იყო ახლობელი ჰამლეტი.

„Не борющийся, подобно Прометею, с небесным Тираном Гамлет, гордый Прометеевым вызовом Зевсу: „Я б не променял своих скорбей на рабское служенье“—по-своему бросает в лицо тиранящему его „пустому веку“. В страданиях мысли, правдивой, требовательной, бескомпромиссной — его жребий“¹⁸.

„Трагедия носит тираноборческий характер. Всем своим содержанием она обличает социальную и политическую систему феодализма“¹⁹.

ჰამლეტი, როგორც მეზობლი და თავისუფლების მოყვარული გმირი არ შეიძლება არ გამხდარიყო პროგრესული რომანტიკოსებისათვის ყურადღებულს ღირსი.

იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ იმ აზრში, რომ სწორედ ეს პრომეთესტური მოტივები აერთიანებთ რომანტიკულ გმირებს ჰამლეტთან, საკმარისია იგი შევადაროთ ბარათაშვილის მერანს და ბაირონის მანფრედს.

ქართულ რომანტიზმს პრომეთე-ამირანის სახე განსაკუთრებული ძალით შეესისხლბორცა. ამის საუკეთესო ნიმუშია ბარათაშვილის პოეზია. „მერანის“ ავტორს თავისუფლებისათვის ბრძოლაში შემწედ ჰყავს ამირანის უკვდავი სახე, როგორც ქართველი ხალხის სულის სიმტკიცის სიმბოლო. „ამირანის გმირულს სულს... უხილავი ძაფებით უკავშირდება «მერანი»“²⁰. რომანტიკული ხელოვნების ამ სახე-სიმბოლოში გამოხატულია პრომეთე-ამირანის გაუტეხელი გმირული სული. ნ. ბარათაშვილმა პრომეთე-ამირანის ტიტანიზმი, ძალადობის წინაშე ქედმოუხრელობა, დაუმორჩილებლობა, თავისუფლებისაკენ სწრაფვა დიდი მხატვრული ძალით განაზოგადა და ფილოსოფიურ ასპექტში წარმოგვიდგინა.

ვიდრე დასახელებულ გმირებს ერთმანეთს შევადარებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ, რა ხასიათისაა ამ გმირების პესიმიზმი და რამდენად ეწინააღმდეგება მათ მეზობლ ხასიათს. ერთი რამ უტყუარია — რომანტიკული გაგებით ჰამლეტი არ შეიძლება ყოფილიყო უძლური ხასიათის მქონე პიროვნება, ხელჩაქნეული პესიმისტი; მაშინ ის არ იქნებოდა რევოლუციური რომანტიკული პრინციპების თანაზიარი და ინტერესს დაკარგავდა რომანტიკოსებისათვის და, ბუნებრივია, არც „ჰამლეტის“ ავტორი გახდებოდა მათთვის კერპი. მაგრამ თუ გავიზიარებთ პესიმიზმის იმ არასწორ გაგებას, რომელსაც ხშირად აწერენ ხოლმე ამ გმირებს, მაშინ, ცხადია, არამცთუ წინააღმდეგობა

¹⁸ И. Верцман, „Гамлет“ Шекспира, М., 1964, стр. 106.

¹⁹ Н. Жерикова, О творчестве Шекспира и Гете, Краснодар, 1955, стр. 27.

²⁰ გიორგი აბზიანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1969, გვ. 160.

შეიქმნება, არამედ საერთოდ მოიხსნება მათი მეზობელი ხასიათი. მაგალითად, გ. ქიქოძე ასე ახასიათებს ქართველ რომანტიკოს პოეტს: „Николоз Бараташвили — пессимист и индивидуалист, самый законченный индивидуалист, в грузинской литературе“²¹.

ლექსებსა და წერილებში ბარათაშვილი თვითონვე ხსნის თავის სულითობლობის მიზეზს, რომ მას არავინ ეგულება „სავსე და ვრცელ სოფელში“, ვისაც მიენდობოდა. ირგვლივ ცბიერებას, უგულობას, უნიჭობას დაუსადგურებია, რომლებიც წამლავენ პოეტის სულს. ხოლო თავისი მდგომარეობის ტრაგიზმს ასე განსაზღვრავს დიდი საქმეებისათვის მოწოდებული შემოქმედი: „ჩვენი დანიშნულების მიზანმიუღწევლობა, ადამიანის სურვილთა უსაზღვროება და მთელი ცისქვეშეთის ამაოება“²².

ჰამლეტის ნაღველს შექსპირი გარემო პირობებით ხსნის. მეტაფორები: „დანია საპყრობილეა“, „გაუმარგლავი ბალი“ (ქვეყანა) და სხვა სწორედ გარემოებით გამოწვეული პესიმიზმის მაჩვენებელია. ჰამლეტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დიადი საქმეების შესასრულებლად მოწოდებული ადამიანი იძულებულია ლაჩრად იქცეს, რადგან საამისო პირობებს ვერ ხედავს სინამდვილეში:

„აი ასე გვხვდის ლაჩრად ჩვენიც ცნობიერება,
გამბედაობას მოსაზრება უსუსტებს შუქსა
და სასახელო ძლიერ საქმედ, დიდად განზრახულთ
წინ ელობება“ (III, 1).

მანფრედის პესიმიზმიც გარემომ გამოიწვია. ადამიანი, რომელიც იმდენ ძალებს ხედავს თავის თავში, რომ ხალხის წინამძღოლი შეიძლება გამხდარიყო, სურდა განმანათლებლად მოვლენოდა თანამემამულეთ, იძულებულია გაერიყოს ცხოვრებას:

„დიად, მამაო, მეც ვზიდავდი ოცნებებს გულით,
მალალ მიზნებით სიჭაბუკე დავტვირთე ჩემი:
მსურდა ხალხისთვის ვყოფილიყავ განმანათლებლად,
ცად ავსულიყავ — მაგრამ რისთვის? ეს მე არ ვიცი...“²³.

„მგლების ხროვაში
არა მსურს გარევა, თუმც შევძლებდი ხელმძღვანელობას“²⁴.

აქედან მომდინარეობს გმირთა საყვედური, რომ დაკარგეს ცხოვრების მიზანი. ბარათაშვილი წყევლის ბოროტ სულს (ე. ი. იმ ხელის შემშლელ პირობებს, რომელნიც წინ ელობებიან პოეტის კეთილ ზრახვებს), რომ მან მოუკლა ის იმედები, რაც ყმაწვილკაცობაში ლამაზად ესახებოდა:

„წყველი იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის-თქმათა!...
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსავნოდ, მარტო,
კუკუთი ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოჰხვედეს ხელი შენი მსახვრალი!“ („სულო ბოროტო“).

„მსახვრალი ხელი“ მოხვდა ჰამლეტსაც. მასაც დაემსხვრა იმედები, „ვიტენბერგის უნივერსიტეტში რომ აგებდა მომავალ ცხოვრებაზე; დაკარგა რწმენა ადამიანისადმი, ცხოვრების სიმუხთლე თავის თავზე გამოსცადა. ჰუ-

²¹ Г. К и к о д з е, Грузинские классики, критические статьи, Тб., 1942, გვ. 27.

²² იხ. ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ბარათი, 1844 წლის 15 აპრილი.

²³ ბ ა ი რ ო ნ ი, მანფრედი, კენი, ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა, გვ. 55—56.

²⁴ იქვე.

მანისტს სულ სხვა მისია უნდა შეესრულებინა, ბედმა კი სულ სხვა არგუნა წილად; სასოწარკვეთილია და ქვეყანას შავი ფერებით მოსავს:

„ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ წუთის სოფლის როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული, თითქოს ქვეყანა იყოს ბალი გაუმარგლავი, რაშია ცხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი... ცუდ ამბებს ვხედავთ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ. ვაიპე გულო, რაკი ენა უნდა დადუმდეს“ (1, 2).

ბარათაშვილის გმირს, ჰამლეტსა და მანფრედს ერთი და იგივე საფუძველი აქვთ პესიმიზმისათვის. მათი პესიმიზმი გამოწვეულია ვითარებით. მაგრამ რაც უფრო ძლიერია მათი პესიმიზმი, მით უფრო ძლიერია პროტესტი არსებული საზოგადოების მიმართ. სამივე გმირი ტრაგიკულია. ბარათაშვილის ლირიკის გმირის ტრაგიზმი გამოვლენილია ისევე მძაფრად, როგორც ეს შესაძლებელია დრამატულ ნაწარმოებში. ლექსები მონოლოგების მაგიერობას წვევენ. აქ ისმება დიდი პრობლემები და წყდება მოწინააღმდეგე ძალთა პაექრობის გზით. თავისუფლებისათვის მებრძოლი ძლიერი პიროვნება შეჭიდებულია ბედთან, ანუ ეპოქის შავბნელ ძალებთან, რომლებიც ხელს უშლიან ხალხს პროგრესში.

მთლიანობაში ბარათაშვილის გმირი გვეხატება ამაღლებულ ძლიერ პიროვნებად, უტეხი ნებისყოფით, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჰამლეტიზმი (შინაგანი წინააღმდეგობები). ბარათაშვილის გმირი, ისევე როგორც ჰამლეტი და მანფრედი, შინაგანად თავისუფალია, არ ემორჩილება არავითარ ძალას; მხოლოდ, მანფრედით ქედმოუხრელობით არ იფარგლება, მისი პროტესტი უფრო შორს მიდის. აქტიური ბრძოლისათვის დებს თავს. როგორც ყველა ჭეშმარიტ გმირს, მას დიდი მისია აკისრია — ქვეყნად ბოროტების მოსპობა, განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის თავის დადება.

პოეტის წინაშე დგება მთელი რიგი წინააღმდეგობები, რომლებიც თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანს ელობება, მაგრამ ბარათაშვილის გმირი არ უშინდება მათ. იგი ამბობს უცხადებს უკუღმართ ბედს. სიმბოლურად ადამიანის ბედს შავი ყორანი გამოხატავს. პოეტის ბრძოლა თავისუფლებისათვის ბედთან შეჭიდებული მხედრის სახითაა გადმოცემული:

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი,
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“ („მერანი“).

მფრინავი რაშის ქროლა სივრცეში, რომელსაც უკან მოსჩხავის შავი ყორანი, გამოხატავს გმირის შეუპოვრობას, დიდ ენერჯიას. თავისი კეთილშობილური მიზნის მისაღწევად იგი არაფერს უშინდება. მაგრამ ღირს კი თავის გაწირვა, თუკი ყველაფერი მაინც ამოა?

„მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ საღლა იყოს?...“ („ფიქრი მტკვრის პირას“).

სოფლის ამოება ჰამლეტსაც დილემის წინაშე აყენებს. რომელ გზას დაადგეს ადამიანი: შეებრძოლოს მოზღვაებულ უბედურებებს, რომლებსაც მაინც ვერ მოერევა, თუ მოშორდეს სოფელს და საუკუნო ძილს მისცეს თავი?

„სულ-დიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის რომ იტანჯოს
და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოზღვაებულ უბედურებას

და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი?.. მოსპოს სიცოცხლე...
ბოლო მოუღოს... მიიძინოს... სხვა არაფერი...“ (III, 1).

ორივე გმირი კითხვაზე: ღირს თუ არა თავის გაწირვა, უპასუხებს, რომ საჭიროა სიცოცხლე და ზრძოლა, თუნდაც არ იყოს იმის გარანტია, რომ ზრძოლას მოიგებენ.

ჰამლეტის პასუხი. ისმის მესაფლავის სიტყვებში — ადამიანი სიცოცხლე-
ზე ივე არ უნდა გაიხრწნას (V, 1).

ბარათაშვილის გმირი ყოველგვარ პირობებში ადამიანის აქტიური მოქმედების მომხრეა:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გეჰვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“ („ფიქრნი მტკვრის პირას“).

სოფლის ზრუნვის ფილოსოფიური საფუძველი ბარათაშვილამდე უცხო არ იყო ქართული ლიტერატურისათვის. ჯერ კიდევ ქართული ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი შეგნება უკარნახებდა მწერლობას ამქვეყნიერის მიღების აუცილებლობას. ბარათაშვილის ნააზრევის წყაროდ ვახტანგ ბაგრატიონის შთაგონებას თვლიან:

„კაცმა უნდა თავის საქმე ღვთითა მოიფარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა რამე დარგოს“

(„გაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო“).

ბარათაშვილის მხედარმა იცის, რომ დიდი მისიის შესრულება დიდ მსხვერპლს მოითხოვს. მას თავს დასტრიალებს „შავად მღელვარე“ ფიქრი, მაგრამ იგი უძლებს ყოველგვარ გამოცდას, რომელსაც ცხოვრება უტარებს: წამულის, მეგობრების, მშობლების, სატრფოს მოშორება.

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა!
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა“ („მერანი“).

მანფრედი, მიუხედავად მისი პროტესტისა, გამოსავალს ვერ პოულობს, ზრძოლის გზას არ ადგება. ერთადერთი, რასაც ის ნატრულობს, არის თავდავიწყება. თუმცა რეაქციული გმირივით შვებას არ ეძებს არც განმარტობაში და არც სიკვდილში, თავისი ძალების გამოსაყენებლად არაფერს აკეთებს. მაგრამ ეს გმირის შეზღუდულობაა და არა ავტორის. ბაირონი მანფრედის სახით გვიხატავს ადამიანის გონებისა და ნებისყოფის დიდ შესაძლებლობებს, ამავე დროს გვეუბნება, რომ ინტელექტუალური სიძლიერე უპერსპექტივოა, აუკი ის მოწყვეტილია ცხოვრების პრაქტიკისაგან. მანფრედი „თავდავიწყების“ ძიებაში ამაოდ ცდილობს თავის თავში ჩააქროს „პრომეთეს ცეცხლი“. რადგანაც ამას ვერ აღწევს, ის ბოლომდე რჩება გმირად და კვდება თავისუფალ ადამიანად. მიუხედავად იმისა, რომ დრამის ცენტრში ძლიერი, მეამბოხე პიროვნებაა, რომანტიკული კოლიზია მაინც ვერ იქმნება. წინააღმდეგობაა გმირულ შესაძლებლობებსა და უმიზნო სწრაფვას შორის. მანფრედი რჩება ჩართოხელა ტრაგიკულ გმირად, რომელიც ვერ უძლებს საზოგადოებასთან კონფლიქტს; იტანჯება მარტოობისაგან, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს.

სამივე მწერლის თვალთახედვით, ჰუმანიტი ტრაგიკული გმირისათვის ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა არის ერთადერთი მოთხოვნილება, ცხოვრების

მიზანი, რაც თავდადებულ ბრძოლასთან არის დაკავშირებული. ჰამლეტი იმდენად მწვავედ განიცდის საკუთარ თავზე დაკისრებული მისიის სიმძიმეს, რომ მას პირადი ბედნიერებისათვის აღარა სცალია. მამისადმი მიცემულ პირობას — შური იძიოს ბოროტმოქმედებაზე, რაშიც ჩაფლულია მთელი დანია ანუ სამყარო, სწირავს მთელ სიცოცხლეს: „...ჩემი ხსოვნის ფურცლებზე წავშლი, რაც როდისმე ან მსმენია, ან წამიკითხავს; წავშლი, რაც კი შიგ ჩაჭედოდა თვალით ნახული და იქ დავიცავ მტკიცედ, ამ ჩემ გულის ფიცარზე მარტო შენს ნათქვამს სხვა ამბავთა გაურეველად“ (I, 5).

ბარათაშვილის მხედარი თავის გულის კენესას ზღვის ღელვას უერთებს, მაგრამ „გაყურსა ლტოლვას“ არ აფერხებს. მას ზარავს იმის წარმოდგენა, რომ შავი ყორანი გაუთხრის საფლავს და ჭირისუფლად სვავები ესტუმრებიან. მაგრამ რაც უფრო მეტი საფრთხე ელის მისი ნებისყოფის მოტეხას, მით უფრო სწრაფად მიაქანებს მერანი თავგანწირულ მხედარს. რწმენის სიმტკიცე გადაალახვინებს ყოველ საზღვარს, რადგან ბედისწერის მონობას ურჩევნია აიტანოს ყოველგვარი ჭირი. იგი მხნედ შესძახებს თავის მეგზურს:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატაზე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“.

ბედისადმი ასეთსავე დამოკიდებულებაშია ჰამლეტი. ჰამლეტის ბედთან ჭიდილი, დაუმორჩილებლობა იქითკენაა მიქცეული, რომ სოფლის უკუღმართობებს შეებრძოლოს. მისთვის მიუღებელია „მიზარავ ბედის ხეშტრითა გმირვა“. ორიგინალში ბედი უფრო მძაფრადაა გამოხატული. „outrageous fortune“ — მძვინვარე, გაშმაგებული, გააფთრებული ბედი. თავისუფლება მხოლოდ ბედთან ბრძოლით მიიღწევა, მტკიცე ნებისყოფის მეშვეობით. ჰამლეტი მძვინვარე ბედს რომ არ ემორჩილება, ნიშნავს იმას, რომ იგი აქტიური მოქმედების მომხრეა. ჯერ მარტო კითხვა: „სულ-დიდ ქმნილებას რა შეჰყვრის?“ ნათელია სულ-დიდი ადამიანი რომელ გზას აირჩევდა დილემიდან:

„ის რომ იტანჯოს
და აიტანოს მიზარავ ბედის ნეშტრითა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოზგავებულ უბედურებას
და ამ შებრძოლით მოსპოს იგი?...“ (III, 1).

ჰამლეტი, რა თქმა უნდა, ბრძოლის გზას ირჩევს. ტრაგიკულ გმირს სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია. მაგრამ საკითხავია: სტიქიურია მისი სწრაფვა, თუ გააზრებული აქვს, რომ დასაღუპად არის განწირული? მან შესანიშნავად იცის, რაც მოჰყვება მის ბრძოლას, მაგრამ იგი სიკვდილს გმირულად ხვდება ზომავალი თაობის სასიკეთოდ.

რატომ სთხოვს ჰამლეტი ჰორაციოს:

„თუ როდისმე გყვარებდით, რამდენიმე ხნით
განშორდი მუღმის ნეტარებას, ტანჯვით იცხოვრე
და ამ კრულ მიწას მიმოჰფინე ჩემი ამბავი“ (V, 2).

იმიტომ, რომ ჰამლეტმა იცის, მის ბრძოლას არ მოუსპია ბოროტება, სამყარო არ შეცვლილა. ცხოვრება არ გამოსწორებულა და კვლავ გრძელდება ადამიანის ტანჯვა. მაგრამ მის ანდერძში გაისმის ზრუნვა მომავალი თაობებისადმი და უკეთესი მომავლის რწმენა.

მერანის მხედარმა ასევე იცის, რომ თვითონ ვერ მოიპოვებს გამარჯვებას, მაგრამ ღრმად სწამს, მსხვერპლად შეწირვა უშედეგოდ არ ჩაივლის, ახალგაზრდობას გაუკაფავს გზას თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვების მო-

საპოვეზლად. ამიტომ ამ ორი გმირის მრწამსი შეგვიძლია ბარათაშვილის სიტყვებით გამოვხატოთ:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება; და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუჭროლდეს!“

მაჩაბლის გენიამ იგრძნო ამ ორი მწერლის სულიერი სიახლოვე და თარგმნის დროს შეეცადა ბარათაშვილის პოეზიასთან დაეახლოებინა შექსპირის პიესების ქართული თარგმანები. „როდესაც თარგმნა გადაწყდა და უფრო დაკვირვებით წაიკითხა დიდი გენიოსის პიესები, მაჩაბელს ბარათაშვილის ლექსები გაახსენდა და ერთბაშად იგრძნო ამ ორი მწერლის სულიერი ნათესაობა. ალბათ მაშინვე გადაწყდა შექსპირის პიესების თარგმნა თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით! შემდეგ მაჩაბელმა თავის შექსპირისეულ თარგმანებს შეუნარჩუნა არა მარტო ბარათაშვილის ლექსის ფორმა, არამედ მისი პოეზიის დიდი მღელვარება და სიღრმე მისცა“²⁵.

დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ბარათაშვილის შემოქმედებას. მასში ნახულობდა თავისი რწმენის წყაროს. რეჟისორს იზიდავდა არა მარტო ბარათაშვილის ლირიკის თეატრალიზაცია, არამედ ის იდეალები, ის აქტიური მგზნებარე ადამიანის ტიპი, რაც იზატებოდა ბარათაშვილის პოეზიაში. მეამბოხე რომანტიკული გმირი ყოველთვის იყო ახმეტელის იდეალი. ამიტომაც იგი ბარათაშვილის „მერანს“ თეატრთან აკავშირებდა. მისი სიმბოლიკა მრავალმხრივ ესახებოდა რეჟისორს სცენისათვის. უპირველეს ყოვლისა, მისთვის მერანი ქართველი ხალხის ეროვნული ტრავიზმის მაჩვენებელი იყო, — თავისუფლებაშეკვეცილი სულის ამბოზი, რაშიც მთელი ეპოქის ტკივილი ჩანდა.

„თვით მგოსანი, მერანზე მჯდომი ქართველის „მეა“ — მხედარი თვით ქართველია, ქართველი ნებადაკარგული, ნებამოკლებული. მხედარი — ქართველი არათუ არ ლამობს მერანის შეკაგებას, შეჩერებას, პირიქით, შეგნებულად აღიზიანებს, აალმასებს მას.

შავი ყორანი, თავს არ ანებებს მხედარს და მერანს თვალუწვდენელ სივრცეში საზარელი ხმით დასჩხავის... „მერანი“ ბარათაშვილისა ჩვენი ტრავიზმია... მთელი ეპოქის სარკვეა“²⁶.

ახმეტელის სამართლიანი შენიშვნით, ბარათაშვილის „მერანი“ საკაცობრიო ხასიათის სიმბოლიური ძეგლია, ამავე დროს უაღრესად ეროვნულია, ქართველი ხალხის გმირულ სულს გამოხატავს.

მერანის სიმბოლიკა შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: ზღაპრულ რაშზე მჯდარი მხედარი, რომელსაც იგი უსაზღვრო სივრცეში მიაჭროლებს და ვერაფერს აკლებს შავი ყორანი, უკან რომ მოსჩხავის საზარელი ხმით, და ვერც ბოროტი სული უტეხავს ნებისყოფას, გვესახება პრომეთე-ამირანის სახით. მხედრის თავგანწირულ სულისკვეთებაში გამოსჭვივის პრომეთეს კაცობრიობისათვის თავის დადება. შავი ყორანი ეს ზევსია, რომელიც სიკვდილის მუქარით ცდილობს გმირის სულის დამორჩილებას. სული ბოროტი ცდუნებები, ზევსი შიკრიკების მეშვეობით რომ ცდილობს მის მოსყიდვას. მხედრის რწმენა — ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება — ეს პრომეთეს ოპტიმიზმია და წინასწარმეტყველება. მან იცის, რომ ხალხისა-

²⁵ ვახტანგ ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ., 1957, გვ. 236.
²⁶ ალექსანდრე ახმეტელი, ქართული თეატრის ისტორია, ჟურნ. „თეატრალური ნოაბზე“, № 5, 1986, გვ. 7—8.



თვის თავგანწირული ადამიანის დასჯა კარგს არაფერს მოუტანს ზევსს. პრომეთე მზად არის დაიღუპოს და თავის წამებას არ გაცვლის ზევსის მონობაზე.

„მერანის“ და „ჰამლეტის“ სიმბოლიკა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ენათესავება რომანტიკულ ლიტერატურაში შექმნილ პრომეთეს სახეებს. მერანის მხედრის სიმბოლური სახე ისეთი აქტიური, მგზნებარე, მემამბოხე რომანტიკული გმირია, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლას სწირავს სიცოცხლეს. ბარათაშვილის ლირიკის ძლიერი, ამაღლებული პიროვნება უტეხი ნებისყოფით, აზრისა და მოქმედების ერთიანობით იძლევა არა მარტო რომანტიკული პრომეთე-ამირანის ახალ საინტერესო სახეს, არამედ ჰამლეტის ახლებურ მოტივირებასაც უწყობს ხელს.

Л. Г. ГУГУНАВА

ЛИРИЧЕСКИЙ ГЕРОЙ ГРУЗИНСКОГО РОМАНТИЗМА И ГАМЛЕТ

(нравственные аспекты)

Резюме

Исследован вопрос взаимоотношений шекспировского Гамлета с прогрессивными романтическими героями; заостряя внимание на памятниках, созданных по Прометеевским мотивам, приходим к выводу, что романтических героев роднит с Гамлетом именно прометеизм. Сопоставление «Мерани», «Гамлета» и «Манфреда» приводит к заключению, что романтический Прометей как символ свободной мысли, твердости, воли перекликается с Гамлетом — олицетворением волевой личности, борющейся за справедливость. Также утверждается тождественность Прометея и Амирани и на основе соответствующей литературы доказывается, что мераниевский всадник — символический образ Прометея — мятежный романтический герой, борющийся ради блага человечества. Возвышенная личность лирики Бараташвили сильной волей дает не только новую интересную интерпретацию Прометея — Амирани, но и вместе с другими прогрессивными героями способствует новейшей мотивации гамлетовского образа.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილება

წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

თ ა მ ა რ გ ი ო რ გ ა მ ა

ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ლ ის ე რ თ ი თ ა რ გ მ ა ნ ის გ ა მ ო

ივანე მაჩაბელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში უპირველესად ცნობილია, როგორც შექსპირის ტრაგედიათა უბადლო მთარგმნელი. ქართველ ლიტერატურისმცოდნეთა ყველა თაობა ერთხმად აღიარებს, რომ ივანე მაჩაბელი მოვლენაა, რომელიც იწყებს სრულიად ახალ ეპოქას ქართულ მთარგმნელობით ისტორიაში და განსაზღვრავს მის შემდგომ განვითარებას. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგანაც მთარგმნელი არ იყო ნაზიარები ქართულ ენაზე შექსპირის თარგმნის მაღალმხატვრულ ტრადიციებს. ივანე მაჩაბლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე ქართული შექსპირიანა ძირითადად რუსულიდან ან ფრანგულიდან გადმოღებული მდარე თარგმანებით შემოიფარგლებოდა. შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები ქართველ მკვლევართა მუდმივი ყურადღებისა და კვლევის საგანია და არაერთ ნაშრომშია გაანალიზებული. მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა ივანე მაჩაბლის ლიტერატურულ შემოქმედებაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად. ივანე მაჩაბელი, ვიდრე შექსპირის პიესათა თარგმნას დაიწყებდა, თუ არ ჩავთვლით „მეფე ლირს“, თარგმნიდა ფრანგული დრამატურგიის ნიმუშებს. იმ პერიოდში, როდესაც იგი ილიასთან ერთად იყო ჟურნალ „ივერიის“ თანარედაქტორი, „დროების“ რედაქტორი, აქვეყნებდა მრავალ საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილს. ამასთან დაკავშირებით, გვინდა მკითხველს შევახსენოთ 1986 წ. 10 ოქტომბერს „ლიტერატურულ საქართველოში“ „ლიტერატორის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი „მნიშვნელოვანი პუბლიკაცია“¹. ჩვენი აზრით, ეს წერილი ეკუთვნის ივანე მაჩაბლის ყველაზე პროდუქტიულ მკვლევარს ვახტანგ ჭელიძეს. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ავტორის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ივანე მაჩაბლის ღვაწლის სათანადოდ შეფასება შეუძლებელია როგორც მისი წერილების, ასევე ნაკლებცნობილი თარგმანების მიკვლევისა და შესწავლის გარეშე. „...ვიდრე თარგმანები მთლიანად გამოქვეყნდებოდეს, ყოველი ცალკეული პუბლიკაცია ამ მხრივ ძლიერ სასიხარულოა, რა თანაც, უაღრესად მნიშვნელოვანია მომავალი სრული კრებულის მომზადებისათვის“.

წარმოდგენილ ნაშრომში გვსურს ყურადღება შევაჩეროთ ჟურნალ „ივერიაში“ 1881 წ. № 1—5 გამოქვეყნებულ ერთ თარგმანზე. ეს გახლავთ ოლივერ გოლდსმიტის „ვეკფილდის მოძღვარი“². თარგმანი ხელმოუწერლად გამოქვეყნდა, რაც იმ დროისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჟურნალის თანამშრომლები ხშირად ხელმოუწერლად აქვეყნებდნენ სტატიებს, თარგმანებს და სხვადასხვა მასალას. ხელმოუწერლად ქვეყნდებოდა ილია ჭავჭავაძის თარგმანებიც. აღნიშნული თარგმანის სავარაუდო ავტორად მიჩნეული იყო ივანე მაჩაბელი. ჟურნალში მითითებულია, რომ „ვეკფილდის მოძღვარი“ თარგმნილია ინგლისურიდან, ე. ი. ორიგინალიდან, რაც, პროფესორ ალ. კალანდაძის

¹ ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ი, მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, „ლიტერატურული საქართველო“, 1986 წ., 10 ოქტომბერი, გვ. 6.

² „ვეკფილდის მოძღვარი“, რომანი ოლივერ გოლდსმიტისა, „ივერია“, 1881, № 1, 2, 3, 4, 5.

ცნობით, ჟურნალის თანამშრომელთაგან მხოლოდ ივანე მაჩაბელს შეეძლო. ჩვენთვის უკვე საეჭვო აღარაა, რომ ეს თარგმანი ივანე მაჩაბელს ეკუთვნის. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის უნიკალურ წიგნთა ფონდში დაცულია ივანე მაჩაბლის ოჯახიდან, მწერლის პირადი არქივიდან შემოსული წიგნი — „The Select Works of Oliver Goldsmith“⁴. ეს არის ბრიტანელ ავტორთა კრებულის მე-12 ტომი. წიგნი გამოცემულია ლაიფციგში, 1854 წელს.

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ წიგნის გაცნობა, ვინაიდან მასში ივანე მაჩაბლის ხელით არის გაკეთებული აღნიშვნები, ცალკეულ სიტყვებზე მიწერილია შესატყვისი ქართული ეკვივალენტები და, რაც ძლიერ საყურადღებოა, ეს ეკვივალენტები უცვლელად მეორდება უკვე დაბეჭდილ ქართულ თარგმანში. აღნიშვნები იწყება 54-ე გვერდიდან, შესაძლოა მთარგმნელი სხვა წიგნითაც სარგებლობდა, თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს „His mother had been laundres to a man of quality“. წიგნში სიტყვა „Laundres“-ს ფანქრით ხაზი აქვს გასმული და მიწერილი აქვს „მოსარეცხე“. ქართულ თარგმანშიც ამგვარად არის: „იმისი დედა ვიღაც დიდკაცთან მოსარეცხედ ყოფილიყო“. „He early aquired a taste for pimping and pedigree“. სიტყვა „pimping“-ს ხაზი აქვს გასმული და მიწერილია—„მაჰანკლობა“. ქართულ ტექსტში ამგვარადვე არის— „იმას ბავშვობიდანვე კარგად ესწავლა მაჰანკლობა და გვაროვნების შტოები“: „I was resolved not to go sneaking to lower professors“. ხაზგასმულია სიტყვა „sneaking“ და მიწერილი აქვს —„თავის დამცირება“. ქართული ტექსტი: „...უბრალო პროფესორებთან კი არ მივედი და თხოვნით თავი დავიმცირე“. „I ever found them sprightly in proportion to their wants“. აქ ხაზგასმულია სიტყვა „sprightly“, მიწერილი აქვს — „მხიარულება“; ასევეა ქართულ ტექსტშიც: „მართლაც მათი მხიარულება სიღარიბეზედ არის დამოკიდებული“. „We were soon again qualified to enjoy our former serenity“. სიტყვა „qualified“-ს მიწერილი აქვს—„შევჩვიეთ“, ქართულ ტექსტში ამგვარად არის: „ახალ სადგურს მალე შევჩვიეთ“.

ნაწარმოების ყოველი თავი იწყება შესავლით, ასევეა მეოცე თავი: „The short continuance of friendship among the vicious, which is coeval only with mutual satisfaction“. წიგნში ფანქრით გადაშლილია შესავლის მეორე ნაწილის დასაწყისი. თარგმანშიც მხოლოდ პირველი ნაწილია გადატანილი: „ბიწიერთა შორის კავშირს დიდი დღე არა აქვს“.

ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. წიგნში აღნიშნული თარგმანისა და დაბეჭდილ ტექსტში ამ სიტყვების იდენტურობა უდავოს ხდის, რომ 1881 წლის „ივერიაში“ გამოქვეყნებული თარგმანის ავტორი სწორედ ივანე მაჩაბელია. ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია სხვადასხვა მთარგმნელის მიერ ცალკეული სიტყვებისა თუ გამოთქმების ნიუანსების ქართულ ენაზე გადმოტანის ამგვარი თანხვედრა.

რომანის ავტორია ოლივერ გოლდსმიტი (1731—1774) ცნობილი ინგლისელი განმანათლებელი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ესეისტი, მთარგმნელი. იგი დაიბადა ირლანდიაში, სამედიცინო განათლება მიიღო ედინბურგში. ევროპაში ორი წლის მოგზაურობის შემდეგ დასახლდა ლონდონში⁵. უდი-

³ აღ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 1986, გვ. 433.

⁴ The Select Works of Oliver Goldsmith in one volume, Leipzig, 1842.

⁵ A Dictionary of the English Language, from Chaucer to 1940, გვ. 380.

დესი პოპულარობა გოლდსმიტს მოუტანა სატირული ნარკვევების ციკლმა „მსოფლიოს მოქალაქე“⁶. დიდ პოეტად გოლდსმიტი აღიარეს 1770 წელს, როდესაც გამოქვეყნდა მისი „მიტოვებული სოფელი“⁷. „ვეკფილდის მოძღვარი“ გამოქვეყნდა 1766 წელს⁸. რომანის გამოქვეყნებას წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ შემდგომში მისი პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ ავტორის სიცოცხლეში ხუთჯერ გამოიცა. უდიდეს შეფასებას აძლევდნენ რომანს თეკერეი, დიკენსი, მას ფსევდონიმიც კი ჰქონდა აღებული რომანის ერთ-ერთი გმირის სახელიდან. რომანით აღტაცებულნი იყვნენ სკოტი, სტენდალი, ტოლსტოი. ნაწარმოები თარგმნილია ყველა ძირითად ევროპულ ენაზე, ძველებრათუ ენაზეც კი⁹.

გოლდსმიტის რომანის გამოქვეყნებას საქართველოში არ შეხვედრიან დიდი აღფრთოვანებით. პირიქით, „იმედის“ კრიტიკოსი დ. აბდუშელიშვილი საჭიროდ არ მიიჩნევდა რომანის თარგმნას იმ მოტივით, რომ უფრო საჭირო იყო დიკენსის, თეკერეის, ელიოტის, სკოტისა და სხვათა ნაწარმოებების მიწოდება ქართველი მკითხველისათვის¹⁰. დ. აბდუშელიშვილს პასუხი გასცა ევ. მაჩაბელმა (ეს ცნობაც ალ. კალანდაძეს ეკუთვნის), რომელმაც დაასაბუთა ამ თარგმანის საჭიროება¹¹.

რომანში სულ 32 თავია. იგი დაიბეჭდა „ივერიის“ ხუთ ნომერში. პირველ ნომერში სათაური თარგმნილია როგორც „ვეკფილდის მღვდელი“, ხოლო ყველა დანარჩენში — „ვეკფილდის მოძღვარი“. ნაწარმოების ყოველი თავი იწყება ორ-სამ სტრიქონიანი შესავლით, რომელიც გვაცნობს ამ თავის შინაარსს. პირველი თავის შესავალი ასეთია: „აღწერა ვეკფილდის მღვდლის ოჯახისა, ამ ოჯახში ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, ხასიათითაც და სხვა თვისებებითაც“. მართალია, ნაწარმოები პროზაულია, მაგრამ მასში ჩართულია ორი ლექსი. განსაკუთრებით საინტერესოა „ბალადა ედვისისა და ანგელინაზე“. ეს ბალადა თავდაპირველად დამოუკიდებელ ლექსად იყო დაწერილი და ეწოდებოდა „განდევილი“ („The Hermit“), იგი ავტორმა მიუძღვნა ნორთამბერლენდის გრაფინიას, ხოლო მოკვიანებით ჩართო რომანის ტექსტში¹².

თვით ნაწარმოები წარმოადგენს მონოლოგს ღარიბი მღვდლისა, რომელიც, ათასგვარი განსაცდელისა თუ შეჭირვების მიუხედავად, მორალურად სუფთა და გაუტყეხელი რჩება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომანი განმანათლებელ მწერალს ეკუთვნის, ამიტომ, ბუნებრივია, უაღრესად დატვირთულია ზნეობრივი პრობლემატიკით. აქ მრავლად არის განმანათლებლური სენტენციები. რომანის ქსოვილში ბუნებრივად არის ჩართული დიდაქტიკური არაკები. რომანის ღირსებას წარმოადგენს უაღრესად სადა და მიმზიდველი მსჯელობები ოჯახურ, ზნეობრივსა თუ, საერთოდ, ადამიანურ პრობლემებზე. ფაქტობრივად ეს ნაწარმოები არის ქადაგება სიკეთისა, ურთიერთდანიშობისა.

რომანის ქართული თარგმანი მაღალ დონეზეა შესრულებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მაჩაბლისათვის დამახასიათებელი „ქართული

⁶ The Citizen of the world; or Letters from a Chinese philosopher, residing in London, to his friends in the East. 2 vols., 1762.

⁷ The Deserted Villlage, 1770.

⁸ A Vicar of Wakefield, 1766.

⁹ А. И н г е р, От романа разума к роману чувств, М., 1972, გვ. 5—23, 559.

¹⁰ „იმედი“, ბიბლიოგრაფია, 1881 წ. იანვარი.

¹¹ „ივერია“, ახალი წიგნები, 1881, № 3, გვ. 157.

¹² Life of Oliver Goldsmith, London, გვ. 1—4.

სულის მინიჭება ტექსტისათვის“. საოცარი სიზუსტით არის მოძებნილი ინგლისურის შესატყვისი ქართული ექვივალენტები. მაგალითად: „Flattery was his trade“. ამ ფრაზას მაჩაბელი ამგვარად თარგმნის: „იმისი ფაო-ხმალი პირ-მოთნეობა იყო“. სიტყვა „trade“ — „ხელობა, საქმიანობა“ — თარგმნილია როგორც „ფარ-ხმალი“, აქ უკეთესი შესატყვისი ალბათ ძნელი მოსაძებნია. „I was preparing to leave this retreat of venal hospitality“ „დავაპირე ამ ფულიან სტუმრის მოყვარული ქალაქიდან გასვლა“, აქაც უჩვეულო, მაგრამ საოცრად შესატყვისი ქართული ექვივალენტები მოუძებნა მთარგმნელმა სიტყვებს. „ambition“ — ნიშნავს „მიზანს, სწრაფვას“, რაც მაჩაბელმა თარგმნა როგორც „ფიქრი და დარდი“. „retreat of venal hospitality“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ანგარებიანი სტუმართმოყვარეობის თავშესაფარს“. მაჩაბელი აქაც საუკეთესო შესატყვისს იყენებს — „ფულიან სტუმრის მოყვარული ქალაქი“. აქვე გვხვდება aunt — „ძალუა“, „french horn“ — „ღოროტოტო“. სწორედ ამგვარი გამოთქმების შერჩევას შემოაქვს ქართული სული ივანე მაჩაბლის თარგმანებში, თანაც ისე, რომ შენარჩუნებულია ორიგინალის განწყობილება. „ვეკფილდის მოძღვარი“, ისევე როგორც ივანე მაჩაბლის სხვა თარგმანები, უაღრესად საყურადღებოა მთარგმნელობითი ტექნიკის თვალსაზრისით და მოიხიბვს სათანადო ანალიზს.

მეორე მხრივ, ამ რომანის გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურული თვალსაზრისით, ვინაიდან ქართველი მკითხველი პირველად ეზიარა ინგლისური მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის, ოლივერ გოლდსმიტის მხატვრულ სამყაროს, იმ სამყაროს, რომლისგანაც დავალებულნი არიან მსოფლიოს უდიდესი მწერლები. ჩვენი ნაშრომი გვინდა დავასრულოთ ნაწყვეტით გოეთეს ერთ-ერთი წერილიდან სადაც მწერალი აღნიშნავს გოლდსმიტის (სტერნთან ერთად) დიდ გავლენას მის პიროვნებაზე: „შეუძლებელია იმის შეფასება, თუ როგორ ზეგავლენას ახდენდნენ ჩემზე გოლდსმიტი და სტერნი, სწორედ რომ უმთავრესის, განვითარების მხრივ. ეს ამბლებული და კეთილგანწყობილი ირონია, ეს სამართლიანობა, მიუხედავად იმ სიმსუბუქისა, რითაც საგნებს აღიქვამენ, ეს მორიდებულობა და სხვა ღირსებანი ჩინებულად მზრდიდნენ, ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ის განწყობილებაა, რაც ავგაცილებს ყალბი ნაბიჯების გადადგმას ცხოვრებაში“¹³.

Т. Г. ГЕОРГАДЗЕ

ОБ ОДНОМ ПЕРЕВОДЕ ИВАНЕ МАЧАБЕЛИ

Резюме

Иване Мачабели известен прежде всего, как непревзойденный переводчик трагедий Шекспира. Эти переводы являются предметом постоянного внимания грузинских литературоведов и лингвистов. Но для всестороннего изучения творчества Мачабели необходимо ознакомление и с другими переводами писателя.

В статье проанализирован роман английского писателя-просветителя Оливера Голдсмита «Векфильдский священник», опубликован-

¹³ ლორენს სტერნი, ესეები, ბიოგრაფიული ცნობები და შენიშვნები, თარგმანი რ. და პ. ჩხეიძეებისა, თბ., 1989, გვ. 508.

ный в 1881 году в журнале «Иверия» без подписи автора, но с указанием, что перевод романа был сделан с оригинала. Грузинским литературоведам этот факт дает основание предполагать, что автором перевода является И. Мачабели.

В статье обосновывается авторство Мачабели данного перевода на основании того, что в Государственном Литературном музее им. Г. Леонидзе хранится вышеупомянутый роман, выпущенный в Лейпциге в 1882 году. В этой книге рукою Мачабели сделаны некоторые замечания, приписаны грузинские эквиваленты английских слов. И., что особенно заслуживает внимания, все эти примечания без изменения употреблены в напечатанном грузинском тексте.

Перевод романа «Векфильдский священник» несомненно принадлежит Ивану Мачабели.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ემიგრანტული მწერლობის შემსწავლელი განყოფილება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

თეიმურაზ ჩავჭავჭავაძე

შალვა დადიანის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან

შალვა დადიანის, ცნობილი ქართველი მწერლის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედება მრავალმხრივია საინტერესო. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან და გრძელდება ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე.

„შალვა დადიანის შესახებ მრავალი წიგნი, ნარკვევი, გამოკვლევა და წერილი დაიბეჭდა. მიმდინარე საუკუნის გარიჟრაჟიდან, განსაკუთრებით ოცდანი წლებიდან დაწყებული, ვიდრე ორმოცდაათიან-სამოციან წლებამდე, ქართველ კრიტიკოსთა შორის არ გვეგულება, თუნდაც, ორიოდ მაინც, რომ შალვა დადიანის შემოქმედების ამა თუ იმ მხარეს არ შეხებოდეს. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ XX საუკუნის ქართველ მწერალთაგან ბევრი არ მოიძებნება ისეთი, რომლის შესახებაც ესოდენ მრავალრიცხოვანი კრიტიკული ლიტერატურა არსებობდეს“¹.

მწერლის მოღვაწეობა გაშუქებულია ი. ვართაგავას, ა. ბურთიკაშვილის, ს. გერსამიას, ს. ჭილაიას, გ. ჯიბლაძის შრომებში. რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა შალვა დადიანის შემოქმედებას გ. ციციშვილმა: „შალვა დადიანის დრამატურგია“, თბ., 1955. „შალვა დადიანი“, თბ., 1974. ეს წიგნი რუსულადაც ითარგმნა.

ამ შრომებში მონოგრაფიულადაა შესწავლილი მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. ავტორი აანალიზებს შალვა დადიანის როგორც პროზაულ, ისე დრამატურგიულ ქმნილებებს, ნათლად წარმოგვიდგენს მწერლის ცხოვრების უმთავრეს მომენტებს.

შალვა დადიანის შემოქმედებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

1927 წლიდან შ. დადიანი თავს ანებებს ადმინისტრაციულ საქმიანობას და მთლიანად სამწერლო მოღვაწეობას უბრუნდება. 1928—1931 წლებში იგი ქმნის რამდენიმე საინტერესო დრამატურგიულ ნაწარმოებებს, რომელთა შორის აღსანიშნავია — სატირული კომედია „კაკალ გულში“ (1928) და ტრაგედია „თეთნულდი“ (1931). ამავე ხანებში დაიწერა „ბარათაშვილი“ (1930), „შავი ქვა“ (1932), „ისმინე რკინიგზელო“ (1928), „ქართული ლამე“ (1929), „ბოთხე კუსპარა“ (1929), „უწა-უწა“ (1931), „მოლა მასრადინა“ (1928) და ა. შ.

სამამულო ომის პერიოდში შ. დადიანმა შექმნა ორი პიესა: „ხალხი აღსდგა“ (როდინი ქორქიასთან ერთად) და „შარავანდელი“, აგრეთვე სამი მოთხრობა: „დაუწერელი პოემა“, „თამბაქო“ და „განგაში“.

1945 წლიდან იგი არის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1948 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — საზოგადოების თავმჯდომარე. ბევრი დრო და ენერგია გაიღო მან, რათა საქართველოს თეატრალური საზოგადოება ეროვნული თეატრალური კულტურის ღირსეული შემწე ყოფილიყო.

¹ გ. ციციშვილი, შალვა დადიანი, თბ., 1974, გვ. 3.

ამ წლებში შ. დადიანმა დაწერა მრავალი პუბლიცისტური წერილი, ნარკვევები ლიტერატურისა და თეატრის მოღვაწეთა შესახებ.

ომის შემდგომი პერიოდის მისი შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოგონებების წიგნი „რაც გამახსენდა“, სადაც ავტორი კოლორიტულად გვიხატავს თავისი დროის ადამიანებს. ამ წიგნშია შესული აგრეთვე მისი აღრინდელი მოგონებები „მამა“ („სილუეტი ნიკო დადიანისა“) და „აკაკი“. ამავე პერიოდში დაიწერა მისი ცნობილი რომანი „გვირგვინების ოჯახი“.

1955 წელს ქართველმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა შ. დადიანის დაბადების 80 წლისთავი.

აი რას წერდა სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში შ. დადიანი:

„ამ ჩემ „რაც გამახსენდაში“ ძალიან „აღუნ ჩარქვათ“, შეიძლება ცოტა არეულადაც, მაგრამ მე მაინც ვიამბეთ ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუკის ამბები, ჩემი მსახიობობა, ჩემი მწერლობა და ჩემი სამსახური, რისგანაც შესდგებოდა მთლიანად ჩემი ცხოვრება.

უნდა გამოვტყდე, რომ კარგი სიბერე დამიდგა, ხალხისაგან ზედმეტად პატივცემული ვარ და ხელისუფლებისაგან მოალერსებული და გამხნეებული.

მიუხედავად ჩემი ოთხმოცდაორი წლისა (1958 წ.) ჯერ კიდევ არ დამკარგვია ხალისი და უნარი მუშაობისა და შეძლებისამებრ კვლავ განვაგრძობ ჩემს მწერლობას და საზოგადოებრივ სამსახურს.

ასე რომ, ამჟამად პანაშვიდის მეტი არაფერი არ მაკლია, მაგრამ როდის იქნება ეს, ამას, რაც არ უნდა მოვინდომო, მაინც ვერ გეტყვი.

მანამდე კი ჩემს სათაყვანებელ სამშობლოს, ჩემს სასიქადულო ქართველ ხალხს ვუძღვნი უაღრეს მადლობას, რომ მეც ერთ რიგით კაცად გამომიყვანა ამ ქვეყნად, თან გამოვთქვამ სრულ რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ზრწყინვალება.

კურთხეულ იყოს მისი გზა“².

სიკვდილამდე ორიოდ თვით ადრე იგი ასე წერდა: „სიკვდილო!... მიახლოვდები?... ჩემდამი რატომღაც მეტად ზრდილობიანი ხარ. არ ვინდა დამაშინო, თუმცა პირადად აგერ ერთი ხანია გავიძახი: „სიკვდილის არ მეშინია პუტქი“ და ეს მართლაც ასე მგონია... განა არ იცი, რომ მე უკვე ჩემს ცხოვრებაში კალო გავლენე: მწერლობაშიაც და საზოგადოებრივ მუშაობაშიც... ნუ შეფერები, სიკვდილო!“

1959 წლის 15 მარტს შ. დადიანი გარდაიცვალა.

1892 წელს შალვა დადიანმა გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული „ნაპერწყალის“ სახელწოდებით.

1896 წელს ილიასეულ „ივერიაში“ დაისტამბა მისი პირველი ბელეტრისტული თხზულება „წმინდა ცრემლები“.

ავტორმა თავისი აღრინდელი მოთხრობები შემდგომში გააერთიანა სათაურით — „სიჭაბუკის კონინდარზე“. შ. დადიანი წერდა: „მე წინააღმდეგი ვიყავი საერთოდ ჩემი აღრინდელი და განსაკუთრებით ახალგაზრდობისას დაწერილი მოთხრობების მოთავსებისა ჩემ აღრინდელ ტომეულებში (იგულისხმება 1958—1962 წლებში გამოსული მისი თხზულებების ხუთი ტომი), მაგრამ მეგობრებმა შემავიწყეს და დამითანხმეს კიდევ, რომ რაკი ჩემი ხნოვანების ამ მონაკვეთზე თხზულებათა კრებულს ვცემ, ეს ნაადრევი ნაწერებიც მომეთავსებინა წინამდებარე წიგნში, რადგან ასეთი გამოცემა ერთგვარ წარმოდგენას მისცემდა მკითხველს ჩემი როგორც მწერლის ზრდასა და განვითარებაზე“³.

2 შ. დადიანი, რაც გამახსენდა, თბ., 1959, გვ. 217.

3 შ. დადიანი, რჩეული თხზ., ტომი I, თბ., 1958, გვ. 532.

შ. დადიანის შემოქმედების მკვლევარი გ. ციციშვილი წერს:

„უნდა ითქვას, რომ ყოველივე ის, რაც შალვა დადიანის მიერ 1904 წლამდე დაიწერა, პირველ პერიოდს ქმნის მისი შემოქმედებისას.“

თუ ხელნაწერ ჟურნალში „მოზარდში“ შეტანილი მასალა და მთლიანად ჟურნალი მოსამზადებელ პერიოდს წარმოადგენდა შალვასათვის, პირველი პერიოდი „დიდ ლიტერატურაში“ მისი ფუნქციის შედგენით, ე. ი. ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ 1896 წელს გამოქვეყნებული პირველი მოთხრობით „წმინდა ცრემლებით“ დაიწყო, ხოლო დამთავრდა 1904 წელს, როცა დაიწერა პირველი „ჩამოკრულები“ („სიხარულის არის ცრემლები“, „მონა-ყმა-მუშა“, „ენ-გური“).

პირველ პერიოდში დაწერილი მოთხრობები და ეტიუდები მწერალმა შემდეგში გააერთიანა საერთო რუბრიკით „სიჭაბუკის კოინდარზე“.

1905 წლიდან იწყება მეორე პერიოდი შ. დადიანის შემოქმედებისა. ეს პერიოდი მთელ რევოლუციურ ხანას მოიცავს. იგი დაიწყო მინიატურებით (აქ შედის „ჩამოკრულების“ უმრავლესობა), რომლებშიც ყველაზე ღრმად და ორიგინალურად გამოვლინდა ე. წ. „რევოლუციურ-დემოკრატიული“ მწერლობის საბრძოლო განწყობილება. „ჩამოკრულები“ უპირატესად 1905—1907 წლების რევოლუციის ბოზოქარ დღეებში შეიქმნა. ამ წლებშივე შექმნილი შ. დადიანის პირველი პიესები „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“.

ამავე პერიოდს განეკუთვნება, აგრეთვე, შ. დადიანის ბელეტრისტული და დრამატურგიული ნაწარმოებები, შექმნილი რეაქციის პერიოდში, რევოლუციური აღმავლობის ხანაში (1912—1917 წლები), ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ე. ი. 1921 წლამდე.

მეორე პერიოდი, პირობითად, ორ ქვეპერიოდადაც შეიძლება გაიყოს: 1904—1909 წლებისა და 1909—1921 წლებისა. თუ პირველი ქვეპერიოდი — რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის თავისებურებით არის დაღდას-შული, მეორე ქვეპერიოდში შ. დადიანის შემოქმედება XX საუკუნის დამდეგის კრიტიკული რეალიზმის ნიშანდობლიობის ტიპური გამომხატველი ხდება.

შ. დადიანის შემოქმედების მესამე პერიოდი მთლიანად საბჭოთა ეპოქაზე მოდის⁴.

ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება შ. დადიანის შემოქმედების დეტალური დახასიათება. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ტექსტოლოგიის კუთხით შევხედოთ მის ხელნაწერებს.

ხელოვანთა შემოქმედებითი პროცესების ცხადსაყოფად არაერთი გამოკვლევა დაიწერა. კვლევა ძირითადად ორი ხაზით მიემართება.

პირველ ყოვლისა, იგი ეყრდნობა ტექსტოლოგიურ დაკვირვებათა მონაპოვარს, იმას, თუ რა სახე ჰქონდა ნაწარმოებს თავდაპირველად და რა ცვლილებები განიცადა მან საბოლოო სახის მიღებამდე.

ძნელია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად მოხერხდება ხელოვანთა შემოქმედებით პროცესებზე დაკვირვების შედეგების განზოგადება, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს მწერლის შემოქმედებითი პროცესები ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ თავისი შედეგით, ე. ი. უკვე მზად მოცემული ნაწარმოებით, კი არ არის, ის საინტერესოა ოდითგანვე უაღრესად მნიშვნელოვანდ მიჩნეული საკითხის თვალსაზრისით — რა არის ან როგორია თვით შემოქმედებითი პროცესი?

⁴ გ. ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172—173.

ლიტერატურათმცოდნეობა ჯერ კიდევ შორსაა უპასუხოს ამ კითხვას. მაგრამ მას არ შეუძლია ხელი აიღოს ამ საკითხის კვლევაზე, რადგან ეს იქნებოდა უარის თქმა ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, არსებობაზე და ეს იმიტომ, რომ ლიტერატურული ფაქტის განხილვა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ წერილობითი ძეგლის ანალიზით იმ პირობათა გაუთვალისწინებლად, რამაც შესაძლებელი გახადა ამ ძეგლის არსებობა. ლიტერატურათმცოდნეობამ, რასაკვირველია, უნდა შეისწავლოს შემოქმედების განსაზღვრული პირობები, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება წარმოადგენდეს სხვა დისციპლინების (ფსიქოლოგიის, ესთეტიკის და ა. შ.) ინტერესის საგანსაც.

ხელოვანის შემოქმედებითი ისტორიის გათვალისწინების ერთ-ერთ წყაროდ ხელოვანის თვითდაკვირვებებს, თვითანალიზებს მიიჩნევენ. ამიტომაცაა უაღრესად საინტერესო მწერალთა დღიურები, მკითხველთათვის გამიზნული ჟანმარტებანი. ლიტერატურათმცოდნეობა თვით ხელოვანთა ისეთ განმარტებანალიზებსაც იცნობს, რომელთა ღირებულება გამოკვლევის დონეს აღწევს.

ამის კონკრეტული მაგალითია შალვა დადიანის მოგონებები: „აი ამ დროს იყო, რომ მეც დაეწიე ჩემი პირველი ისტორიული რომანის „უბედური რუსის“, შემდეგში „გიორგი რუსად“ წოდებულის წერა.

რამ გამოიწვია ამ თხზულების დაწერა?

რომ მოვიწიფე, ჩემს ერთგვარ აღშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ ჩემის ფიქრით, ჩვენი ისტორიის წარსული არ იყო სათანადოდ გაშუქებული, განსაკუთრებით ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში.

ჩვენი დიდებული პოეტები: ილია და აკაკი წერდნენ თავის შედეგებს პოემების სახითაც, მაგრამ მათ შინაარსად აღებული ჰქონდათ ისეთი ეპიზოდები, როდესაც საქართველო გაბმული იყო მოგერიებით ომში და დიდ ვაჟკაცობასაც იჩენდა, სულიერ დიდ სიგმირეს, მაგრამ საქართველოს წარსულის მაღალი დონე, მისი სულიერი სიმადლე აქ არსად სჩანდა. მაშ რას მოგვითხრობდნენ ჩვენი ძველი მათიანეები, რომ ჩვენ გვქონდა საოცარი თავისთავადი ხუროთმოძღვრება, რომლის გეგმა და მნიშვნელობის სიმწყაზრე ახლაც აკვირვებს საზღვარგარეთელ სპეციალისტებსაც კი, უაღრესად შესანიშნავი მუსიკა, თვით ხალხის მიერ შექმნილი კონტრაპუნქტი, რაიც ძველთაგანვე, საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებიდან, საუკუნეების მანძილზე გვქონია საგანძურში, მაშინ როდესაც ამისთანა რამ მეათე, მეთორმეტე საუკუნეებში ევროპასაც კი არ გააჩნია; ბრწყინვალე საერო და სასულიერო ლიტერატურა, სადაც ყვაოდა პოეზია, ფილოსოფია და სხვა მეცნიერული დარგი. როდესაც ჩვენ გვქონდა ჩვენი საკუთარი აკადემიები ველათში, იყალთოში და სხვა, სადაც მაშინდელი ახალგაზრდობა ეწაფებოდა უმაღლეს საკაცობრიო ცოდნის მწვერვალებს, იმას გარდა, რომ საბერძნეთში იგზავნებოდა ქართველი ახალგაზრდობა განათლების მისაღებად და აქ კიდევ შინ არაბულ და სპარსულ ლიტერატურას უშინაურდებდა, სად მოსჩანდა ამის კვალი XIX საუკუნის მწერლების ნაწერებში? ან მაშინდელი სამეფო წესწყობილების ანარეკლი, თუნდაც, მაგალითად თამარ მეფის დროს, განსაკუთრებულ „კარავში“ დამუშავებული კონსტიტუციის დებულება მაშინდელ მოწინავე პირთა და მცოდნეოვან. ეს იმ დროს, როდესაც ინგლისს თავის „პარტია“ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული და ბევრი სხვა საშინაო წამოწყებანი.

ან საიდან გაჩნდა რუსთაველი? ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა თუ მას თავის სახლში, თავის სამშობლოში არ ჰქონდა მომზადებული ნიადაგი თავის გენიოსობისათვის.

ყველა ამაზე ვწუხნი ჩემებურად და აფორიაქებული ვიყავი. მართალია.

ახალგაზრდობაშივე გადაკითხული მქონდა დაბეჭდილი ისტორიული თხზუ-
ლებანი როგორც ძველი, ისე ახალი: „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი, დიმიტ-
რი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, ცამცივე-ძამაშვილიც კი, მაგრამ, ჯერ ერთი,
ბელეტრისტის მუშტრისთვალთ არ ვუკვირდებოდი იმას, რაც საჭირო იყო
და მეორე კი, სანამ ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა არ
გამოაქვეყნა თავისი ნაშრომები, მანამ კიდეც არ მქონდა ჩვენი წარსულის
თვისება კარგა წარმოდგენილი.

რა თქმა უნდა, რაც მე აქ ზემოთ ჩამოვთვალე იმის აღწერას, მაშინაც
ეგრძნობდი, რომ ვერ შევძლებდი, მაგრამ სადმე ერთი საყურადღებო ეპიზო-
დის გამოჭერას კი ვლამობდი.

და აი თამარ მეფე და მისი ხანა.

იმ დროს უკვე დიდად მოკეთებული, გაძლიერებული, მორჭმული და სა-
ხელოვანი ბიზანტია ისტორიული პირობების გამო უკვე ჩამოქვეითებული იყო
და არაბეთსაც თავისი ძველი გავლენა აღარა ჰქონდა. ამ დროს კი საქართვე-
ლო თავისი კულტურაიანობით და სამხედრო ძალღონით უკვე დიდად შესამ-
ჩნვე იყო. ამისთანა ხანა გვქონია ქართველებს და ამას ყურადღება არ უნდა
მიექცეს? მე რე კიდეც თამარის დროს მეტად საყურადღებო ეპიზოდს წავაწყდი,
თამარის გათხოვების საკითხს, რასაც მოყვა ტრაგიკული ბედი იური ბოგო-
ლუბსკისა.

როგორც იტყვიან შემოვიწყვე საჭირო წიგნები, შევაწუხე ჩვენი დიდი
ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჩემი შეკითხვებით: რა ტანისამოსი ეცვათ
მეთორმეტე საუკუნეში ქართველებს — ფეოდალებს, ვაჭრებს, გლეხობას,
მეომრებს. რას სვამდნენ, რას ჭამდნენ, როგორ ილხენდნენ, როგორ ცეკვავდ-
ნენ, როგორ მღეროდნენ, როგორი საკრავიერები (თვითონ ჯავახიშვილის ტერ-
მინია) ჰქონდათ და სხვ. ისიც ჩვეულებრივი თავაზიანობით და დაუზარებლად
იძლეოდა ხან ზეპირ პასუხს და ხან მიმითითებდა აქა და აქ, ამ მანუსკრიპტში
მიიღებ ახსნა-განმარტებას. აგრეთვე ვაწუხებდი მოსე ჯანაშვილს და თითქმის
ყველა საომარი იარაღების სახელწოდებანი მან მომაწოდა, განსაკუთრებით
ისრებისა, რაც მე რომ რომანში უხვად მაქვს წარმოდგენილი. არქივებშიდაც
მომიხსნა მუშაობა და ასეთი გარჯითა და მეცადინეობით თითქმის მთელი ათი
წელიწადი ვწერდი ამ ნაწარმოებს, დაბეჭდვის შემდეგ რომანმა დიდი გამო-
ხმაურება ჰპოვა და უმეტესობას უკვირდა, ნუთუ ამისთანა წარსული გვქონ-
დაო? მე კი გულში, როგორც ყველა ავტორს, მასარებდა ჩემი ნაწერის ასეთი
აუღებელი მიღება, მაგრამ განსაკუთრებით ის, რომ ახალგაზრდობას მივეცი
საშუალება აღძროდა ინტერესი თავის სასახელო წარსულისადმი, ჩემზე უფ-
რო კარგად შეესწავლა და ეამაყა თავისი წარსულითა.

მხოლოდ ახლა, ბოლო ხანებში, ერთი-ორი სამი წელიწადია, რაც ზოგი-
ერთი კრიტიკოსი მოუბრუნდა ამ რომანის გარჩევას და მე ვფიქრობ დაუ-
კვირვებლობის გამო დამიწუნა მთელი მიმართება რომანის შინაარსისა, ამას
სამწუხაროდ აპყვა ზოგიერთი პიროვნება და მხარი დაუჭირეს ასეთ გამოხ-
დომებს. ამას იმიტომ ვამბობ ასე თამამად, რომ ერთმა პიროვნებამ, როდეს-
საც მწერალთა კავშირში მორიგ კრებაზე არჩევდნენ ამ ჩემს რომანს და ჩემ
საპასუხო სიტყვაში გამოვეკამათე მომხსენებელს, შესვენების დროს მკითხა:
„კუნმა რუსი მართლა გყავთ გამოყვანილიო“. მე დიდი ბოდიშით მოვახსენე,
რომ არ გქონიათ წაკითხული მეტქი და ასე...

ბევრი რომანის წაუკითხავად მაკრიტიკებდა.

მთავარი ბრალდება ის იყო, რომ მე რუსეთის სასიკეთო გავლენა საქარ-
თველოზე არ აღვნიშნე, თუ ვერ აღვნიშნე, და თითონ საქართველოს მაშინდე-
ლი მდგომარეობაც შელამაზებულად მქონდა აღწერილი.

ჩემი პასუხი მაშინაც ეს იყო და დღესაც ეს არის, რომ მე არაფერი შე-
ლამაზებული არა მაქვს, არამედ ყველა ჩემ მიერ გამოყვანილი მოვლენები
და სახეები ისტორიულ დოკუმენტებზეა დამყარებული, რადგან მე გარდა ქარ-
თული წყაროებისა, ამ ეპოქის გარშემო, გადაკითხული მქონდა რომანის და-
წერის დროს ბიზანტიური, არაბული, სომხური, რუსული და სხვა დოკუმენ-
ტები. რუსულის გარდა, რასაკვირველია, ყველა თარგმანებში და აქედან ჩემ
მიერ დიდის მოკრძალებით აშენდა, ასე ვთქვათ, ეს ჩემი ბელეტრისტული
„კოტეჯი“. რაც შეეხება რუსეთის გავლენას მეთორმეტე საუკუნეში, საქარ-
თველოსთან დამოკიდებულების დროს, რაღა თქმა უნდა, სრულიად არ იგრძ-
ნობოდა, რადგანაც მაშინ რუსეთი არ იყო გაერთიანებული ერთ სახელმწიფო
ერთეულად, არამედ იყო დანაწილებული პატარა-პატარა სამთავროებად: პსკო-
ვისა, ნოვგოროდისა, ბოლოგუბოვოსი და სხვა.

ასე რომ მაშინ რუსეთს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა სხვა სახელმწიფო-
ებზე არც თავის კულტურით და არც თავისი მეომრული ძლიერებით. როგორც
ზემოთ ვთქვით, მაშინდელი მთელი კაცობრიობის ყურადღება მეტწილად ბი-
ზანტიანზე, არაბეთზე და საერთოდ აღმოსავლეთზე იყო მიპყრობილი. ასე რომ
ჩემ რომანში ამ მხრივაც ისტორიულ სიმართლისათვის არ გადამიხვევია. მე
მგონია, რომ დავაჯერე აუდიტორია, რადგანაც მომხსენებელს საპასუხო სიტ-
ყვა აღარ უთქვამს და არც არავის ჩემი პასუხის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია.

მოკლედ ასეთია ჩემი რომანის „გიორგი რუსის“ დაწერის და ბედის ის-
ტორია“⁵.

„გიორგი რუსი“ („უბედური რუსი“) 1916—1924 წლებში დაიწერა, სა-
ბოლოო რედაქცია კი 1926 წელს გაუკეთდა.

გ. ციციშვილი წერს:

„გიორგი რუსი“ შ. დადიანის პროზაულ შემოქმედებაში ეტაპურ მნიშვ-
ნელობის ტილოა...

მიუხედავად იმისა, რომ ეს რომანი შეიძლება ყოველთვის ვერ პასუხობდეს
ისტორიული რომანისადმი დღეისათვის წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს, იგი
დღესაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო, საგულსხმო და ღირსშესანიშ-
ნავ რომანად ქართულ ლიტერატურაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ისტორიული ეპოქა, რომელშიაც იშ-
ლება რომანის მოქმედება, ადრეც იპყრობდა შ. დადიანის ყურადღებას.

„გიორგი რუსის“ შემოქმედებითი ისტორიისათვის, მაგალითად, საინტე-
რესოა, რომ ჯერ კიდევ 1894 წელს შ. დადიანმა დაწერა 5 მოქმედებიანი დრამა
„ბედიის ერისთავი“, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილია „გიორგი რუსის“
ზოგიერთი პერსონაჟი.

რომანის შემოქმედებითი ისტორიისათვის საყურადღებოა ის გარემოებაც,
რომ 1915—1916 წლებში შ. დადიანი წერს თავის ცნობილ დრამას „ვარამს“.
ეს დრამაც იგივე ეპოქის მხატვრულ ჩვენებას ისახავს მიზნად, რასაც რომანი
„გიორგი რუსი“. „ვარამიც“ და „გიორგი რუსიც“ თამარის ეპოქის ისტორიულ
ფონზე იშლებიან. პიესაში მეორეხარისხოვან მოქმედ პირებად გვხვდებიან
რომანის ზოგიერთი პერსონაჟები (მაგ., ხვაშაქ ცოქალი, კრავაი ჯაყელი, სპა-
ხალარი გამრეკელ-თორელი, მხარგრძელები, გუზანის ვაჟი, ჭიაბერი და
სხვ.).

მაგრამ მიუხედავად გარკვეული სიახლოვისა „ვარამი“ და „გიორგი რუსი“
სხვადასხვა იდეურ-თემატური პლანის ნაწარმოებებია. 1915—1916 წლებში

⁵ შ. დადიანი, რაც გამახსენდა, გვ. 192—195.

დაწერილი „ვარამი“ მკვეთრად განსხვავდება 1916—1924 წლებში დაწერილ „გიორგი რუსისაგან“, როგორც თემით და ძირითადი პრობლემატიკით, ისე საკვანძო საკითხების იდეური გაშუქებით და მსოფლმხედველობითი კონცეფციით“⁶.

დავებრუნდეთ შ. დადიანის მოგონებებს:

„ახლა მინდა გავიხსენო ის გარემოება, თუ საერთოდ მე როგორ ვწერ, როგორი „მარიფათის“ მწერალი ვარ.

როდესაც რაიმე იდენა, თემა დამიპყრობს, ან თუნდაც სრულიად უბრალო, რამ სიტუეტი, მაშინ ამის გარშემო დიდხანს ვფიქრობ. მე ამჟამად ვეხები ჩემ მხატვრულ მოცულობით დიდ ნაწერებს. პუბლიცისტიკა კი ეს საყოველღაობით არ ამბავია.

დიდხანს ვფიქრობ, ზოგჯერ წლობითაც კი და რაკი თავში ჩამეჭდობა იდენა, ჩემი ფიქრი სულ ამის გარშემო ტრიალებს, სულ ერთია მარტო ვარ, თუ საზოგადოებაში, ჩემ გარშემო ქეიფია, ლხინი და მოლხენა, თუ გლოვა და ტირილი, უბრალო შეხვედრის დროსაც მეგობრებთან, ნაცნობებთან, რასაკვირველია, მხარს ვუჭერ მათ გასაუბრებას, მაგრამ ჩემი სახის გამომეტყველება სადღაც სხვაგან მაინც არ გამიბრბის. ვერავინ ვერ შეამჩნევს, თუ რაღაც საკუთარ დიდ ფიქრს მოუპყრია.

ერთხელ ვწერდი: ჩემ თითებს ვერასოდეს ვერ ნახავთ მეღნით დასვრილს როგორც ეს წერის დროს ზოგიერთებს ემართებათ ხოლმე, ასე რომ ვერავინ ვერ იტყვის ამ მხრივ, რომ მე მწერალი კაცი ვარ, აგრეთვე აქაც ვერავინ იტყვის, რომ მე მოაზროვნე კაცი ვარ. მართალია, თითქოს უფრო მოღუშული სახე მაქვს, მაგრამ სხვები ამბობენ, შალვა მუდამ ილიმისო. უღარდელი კაცი იყო და ეს მაშინ უფრო მემჩნევა, როდესაც ჩონხა-ახალუხით ვარ გამოწყობილი.

ასეთი მატყუარა კაცი ვარ და აი გავიდა წლები: ჩემი იდენა თითქოს უფრო მომწიფდა და მეც ჩემ თავს ჩემ გუნებაში უფრო ვარწმუნებ, რომ ესეა შემოქმედის წერაც დავიწყო მეტი და სადაც უნდა ვიყო, მივუჯდები მაგიდას, შეიძლება ფანჯარასაც და ირგვლივ რაც უნდა ხმაური იყოს, ვაი უშველებელი, მე ხელს ვერ შემიშლის. ის კი არა, ასეთ წერის დროს, რაიმე გარეშე კითხვით თუ მომმართა ვინმემ, მე მზამზარეულ პასუხს ვაძლევ, ამის შემდეგ კვლავ ჩემ საწერს განვაგრძობ.

წერით კი ძალიან ჩქარა ვწერ და წლობით მოფიქრებულ თხზულებას ხშირად რამდენიმე თვეში ვათავებ. იმავ დროს ჩემი ნაწერის შავს, საკვირველია, მაგრამ არასოდეს არ ჩავასწორებ ხოლმე. პირდაპირ ჩემ შავს გადავცემ რედაქციას ან გამომცემლობას.

დიდად გაცოცხლებული შევიქენი, როდესაც გავიგე, რომ ლევ ტოლსტოიმ ავითონ, თავისი ხელით თექვსმეტჯერ გადაწერა მისი დიდებული რომანი „ომი და მშვიდობა“. ამას გარდა ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოი, მისი ნაწერების ანბეჭდებს რომ მოუტანდნენ კორექტურისათვის იმდენ რამეს ჩაასწორებდა, რომ ასოთამწყობები ჯავრობდნენ თურმე — ეს რა დიდი სამუშაო მოუციაო. ასე იქცევიან თურმე სხვა დიდი მწერლებიც როგორც უცხოეთში, ისე ჩვენშიაც. მე კი ამ მხრივ დაჩაგრული კაცი ვარ. ეტყობა, რომ არა ვარ მაღალი ღონის მწერალი. რაც შეეხება ჩემ სიჩქარეს წერაში და საერთოდ ჩემი ნაწერის გამოქვეყნებისას, მეგობრები და ამხანაგები დიდად გაკვირვებულნი იყვნენ: ზოგჯერ მართლა უღარდელ კაცად მივაჩნდით, პირდაპირ ვთქვათ — ქარაფუშტად და ამიტომ არც ჩემი აზროვნებისა სწამდათ რამე. ისე კი ამხანაგები თითქოს მეხუმრებოდნენ: „შალვა, როდის ასწრებ წერას, სულ სარ-

⁶ გ. ციციშვილი, შ. დადიანი, გვ. 209—210.

დაფებში ხარ, რესტორნებში, ჩაის ჭიქით ხელში ღვინო გიჭირავს, როგორ ახერხებ ამასაო?“

და იყო ერთი ხორხოცი.

აქ ესეც გამახსენდა და უნდა ვთქვა, განსაკუთრებით ახალგაზრდობისას მსახიობებს არ სწამდათ ჩემი მსახიობობა, გაიძახოდნენ — რა მსახიობია, რას გვეჯაჯგურება, ეგ უფრო მწერალია და დაჯდეს და წეროსო. მწერლები კი ამბობდნენ — რა მწერალია, ხომ მსახიობობს და დარჩეს მსახიობად, ამ მწერლობას რას ეძალეზო და ასე კინალამ აკაკის იგავ-არაკის გმირად გამხადეს წოგიერთის თვალში, ხომ გახსოვთ: „ერთმა უფნურმა თავუნამ იუკადრისა თავგობა“. მაგრამ ეტყობა, ბოლო ხანებში ჩემი სიცოცხლის მანძილზე ჩემმა მოუწყინარმა გარჯილობამ მათი მოსაზრება გააბათილა“⁷.

შალვა დადიანის ახლო მეგობარი როდიონ ქორქია ასე იგონებს მწერლის მუშაობის მანერაზე:

„შ. დადიანი ნაწარმოებზე მუშაობას რომ დაიწყებდა, შესვენება არ იცოდა, მანამ გააზრებულსა და მოზღვავებულს ქალაღზე არ გადაიტანდა, კალამს არ მოეშვებოდა. დასვენება პრინციპულად არ სწამდა.

...ერთ დროს შ. დადიანი და მე ერთად ვცხოვრობდით. მე ვიყავი მოწმე იმისა, თუ როგორ დაწერა მან „ჩატეხილი ხიდი“. შეუსვენებლად, მოუღლე-ლად მუშაობდა აღნიშნულ პიესაზე. მე მას მასალების შერჩევაში ვეხმარებოდი. შალვამ რომ მასალები განაწყო, წერას შეუდგა. აქაც თავაწყვეტით მუშაობდა. მე ვუთხარი: „დაისვენე შიგადაშიგ, ძალა მოიკრიფე მეთქი. არაო, მიპასუხა, მე რომ კალამს ავიღებ ხელში, მაგიდას ვერ მოვშორდებო“.

ცნობილია, რომ ბევრი მწერალი ვარიანტებს ადგენს. ბოლოს ერთ-ერთზე შეჩერდება; რამდენადაც მე ვიცი შალვას პრაქტიკიდან, მან არც წერითი ვარიანტები იცოდა, არც გადახაზვა-გადმოხაზვა. ეს მან ასე ამიხსნა:

— სანამ წერას ჩავუჯდებოდე, დიდხანს ვფიქრობ: ხან ასე, ხან ისე. შეიძლება წლობითაც ვფიქრობდე. ხოლო როცა ყველაფერი დალაგდება, მაშინ მოვეკიდებ ხელს კალამს და ჩემს ნაწერებში გადახაზულ-გადმოხაზულს მხოლოდ თარგმანებში თუ იპოვის კაცი, რადგან იქ სხვა ავტორთან მაქვს საქმე და არა საკუთარ თავთან, საკუთარ გულთან...

მე შალვა დადიანის ბევრი ხელნაწერი მინახავს. სწორედ ასეა, ეს მისი ნიჭის თავისებულებაა.

...მე მხოლოდ შალვა დადიანის შემოქმედებითი თავისებულება მაინტერესებდა... დიდი ადამიანის ცხოვრება — ხასიათის დეტალიც კი საინტერესოა... თუმცა, რაც ვთქვი, არცთუ ისე დეტალია“⁸.

შემონახულია შ. დადიანის წერილი, რომელიც კარგად ასახავს მის შემოქმედებით მეთოდს, ნათლად გვიხატავს, როგორ მუშაობდა იგი: მწერალი იგონებს „ნინოშვილის გურიაზე“ მუშაობის პერიოდს:

„ეს არ არის უბრალო ლიტერატურული მონტაჟი და, ალბათ, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ არის ჩემი ამ პიესაზე მუშაობის პროცესი.

ჩემს წინ იდგა დიდი ამოცანა. ჯერ თვით ნინოშვილის შემოქმედების ხელის ხლება სათვალვად, შემდეგ ის ეპოქა, რომლის ესეთი პირუთვნელი და უღმობელი მხატვარია ნინოშვილი და დასასრულ, უჩვეულო ამბავი — ერთი დიდი მწერლის სხვადასხვა მოთხრობათაგან გამოვლინება ანუ შექმნა ერთი მთლიანი პიესისა.

ამის მაგალითი მე ჯერ არ მქონდა და არც ნახული და არც განავონი.

7 შ. დადიანი, რაც გამახსენდა, გვ. 195—198.

8 რ. ქორქია, როგორ წერდა შ. დადიანი, „კრიტიკა“, 1975, № 2, გვ. 151—152.

ამას გარდა იმისი ცოდნაც, რომ სხვისი ნაწარმოების და განსაკუთრებით დიდი მწერლის, თუნდაც ერთი თხზულების, გადაკეთება უმეტეს შემთხვევაში მარცხით თავდება ხოლმე.

ვიდექ ამ დაბრკოლების წინაშე და შევეჭიდე ამ სიძნელეებს.

შველით ისევ ნინოშვილმა მიშველა, რადგან ნინოშვილი არ არის ეკლექტიკოსი.

კარგად ვიგრძენ, რომ ნინოშვილის გმირი სიმონა ძალაძე კი არ არის, ან გოგია უიშვილი, ან ქრისტიანე, ან გინატრე და სხვ.

მისი გმირი მთლიანად მისი ეპოქაა, მისი დროის ხალხი და ამ ხალხის ტრაგედიაა. ტრაგედიის შემქმნელი კი — ამავე დროის შავბნელი რეჟიმის სისტემა. ამ ფონზე კი ჩამორიგდნენ კლასთა წარმომადგენლები: თავადაზნაურობა, ადმინისტრაცია, ბობოლა გლეხი დავით დროიძის სახით და დამონებული, სიბნელეში მყოფი გლეხობა მათი ყრუ პროტესტით. ამ ამბავმა კი გააადვილა მთავარი გმირების ერთი მეორეზე გადაბმა და მათ შორის სამტრო თუ სამოყვრო განწყობილების შექმნა.

ამგვარად, ქრისტიანეს მამა კაცია მუნჯაძეა, სიმონას ცოლი დარია, ჯერანა სიმონას ძმა არის, იასონ უქმაძე თავისი თავის გარდა, „პარტახის“ ლევანას და ტიტვიკო დროიძის „alter ego“-ა და ამან, მე ვფიქრობ, პიესის მთლიანობას ხელი შეუწყო.

თითქოს ერთ ოჯახს დაატყდა თავს მთელი სოციალური უბედურებანი მაშინდელი დროისა და ამან, ჩემი ფიქრით, სათეატროდ გაამახვილა მთელი ნაწარმოები.

ნინოშვილის 16 მოთხრობიდან ამოღებულია სხვადასხვა ადგილები, გასაგები მიზეზით მათში არ შედის „ჯანყი გურიაში“ (იგი ეკუთვნის სულ სხვა დროს), მაგრამ პიესისათვის საჭირო შეიქნა კიდევ ახალი სცენების დაწერა, რაიც ნინოშვილს არ მოეპოვება.

ესეც ძნელი საქმე იყო, მაგრამ ამაში დიდი დახმარება გამიწია იმ გამოკვლევებმა, რომლებიც არსებობს ამჟამად 80 და 90-იანი წლების გლეხთა მოძრაობის შესახებ ჩვენში.

მათ მომცეს შესაძლებლობა დამეწერა საფინანსო სცენები ფირალებისა და გუბერნატორთან. აქ გამოყენებული იქნა თვით ნინოშვილის ერთი კორესპონდენციაც.

ესლა როგორ უნდა მელაპარაკებინა თვით ნინოშვილი, რომლის გამოყვანაც ამ პიესაში მე სამართლიანად მივიჩნიე. ეს სიტყვებიც დიდი სიფრთხილით ამოკრფილია მის სხვადასხვა კერძო წერილებიდან და პუბლიცისტურ ნაწერებიდან.

საერთოდ ვცდილობდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაგანი სული ნინოშვილის შემოქმედებისა დამეცვა, გმირად გამომეყვანა ერთბაშად მთელი ხალხი, მთელი მაშინდელი დროის გურია და უმთავრესად გლეხობა, ენობრივად არ დამეცილებინა მათი ლაპარაკი ნინოშვილის სტილისათვის და თან... ჩამომეყალიბებინა ერთი მთლიანი თავისთავადი პიესა.

ესლა მიხარია, რომ ამ პიესაში რევოლუციური რომანტიზმის უცხო ლეჩქიც აფრიალდა.

მხოლოდ ეს მიეწერება ნინოშვილს⁹.

შ. დადიანის უზარმაზარი ხელნაწერების არქივებიდან იმის მრავალი მა-

⁹ შ. დადიანი, როგორ შექმენ „ნინოშვილის გურია“, გაზ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1934, 24 აპრილი.

გალითის მოყვანა შეიძლება, თუ როგორ მუშაობდა იგი ტექსტზე, თუმცა, როგორც ზემოთ ნახეთ, იგი ხშირად საპირისპიროს ამტკიცებდა.

„ნიკოს ნამბობი“ შ. დადიანს 1902 წელს დაუწერია. ხელნაწერი დაცულია საქართველოს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში — ყდა № 4, ფონდი I, საქმე II, ხ. 11276/119.

ხელნაწერი წარმოდგენს ავტოგრაფის 23 გვერდ¹⁰, დაწერილს შავი მელნით. გვერდები 22—23 ფანქრითაა ნაწერი და ძნელად იკითხება. ხელნაწერი დათარიღებულია ასე: თბილისი, 1902 წელი.

მწერალს მისი წერა დაუწყია 12 ნოემბრის ღამეს. ხელნაწერის დასაწყისში ზუსტადაა მითითებული ნაშუალამევი. დაუმთავრებია 29 ნოემბერს.

თუ დავაკვირდებით ხელნაწერს, შეიძლება ერთგვარად ჩავიხედოთ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში. ავტორი ბევრ ადგილს შლის, ეძებს ახალ, უფრო სწორ შესატყვისებს გმირების განცდათა გადმოსაცემად. შ. დადიანს სწორება უკვე სათაურშივე დაუწყია: თხზულებას ჯერ რქმევია „მეგობრის ნამბობი“, შემდგომში „მეგობარი“, დაუკონკრეტებია და შეუცვლია „ნიკოს ნამბობით“.

თუ ხელნაწერს შევადარებთ ნაბეჭდ წყაროებს, ჩვენ ასეთი სურათი წარმოგვიდგება. ნაწარმოების დასაწყისი გვერდები მცირე ნაირწყაითხვებს გვაძლევს, ამ გვერდებში ტექსტი ძირითადად გრამატიკულადაა გამართული. ასე მაგალითად, ცვლის ბრუნვის ნიშნებს: დედიანათ/დედიანად; ქმრიანათ/ქმრიაანად. რუსული და ფრანგული სიტყვები ბეჭდურ ტექსტში ნათარგმნია: rendez vous — პაემანი. ტექსტში ამოღებულია აგრეთვე სიტყვები: „Нет, батюшка, кабы обвенчатыся, дело другое“. ეს სიტყვები ავტორს არ მიუჩნევია გმირის სულიერი მღელვარების შესატყვისად და ბეჭდვისას შეუცვლია სიტუაციისათვის უფრო შესატყვისი სიტყვებით — „ხასად ვინდა აიყვანოვო“. შემდგომში მწერალი რადიკალურად ცვლის ტექსტს.

A. „მეც თანდათან შევეჩვიე და სიბრალულმა ერთ გარკვეულ დასკვნამდე მიმიყვანა. ერთ დღეს გავიხმე ლუიზა და ყველაფერი ვუთხარი: უნდა შევირთო“...

ეს ადგილი ხელნაწერში ვაცილებით ვრცელადაა წარმოდგენილი: B. „მეც თანდათან ვხედავდი, რომ სიბრალული სიყვარულად მეცვლებოდა. ასე, რომ ზოლოს დავრწმუნდი, მის უმისოთ სიცოცხლე აღარ შემეძლო. ეს იყო თითქო ჩემი გულის წვრილი ძაფი, რომლის მოგლეჯაც აღარ შემეძლო. სამსახურშიაც რაღაც გულ-ავარდნილათ ვიყავ, აღარაფერზე გული აღარ მომდიოდა, წინათ თუ მეცადინეობა ძალიან მიყვარდა, ეხლა ვერაფერს ველარ ვარიგებდი, სულ თავში ლუიზაზე მიფუსფუსებდა ფიქრები. გული მუდამ სახლისკენ მომიწევდა. ერთი სიტყვით ნამდვილი შეყვარებული ვიყავი¹⁰. ამასობაში დედამისიც მეტად გაუნამუსოვდა, თავის რჩევას აღარც ფარავდა, მეც არ მომერიდა და, წარმოიღვინე, მე თავად დამიწყო რწმუნება, რომ თუ ლუიზა ჩემი რჩევისამებრ გაირჯება საუკეთესო იქნება. არ ვიცოდი რა მექნა ამ ბებერისათვის. ბევრჯერ ხმა ჩავაკმენდინე, მაგრამ მის თავგასულობას საზღვარი აღარა ჰქონდა. მეტი ყოყმანობა აღარ შეიძლებოდა. უნდა ვადაჭრით მოვქცეულ ვყავ. დიდი სულიერი ბრძოლა გამოვიარე. შევეურიგდი იმ აზრს, რომ ლუიზა უმანკოებას მო-

¹⁰ ამხანაგებმაც გაიგეს ჩემი ესეთი გატაცება და სიცილ-ხარხარს მაყრიდნენ. მე გული მომდიოდა. ყველას საკბენად მზად ვიყავი. დათვით (დავიბუზებოდი), ერთხელ, როდესაც პირში მომახალეს: რას გადაჰკიდებინარ ეილაც არის, დახე რა ზნეობის გამსწორებელი და იდეალისტი აღმოგვიჩნდაო, კინაღამ თავები არ დაუხებთქე ყველას. აა, თქვე ასეთებო და ისეთებო-მეთქი; აბა თქვენ რა გესმით, რა გაგეგებათ-მეთქი.

კლებული იყო. ეს რა იყო ჩემთვის, როდესაც ლუიზას ამ თვისებას გავი-
თვალისწინებდი. ისიც მოვიხსენო, რომ ამხანაგები ამითვალწუნებდნენ. არა,
უნდა შევირთო-მეთქი გავიფიქრებდი გადაჭრით. მაგრამ, როდესაც გამახსენ-
დებოდა ჩემი მშობლები, თითქო ღონივრად ამომკრეს სადავეო, შევჩერდე-
ბოდი. ეს კი მეტის მეტი იყო, ასეთი გმირი არა ვარ, რომ ესეც დამეძლია.
ვიცოდი თუ ჩემს მოხუცებს ამითი რა საშინელ მწუხარებასაც მივაყენებდი.
სასოება შვილი, ერთად-ერთი იმედი და უეცრად ესეთი ამბავი! ეს არ შე-
მეძლო. იმათ გულს ველარაფრით ვერ მოვიგებდი და მათი დაკარგვა კი ჩემ-
თვის შეუძლებელი იყო. მამ კარგი, მე ვიცი, რასაც ვიზამ, შემდეგ მშობლე-
ბიც გაიცნობენ, გაიგებენ ყოველივეს და ვინ იცის რა არ მოხდეს-მეთქი“.

რადიკალურადაა შეცვლილი ტექსტი იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია ლუი-
ზას დახრჩობის შესახებ. ამ ფაქტზე მწერალი ნაწარმოების შემდეგ გვერ-
დებზე დაწვრილებით ჩერდება, ამიტომ აქ ზედმეტი ჩვენებია და გადაჭულია
ტექსტის მოზრდილი ნაწილი:

A. „ეგვ — დაამთავრა ამოხვეწით ნიკომ.

— კაცო, ამ საწყალზე რათ ლაპარაკობ? ხომ არაფერი მოსვლია?

— ჰო — ჩაიქნია ხელი — დაიღრჩო და კვლავ ამოუჯდა გული, მე გაე-
ჩუმდი. აქ აღარაფერი დამშვიდება აღარ ვარგოდა. ისევ თავის ნებაზე უნდა
მამეშვა. მოუთმენლად მოველოდი მაინც ამ ამბის ბოლოს, თუმცა უმთავრესი
ეცოდი“.

შეცვლილია შემდეგი ადგილიც:

„ესლა ხომ წინანდებურად არ გიჯავრდება, ხომ მიგაქვს ხან-დახან ფული?
ის, რომ დედა-ბერმა ნამეტანი მოინდომა. მის მოსარბილებლად მე ვაძლევდი
ხოლმე ლუიზას ფულს, რაც კი მეზადა, ვითომ და იმ გზით არის შეძენილი,
რა გზითაც პრასკოვია ფიქრობდა... უჰ, ძმაო, ბევრი, ბევრი ნივთიერი რა
სათქმელია, მაგრამ ნივთიერიც და ზნეობრივი ტანჯვა გამოვიარე იმ როკაპის
მოწყალებით“.

ტექსტში შემდგომი სწორებისას მწერალი ერთ ძნელად გასაგებ ადგილს
ასწორებს.

A — ნაბეჭდი გვ. 192

წარმოვიდგინე. მეტად დავეჩვიე ამ ოხერ არაყს
რუსეთში. ახლაც რესტორანში წაველ. მაგ-
რამ რა? უგრძობლად დავთვერი. ისიც მარ-
ტო, ლოთურად.

B — გვ. 19

— წარმოვიდგინე! მეტად დავეჩვიე მაგ ოხერ
არაყს რუსეთში რომ ვმსახურობდი. ესლაც
წავედი, მაგრამ რა? უგრძობლად დავთვერი
ისიც მარტო. ნამდვილ რუსულად.

B-ში გაუგებარია სად მიდის ნიკო: „ესლაც იქ წავედი“. A-ში ადგილი
დასახელებულია. „ახლაც რესტორანში წავედი“. ავტორს ბევრს უკვირებდ-
ნენ ე. წ. „ნაციონალიზმში“, ამიტომ ტექსტი ასე შეუცვლია: A. „ისიც მარ-
ტო, ლოთურად“. B. „ისიც მარტო, ნამდვილ რუსულად“.

შემდგომ ავტორი მოგვითხრობს ლუიზას მამიდის შესახებ. ტექსტის სწო-
რებისას ეს ეპიზოდი მას არაარსებითი, სიუჟეტის განვითარებიდან ამოვარდ-
ნილი ჩვენებია და გადაუხაზია.

A — „მაგრამ არა, არაფერი მაგვეარი არ ყოფილა“. ტექსტის შემდეგ.

B — გვ. 20 — „მოიცა, ნუ მაწყვეტინებ! დამავიწყდა მეტქვა, რომ ერთ
დროს, ლეკვერთხი ვუყიდე ერთი წყვილი, იმან ერთზე თავისი სახელი ამო-
კერა, მეორეზე კი ჩემი რუსულად. კოლია ეს საჭიროა, დაიმახსოვრე.

ჰო, ამასთან ისიც დამავიწყდა მეტქვა, რომ იმათ გარდა, ვინც გითხარი,
ერთი მამიდაც ყავდა მეტად კეთილი და პატიოსანი. ქალი შეძლებული დი-
დათ ვერ იყო, მაგრამ მაინც გვარიანად ცხოვრობდა და ხშირად ეხვეწებოდა

კიდევ მის ძმის-წულს თავისთან გადმოსულიყო. ჩვენი გაყრის შემდეგ კი მისულიყო მამიდასთან. რამოდენიმე დღის შემდეგ პრასკოვიაც მოსულიყო და შვილის უკან წასვლა მოეთხოვნა, მაგრამ მამიდას სულ ლანძღვა-თრევით გამოეგდო გარეთ, რადგან ლუიზასგან ყველა მისი ხრიკები გაგებული ჰქონდა თურმე. არ ვაბედო მოსვლა ამიერიდან, თორემ პოლიციას დაგასვე, შე-ასეთო, შე ისეთოვო“.

შემდგომში ტექსტი ვრძელდება ისე, როგორც A-შია: „იმ სცენის შემდეგ რაღად მინდოდა ჩემი ნაჭირავეები ოთახები...“

შ. დადიანს კვლავ ამოუღია ტექსტის ნაწილი.

A — „ასე გავიდა ერთი კვირა, თუ მეტი არა, კარგად არ მახსოვს“.

B — გვ. 21 — „გავიგე, რომ მამიდასთან იდგა, წაველ, თუმცა ვერ ვცნობდი, ე. ი. ვაცნობილი არ ვიყავ და არც მისას დავდიოდი. წაველ, მაგრამ ამაოდ. ვერავინ ვნახე გარეთ გამოსული და შიგნით კი მე არ შევსულვარ. რამოდენჯერმე მიველი კიდევ, მაგრამ არც არაფერი აქედან გამოვიდა. თავი დავანებე ამასაც და ისევ არაყსა და ღვინოს დავეძალე. მაგრამ სულ მარტო, ხალხში ყოფნა აღარ მახალისებდა“.

A — გვ. 94

„ვიღაც ლამაზად ჩაცმული უცნობი ქალი გადავარდნილიყო ხიდიდან და წყალს ჩაეძირა. ლუიზას სახლიდან დაკარგვის შემდეგ კი მესამე თუ მეოთხე დღეს...“

B — გვ. 22

„ვიღაც ლამაზად ჩაცმული უცნობი ქალი გადავარდნილიყო ხიდიდან და წყალს ჩაეძირა. ვინ იყო ეს უცნობი ქალი ერთმა ალახმა (გადაუხაზია და შეუცვლია „ღმერთმა“) უწყობდა, მაგრამ საეჭვოდ იყო საქმე კი. მით უფრო რომ მისი მამიდა ლუიზას სახლიდან დაკარგვის შემდეგ მეორე თუ მესამე დღეს...“

ერთი გასწორებული ადგილი გვაფიქრებინებს, რომ ნაბეჭდი ტექსტი ამ ხელნაწერიდან მოდის. ერთ ადგილას ავტორს ტექსტი გაუსწორებია. ამ სწორების შედეგად ზოგი ადგილი გადაუხაზავს და, რადგანაც ავტოგრაფის იმ გვერდზე (გვ. 22) ადგილი აღარ დარჩენია ახალი ტექსტის ჩასამატებლად; ხელნაწერის ბოლოს მოუტია ის ტექსტი, რომელიც შემდგომ ყველა ნაბეჭდ წყაროშია დასტამბული. აი ეს ადგილი. B — ხელნაწერი, გვერდი 22 — „საკვირველია კაცის გულის საქმე: კაცს როდესაც არ უნდა, რა ძნელად იჯერებს ხოლმე. მე რაღაც იმედი მომეცა, რაკი იმის გვამი არ არის ნაპოვნი, შეიძლება ცოცხალი იყოს. ასეთია დამარცხებულის ლოდიკა. და თუ ცოცხალია, დეე ჩემთან ნუ მოვა, მე ნუ ვუნდოდე, ოღონდ თვით კი იცხოვროს-მეთქი“.

ხელნაწერის ბოლოს ეს ადგილი მწერალს ისეთი სახით დაუწერია, როგორც შემდგომში გვაქვს A ტექსტში, გვერდი 194:

„უნებურად თავში შემოვიკარ ხელი. აბა როგორ აგიწერო მაშინდელი ჩემი მდგომარეობა. მე თვით არ ვიცი, რა მომივიდა. გამოშტერებული ვიყავ. თქმა არ უნდა, მე ვიყავ მიზეზი მისი სიკვდილისა. ეხლა რომ ვიგონებ, ბრაზი მახრჩობს. რამდენჯერ ავიღე ჩემ თავზე ხელი, მაგრამ ეჰ, განა მას ამითი რამეს შევმატებდი... დიად, ნიადაგი გამოეცალა. მეც რომ ეგრე პირმობრუნებული მნახა, რაღა დარჩენოდა ამ ქვეყნად! რათ არ ვიფიქრე მაშინ ესრე, რად? ოხ? „თურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მერე გამოჩნდება!“ ვინ იცის რა საშინელი სულიერი ტანჯვა გამოიარა! ჰმ! აშკარა იყო ყველაფერი, მაგრამ ახლა გვამი?“

ხელნაწერის ერთი ნაწილი ავტორს დაუწერია 27 ნოემბერს, ფანქრით. ამ ნაწერშიც გადაუხაზია შემდეგი ადგილი:

„ერთხელ ერთმა თათართავანმა შემატყობინა, რომ მგონი ვიპოვეთ, ვისაც ვეძებდით. გული ჩამწყდა, მაგრამ მაჩვენე მეთქი, მაინც მივმართე. ნიმუშად კაბის ნაჭერიც მოეტანა“.

„ერთხელ ერთმა თათართავანმა შემატყობინა, რომ მგონი ვიპოვეთ, რასაც ვეძებდით. გული ჩამწყდა, მაგრამ მაჩვენე-მეთქი, მაინც მივმართე. „ფულიო! — მანაც მომმართა. „ისე არ შეიძლება?“ — როგორ იქნება, რომ გაჩვენო, აბა, როგორ გენდო, მერე რომ პოლიცია დამასიო?“ იქით-აქეთ. ძლივს იმაზე დავიყოლიე, რომ ნიმუშათ კაბის ნაჭერი მოეტანა.

მომიტანა. დავუკვირდი, ვერაფერი გავიგე. იმდენ ხანს წყალში ყოფნისგან ფერიც და სახეებიც ერთმანეთში არეოდა. ასე რომ კაცი ვერაფერს გაარჩევდა. კიდევ შევეხვეწე, იქ წავეყვანე. დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ მერე დათანხმდა ვასამრჯელოს, უკეთუ ის აღმოჩნდებოდა, რასაც ვეძებდი. წავედი. — აქ არის, — მითხრა“.

სამამულო ომის პერიოდში შ. დადიანმა დაწერა მოთხრობა „განგაში“. ხელნაწერს აშკარად ატყვია შემოქმედებითი მუშაობის კვალი: A ნაბეჭდი — შალვა დადიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., ტომი I, 1958, გვ. 477—492. B ხელნაწერი — გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმის შ. დადიანის ფონდი, 25409-ხ.

სათაური ხელნაწერში ჯერ ყოფილა „მოსაოხი“, გადაუშლია ავტორს და დაუწერია „განგაში“.

ხელნაწერი ნაბეჭდი 29 გვერდია. ასაწყობი ცალი, ჩასწორებულია მწერლის ხელით. B-ში: მიშიკუნა, მერიკუნა, A-ში ყველგან შეცვლილია: მერი, მიშა. გვ. 477 — საგარეჯოელია/გარეჯახელია.

გვ. 479 — „ეს ყველაფერი იმას ამტკიცებს, რომ ახალგაზრდობიდანვე, ძთელს სოფელში კარგი „ავტორიტეტი“ სარგებლობდი. შენ ხმარობ ამ უცხო სიტყვას და ამყამად დიდად კმაყოფილი ვარ ჩვენი სოფლის ცხოვრებისა“, გეტუბნები.

განა რო!

შენი თვალის წინ დაწინაურდა შენი სოფელი, აყვავდა, სწავლა-განათლება მოედო არემარეს.

ასე რომ, სადარდებელი თითქო არაფერი გაქვს, მხოლოდ ამას კი იტყვი ხოლმე:

თავს კარვად ვგრძნობ, მხოლოდ შვილების დარდი მაწუხებს.

ეს ასეც უნდა იყოს.

კარგი მშობლის გულში რა გამოლევეს შვილებზე მზრუნველობას, მხოლოდა. შენ ერთი შენი შვილის ხსოვნა და მისთვის დადარდიანება უფრო ღრმად ჩაგრჩენია გულს.

ეს არის შენი სასახელო მეომარი, მფრინავი, მიხეილ დულარძიე, ან როგორც შინობაში ეძახდით „მიშა“, ან კიდევ უფრო ალერსიანად, როგორც მისი ცოლი, მშვენიერი მერი ლორთქიფანიძის ქალი უწოდებდა მას თავის წერილებში: „მიშიკუნა“.

აი, ამ შვილის დარდმა მოიყვანა თურმე ჩემთან, ჩემთან, როგორც მწერალთან.

11 პირობითი ნიშნები: A — ნაბეჭდი ტექსტი — შ. დადიანი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბ., 1958: „ნიკას ნაამბობი“, გვ. 180—198, B — ხელნაწერი — თეატრის, კინოსა და მუსიკის სახ. მუზეუმი, ყდა № 4, ფონდი 1, საქმე 11, ხ 11276/119.

როდესაც შევეკითხე რატომ მაინცდამაინც მე მომმართე მეთქი? შენ არაფერი არ მიპასუხე, მხოლოდ როგორღაც სათნოდ გაიღიმე.

მე მაინც, უთუოდ მწერლის პატივმოყვარეობის გამო, ეგ შენი ღუმელიცა და შენი ღიმილიც ჩემ ქებად მივიღე და ამიტომაც „ხელეყავ საქმესა საჭოჭმანებსა“.

ვიკისრე დამეწერა მხოლოდ ის, რაც უშუალოდ შენ მიამბე, ძვირფასო ნიკა!

როგორ იყო შენი თხრობა? დინჯი, დარბაისლური, მშვენიერი ქართულით ეს კია — ბოდიშებით აჭრელებული და მორიდებით „დამტყვევებელი“.

ზოგჯერ...

მწვავედ გასასხენებელ ადგილებში, ვატყობდი, რომ ადღევეებისაგან ენა გიშრებოდა, აგერ-აგერ თვალებს ცრემლით მოადგებოდა, მაგრამ ვაუკაცისათვის ცრემლი რა საკადრისია და შენც... ნერწყვის გადაყლაპვასაც კი მიმალავედი.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი თუ რა ძლიერია მოყვარული მამის გრძობა შეილისადმი.

რა გამოუთქმელი ურვა ბობოქრობს შენს გულში სულიერად მალალო, ვაუკაცო ნიკა!

ეტყობა, გსურდა გულის მოხება, მაგრამ გამოსავალს ვერ ვპოულობდი. შრომაში ეძებდი თავდავიწყებას, მაგრამ არა! თვით მუშაობაშიაც გაიეღვებდა მიშას საყვარელი სახე, მთელი მისი ახალგაზრდული, საამური აღნაგობა და... ვერ ისვენებდი. შემდეგში კი, როდესაც შრომის უნარი მოგაკლდა, შვილზე ფიქრებმა კიდევ უფრო დაგიპყრეს, ბოლოს პირდაპირ ჩვენებად გადაგექცა.

აი, მაშინ იყო, რომ გადაწყვიტე მოგემართნა მწერლისათვის. ეგებ ამან მაინც მოუთხოოს გულში ჩამარხულს ღრმა კაეშანსა...

შენ ასე ფიქრობ.

მიგიხვდი, ჩემო ნიკა, მიგიხვდი...“ — A.

გვ. 480 — მიშას წერილი მერის. — A. გვ. 481. მერის წერილი მიშას. — A. ხელნაწერის „მიშიკუნა“ ყველგან A-ში შეცვლილია — „მიშა“, მერიკუნა/მერი.

შალვა დადიანის არქივში დაცულია ხელნაწერი, რომელიც ნათლად ასახავს მისი მუშაობის მანერას. ამ გაცყვითლებული ფურცლიდან კარგად ჩანს; როგორ მუშაობდა მწერალი მხატვრული თხზულების ტექსტზე. იგი თითქოს კალმისტარმომარჯვებული ფიქრობს და თავისი აზრები გადააქვს ქალაღზე. მას დაუწყია ახალი თემის დამუშავება. ესაა კონსპექტი, „შთანასახი“, როგორც მას ავტორი უწოდებს (თეატრალური მუზეუმი, ფონდი № 1, საქმე II; №. 11276/96).

ნაწყვეტი მომავალი ნაწარმოებიდან:

ძვალთ:

სათური:
„სიტყვა ჭეშმარიტი“
ისტორიული ეპიზოდი III — IV საუკ. (წმ. ნინოს ცხოვრებისა და მეფე მირიანის დროს)

შინაარსი:
ასფაულის დროს მყოფი ზაქარია სპასპეტა. შვილი ბაკურ, რომელიც ისტორიულად არ არის შეყვანის შვილად ცნობილი, მაგრამ მაინც მირიანის ვაჟის ბაჟარ I-ს დროს ბერძნებთან სარდალთ არის ნახსენები, გმირო უნდა იქნეს

სხეული:

სასურველი იყო ამავე სათაურითვე ამ ეპიზოდს წინ მოქცეოდა ანდრია მოციქულის დრო, რომ ბელეტრისტულ ფორმით აღმენიშნა ისტორიულ საფუძვლებზე დამყარებით „სიტყვა ჭეშმარიტის“ დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში.

დრო წმ. ნინოს მოქმედების და ქართველ ქრისტ. მიღების:

მღვდ. კ. ცინცაძე, „ივერია“ № 159 — „რომელს წელს მიიღეს ქრისტიანობა ქართველებმა“:

ჩემი მოთხოვნისა. ეგ კაცი ფრიად განვითარებულია თავის დროის შესაფერად, ეწაფება მაშინდელს ცხოვრებას მთელის მის ბუნებით და ეძლევა ყოველ-გვარ განცხრომას, მაგრამ როგორც კაცი მაღალბუნებოვანი, ვერ კმაყოფილება თანამედროვე ცხოვრებითა და ეძიებს მისი სული ობოლი რაღაც მაღალს, უდიდეს „მართალს“, „სიტყვას ჭეშმარიტს“, რისთვისაც მიაპყრობს ყურადღებას თავიანთ რჯულს. როგორც უმაღლესს ამხსნელ ძალას, მაგრამ ვერც იგი აკმაყოფილებს მას; გაიგებს რა მის გემოს მიხედვით მის ამაოებას, მის მომჩვენებელ ვარგებობას, თვალთმაქცობით შეთხზულს და წარფეკვეთება სრულიად. ვერც სიყვარული სომხის მეფის თრდატის ქალიშვილ სალომესადმი, რომელიც უმანკოების და ქალური სიკდემის, ჭკუამოსილობის ხატია, ვერც საზოგადო, მის საყვარელ სამშობლოსადმი (დიდი პატრიოტი) კეთილდღეობისთვის მოღვაწეობა და ვერც სხვა რამ ვეღარ იპყრობს მის გულს, იმის ძიებაში გულდამწუხრებულს, რომ იპოვოს „სასუფეველი ცაო“, უკვდავება სულისა და ამიტომაც ყოველივეს ამაოებაში განწირულებას ეძლევა. მით უფრო, რომ მის ცხოვრებაში ხდება დრამა. მისს სატრფოს, რომელიც ზიარია მისი წმინდა გრძნობის, საბერძნეთის მეფის საშუალებით, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, მიათხოვებენ მირიანის ვაჟს რევს და ეს ერთად ერთი სასიხარულო შუქიც მის ცხოვრებაში ქრება სამუდამოდ, გამოუტრუნებლივ ხოლო ამ დროს მცხეთის ქალაქში მაყვლოვანიდან გამოსიმის. „სიტყვა ჭეშმარიტი“ და იგი, ვით კაცი ჩათრეული დასარჩობად წყალთ ზვირითაგან კიდებს ხელს ამ ვითომდა მზეს მოსასმარებლად. მაგრამ იგი შეცდა. ეს მზე უშეკლებელი, მკვიდრი ძელი გამოდგა და ძელი ცხოველი, მომანიჭებელი საუკუნო არსებობისა. მაშინ მისი „სული დამამწერალი“ მოეგება განსვენებას, მიავნებს ნავთ-საყუდელს, მაგრამ მისი თავისთვის კი არა, რომ ეგოიზმით აღსავსემ განისვენებს მუნ საუკუნოდ. არამედ მისთვის, რომ ახალ-ძალა შემოკრებილმა კვლავ იბრძოდოს ამ ცხოვრებაში, კვლავ შეერთდეს მის, იღვაწოს მისს საკეთილდღეობით.

შიგა და შიგ გამოყვანილი უნდა იქმნეს მთელი ხანა ასფავტურ მეფის გარდაცვალებიდან ბაქარის ბერძნებთან ბრძოლაში, რომლის შემდეგ ბერად წავა გვირი მოთხრობის. აღწერილი უნდა იქმნეს წმინდა ნინოს ვინაობა, მამი მისის ზაბულონის ამბავი, მირიანის ტახტზე ასვლა, მამა მისის მისგლა საქართველოდ. ნადიმები და მის წინ ქართველთ რჩევა საქართველოს ბედ-იღბალზე. მირიანის პირადი განცდები, მისი სულის მდგომარეობა. რჯულის შესახებ ბერძნებთან ამის შემდეგ სპარსებთან ერთად და სხვ.

მოქმედ პირებათ ჯერ-ჯერობით მიჩნეულია წმ. ნინო, მირიანი, ნანა დედოფალი, სალომე თრდა-

ლტოლვა საბერძ. წმ. ნინოსი 326 წ.
 მოსვლა ქართლად — 327 წ.
 ნანა დედოფლის მოქცევა — 333 წ.
 მირიანისა — 334 წ.
 მისი დაბრმავება — 334 წ.
 20 ივლ. დღით შაბათს

ხალხის მონათვლა 335 წ.
 ნინოს მიცვლება 340,
 ან 341 დამდეგს
 ჩემი აზრი:
 ამ ცინცადის ჩვენება უფრო ნამდვილი უნდა იყოს რადგან შედარებულია სხვა ყველა წყაროებთან და შემდეგ არის გამოთქმული, მერე კიდევ იმ დროს, როდესაც იგი უნდა იყოს ამ საგანს უფრო სინათლე აქვს მიყენებულ და უფრო შეიძლება მასალების გადახედვა, უფრო ხელმისაწვდომია.

არმაზის დღეობა ყოფილა
 ექვს აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, როდესაც წმ. ნინო დაესწრო და კერებები შემუსრა (იხ. თარეშ. პოტტო გვ. 5).

თეიმურაზ ბატონიშვილი:
 „ისტორია საქართველოსა“
 გვ. 220—273
 ისტორიული წყაროები ამ მოთხრობისათვის ქართლის ცხოვრება I ნაწილი.
 ვახუშტის ისტორია — გვ. 53—78
 თეიმურაზ ბატონიშვილი
 საქართველოს ისტორია გვ. 220—273.
 დ. ბაქრაძის — ისტორია საქართველოსი.
 საქართველოს სამოთხე, მოქცევა ქართლისა (თაყაიშვილისა)
 ს. ბარათაშვილის ისტორია პოტტო, ცამციცივი, ჩანაშვილი, ცინცადე და სხვა წერილი წერილები ჟურნალ-გაზეთებში.

მეფე მირიანს ყავდა ორი ვაჟი, რასაც ამოწმებენ ყველა ჩვენი წყაროების გარდა „ქართლის მოქცევისა“, რომელშიაც ბევრი ცნობები ამ ეპოქაზეა და სხვაზეაც სხვა გვარ არიან მოხსენებულნი. მაგრამ ჯერჯერობით ვერც გამოკვირული არ არიან და იმიტომ არც მი ვემყარები მათ. ამ „მოქცევაში“ თვით არშაკუნიახების სომხებად არ არის მიჩნეული, სომეხთ მეფეების გამომდინარეთ და მირიანის სპარსეთის მეფის შვილობაც უარყოფილია, თუმც სხვა ყველა წყაროები ხასანიდათ რაცხს და შვილებზეაც ამბობს, რომ მას ყავდა ორი ვაჟი რეფი და ბაქარ, შემდეგ ბაქარ I, რომელ-

ტის ასული. თვით გმირი მოთხრობისა ბაკურ და მამა მისი მეფენი, სიღონია, აბიათარი ურეგ-ბი მამა-შვილი, მწყემსები, ქურუმები და სხვა.

17.VI—15 წ. შინა.

თავან ბაქარ ვითომდა საბერძნეთის ე. ი. მა-შინდელი ბიზანტიის მძევლად უნდა ყოფი-ლიყოს საბერძნეთსა და სპარსეთ-ქართველებს შუა მომხდარ ომის გამო. მაგრამ ეს ომი არა-დრით არ მტკიცდება, გარდა ჩვენი ქართული ისტორიული წყაროებისა, მთელი ქვეყნის ის-ტორიით და სხვა ევროპულ მწერალთა ნა-წარმოებებით ამ საგანზე რაზედაც სამართლია-ნად შენიშნავს ჩვენი ისტორიკოსი, უფრო კი მათი ანალიზატორი ღ. ბაქრაძე და მერმე სხე-ბი, როგორც მაგ., თაყაიშვილი და სხვა. ჩვენს მატრიანეებში ზემოხსენებული ომი ვითომდა კონსტანტინე დიდთან მომხდარა იმავე კონს-ტანტინესა და ბიზანტიის, რომის იმპერიის ერთ მმართველთაგან (არ იკითხება)... ომთან არის შერეული, რომელსაც კონსტანტინემ სძლია ჯვარის ძალითა. ეს ეპიზოდი არის მოყვანილი არგუმენტით, მაგრამ როგორც ვთქვით ამას არაფერი არ ამტკიცებს და არც ის აზრი მტკი-ცდება ევროპულ მატრიანეთა გამოისობით, რომ როგორც ბაქრაძე ამბობს ვითომდა ომი შემ-დეგში მომხდარიყოს ქართველებსა და კონს-ტანტის შორის, რომელიც კონსტანტინე დიდის შვილი იყო და მის ძმასთან და მისი ძმის შემ-დეგაც მეფობდა, როგორც იმპერატორი მაშინ-დელი რომის იმპერიისა.

მაშასადამე „ივერიის მეფის შვილის ბაკუ-რის“ მძევლად ბიზანტიაში ყოფნა სრულლად ირღვევა, მაგრამ ის არის, რომ ამ „ივერიის მეფის ძეს ბაკურთუსს“ იხსენიებს ბიზანტიელი მწერალი რუფინი (რომლის პირთგნებაც მე ვერ გამოკვებუნე ქვეყნის ისტორიაში) მან მო-მითხრო საქართველოს მოქცევისა და წმ. ნინოს ქადაგების ამბავი, სადაც იგი ამ დროს მეტად ყმაწვილი ყოფილა და ყოველივეს დასწრებიაო. ამაზე იგივე ბაქრაძე ვახუშტის გამოცემაში და თავის „ისტორიაშიც“ ამბობს, რომ ეს რუფი-ნის მიერ მოხსენიებული სხვა ბაკური უნდა იყოს, მაგრამ ვინ სხვა ამაზე ვერას ამბობს გა-დაჭრით. ასე რომ ეს ბაკურიუსი ბიზანტიის ისტორიაში კვლავ სჩანს თეოდოსის დროს და მხოლოდ ტირან ევგენისთან ბრძოლაში მო-კლულ იქმნება 394 წ. ქრ. აქ. ჩემის აზრით ეს ბაკური უნდა იყოს მეფენ სპასპეტის ვაჟი. რომელიც გამოყვანილი იქმნება ჩემს მოთხრო-ბაში და რომელიც თავის ქვეყნიდან შინაუ-რის განხეთქილების გამო გადასული უნდა იყოს ბიზანტიაში. მემატრიანეებს უთუოდ, რო-გორც ხშირად მოხდებოდა ხოლმე ერთი მეო-რეში აერიათ და აებნათ ცხოვრების სინამ-დევილე ამ ერთი საუკეთესო და ღრვიად შესა-ნიშნავ ქართველისა, მით უფრო. რომ ამასვე უნდა მიეწეროს ეგომ ჩვენი მწერლობისაგან უცნობელი წიგნის „აბეკურას“ შედგენაც, რომ-ლის დაწერასაც მხოლოდ თეიმურაზ ბატონი-შვილი მიაწერს ბაკურ მეფის ვაჩეს შვილსა, მაგრამ ჩემის აზრით, რამდენადაც ჩვენი მშრა-

ლი მატიახის ცნობებიდან ჩანს ეს ბაკური, ფრიად განათლებული კაცი უნდა ყოფილიყვეს, მცოდნე ბერძნული ენისაც და სხვა. და მაგის დაწერა ამ უკანასკნელს უნდა მიეკუთვნოს, ვინემ იმ ზემოთქმულს მეფე ბაკურს, რომელმაც როგორც სჩანს ბაკურ-ციხე აღადგინა. ეს თუმცა ჰიპოთეზაა, მაგრამ ჰიპოთეზა სინამდვილესთან ახლოსა“.

ამრიგად, მართალია შ. დადიანის არქივიდან მხოლოდ ნაწილია შესწავლილი, მაგრამ უკვე ნათლად იკვეთება მისი შემოქმედებითი მანერა. კვლევადება ამ კუთხით გრძელდება და მოსალოდნელია ახალი, მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიისათვის საინტერესო მასალების მოძიება.

Т. П. ЧАВЛЕИШВИЛИ

ИЗ ТВОРЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРИИ ШАЛВЫ ДАДИАНИ

Резюме

Творчество известного грузинского писателя, драматурга и общественного деятеля Шалвы Дадиани интересно во многих отношениях. О нем написано множество исследований и статей. В этих работах разносторонне рассматриваются вопросы творчества оригинального писателя. Надо отметить, что огромный литературный архив писателя пока еще ожидает своего исследователя. В статье впервые с текстологической стороны рассмотрены его некоторые рассказы.

При исследовании творческой лаборатории писателя использованы его воспоминания, где воссозданы этапы становления романа «Юрий Боголюбский». Из архива привлечены материалы, из которых вырисовывается, как работал писатель над художественными текстами своих произведений. Детально проанализировано его раннее произведение «Рассказ Нико».

В статье с текстологической стороны также подробно проанализированы рассказы, созданные во время Великой Отечественной войны.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილება წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა

სარგო თურნავა

არტურ რემბო ქართულ მწერლობაში

ფრანგ პოეტს, არტურ რემბოს 1991 წლის 10 ნოემბერს გარდაცვალებიდან 100 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით მივიღეთ არტურ რემბოს კულტურის ცენტრის პრეზიდენტის, პროფესორ ანდრე ლებონის 1990 წლის 21 იანვრით დათარიღებული წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ძვირფასო მეგობარო, გულითად მადლობას მოგახსენებ ქართველი პოეტის ბატონ ოთარ ჭელიძის ლექსების წიგნის „სიცოცხლის ავგაროზის“ გამოგზავნისათვის. ქართველ პოეტს უთარგმნია ქართულ ენაზე არტურ რემბოს პოემა „მთვრალი ხომალდი“ და შეტანილია ამ წიგნში (გვ. 150—154). ამჟამად ვემზადებით პოეტის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის იუბილესათვის. ამის შესახებ დაწვრილებით შეგატყობინებთ ცალკე წერილით. მეგობრული სალამით ანდრე ლებონი“.

არტურ რემბო სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის 70-იან წლებში, და მკითხველის ყურადღება მაშინვე მიიპყრო ნიჭიერად დაწერილი ლექსებითა და პოემებით. დიდი ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო მოხიბლა ამ გენიოსი ბავშვი პოეტის ლექსებმა და განაცხადა: „ბავშვი შექსპირი“.

პოეტმა სამი წლის განმავლობაში მსოფლიო აღიარება პოვა. მის ლექსებს შორის აღსანიშნავია: „მთვრალი ხომალდი“, „პარიზული ორგია, ანუ პარიზი კვლავ დასახლდება“, „ჟანა-მარიას ხელები“, „პარიზელთა ომის სიმღერა“, „ოფელია“, „ბოროტება“, „სენსაცია“, „ლარიბები ეკლესიაში“, „ჩამოხრჩობილთა მეჯლისი“, „სეზონი ჯოჯოხეთში“, „განათება“, „სიტყვის აღქმია“, „წარღვნის შემდეგ“, და სხვა მრავალი.

არტურ რემბო იყო დიდი ჰუმანისტი, პატრიოტი, ინტერნაციონალისტი, ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის უშიშარი მებრძოლი. ისე როგორც შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი, რემბოც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ფრანგი ხალხის გამათავისუფლებელ ბრძოლებში. პოეტის ლექსებში, პოემებში, ნოველებში ვხვდებით გულწრფელ სტრიქონებს, რომლებშიც არერთგზის ამბობს, რომ გულისწყრომა აიძულებს მონაწილეობა მიიღოს პარიზის ბრძოლაში. სადაც იღუპებიან ფრანგი მუშები.

პოეტი ადგენდა საზოგადოების სოციალური გარდაქმნის გეგმას და ამავე დროს ინდივიდუალურად ამზადებდა საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს. პოეტი ჯერ კიდევ თავის მშობლიურ ქალაქ შარლევიაში ცდილობდა დაკავშირებოდა მუშებს და მოეთხრო კომუნართა რევოლუციაზე.

არტურ რემბო იყო ფილოსოფიურად ღრმა მოაზროვნე, შორსმჭვრეტელი პოეტი. იგი ჯერ კიდევ შარლევიაში კოლეჯში სწავლის დროს მთელ ღამეებს ათენებდა ყიულ ვერნის სათავგადასავლო რომანების კითხვაში. იმ დროს ყიულ ვერნის რომანები ევროპელი ბიჭებისათვის სათაყვანებელი ღმერთი იყო. რემბო წერს პომას „მთვრალი ხომალდი“, რომელმაც აღაფრთოვანა პოეტთა თაობები. რემბოს გაუჩნდა მრავალი მიმბაძველი მთელ მსოფლიოში, კერძოდ რუსეთსა და საქართველოში. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, სისტემატურად ითარგმნება მისი ლექსები მსოფლიოს ხალხთა ენებზე; პოეტის ცხოვრება-შემოქმედებაზე იწერება ნაშრომები.

„მთვრალი ხომალდი“ რევოლუციური პათოსით დაწერილი შედეგია. ნაწარმოების გმირია უსულო საგანი, გემი, რომელიც ადამიანის ხელმა შექმნა.

ყოველგვარი მსჯელობა, როგორი ფილოსოფიური არ უნდა იყოს ის, ვერ ამო-
წურავს ამ პოემის ემოციურ ძალას. გემი აღარ თვრება, მას შესწევს უნარი და
ძალა ებრძოლოს ზღვის ბობოქარ ტალღებს:

„არქიპელაგი დამინახავს ვარსკვლავთ არეში,
ზეცის წიაღმა ოცნებებით გამახალისა,
ლტოლვილო გემო, ალბათ გძინავს ასეთ ღამეში,
ოქროს ფრთებს შორის ო, სიმძლავრე მომავლისა.

ბევრი ვიცრემლე, აღარ მჯერა დილის მითები,
მთვარე სასტიკი, მზე მცხუნარა კაეშანს მგვრიან,
მძაფრი ტრფილით საგესე, რადგან აღარ ვითვრები,
დე, გატყდეს გემი, დამეფაროს ტალღები მღვრია“.

(თარგმანი მიქელ პატარიძისა)

აღნიშნულ სტრიქონებში ნათლად ჩანს, თუ როგორ მჭიდროდ არის და-
კავშირებული პოეტის სიყრმის რომანტიკა რევოლუციურ სტიქიასთან. ამავე
ლექსში პოეტმა იწინასწარმეტყველა აგრეთვე თავისი ცხოვრების საშინელო
დასასრული.

მეტად საინტერესოა „ოფელია“, რომელშიც იგრძნობა ფერების ქდრა-
დობა. ოფელია მკრთალია როგორც თოვლი. იგი გალობს, ნელა დაცურავს,
შეყვარებულის შეხებით დნება, როგორც თოვლი ცეცხლისაგან. ქარები ელა-
პარაკება ხმადაბლა, ტალღები ბუტბუტებენ, მოისმის ბარტყების ფრთების
თრთოლვა და მონადირეთა სიმღერები შორეულ ტყიდან. მაგრამ ასეთი ხა-
სიათის სურათები რემზოს პოეზიისათვის დამახასიათებელი არ არის. პოეტი
სხვა ლექსებში სულ სხვა პრინციპს იცავს. უპირველეს ყოვლისა, ვხვდებით
ცოცხალი ბუნების სხვადასხვა წარმომადგენლებს. აქ ვხვდებით არა მარტო
ხეებს, ბუჩქებსა და საერთოდ ბალახებს, არამედ მის პოეზიაში ლაპარაკია
მურყანზე, კომშზე, ნაძვზე, კაკლის ხეზე, რცხილაზე, თუთის ხეზე, ვენახებ-
ზე, შაქრის ლერწამზე, ვარდსა და იაზე. აი „ოფელიას“ რამდენიმე სტრიქონი:

„ვარსკვლავებს სძინავთ ცის ლურჯ ტალღებზე, როგორც შროშანი,
მისცურავს თეთრი ოფელია, ზეცის თაღს სწვდება,
მისცურავს ნელა, მიწოლილი გრძელ პირბადეზე,
შორს ტყეებიდან მონადირეთა
ისმის ყიყინა და აღტაცება.

ათასი წელი არის უკვე, რაც ოფელიას
თეთრი ჩრდილი შავ მდინარეებს გადამხობია,
თეთრი სიგიჟე, რომ ათრთოლებს, უფრო მეტია,
ის სიყვარულზე, ნუგეშად რომ გამოჰყოლია...
აპრილის დილამ დაგიტოვა მძიმე იარა,
გონწართმეული დაენარცხე დალილი ფრთებით.
წავიდა. გაქრა ოცნებები, შეშლილო ქალო,
როგორც ცეცხლი თოვლს, სიყვარულის გავალხო ძალამ,
დაუსრფლებელ ხილვების და სიზნრების გამო,
შენ საზარელმა სინამდვილემ ბნელით დაგფარა...

ღამეა, ნახად მიწოლილი გრძელ პირბადეზე,
უჭკნობ ყვავილთა საქებნელად, უკვალავ გზებით,
ვარსკვლავთა შუქზე, ცის ლურჯ ტალღებზე
თეთრი შროშანი ოფელია მისცურავს გზნებით“.

(თარგმანი ს. ნარიშკინის)

რემზოს ლირიკული გმირი გარეგანი სამყაროს მიმართ აგრესიულია, შემ-
ტევი. იგი პასიური მჭვრეტელი როდია ბოდლერისა და ვერლენის გმირებს

მსგავსად, არამედ ის არის აქტიური მოღვაწე, რომელიც ერევა სინამდვილეში, რეალურად განასხვავებს ერთმანეთისაგან ბოროტსა და კეთილს.

ამიტომ არის, რომ რემბოს ლირიკული გმირის აქტიუობაზე დამოკიდებულია მისი სატირული ხასიათი, რაც კარგად ჩანს ლექსებში „ტარტიუფის დასჯა“, „მჭედელი“, „ბოროტება“, „პარიზული ორგია, ანუ პარიზი კვლავ დასახლდება“.

1871—1872 წლებში დაწერილ ლექსებში იგრძნობა სამყაროს ობტიმისტური აღქმა, რწმენა იმისა, რომ დაძლეულ იქნება ცხოვრების ყველა წინააღმდეგობა. სატირა რემბოსთან კომედიის დონემდეა დაყვანილი, ბოროტება კი განადგურებულია, რადგან აქ პოეტს აინტერესებს არა გამარჯვების შედეგები, არამედ ბრძოლის პროცესი, რომელიც მტრის განადგურებით მთავრდება. ეს ჩანს ლექსში „მჭედელი“.

მეტად ემოციურია და რეალური „პარიზული ორგია, ანუ პარიზი კვლავ დასახლდება“, რომელიც დაწერილია პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ. აქ წარმოჩენილია პარიზში დაბრუნებული ევრსალელი ჯალათები, რომელთაც პოეტი კიცხავს, ლაქიებსა და ბანდიტებს უწოდებს:

„პოეტი აკრეფს უბედურთა ქვითის და ცრემლებს,
კატორღელების სიძულვილს და წყეულთა რისხვას
გაამათრახებს სიყვარულის სხივით დედაბერს,
და მისი ლექსი დაიყვირებს: შორს ბანდიტებო.“

აღდგენილია დღეს პარიზი და ორგეები,
ლუპანარებში იგონებენ წარსულ ზეიმებს,
და ვაზის ცეცხლი კედლებიდან მიეშურება,
ზეღქარი ბოდვით გახუნებულ ლაქვარდისაგან“.

(თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვალისა)

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რემბო შემოქმედების პირველ პერიოდში არ ცოფილა სიმბოლისტი. მისი პირველი პერიოდის ლექსები გაყდნითილია ობტიმისტური სულისკვეთებით. პოეტი კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან ასახავს თავისი დროის სინამდვილეს, ამხელს ბოროტებას, დამპყრობლურ ომებს, მაგრამ პარიზის კომუნისა და პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ პოეტს გული აუტრუვდა, მისი სული სევდამ შეიპყრო, გახდა სიმბოლისტი, რაც ნათლად ჩანს პოეტის მეორე პერიოდის ლექსებში.

რემბოს სატირული და ათეისტური მოტივები უფრო სუსტადაა წარმოდგენილი იმ ლექსებში, რომლებიც დაწერილია პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ. აქ წინა პლანზეა წარმოდგენილი პოეტის ტრაგიკული განცდები, რომლებიც გამოწვეული იყო პარიზის კომუნის დამარცხებით. ეს ჩანს ლექსებში: „მოწყალეების დები“, „პირველი სიზმარი“, „წმინდანი“ და ნაწილობრივ „მთვრალ ზომალღში“. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ პოეტი უარს ამბობს ბუნებასა და ადამიანს შორის პარამონიულ დამოკიდებულებაზე. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1870 წელს თქვა რემბომ ლექსში „მზე და ტივი“. შემდეგ ეს საფუძვლად დაედო ლექსებს: „ოფელია“, „ტილების მამიებელნი ქალები“ და „შეგრძნებანი“.

რემბოს ბოლოდროინდელ ლექსებში კარგად იგრძნობა ის ფაქტი, რომ ობიექტური სამყარო პოეტისათვის თანდათანობით აბსტრაქტული ხდება. ამ ლექსებს კონკრეტული, ინდივიდუალური ეკარგება. პოეტი სცილდება ცხოვრებისეულ პრობლემებს, ვიწროვდება მისი ლირიკული გმირის მოქმედების პორიზონტი, პოეტი იმპრესიონისტი ხდება. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „თავბრუნდახვევა“. პოეტი პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ უკან იხევს, სკეპტიკურად უყურებს ფრანგი ხალხის მიერ თავისუფლების მოპოვებას რე-

ვოლუციური გზით, მიექანება ნიპილიზმისა და ანარქიზმისაკენ. პოეტის გადახრა სიმბოლიზმიდან დეკადენტობისაკენ კარგად ჩანს ლექსების კრებულში „განათება“. ასეთივე მომენტები შეინიშნება პოეტის უკანასკნელ ნაწარმოებებში.

საზღვარგარეთული კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევს რემბოს შემოქმედებას იმასთან დაკავშირებით, რომ რემბომ განმსაზღვრელი როლი შეასრულა ფრანგული პოეზიის რეალისტური ტრადიციების აღდგენის საქმეში. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1946 წელს დააყენა ლუი არაგონმა.

რემბო რეალისტურად განსაზღვრავს პოეტის დანიშნულებას. მისი აზრით, პოეტის დანიშნულება ის კი არ არის, რომ უმღეროს მშვენიერ ყვავილებს, არამედ პოეტი უნდა მიისწრაფოდეს რეალური სინამდვილის შეცნობისაკენ, ეძებდეს და პოულობდეს სხვებისათვის უხილავსა და ზღაპრულს. რემბო პატივისცემით ეკიდება ვიქტორ ჰიუგოს, ლამარტინს, რომლებმაც ლიტერატურაში ბევრი სიახლე შეიტანეს. რემბო აფასებს პოეტურ ტრადიციებს, მკაცრად გამიჯნავს ჭეშმარიტს არაჭეშმარიტისაგან. მისი აზრით, ჭეშმარიტი პოეტები არიან: ვიქტორ ჰიუგო, ლ. დელილი, ო. გოტიე და „მგოსანთა მეფე“ — შარლ ბოდლერი.

ჩვენთვის არტურ რემბოს პოეზია ძვირფასია. იგი იქითკენ მოგვიწოდებს, რომ კეთილმან სძლიოს ბოროტს. აქ რემბო ენათესავება დიდ ქართველ პოეტს — შოთა რუსთაველს, რომელმაც თავის პოემაში „ვეფხისტყაოსანში“ იქადაგა ჰუმანისტური იდეები, ბოროტება და კეთილი გამიჯნა ერთმანეთისაგან და თქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია“.

ფრანგული სიმბოლიზმი საქართველოში გავრცელდა XX საუკუნის ათიან წლებში რუსეთის გზით. ახალგაზრდა ქართველმა პოეტმა ტიციან ტაბიძემ თავის მეგობარ პოეტებთან — პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, ივანე ყიფიანთან და სანდრო ცირეკიძესთან ერთად ქუთაისში შეადგინა ლიტერატურული ჯგუფი, რომელსაც უწოდა „ცისფერი ყანწები“.

ტიციან ტაბიძე იყო ქართული სიმბოლიზმის ფუძემდებელი საქართველოში. პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: «1915 წელს მე და ჩემმა მეგობრებმა ქ. ქუთაისში ჩამოვყალიბეთ პოეტების სიმბოლისტური სკოლა უცნაური სახელწოდებით „ცისფერი ყანწები“. მე მომიხდა ორი მანიფესტის დაწერა ყურნალისათვის, რომელსაც აგრეთვე „ცისფერი ყანწები“ ვუწოდებ, და წლების განმავლობაში ვრედაქტორობდი გაზეთ „ბარიკადს“».

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შარლ ბოდლერი ამავე სახელწოდების გაზეთს სცემდა საფრანგეთში და მონაწილეობდა 1848 წლის რევოლუციაში.

ქართველ სიმბოლისტთა ამ ჯგუფს შეუერთდნენ სხვა ქართველი პოეტები: გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, რაქდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი, ნიკოლოზ მიწიშვილი, ალი არსენიშვილი და სხვანი.

ისე როგორც ფრანგმა სიმბოლისტებმა 1886 წელს, ასევე ქართველმა სიმბოლისტებმაც 1916 წელს ქ. ქუთაისში გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელშიც ნათქვამი იყო: „საქართველოს მგოსნებს, ყველა მეოცნებეს, ქართველ ხალხს, ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება... ჩვენ ვგსურს შევექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, ჩვენ სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალ ფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიყვებს თქვენს მიძინებულ თვალთა ცქერას. ყოველი სიტყვა ჩვენი ლექსისა ამაყობს თავისი სიცოცხლით ისე, როგორც ჩვენ ამიერიდან ვამაყობთ ჩვენი „პირველი თქმის“, ჩვენი გაბედული აღსარებით. საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. აღიდე ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი

ლოთი ძმები: ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე, და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი. ჩვენი პოეზია გამთბარია მრავალი ინტუიციის აღიარებით“ (იხ. ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916, № 1).

ქართველმა სიმბოლისტებმა დააარსეს ჟურნალები: „ცისფერი ყანწები“, „შვილდოსანი“, „მეოცნებე ნიამორები“, გაზეთები: „ბახტრიონი“ და „ბარიკადი“. აღნიშნულ ბეჭდვით ორგანოებში ისინი აქვეყნებდნენ არტურ რემბოს, პოლ ვერლენის, შარლ ბოდლერისა და სტეფან მალარმეს ლექსების ქართულ თარგმანებს, აგრეთვე თეორიულ სტატიებს, რომლებშიც გადმოცემდნენ თავიანთ შეხედულებებს სიმბოლიზმზე.

როგორც ცნობილია, ფრანგული სიმბოლიზმი უარყოფდა თანამედროვეობის ფართო სოციალური და პოლიტიკური პრობლემების ასახვის შესაძლებლობას მხატვრულ ლიტერატურაში, ქადაგებდა ლოზუნგს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

ქართველი სიმბოლისტებიც ასეთივე მიზანს ისახავდნენ. ისინი თავიანთ წერილებსა და ლექსებში ხშირად იხსენიებდნენ არტურ რემბოს, პოლ ვერლენს, შარლ ბოდლერს, სტეფან მალარმეს, ედგარ პოს, ემილ ვერჰარნს: მიიჩნევდნენ მათ თავიანთ ძმებად, იზიარებდნენ მათ შეხედულებებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

პროფ. მირიან აბულაძემ გამოაქვეყნა წიგნი — „ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან XX საუკუნის ქართულ მწერლობაში“, რომელშიც დაასაბუთა თუ როგორ ჩამოყალიბდა XX საუკუნის ქართულ მწერლობაში სიმბოლისტური სკოლა ფრანგი სიმბოლისტების გავლენით.

პაოლო იაშვილი (1894—1937) იყო მალალი კულტურის პოეტი. იგი 1914 წელს სწავლობდა პარიზში, სადაც გაეცნო ფრანგულ ლიტერატურას, კერძოდ ფრანგ სიმბოლისტებს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა ლექსებსა და სტატიებს ფრანგულ სიმბოლიზმზე. პაოლომ 1920 წელს თბილისში ქართულ ენაზე პირველმა თარგმნა რემბოს „მთვრალი ხომალდი“, „განცდა“; მიუძღვნა მას საკუთარი ლექსი, რომელშიც რემბოს მიიჩნევს მსოფლიოს მოწინავე პოეტად და უნდა მასთან დაბინადრება. ამ ლექსის სათაურია „არტურ რემბო“, რომელიც ფრანგულად თარგმნა მწერალმა და მთარგმნელმა სერგი წულაძემ, „არტურ რემბო“ ჯერ დაიბეჭდა ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე კარტველოლოჟის“ 1977 წლის 35-ე ტომში, ხოლო შემდეგ მთარგმნელმა ეს თარგმანი შეიტანა „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“. თარგმანი შესრულებულია დიდი ოსტატობით.

1923 წლის ჟურნალ „დროშის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა სიმბოლისტი პოეტისა და თეორეტიკოსის ვალერიან გაფრინდაშვილის (1889—1941) სტატია „არტურ რემბო“. ჟურნალში დაბეჭდილია რემბოს ფოტოსურათი წარწერით — „პოეტი-კომუნარი არტურ რემბო“ და იქვე გამოქვეყნებულია არტურ რემბოს ლექსის „ხელმეორედ დასახლებული პარიზის“ მისეული ქართული თარგმანი. ავტორი წერს: «არტურ რემბოს პირადი ცხოვრება უფრო საკვირველია, ვიდრე მისი პოეზია. ეს იყო თავგადასავალთა მაძიებელი, მოხეტე, მოწოდებითა და ტემპერამენტით. ის დაიბადა 1854 წელს შარლევითში, არდენებში. ბავშვობისას საჩვერ გაიქცა საკუთარი სახლიდან, იკარგებოდა ნახევარწლობით და ბრუნდებოდა, რომ არ მომკვდარიყო სიმშობისაგან. მესამედ ის გაიქცა 1871 წელს, კომუნის დროს იყო პარიზში რევოლუციონერთა რიგებში. პროვინციაში ყოფნის დროს რემბომ წერილი მისწერა პოლ ვერლენს და თან გაუგზავნა თავისი ლექსები. ვერლენი გაოცებული იყო რემბოს ლექსე-

ბით და მიიწვია იგი პარიზში. რემზო ვერ შეეთვისა ვერლენის ამხანაგ პარნასელებს და განდევნილ იქნა მათი წრიდან, თუმცა ვერლენი იცავდა თავის „გენიალურ მეგობარს“.

შემდეგ ავტორი ვადმოცემს რემზოს მოგზაურობის ისტორიას საზღვარგარეთის ქვეყნებში და ვერლენთან უსიამოვნების ეპიზოდებს.

საინტერესოა ვ. გაფრინდაშვილის მსჯელობა რემზოს პოეზიაზე. ქართველი პოეტი რემზოს თავის მასწავლებლად თვლის, მიაჩნია იგი ნიჭიერ პოეტად, ადარებს მას გამოჩენილ რუს მწერლებს ლ. ტოლსტოისა და დობროლიუბოვს: „რემზო ყველაზე ტიპიური წარმომადგენელია იმ „დახვეწილ პოეტებს“ შორის, რომლებიც სამოცდაათიან წლებში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე და ეხლა ცნობილი არიან როგორც ფრანგული სიმბოლიზმის მამამთავარი. რემზომ პოეზიაში დაარღვია ყველა ტრადიცია. მისი პოეზია უარყოფაა მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრებისა და ანტიკური პოეზიისა. ის იყო ანარქისტი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით. მუდამ დაუდგრომელი, მუდამ ბოგემა, მუდამ მოუსვენარი, ის ალტაცებით იბრძვის კომუნარებთან ერთად“.

ვალერიან გაფრინდაშვილი ვანიცდის ფრანგი სიმბოლისტების გავლენას (ლექსების წიგნი — „დასიებში“). თავის პირველ ლექსში „ინტერიერ“ პირველად ახსენებს შარლ ბოდლერს, შემდეგ ლექსებში კი ხშირად არტურ რემზოს, პოლ ვერლენს, სტეფან მალარმეს, შარლ ბოდლერს და სხვებს. მალარმეს გავლენით ბატონმა ვალერიანმა დაწერა ლექსი „სტეფან მალარმე“, რომელშიც გვიხატავს ფრანგი პოეტის ლიტერატურულ პორტრეტს. დაიბეჭდა ეს ლექსი 1919 წლის ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ მეორე ნომერში.

არტურ რემზოს ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესდა ქართველი პოეტი მიქელ პატარიძე (1895—1959), მთარგმნელი ყ. ერედიას 100 სონეტისა. მან ფრანგულიდან ქართულად თარგმნა რემზოს „მთვრალი ხომალდი“, აგრეთვე რემზოს ლექსების მიხედვით შეასრულა რამდენიმე თავისუფალი თარგმანი: „ბუნებაში“, „შეხვედრა“, „წერილი ფრონტიდან“ და „ბალადა დედასა და შვილზე“.

არტურ რემზოს მიერ დახატული ბუნების პეიზაჟები შესანიშნავად აღიქვა ქართველმა პოეტმა. თავისუფალი თარგმანი ლექსისა „ბუნებაში“ ასე უღერს:

„სადამოს სივრცემ ფერი იცვალა,
მინდვრებში გავლა გულს ესიამა,
ბალახმა რომ ფეხი დამიცვარა,
და გააგრილა შუბლი ნიაგმა.“

არც საუბარი, და აღარც ფიქრი,
მომიალერსოს ბუნების კალთამ,
გადავიკარგო ამ მთების იქით,
და ბუნებაში ვიყო ქალთან“.

(იხ. მიქელ პატარიძის არქივი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში).

კოლაუ ნადირაძე (1895—1990) იყო ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი სიმბოლისტი. ბატონ კოლაუსთან მეგობრული კონტაქტები მაკავშირებდა, ხშირად ვსაუბრობდით ქართველ და ფრანგ სიმბოლისტებზე. 1981 წლის 7 სექტემბერს ვესტუმრე პოეტს ბინაზე და მან მიაშობა: „1912 წელს დედასთან ერთად ვიყავი საფრანგეთში, ბედნიერება მერგო წილად, ვიყავი აგრეთვე ჩემი სათაყვანებელი პოეტის მშობლიურ ქალაქ შარლევოლში, იმ კაფეში, სადაც ხშირად ერთმანეთს ხვდებოდნენ რემზო და ვერლენი. დიდი ალტაცებით ვიგონებ დღეს ამ წმინდა ადგილს და არასოდეს დამავიწყდება. მე ბავშვობი-

დანვე გამიტაცა ფრანგულმა პოეზიამ (რემბო, მალარმე, ბოდლერი, ვერლენი). ამ პოეტების გავლენით მე და ჩემმა კოლეგებმა: პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ივანე ყიფიანმა და სანდრო ცირეკაძემ 1915 წელს ქ. ქუთაისში ჩამოვყალიბეთ ლიტერატურული ჯგუფი, რომელსაც ვუწოდეთ უცნაური სახელი „ცისფერი ყანწები“.

ამავე სახელწოდებით იწყო გამოსვლა ჟურნალმა. მე სხვებთან ერთად გავიზიარე ფრანგი სიმბოლისტების კონცეფცია ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე. ვწერდით ლექსებს, სტატიებს და ვთარგმნიდით ფრანგი სიმბოლისტების ლექსებს, ვაქვეყნებდით ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1919 წელს გამოვეცი ლექსების პირველი წიგნი „ბალდახანი“. ვთარგმნე მალარმეს „ოზვრა“ და „გედი“. ახლა კი რემბოს მიუძღვენი ლექსი, რომელშიც მაღალ შეფასებას ვაძლევ ჩემს სათაყვანებელ ფრანგ პოეტს. თუ როგორი ლექსია ეს, დე ამის შესახებ იმსჯელონ ჩემმა ფრანგმა კოლეგებმა. ეს ლექსი თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ და გაუგზავნა რემბოს კულტურის ცენტრის პრეზიდენტ ბატონ ანდრე ლებონს. მგონი პროზაული თარგმანი თქვენც შეასრულეთ და გაუგზავნეთ პრეზიდენტს“.

ბატონი კოლაუს ლექსის „არტურ რემბო“ ხელნაწერი დაცულია ჩემს არქივში. იგი გადმომცა პოეტმა. ლექსი დაიბეჭდა 1980 წლის „მნათობის“ მეათე ნომერში.

აი რამდენიმე სტრიქონი ამ ლექსიდან:

„შენ იყავ ბავშვი,
და ბავშვურად უცქერდი არეს,
როცა მზის და პოეზიის
გიწამა ღმერთმა.
გაჯადოებდა თვალთა ხედვა,
მხატვრობა მთვარის,
და ეს სამყარო სხვაგვარ იგრძენ
შენ ერთადერთმა.“

პიმნი ცისანი და ვედრება ქერუბიმების
შენ მოგესმოდა ღრიანცელში,
თვით ქუჩის ხმებშიც.
შენი მებრძოლი საფრანგეთის ხმები დიდების,
ლექსად ქცეულნი,
საგალობელს ჰპოვებდა შენში...

შენ არ გინახავს
შორეულო, ძმად საყვარელო,
ამ დედამიწის ერთი კუთხე —
სამშობლო ჩემი!
შენ არ გსმენია სიტყვა „თამარ“
და „საქართველო“,
უკვდავ „ლილოს“ არ გსმენია
ღვთიური ხმები, რომ შევირჩინეთ
ზღვა სისხლითა
ტანჯვით და გვემით“.

არტურ რემბოს მშობლიურ ქალაქ შარლეველ-მეზიერში დაარსებულ იქნა საზოგადოება — რემბოს კულტურის ცენტრი. რემბოს ამ ქალაქ-მუზეუმში წარმოდგენილია დიდი ფრანგი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. ყველაფერი, რაც ქვეყნდება ამ პოეტზე, მიდის ამ ცენტრში და ინახება.

ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, ჟურნალ „ლა დირიადის“ მთავარი რედაქტორის, ბატონ ჟორჟ ბუიონის რეკომენდაციით 1979 წელს ამირჩიეს ამ

ცენტრის წევრ-კორესპონდენტად და დღემდე ვთანამშრომლობ ცენტრის ბეჭდვით ორგანოებში „კონტაქტ“ და „რემბო ვივან“.

ცენტრის პრეზიდენტი ბატონი პროფესორი ანდრე ლებონი ქართული კულტურის დიდი მეგობარია. იგი დაინტერესებულია ქართული ლიტერატურითა და ხელოვნებით. განსაკუთრებით აინტერესებს რას წერენ მსოფლიოში არტურ რემბოზე და ყველა მასალა მიდის მასთან.

პრეზიდენტი წერს: „სერგო თურნავა შესანიშნავად ასრულებს თავის მოვალეობას როგორც არტურ რემბოს კულტურის ცენტრის წევრ-კორესპონდენტი. მან ფრანგულ ენაზე გამოგვიგზავნა სტატია — „არტურ რემბო საქართველოში“, რომელშიც გაანალიზებულია ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები არტურ რემბოზე. სერგო თურნავა წერს: „ქართულმა პრესამ ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნა ჩემი ბოლო წერილის შესახებ. ჩემს წერილს ქართველი მწერლები გულთბილად შეხვდნენ“, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ“.

1980 წლის სექტემბრის „კონტაქტში“ დაიბეჭდა პატარა სტატია კოლაუნადირაძეზე. სტატიაში ნათქვამია, რომ ქართველ „ცისფერ ყანწელ“ პოეტებს შორის დღეს ცოცხალია კოლაუნადირაძე, რომელიც დაბადებულია 1895 წლის 26 თებერვალს. იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართული სიმბოლიზმისა. ბატონ კოლაუნადირაძე რემბოს „თმებში მაძებარი“, „ბოროტება“, „ხევში მძინარე“ და „ჟანა-მარიას ფეხები“; აგრეთვე ახლახან რემბოსათვის მიუძღვნია საკუთარი ლექსი, რომელიც მივიღეთ და ძალიან მოგვეწონა. ამისათვის ბატონ კოლაუნადირაძე დიდი მადლობა“.

იქვე მოთავსებულია ბატონ კოლაუნადირაძის ფოტო, რომელიც პირადად ნახა ბატონმა კოლაუნადირაძემ და პრეზიდენტს სამადლობელი წერილი გაუგზავნა.

კოლაუნადირაძე გარდაიცვალა 1990 წლის შემოდგომაზე. ბატონ კოლაუნადირაძე გამოქვეყნებული აქვს 20-მდე წიგნი. მისი გავლენა დიდი იყო ქართული პოეზიის განვითარებაში. იგი იყენებდა ფრანგული პოეზიის მიღწევებს. პოეტმა გაამდიდრა ქართული პოეზია. ამის დასტურია მისი საქვეყნოდ ცნობილი ლექსები: „ვერსალი წვიმაში“, „არტურ რემბოს“, „პუშკინს“, „თეთრი ანგელოზი“, „წიწამურთან საგურამომდე“, „ოცნება საქართველოზე“ და სხვა. კოლაუნადირაძე ერთ-ერთ თავის წიგნში წერს: „მე ვალდებული ვარ კლასიკური ლიტერატურის წინაშე, მე მისგან ვისწავლე თუ როგორ შევიყვარო სამშობლო, უბრალო ადამიანები“.

ფრანგი მკითხველი იცნობს ბატონ კოლაუნადირაძეს: „თოვს“, „ჩემი სამშობლო“ და „არტურ რემბოს“.

ეს უკანასკნელი ძალიან მოეწონა რემბოს კულტურის ცენტრის პრეზიდენტს, ბატონ პროფესორ ანდრე ლებონს; ამიტომ იყო, რომ იგი თავის წერილში 1980 წელს გვწერს: „გთხოვთ გადასცეთ ქართველ პოეტს, ბატონ კოლაუნადირაძეს გულითადი სალამი და მილოცვა დაბადების 85 წლისთავთან დაკავშირებით. ჩვენ საფრანგეთში კოლაუნადირაძის შემოქმედებას მაღალ შეფასებას ვაძლევთ. იგი არის ფრანგული სიმბოლიზმის ტრადიციების ღირსეული წარმომადგენელი თავის კოლეგებთან (ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი) ერთად. ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ“.

პროფესორი ანდრე ლებონი 1991 წლის 21 იანვრის წერილში გვწერს: „არტურ რემბოს კულტურის ცენტრი ააფორიაქა ბატონ კოლაუნადირაძის გარდაცვალებამ. იგი იყო ჭეშმარიტი ქართველი სიმბოლისტი, ერთგული ფრანგული სიმბოლიზმის ტრადიციებისა ქართულ მიწაზე, როგორც მისი ლექსიდან გავიგეთ, განსაკუთრებით ჰყვარებია არტურ რემბო, ბატონ კოლაუნადირაძის ლექსი,

რომელიც რემბოს მიუძღვნა, დაცულია რემბოს კულტურის ცენტრში შარლ-ვილში. გთხოვთ გადასცეთ ჩვენი გულითადი სამძიმარი ქართველ მწერლებსა და განსვენებულის ოჯახს“.

რემბოს პოეზიით დაინტერესდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ქართველი პოეტები: გივი გეგეჭკორი, გიორგი ქავთარაძე და ოთარ ჭელიძე. გივი გეგეჭკორმა თარგმნა „მთვრალი ხომალდი“ და „განცდა“, რომლებიც დაიბეჭდა მის წიგნში „ფრანგი პოეტები“ (1977 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“). თარგმანი შესრულებულია უშუალოდ ფრანგულიდან, ზუსტად გადმოცემს ფრანგი პოეტის აზრებს, რითმსა და რიტმს.

გ. ქავთარაძეს „მთვრალი ხომალდი“ უთარგმნია 1945 წელს საფრანგეთში, სადაც იგი გერმანელ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა; თარგმანი შეუსრულებია ფრანგი პოეტის ყორჟ მოლერუას კონსულტაციით. ბატონი გიორგი ქავთარაძე თავის მოგონებაში გადმოგვცემს: „...როცა გაიგო მოლერუამ, რომ მე აღფრთოვანებული ვიყავი არტურ რემბოს პოეზიით, და ვესაუბრებოდი „მთვრალ ხომალდზე“, გადამეხვია ექსპანსიური ფრანგი და მითხრა: მობეზრდა არტურ რემბოს მდორე მდინარენი, ე. ი. მდორე ცხოვრება, და ამიტომ ოცნებით მიაშურა მშფოთვარე ზღვებსა და ოკეანეებსო“.

გ. ქავთარაძე წერს: „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მთვრალი ხომალდის“ XI სტროფში პოეტი ხმარობს ორ სიტყვას „პიე მარი“. ეს ადგილი პაოლო იაშვილმა და პატარიძემ „მარიამის ფეხად“ თარგმნეს, მაგრამ მათ არ უკიბნავთ ფრანგებისათვის „მარიის ფეხის“ ნიუანსი. მე დავფიქრდი ამ საკითხზე და ვკითხე ბატონ ყორჟ მოლერუას. მან მიპასუხა: „ზღვებსა და ოკეანეებში დგანან ქანდაკებები ღვთისმშობლისა, როგორც მფარველი მენავეთა და მეზღვაურთა“.

ქართველმა პოეტმა გ. ქავთარაძემ „პიე მარი“ თარგმნა ორ სტრიქონად:

„ვინ იფიქრებდა თუ ღვთისმშობლის მაღლი ფარავდა,
თუ ამბოხებულ ოკეანეთ დააწყნარებდა“.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ქავთარაძის თარგმანი შესრულებულია ფაქიზი გემოვნებით და ინტერესით იკითხება:

„ცა დამიგდია გახლეჩილი ჭექა-ქუხილით,
სტრიქონებში შევვარდნილვარ, გადამილახავს,
მტრედთა გუნდივით მოშრიალე ნათელი დილის,
რაც მე მინახავს, სიზმარშიაც ვერავინ ნახავს“.

პოემა ჯერ კიდევ არ არის დაბეჭდილი მთლიანად. ბატონმა გიორგიმ მისი დაბეჭდვა ვერ მოასწრო. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. საჭირო არის ამ თარგმანის სრული ტექსტის გამოქვეყნება, რომ გავგზავნოთ რემბოს კულტურის ცენტრში.

ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ნესტან იორდანი-შვილმა ქართულად თარგმნა რემბოს „ევანგელური პროზა“. დაიბეჭდა იგი „ცისკრის“ 1977 წლის მეხუთე ნომერში. მანვე თარგმნა აგრეთვე სტეფან მალარმეს „არტურ რემბო“, რომელიც შევიდა წიგნში სტეფან მალარმე — „ლექსები და პროზა“.

თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელმა ნანა გუნცაძემ 1985 წლის 27 დეკემბერს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „ამბოხი, როგორც არტურ რემბოს შემოქმედების საფუძველი“. ოფიციალურმა ოპონენტებმა ნ. ყიასაშვილმა და ნ. მაჭავარიანმა ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს.

დისერტაციის დაცვამდე ჩვენი თხოვნით არტურ რემბოს კულტურის ცენ-

ტრის პრეზიდენტმა გამოაქვეყნა ნანა გუნცაძის ნაშრომი — „არტურ რემბოს პოეტური სამყარო“, რომელიც საფრანგეთში ძალიან მოეწონათ. სტატიას წამძღვარებული აქვს სარედაქციო კომენტარები, რომელშიც ნათქვამია: „აი, საინტერესო სტატია, რომელიც ჩვენ მივიღეთ პროფესორ ანდრე ლებონის არხებიდან. ჩვენ მადლობას მოვასხენებთ თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკს, ჩვენს კოლეგას, ნანა გუნცაძეს. ავტორმა 1973 წლის ქართული ჟურნალის „ცისკრის“ VII ნომერში გამოაქვეყნა გამოკვლევა „ამბოხებული პოეტი პოეტური ტრადიციების წინააღმდეგ.“

ტექსტი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ძალიან საინტერესოა. ახალი პოეტური სამყარო, რომელიც რემბომ შექმნა, არ ემორჩილება დროისა და სივრცის კანონებს. რემბო აინშტაინის მიმდევარი არ არის. იგი არის კოსმური პოეტი იმ თვალსაზრისით, რომ მან წაშალა ზღვარი პოეზიასა და მეტაფიზიკას შორის“ (იხ. ფრანგული ჟურნალი „რემბო ვივან“, 1982, NXXI).

უნდა აღინიშნოს, რომ ნანა გუნცაძემ დაგვიწერა კომპლექსური გამოკვლევა, რომელშიც მეცნიერულად დაასაბუთა, თუ რა როლს ასრულებდა ამბოხი არტურ რემბოს შემოქმედებაში, გვაჩვენა რემბოს შემოქმედების ახალი და საინტერესო ასპექტები მისივე პოეტური პროზის მასალაზე დაყრდნობით. ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს მრავალი საინტერესო მასალა ქართული, უცხოელი და რუსი მკვლევრების ნაშრომებიდან და ასაბუთებს თავის დებულებებს. მსგავსი ნაშრომი დღემდე არ დაწერილა, არც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში და არც რუსულში. განზრახულია აღნიშნული ნაშრომის გამოცემა.

არტურ რემბოს შემოქმედებით ამ ბოლო ხანებში დაინტერესდა კიდევ ერთი გამოჩენილი ქართველი პოეტი — ოთარ ჭელიძე. მან თარგმნა რემბოს „მთვრალი ხომალდი“. ეს არის რემბოს „მთვრალი ხომალდის“ მეხუთე ქართული თარგმანი. აღნიშნული თარგმანი ოთარ ჭელიძემ შეიტანა თავის წიგნში „სიცოცხლის ავგაროზი“, რომელიც გამოცა „მერანმა“ 1987 წელს.

ბატონ ოთარს შესანიშნავად უთარგმნია პოემა. ქართულ ლექსში შენარჩუნებულია ორიგინალის ჟღერადობა, რითმა და რიტმი. ორიგინალის აზრი გადმოცემულია სწორად.

აი როგორ ჟღერს მეხუთე სტროფი:

„მწვანე ღამე ვიხილე, მოქათქათე თოვლით,
კოცნა — ზეადმაველი ზღვის თვალთავან ნელა,
მიმოქცევა წარღვნის და გაღვიძება თრთოლით.
მაგლობელი ფოსფორის — ლურჯ ყვავილთა ელვა.
ვდიე მთელი თვეობით სისამაგლისმავარ
ისტერიულ ზედღვას — დამანგრეველს რიფთა:
მარიაშის ნათელი ფეხის ერთი დადგმა
შმაგ ზღვას თუ დააცხრობდა, არც მომსგლია ფიქრად“ (გვ. 151).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოთარ ჭელიძის წიგნი გავუგზავნეთ რემბოს კულტურის ცენტრის პრეზიდენტს, პროფ. ანდრე ლებონს. მას თან ერთვოდა მოკლე ფრანგული თარგმანი სათანადო კრიტიკული გარჩევით. პრეზიდენტს მოეწონა ეს თარგმანი და მადლობა უძღვნა მთარგმნელს.

არტურ რემბო გარდაიცვალა ქ. მარსელის საავადმყოფოში. საავადმყოფოს წიგნში ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „1891 წლის 10 ნოემბერს დილის 10 საათზე 37 წლის ასაკში გარდაიცვალა ნეგოციანტი — არტურ რემბო“.

რემბო იყო გენიოსი პოეტი. მას რომ დასცლოდა, კიდევ მრავალ შედეგს შექმნიდა, მაგრამ მან სამი წლის განმავლობაში მაინც ბევრი შედეგები შექმნა და მსოფლიო პოეზიაში აღიარება პოვა.

ქართული მწერლობა ვალშია რემბოს წინაშე. მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, ქართულ ენაზე კი — რამდენიმე ლექსი, რაც ქართველ მკითხველს არ აძლევს სრულ წარმოდგენას რემბოს პოეტურ სამყაროზე. ქართველმა პოეტებმა ერთი და იგივე ლექსი რამდენჯერმე თარგმნეს. მაგალითად, „მთვრალი ხომალდი“ თარგმნა ხუთმა ქართველმა პოეტმა — ჩვენი აზრით, საჭიროა რემბოს სხვა ლექსებიც ვთარგმნოთ და გამოვცეთ ცალკე წიგნად. ამ საპატიო ამოცანის შესრულება ევალება მწერალთა კავშირის მთარგმნელობით კოლეგიას და იმედია მას ღირსეულადაც გაართმევს თავს.

არტურ რემბოს გარდაცვალების 100 წლისთავს აღნიშნავს საზღვარგარეთის საზოგადოებრიობა და ჩვენც სათანადო პატივს მივაგებთ მას. მისი უკვდავი ლექსები გადაწვდება საუკუნეებს.

С. Э. ТУРНАВА

АРТЮР РЕМБО В ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

В грузинской литературе особое место занимает французская тема.

В работе рассмотрены вопросы грузино-французских литературных взаимосвязей в XX веке. Проанализированы грузинские переводы стихов великого французского поэта — Артюра Рембо, выполненные грузинскими поэтами XX века: П. Яшвили, М. Патаридзе, К. Надирадзе, Г. Кавтарадзе, Г. Гегечкори и О. Челидзе. Наглядно показано влияние французских символистов на творчество грузинских поэтов.

Отмечены высокий уровень переводов, точки соприкосновения сходных мотивов, своеобразно окрашивающие полотно стиха, развитие композиции; речевые средства выступают здесь в качестве важнейшего конструктивного элемента для воссоздания атмосферы творчества французского поэта Артюра Рембо.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა

ივანე იმერლიშვილი

უნგრული ლიტერატურის ჩასახვის ისტორიიდან

როგორც ცნობილია, მომთაბარე უნგრელმა ტომებმა, რომლებიც IX ს. ბოლოს დამკვიდრდნენ უნგრეთის დღევანდელ ტერიტორიაზე, შექმნეს მდიდარი ზეპირსიტყვიერება, წარმართული ლეგენდები, ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები. მრავალრიცხოვანი ხალხური თქმულებებიდან პოპულარულია თქმულებანი „მშვენიერ ირემზე“, „თეთრ ბედაურზე“, „ალმოშზე“ და სხვ. ეს ძველი უნგრული პოეზიის ნიმუშები გადამუშავებულია მომდევნო საუკუნეებში შექმნილ მატიანებსა და ქრონიკებში. ცნობილია ტოტემისტური მოთხრობები უნგრელთა წარმოშობის თაობაზე. ეს გადმოცემები წარმოქმნილია მატრიარქატის ეპოქაში ლათინურ ქრონიკებში. შემონახულია ძველი შრომითი და რიტუალური სიმღერები.

უნგრელი მწიგნობრები თავდაპირველად ლათინურ ენაზე წერდნენ. სახელმწიფოს შექმნამ, ქრისტიანობის მიღებამ და ფეოდალიზმის ფორმირებამ (XI ს.) ხელი შეუწყო მწიგნობრობის ჩასახვას ლათინურ ენაზე. ძველი, პრიმიტიული, წარმართული კულტურა თანდათან მივიწყებას მიეცა. ამ კულტურის კერებს თავდაპირველად სამონასტრო ცენტრები წარმოადგენდნენ. აქ აღმოცენდა პირველი სკოლები, გამოჩნდნენ კოდექსების შესანიშნავი გადამწერები, კალიგრაფები, განათლებული მწერლები.

უნგრეთის იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრება კარგად არის ასახული ისტორიულ ქრონიკებში, რომლებიც ძვირფას მასალას შეიცავენ უნგრული მწერლობის საწყისების შესაცნობად. ამ პერიოდის წერილობითი ძეგლებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა XI საუკუნის მეორე ნახევარში (და არა როგორც აღნიშნულია ქართული ენციკლოპედიის X ტომში („უნგრეთი“, XII, ლიტერატურა, რომ „უნგრელთა საქმენი“ 1200 წელს შეიქმნა, რაც არასწორად მიგვაჩნია) შექმნილი ქრონიკა (Gesta Hungarorum) „უნგრელთა საქმენი“, რამაც საფუძველი დაუდო შემდგომ კრებულთა შექმნას უნგრეთისა და უნგრელთა ისტორიაზე, რომლებზე მუშაობაც სხვადასხვა ავტორის მიერ XIV საუკუნის მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა. 1358 წელს იქმნება ე. წ. დასურათებული მატიანე, რომლის ავტორობა ლაიოშ I-ის (დიდის) (1342—1382) უამთადმწერელს და ისტორიკოსს მარკ კალტის (დაახლ. 1300—1358) მიეწერება. მან გააერთიანა და ქრონოლოგიური სიზუსტით ჩამოაყალიბა უნგრელთა ქრონიკა, რომელიც ამ სახით 1358 წლამდე არ არსებობდა. ლაიოშ I-ის მამის რობერტ კაროის (1308—1348) დროს მარკ კალტი იყო სამეფო კარის კაპელანი, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ქ. სიკეშფეპირვარის კანონიკად გვევლინება. მარკ კალტიმ განაახლა, გაასწორა და მწერლური ოსტატობით დახვეწა უნგრელთა ქრონიკა მეფე კალმანის (1095—1116) მმართველობის დროიდან 1280 წლამდე, ხოლო მომდევნო წლებში კი მეფე რობერტ კაროის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქაც დაუმატა.

1370 წელს მარკ კალტის მიერ შექმნილ მატიანეს ილუსტრაციები (136 ნინიატურა) დაურთო ლაიოშ I-ის სამეფო კარის მხატვარმა მიკლოშ მედეშიმ და ამიტომაც ეწოდება მას დასურათებული.

1374 წელს კი მატიანე საჩუქრად მიართვეს საფრანგეთის მეფე კარლ V-ს,

ენიდან მისმა ვაჟმა ორლენელმა ჰერცოგმა ჯვარი დაწერა ლაიოშ I-ის ქალიშვილზე — კატალინაზე.

XI საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ „უნგრელთა საქმენის“ ავტორად, უნგრული წყაროებით, მიჩნეულია უნგრეთის მეფის ენდრე I-ის (1046—1061) კარის ეპისკოპოსი მიკლოში, და არა ანონიმი ავტორი, როგორც ეს ქართულ ენციკლოპედიაშია მითითებული (იხ. ტ. X, „უნგრეთი“, XII, ლიტერატურა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XI საუკუნიდან უკვე თანდათან იქმნება მდიდარი საეკლესიო ლიტერატურა ლათინურ ენაზე. ცნობილია ლეგენდები და ჰიმნები წმინდანად შერაცხულ უნგრელ დიდგვაროვანთა, საეკლესიო პირთა და მეფეთა შესახებ, რომლებიც როგორც ზემოთ დასახელებულ საუკუნეში, ასევე მომდევნო საუკუნეებშიც იწერება და ჩნდება. გარდა რელიგიური შინა-არსისა, ამ ნაწარმოებებში საკმაოდ გამოკვეთილია რაინდული სულისკვეთებაც.

მატიასის (1458—1490) მეფობის დროს ჰუმანისტმა და თავისი დროის შესანიშნავმა ისტორიკოსმა იანოშ ტუროციმ (დაახლ. 1435—1490) შექმნა ახალი „უნგრელთა ქრონიკა“, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მან XIV საუკუნის მეორე ნახევარამდე დაწერილი „უნგრელთა საქმენის“ ცალკეული თავები შეასწორა და თავის შრომაში შეიტანა. 1488 წელს ქრონიკა სტამბური წესით გამოიცა. ტუროცი უნგრელების ნათესავ ზალხად ქართველებს მიიჩნევს, რომლებსაც სკვითებთან აიგივებს და უნგრელების წინარე სამშობლოდ სკვითიას ივლის. იგი საქართველოს ზღვისპირეთს (და არა მხოლოდ ტუროცი) სკვითიის ზღვისპირეთად მიიჩნევს (იხ. ლაიოშ ტარდი, კავკასიური უნგრული საზრუნო, ბუდაპეშტი, 1988, გვ. 92—94, უნგრულ ენაზე).

XI—XII საუკუნეების უნგრულ ენაზე შექმნილი ტექსტები ჩვენთვის უცნობია და არც არის შემონახული. ამ პერიოდის მხოლოდ ზოგიერთ დოკუმენტში თუ გვხვდება ცალკეული უნგრული სიტყვები და გამოთქმები. ამ სახის დოკუმენტებს მიეკუთვნება, მაგალითად, ტიპონის სააბატოს დაარსების სიგელი. სააბატოს კრიპტეში დაკრძალულია ენდრე I. მან 1055 წელს დააარსა ტიპონის სააბატო. სააბატოს დაარსების სამეფო სიგელი შედგენილია ეპისკოპოს მიკლოშის მიერ ლათინურ ენაზე, რომელშიც დაახლოებით 100 უნგრული სიტყვა გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის სამეფოს ოფიციალურ ენად XVI საუკუნემდე მიჩნეული იყო ლათინური ენა, ეროვნულ ენაზე, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იქმნებოდა თარგმნილი თუ ორიგინალური ლიტერატურული ძეგლები. უნგრელი ისტორიკოსების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ უნგრეთის მეფე ბელა III-ის (1172—1196) მმართველობის დროს ბერძნულიდან უნგრულ ენაზე ითარგმნა ბიზანტიური რომანი „ალექსანდრია“, ხოლო რომანი ტროელთა ომის შესახებ თარგმნილ იქნა ლათინური ორიგინალიდან XIII საუკუნის დასაწყისში. ამ თარგმანთა ტექსტები დაკარგულად ითვლება. უნგრულ ენაზე შექმნილი ცნობილი ტექსტებიდან შემონახულია ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლის პირველი მთლიანი ტექსტი — „საფლაზე წარმოთქმული სიტყვა“, ლათინური ლოცვა თარგმნილი უნგრულ ენაზე 1192—1203 წლებში უნგრელი მღვდლის მიერ, რომლის სახელიც უცნობია და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს. პირველი უნგრული საეკლესიო ლექსი „მარიაშის ძველუნგრული მოთქმა“ ეროვნულ ენაზე 1300 წელს შეიქმნა. ეს ნაწარმოები თუმცა რელიგიური პოეტური ქმნილებაა, მაგრამ მასში ნათლად იგრძნობა საერო ლიტერატურის განწყობილება და ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენა. XIV საუკუნიდან შემონახულია უნგრულ ენაზე გადმოთარგმნილი ლეგენდები და ცხოვრებანი. საინტერესოა XIII—XIV საუკუნეებში შექმნილი ლათინურ-უნგრული მინიატურული ლექსიკონები.

XIII—XIV საუკუნეებში ლათინურ ენაზე იქმნებოდა უნგრელ წმინდანთა ცხოვრებანი, მათ სახელთან დაკავშირებული ჰიმნები და ლეგენდები. ამავე პერიოდში ლათინურიდან თარგმნის მეშვეობით უნგრულ ენაზე შეიქმნა პირველი წერილობითი ლიტერატურული ძეგლები. XV საუკუნეში ჰუსიტთა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა უნგრული რენესანსის განვითარებაზე. დაახლოებით 1430 წელს ჰუსიტმა მქადაგებლებმა ტომაშმა და ბალინტმა უნგრულად თარგმნეს ბიბლია. თარგმნიდნენ ბენედიქტელთა და ფრანცისკელთა მონასტრებში, რომლებიც ქრისტიანული კულტურის კერებად იქცნენ. ლიტერატურა ძირითადად მაინც ლათინურ ენაზე ვითარდებოდა.

მატიაშის (1458—1490) მეფობის ხანაში, ცნობილია პოეტი და ჰუმანისტი იანუს პანონიუსი (იანოზ ჩეზმიცი — 1434—1472). იგი ლათინურ ენაზე წერდა. დიდი აღიარება ჰქონდა მის ეპიგრამებს. იგი პირველი დიდი უნგრული ლირიკოსია.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები, ჩნდება ორიგინალური სიმღერები უნგრულ ენაზე; ისინი იმდროინდელი მკვლევნებისადმი არიან მიძღვნილი.

უნგრელი ერის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეფორმაციამ; დასაბამი მიეცა წიგნის ბეჭდვას მშობლიურ ენაზე. პირველი სტამბა სადაც წიგნები უნგრულ ენაზე იბეჭდებოდა დაარსებულ იქნა შარგარში 1537 წელს. სწორედ აქ დაიბეჭდა პირველი წიგნი 1539 წელს. ეს იყო ახალი აღთქმის თარგმანი, რომელიც შესრულებულ იქნა ნიდერლანდელი ჰუმანისტის, თეოლოგის, ფილოსოფოსის, მწერლისა და მთარგმნელის გერჰარდ გერჰარდისის — იგივე ერაზმ როტერდამელის (1466—1536) — კრიტიკული ტექსტის საფუძველზე. თარგმანი მოამზადა იანოზ სილვესტრმა. ბიბლიის ახალი სრულყოფილი თარგმანი 1590 წელს განახორციელა გაშპარ კაროი (1530—1591). უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის ამ თარგმანმა გარკვეული როლი ითამაშა ერთიანი უნგრული ენის ჩამოყალიბებაში. განვითარდა ეროვნული დრამატურგია, რომელმაც ხელი შეუწყო უნგრული ენის ფორმირებას.

იმდროინდელი გამოჩენილი მწერლები არიან აგრეთვე: გაშპარ ჰელტაი (1490—1574) (გადაამუშავა ეპოპეს არაქები და შექმნა უნგრული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები), იანოზ სილვესტრი (შექმნა პირველი უნგრული გრამატიკა). ჰელტაი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც შეეცადა ჩამოყალიბებული სახით გადმოეცა უნგრეთის ისტორია უნგრულ ენაზე, რაც იგრძნობა კიდევ მისი სიკვდილის მერე გამოცემულ შრომაში „უნგრელთა საქმენი“.

აქვე გვინდა კიდევ ერთხელ შევნიშნოთ, რომ XVI საუკუნიდან უნგრული მწერლობა უკვე სულ მთლად მშობლიურ ენაზე ვითარდება. ამ ეპოქის უდიდესი პოეტი ბალინტ ბალაში (1554—1594). უნგრეთის აღორძინების პერიოდის ცნობილი პოეტის ბ. ბალაშის ლირიკული შედეგები ჰუმანიზმის იდეებით იყო განმსჭვალული.

XVII საუკუნის ლიტერატურაში დამკვიდრდა ბაროკოს სტილი, რომლის ფუძემდებელი იყო ესტერგომის არქიეპისკოპოსი პ. პაშმანი (1570—1637), ზოლო მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი — პოეტი მ. ზრინი (1620—1664). ანტიჰაბსბურგულმა აჯანყებამ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დიდი ბიძგი მისცა ზეპირსიტყვიერების განვითარებას. საერთოდ, მე-17 და მე-18 საუკუნეებში უნგრულმა ლიტერატურამ მოგვცა მთელი წყება შესანიშნავი მწერლებისა, რომლებმაც მაღალ საფეხურზე აიყვანეს უნგრული ლიტერატურა ენა.

XVIII საუკუნეში ქვეყნდება უნგრული ლექსიკონები, გრამატიკები, ნაშრომები უნგრული და ფინური ენების ნათესაობის საკითხებზე... განსაკუთრებით საყურადღებოა მიკლოშ რევაის (1749—1807) გამოკვლევები. იგი ითვლება უნგრული ენათმეცნიერების ისტორიის მამამთავრად.

უნგრული ლიტერატურის ისტორიაში უკვალოდ არ ჩაუვლია განმანათლებლობას (XVIII საუკუნის ბოლო — XIX საუკუნის დასაწყისი), რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია კლასიციისტი მწერალი ძ. ბეშენიეი (1747—1811). მომდევნო თაობის წარმომადგენლებმა ი. ბაჩანიმ (1763—1845), ფ. კაზინციმ (1759—1831) და სხვ. თავიანთ შემოქმედებაში ფართო პროპაგანდა გაუწიეს იაკობინელთა იდეებს.

XIX საუკუნის 40-იან წლებში იოჟეფ კოტონას (1791—1830) ისტორიულმა დრამამ „ბანკბანი“ ხელი შეუწყო უნგრული დრამატურგიის შემდგომ განვითარებას. ამ პერიოდში დამკვიდრდა რომანტიზმიც (იშტვან სეჩენი (1791—1860), კაროი კიშფალუდი (1788—1830) და სხვ.) ისტორიული რომანისა და კრიტიკული რეალიზმის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი იოჟეფ ნოვოცი (1813—1871: ცნობილი მწერალი, განმანათლებელი, სახელმწიფო მოღვაწე) შემოქმედებამ. უნგრულმა ლიტერატურამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია პოეტ-რევოლუციონერის შ. პეტეფის პოეზიაში.

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი მწერლები იყვნენ: ე. ჰელტაი, შ. ბროდი, ზ. ამბრუში, ზ. ტური, ე. ბენედეკი, კ. პაპი, ლ. ორონი, გ. გარდონი, ფ. მოლნარი და სხვ. ორიოდე სიტყვით გვინდა აქვე დავძინოთ, რომ თანადროული უნგრული ლიტერატურა ცდილობს არ დაკარგოს საკუთარი ტრადიციები, შეინარჩუნოს ის თავისებურება, ინდივიდუალობა, რომლებიც მას განასხვავებენ სხვა ლიტერატურებისაგან. შეინარჩუნოს იმგვარად, რომ მისი ეროვნული ხასიათი ჯებირად არ იქცეს, თავისებურად ამდიდრებდეს მთელ კაცობრიობას, იყოს უცხოც და თავისიც, ახალიც და ძველიც, ტრადიციულიც და თანადროულიც, თანადროულიც და კლასიკურიც. აი, სწორედ ასეთი სინთეზისკენ მისწრაფება არის დამახასიათებელი უნგრელი მწერლებისთვის.

საინტერესოა, რომ მათიაშ მეფის კანცლერი, ესტერგომის არქიეპისკოპოსი, კარდინალი იანოშ ვიტეზი (დაახლ. 1408—1472) ცდილობდა დაემყარებინა მკვიდრო კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა საქართველოსთან, მაგრამ მისი ეს ჩანაფიქრი მაშინ განუხორციელებელი დარჩა: იგი უნგრულ და ქართველ მეფეთა მცდელობით მომდევნო საუკუნეებში დაგვირგვინდა კეთილად.

დღეს ორი ერის — უნგრელებისა და ქართველების მრავალი ლიტერატურული ნაწარმოებია თარგმნილი ერთმანეთის ენებზე. უნგრეთთან კარგა ხანია დამყარებულია მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობა.

И. Б. ИМЕРЛИШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ЗАРОЖДЕНИЯ ВЕНГЕРСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Резюме

Рассмотрена история возникновения и развития латиноязычной литературы Венгрии, поскольку до второй половины XVI века большинство литературных памятников в самом деле писались на латинском и немецком языках. На венгерском языке появлялись лишь только переводы произведений с упомянутых языков, а также с итальянского и французского. Самый старый из известных текстов на венгер-

ском языке — «Надгробная речь», перевод латинской молитвы, осуществленный в XII веке, очевидно, каким-то местным священником, установление личности которого является дальнейшим предметом исследования. Этот текст считается первым письменным памятником на оригинальном языке.

В работе также показан путь становления венгерской литературы, которая вплоть до 70-х годов XVIII века и даже до конца XIX века была очень бедна оригинальными произведениями, и говорится, что формирование венгерского литературного языка началось только с XIX века.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ემიგრანტული მწერლობის
განყოფილება

წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტმა

თ ე ნ ზ ი უ კ ა მ ე ლ ა ვ ა

ს პ ა რ ს უ ლ ი ნ ო ვ ე ლ ის მ ი კ ვ ლ ე

(ს ე ი დ მ ო ჰ ა მ ა დ ა ლ ი ჯ ა მ ა ლ ზ ა დ ე ს და ბ ა დ ე ბ ის 100 წ ლ ის თ ა ვ ის გ ა მ ო)

თანამედროვე ირანის მხატვრული პროზის თავფურცელი მჭიდროდაა დაკავშირებული სპარსული ნოველისტიკის მამამთავრის მირზა სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადეს სახელთან [3—8].

საუკუნეების მანძილზე ლიტერატურული შემოქმედების ძირითად ფონს ირანში პოეზია წარმოადგენდა. პროზა პოეზიას საგრძნობლად ჩამორჩებოდა, მისი სამოქმედო ასპარეზი შეზღუდული იყო.

სხვადასხვა ისტორიული მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თავისებური პირობებით უნდა აიხსნას პოეზიისა და პროზის ურთიერთმიმართების საკითხები სპარსულ ლიტერატურაში.

სპარსული პროზა ადრეულ ეტაპზე წარმოდგენილია იუმორესკით, ყოფითი ანეკდოტით, მოთხრობით, რომლის მასაზრდოებელი წყაროებია ზეპირი ტრადიციები და მატინეების ადრეული წერილობითი ნიმუშები. პროზაულ ქმნილებებს შემდგომ იყენებდნენ ისტორიული ქრონიკებისა და კრებულების შედგენისას, ამიტომაც მათ ცალკეულ ნაწილებს ისტორიული ბელეტრისტიკის დადი აზის, აღმოსავლური ნოველისტიკა ჯერ კიდევ სასაწიური ირანის ქალაქური გარემოსათვისაა დამახასიათებელი.

სპარსული მოთხრობის სათავეებთან დგანან თხრობითი ლიტერატურის ასეთი მცირე ფორმის ქმნილებები როგორცაა: ლატიფე, ჰეჰაიათი, მაყამა. კლასიკური პერიოდის სპარსულ ლიტერატურაში ფართოდაა წარმოდგენილი სამეცნიერო პროზა. ისტორიული ანალების, სხვადასხვა ტრაქტატების, მოგზაურობათა აღწერებისა და ბიოგრაფიების სახით.

ჩვენამდე მოღწეული სპარსულ ენაზე შექმნილი მრავალრიცხოვანი პოეტიკის, ფილოსოფიის, გეოგრაფიის ტრაქტატები (რისალები), ლიტერატურული მიმოხილვები (თეზქერეები), ანთოლოგიები მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის მიჯნაზე დგანან. მათ ხელი შეუწყვეს არა მარტო აღმოსავლური აზროვნებისა და კულტურის, არამედ, რაც მთავარია, სპარსული მხატვრული პროზის, კერძოდ მოთხრობის, ჩამოყალიბებასა და განვითარებას. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე პროზა სპარსულ ლიტერატურაში წარმოდგენილია დიდაქტიკური მოთხრობებით. ისტორიული და ფანტასტიკური ნაწარმოებებით, აგრეთვე ზღაპრებით. ამ სახის ლიტერატურას დღესაც ფართო გასავალი აქვს და მას გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სპარსული პროზის ჟანრების ჩამოყალიბებაში. XIX საუკუნის ოციან წლებში ირანში მოგვარდა წიგნის ბეჭდვის საქმე, სულ მალე გაჩნდა ეროვნული პერიოდული პრესა. საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შეცვლილ ვითარებაში სწორედ პროზა იქცა ბრძოლის იარაღად. ეროვნული პრესის ფურცლებზე შემუშავდა ის მარტივი, სასაუბრო, ხალხური გამოთქმებით მდიდარი ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენა თანამედროვე ირანული პროზაიკოსების უფროსმა თაობამ.

სამართლიანად მიგვაჩნია გამოჩენილი ირანელი მკვლევრის ფარეზ ნათელ ხანლარის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სპარსული მხატვრული პროზის ჩამოყალიბება იწყება მე-19 საუკუნის ბოლოდან. ამ დროს ირანელი მწერლები

დიდ ინტერესს ამჟღავნებენ მემუარული ლიტერატურისადმი, მოგზაურობის ქანრისადმი — „საფარ-ნამე“ („მოგზაურობის დღიური“) [9], ამასთანავე წერენ წითხრობებს, რომანებს, რომლებშიც აისახა თანადროული ირანის სინამდვილის ესა თუ ის მხარე.

XIX საუკუნის ბოლო — XX საუკუნის დასაწყისი ახალი ეტაპია სპარსული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი მხატვრული პროზის, განვითარების ისტორიაში. ამ დროს ლიტერატურაში მომძლავრდა მამხილებელ-განმანათლებლური მიმართულება, რომელმაც ხელი შეუწყო კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების პროცესს.

თვისებრივად ახალ მოვლენას პროზის განვითარებაში წარმოადგენდნენ დეჰხოდას სატირული მოთხრობები, რომლებიც ქვეყნდებოდა ჟურნალში „ისრაფილის საყვირი“, ამ ყოველკვირიული ჟურნალის რედაქტორი და გამომცემელი იყო მირზა ალი აქბარ-ხან დეჰხოდა (1880—1956), შემდეგში გამოჩენილი სწავლული, საყოველთაოდ აღიარებული დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონის ავტორი. მისი ფელეტონები და პამფლეტები იზიდავს მკითხველს როგორც აქტუალური თემატიკით, ასევე კომპოზიციური ფორმების მრავალფეროვნებით. მწერალი მცირე პროზაულ ფორმებს სხვადასხვა ლიტერატურულ-მხატვრული ხერხის გამოყენებით გვთავაზობს, კერძოდ: თვითმხილველთა ნაამბობი, მკითხველთა წერილები ან პასუხი მათ შეკითხვებზე.

დეჰხოდას სატირული ქმნილებები წინ გადადგმული ნაბიჯია სპარსული მხატვრული პროზის განვითარების გზაზე, მაგრამ მასში ჭარბობს ნარკვევის ელემენტები და ეს არ არის ახალი ტიპის მოთხრობა.

ნოველა, თანამედროვე გაგებით, სპარსულ ლიტერატურაში როგორც ეროვნული მოვლენა, შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და მასზე მსჯელობა მხოლოდ უახლესი დროის ლიტერატურასთანაა დაკავშირებული.

XX საუკუნიდან მოყოლებული არსებითი ძვრები ხდება ირანის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კაპიტალიზმის მომძლავრებამ, რევოლუციის შედეგად აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა ტალღამ, რომელმაც მთელ აღმოსავლეთზე და მათ შორის ირანზეც გადაიარა, ღრმა კვალი გაავლო ირანის სინამდვილეში, სახე უცვალა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებასაც. ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის პოლიტიკური აქტიურობის ზრდამ, ეროვნული და საზოგადოებრივი თვითშეგნების გამოღვიძებამ ახალი გზა გაუხსნა სპარსულ მწერლობას. არსებულმა სინამდვილემ, თვით ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ეპოქის გამომხატველი მოწინავე, პროგრესული აზრების, იდეების სორცესხმა. სპარსულ ლიტერატურაში ფართო გასაქანი მიეცა ახალი ქანრების, სახელდობრ — დრამის, ნოველის, რომანის განვითარების საქმეს. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ყველაზე უფრო მობილური და ოპერატიული ქანრი — ნოველა [23].

სპარსულ მწერლობაში ნოველა, რომანი, როგორც სრულფასოვანი ქანრები, ე. ი. იმ გაგებით, როგორც დღესდღეობით გვესმის, არსებობას მეოცე საუკუნიდან იწყებს. აღნიშნული ქანრების ჩამოყალიბება ხდება ირანის თანამედროვე ლიტერატურაში, მაგრამ ისინი, რასაკვირველია, ციდან არ ჩამოვარდნილან. მათი სათავე იმ მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაშია საძიებელი, რომლებიც წინაპრებმა დაუტოვეს. განსაკუთრებული გულისყურით უნდა იქნეს შესწავლილი ის ისტორიული ტრადიციები, რომელიც გააჩნია თანამედროვე სპარსულ მხატვრულ პროზას, რა მიმართებაშია იგი კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან [24].

ნებისმიერი ლიტერატურული მოვლენა მშობლიურ ნიადაგზეა დამკვიდრებული და აღმოცენებული. მის მასაზრდოებელ წყაროს უპირველეს ყოვლისა ეროვნული ტრადიციები წარმოადგენენ. ამ მხრივ, რასაკვირველია, არც ნოველის ჟანრია გამონაკლისი. ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ ლიტერატურათმცოდნეებს, რომლებიც ნოველის ჟანრის წარმოშობას სპარსულ ლიტერატურაში ევროპული ლიტერატურის ზეგავლენით ხსნიან. ეს არ არის არსებითი და წარმართველი ფაქტორი. თუკი სპარსული ნოველის განვითარებისათვის უცხო ქვეყნების ლიტერატურის მნიშვნელობაზე ვმსჯელობთ, შეიძლება ლაზარაკი იყოს ზოგად ზეგავლენაზე, რამაც ხელი შეუწყო სპარსული ნოველისტიების ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეს. ისე კი უცხოური ნოველისტიკის საუკეთესო ქმნილებების გაცნობის გზით სპარსელი ნოველისტები უკეთ ეუფლებიან ხსენებული ჟანრის მხატვრულ-კომპოზიციურ კანონებს და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ამიტომაც უცხოური ნოველისტიკის ნიმუშების პირველი მთარგმნელები იყვნენ სწორედ ისეთი გამოჩენილი სპარსელი ნოველისტები, როგორცაა ჯამალზადე, სადეყ ჰედაიათი, ბოზორგ ალავი და სხვები. ამ ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების შემოქმედებითი გაცნობა მათთვის დაოსტატების სკოლად იქცა.

თანამედროვე სპარსული მხატვრული პროზის მთავარი მიღწევა მოთხრობის ჟანრზე მოდის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 60-იანი წლებიდან მოყოლებული იგრძნობა რომანის აღზევება.

სინამდვილის მნიშვნელოვანი პრობლემებისა და მოვლენის ახსნისას ჟანრის მოცულობა, ე. ი. სიდიდე ან სიმცირე, არ უნდა მივიჩნიოთ მისი მასშტაბურობის საზომად და ამდენად მოთხრობაც ფართოპლანიანი ნაწარმოების, რომანის დარად უნდა იქცეს სპეციალური კვლევის საგნად. მით უმეტეს, რომ თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში მეტად პოპულარულია მცირე პროზაული ჟანრები — მოთხრობა და განსაკუთრებით თამამად გაიკვალა გზა მისმა ერთმა ნაირსახეობამ, ნოველამ. ამიტომაც საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სპარსული მხატვრული პროზა და მას გულდასმით იკვლივენ ამჟამად უკვე მყარ მეცნიერულ საფუძველზე მდგარი ირანის ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენლები [10—13], აგრეთვე უცხოელი ირანისტებიც [14—17].

წამყვანი ადგილი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში მხატვრულ პროზას მოუპოვა ხალხის ცხოვრებასთან დაახლოებამ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სპარსულ მოთხრობასა და რომანში საგრძნობლად იძალა ინტერესმა თანადროულობის აქტუალურ თემატიკისადმი, ირანის სინამდვილის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისადმი.

სპარსულ ლიტერატურაში ორი მწერალია, რომლებმაც ნოველა მსოფლიო სტანდარტების დონეზე აიყვანეს. ესენია სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადე და სადეყ ჰედაიათი. წელს სრულდება ასი წლისთავი სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადეს დაბადებიდან. მისი ცხოვრება და შემოქმედება უახლესი სპარსული ლიტერატურის მთელ ისტორიას სწვდება.

სპარსული მხატვრული პროზის ერთ-ერთი მესაძირკვლის, ჯამალზადეს ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ყველა ანთოლოგიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ჯამალზადეს ნოველა. მისი მხატვრული ქმნილებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც.

ჯამალზადე ერთადერთი წარმომადგენელია თანამედროვე სპარსული მწერლობისა, რომლის შემოქმედებას ჩვენში ჯერ კიდევ 30-იან წლებში გაეცნენ.

ეს დამსახურებაა ქართველი ირანისტის მაკარ ხუბუასი, რომელმაც დაიწყო ჯამალზადეს შემოქმედების შესწავლა²¹. მან ქართველ მკითხველს გააცნო ჯამალზადეს შემოქმედების ორი ნიმუში: „ბილე დიქ ბილე ჩოლონდორ“ („როგორც ქვაბი, ისეთი ჭარხალი“) და „რაჯულე სიასი“ („საზოგადო მოღვაწე“). 1935 წელს უტრნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მათი ქართული თარგმანი [22]. ამათგან პირველი ნოველის თარგმანი კვლავ დაბეჭდა „არმაღანის“ პირველ წიგნში, 1965 წელს, სათაურით „თანამედრობის კაცი“. არ ვაპირებთ ამ ნოველის ქართული თარგმანის ღირსება-ნაკლზე ლაპარაკს, ხოლო რაც შეეხება სათაურს, ვფიქრობთ, რომ აჯობებდა ყოფილიყო ასე: „როგორც ბერიო, ისეთი ერიო“. ასევე 30-იან წლებში გააცნო რუს მკითხველს ჯამალზადეს ნოველები ცნობილმა ირანისტმა ბ. ზახოდერმა [18]. ჯამალზადეს შემოქმედებისადმი ინტერესი არც შემდგომ განელებულა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის წვლილი, რომელიც შეიტანა მოსკოველმა ირანისტმა, წარმოშობით სპარსელმა, ჯაჰანგირ დორიმ ჯამალზადეს შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში [19—20].

ჯამალზადეს ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ მდიდარია. მის კალამს ეკუთვნის სამასზე მეტი ლიტერატურული, ლინგვისტური თუ პუბლიცისტური ხასიათის წიგნი და სტატია, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული თარგმანები, პიესები, მრავალი მოთხრობა და ნოველა.

ჯამალზადემ თავის ცხოვრების დიდი ნაწილი სამშობლოს გარეთ გაატარა, მაგრამ მშობლიური ქვეყნის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი არ ყოფილა, გულისყური არ მოუკლია ირანში მომხდარი პოლიტიკური, სოციალური ცვლილებებისათვის და ლიტერატურული ცხოვრების პროცესშიც ჩართული იყო.

ჯამალზადე აქტიურად თანამშრომლობდა ლიტერატურულ უტრნალებში „სოხან“ და „სადაფ“, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში „კრიტიკა“, „წიგნების მიმოხილვა“, ირან-საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ ურთიერთობათა ორგანოში „ახალი მოამბე“.

ირანის პერიოდულ გამოცემებში დასტამბულია ჯამალზადეს მრავალრიცხოვანი წერილები სპარსული კლასიკური ლიტერატურის კარდინალურ საკითხებზე (დიდ ყურადღებას უთმობს ფირდოუსის, საადის, რუმის, ზაიამის შენოქმედების კვლევას), ირანის ხელოვნების, ფოლკლორის, ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებზე. იგი იხილავს თანამედროვე სპარსელი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებას, მონაწილეობს სხვადასხვა დისკუსიებში. ეწევა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას.

ჯამალზადემ თარგმნა ფ. შილერის პიესები „ვილჰელმ ტელი“ და „დონ კარლოსი“, მოლიერის „ძუნწი“, ა. ფრანსის, ო. უაილდის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის მოთხრობები; 1969 წ. ცალკე წიგნად გამოსცა თეირანში ჯეიმს მორიერის „ჰაჯიბაბა ისპაჰანელის“ სპარსული თარგმანი, რომელსაც ვრცელი კომენტარები დაურთო.

მას გამოქვეყნებული აქვს შრომები, მიძღვნილი თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისადმი: „მხატვრული თარგმანის თავისებურებანი“ („წიგნების მიმოხილვა“, თეირანი, 1960, № 2), „შენიშვნები მხატვრული თარგმანის ოსტატობაზე“, (თეირანი, 1961), „თარგმნითი მოღვაწეობა და უნივერსიტეტი“ („წიგნების მიმოხილვა“, თეირანი, 1962, № 4—5) და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯამალზადეს მოღვაწეობის ერთი მნიშვნელოვანი მხარე, კერძოდ ის, რომ მან სპარსულ სალიტერატურო ენაში ფართოდ გაუხსნა გზა ცოცხალი მეტყველების ნაკადს. ამ მხრივ თანამედროვე სპარსულ ლიტერატურას ჯამალზადე ახალი ეტაპის შემქმნელად მოეგონა. სპარსელი მწერლის აზრით, რომელიც გამოთქვა ნაშრომში „ხალხური მეტ-

ჟველება“ (დაისტამბა თეირანში, ჟურნალში „ირანის კულტურა“, 1963, № 1), ხალხის სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოება სალიტერატურო ენის განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

ჯამალზადეს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: „სპარსული ენის განვითარების ოთხი პერიოდი“ (ბერლინი, „ქავე“, 1920, № 1, სპარსულ ენაზე), „სპარსული მართლწერა“. (ჟურნალი „მეცნიერება და ხელოვნება“, 1928, № 5—6, სპარსულ ენაზე), „თანამედროვე სპარსული ენის მართლწერის წესები“ (ჟურნალი „სოხან“, თეირანი, 1959, № 6), „სალაპარაკო სპარსული ენა“ („წიგნების მიმოხილვა“, 1969, № 5).

ლექსიკოლოგიით ჯამალზადე ახალგაზრდობაშივე დაინტერესდა და არც შემდგომ შეუწყვეტია მუშაობა ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ფასეულია ჯამალზადეს ფუნდამენტური გამოკვლევა, განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ირანში დაისტამბა [6]. სპარსული იდიომებისა და ხალხური სიტყვიერების ეს ლექსიკონი უმდიდრეს მასალას შეიცავს (481 გვერდი). მასში ავტორის რამდენიმე ათეული წლის მუშაობაა შეჯამებული. განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელმა ჯამალზადემ იმ სიტყვების დაწერილობის სხვადასხვა ვარიანტი მიაწოდა მკითხველს, რომელთა ორთოგრაფია შემორჩენილი არ არის. უმეტეს წილად ახსნილია მათი ეტიმოლოგია, ნაჩვენებია მათი წარმომავლობის გზა. სეიდ მოჰამედ ალი ჯამალზადეს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით გამოჩნეულია ნოველისტიკა, რომელიც მრავალი პარამეტრით აკმაყოფილებს ამ ჟანრისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

სპარსული ლიტერატურის ისტორიაში ჯამალზადე შევიდა როგორც მხატვრული პროზის, კერძოდ ნოველისტიკის, ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ნოველის ჟანრის დამკვიდრება და განვითარება სპარსულ ლიტერატურაში.

ძნელია სეიდ მოჰამედ ალი ჯამალზადეს ღრმა შინაარსიანი ცხოვრების გზისა და მისი მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ წერილში ვადმოცემა. ამიტომაც ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ძირითად მომენტებზე.

სეიდ მოჰამედ ალი ჯამალზადე დაიბადა 1892 წელს ისპაჰანში და როგორც ამ ქალაქის ჭეშმარიტ მკვიდრს ჭარბად აქვს მომადლებული იუმორის გრძნობა. ავტობიოგრაფიაში ჯამალზადე მისთვის ჩვეული იუმორით წერს: „მასხენდება ბარჯ ტვენის მოთხრობა „სიამის ტყუპები“... საოჯახო ყურანზე, რომელსაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები, წერია: 1892 წელს დავბადებულვარ. ნაწერი მამაჩემის ხელს ჰგავს, მაგრამ ეჭვი მეპარება. ერთი სიტყვით, ალაჰმა უწყის როდის დავიბადე“. მწერლის დედა ძველი არისტოკრატიული ოჯახის შთამომავალია. მამის მხრივ სასულიერო წოდებას განეკუთვნება. მისი მამა-პაპა ისპაჰანის გუბერნატორები იყვნენ. პაპა — ლიბანელი სეიდი ჯებალის ტომიდან. ბიძა — ისმაილ სადრი — წმინდა საფლავების სახელგანთქმული ულემი იყო. მისი ნათესაობა სადრის გვარს ატარებს, როგორც ირანში, ისე ერაყში ფართოდაა ცნობილი.

მწერლის მამა სეიდ ჯამალ ად დინი ირანში საკმაოდ გახმაურებული პიროვნება იყო; საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მჭევრმეტყველების ნიჭით უზეად დაჯილდოებული, სახელგანთქმული ვაეზი — მუსლიმანთა მქადაგებელი სეიდ ჯამალი, რომელსაც „ჭეშმარიტების მძებნელთა ნოთავეს“ უწოდებდნენ; ერთგულად ემსახურებოდა ირანის კონსტიტუციის შექმნის საქმეს.

სეიდ ჯამალი თანაავტორია გახმაურებული ტრაქტატისა — „გრძნეული სიზმარი“, რომელშიც გამათრახებულია ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელთა და შეიხების უზნეობა. ეს მწვავე პოლიტიკური პამფლეტი ირანის საელჩოს თანამშრომელმა პეტერბურგში დაასტამბინა 1903 წელს და გაუგზავნა ირანში შაჰსა და მთავრობას.

ხელისუფალთაგან შევიწროებულ სეიდ ჯამალს ხშირად უხდებოდა ადგილსამყოფლის გამოცვლა. არც მის ოჯახს ჰქონდა დალხინებული ცხოვრება. 1905 წელს მოახერხეს თეირანში დაფუძნება. სეიდ ჯამალი რევოლუციურ მოვლენათა შუაგულში აღმოჩნდა. მისი ქადაგებანი, რომელსაც ურიცხვი მსმენელი ჰყავდა, შაჰისა და მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1908 წელს სეიდ ჯამალი ბორუჯერდის ციხეში ჩასვეს და იქვე შაჰის ბრძანებით მოუსწრაფეს სიცოცხლე. სიკვდილის შემდეგ მისი საუკეთესო ქადაგებანი შეკრიბეს და გამოსცეს „ალ ჯამალის“ სახელწოდებით. ბორუჯერდში მის საფლავზე მადლიერმა თანამემამულეებმა თაღოვანი აკლდამა ააგეს. წმინდა ადგილადაა მიჩნეული და მნახველები არ აკლია. ციხიდან გამოგზავნილ უკანასკნელ წერილში სეიდ ჯამალი თხოვდა ვაჟს, მომავალ მწერალს, გაეგრძელებინა მის მიერ დაწყებული საქმე. ეს ბარათი გამოქვეყნდა გაზეთ „ჰაბლ ოლ მატინში“, რომელიც სპარსულ ენაზე გამოდიოდა ქ. კალკუტაში.

ჯამალზადეს მძიმე და უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა. დაწყებითი განათლება მშობლიურ ირანში მიიღო, ხოლო საშუალო და უმაღლესი განათლება უცხოეთში. დაპატიმრების წინ მამამ მოახერხა ჯამალზადეს სასწავლებლად გაგზავნა ლიბანში, ბეირუთის ფრანგულ კოლეჯში. აქ იჩინა თავი ჯამალზადეს ლიტერატურულმა ნიჭმა, წერდა ლექსებს ფრანგულ ენაზე სამოსწავლო გაზეთისათვის. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ჯამალზადე ევროპაში გაემგზავრა. სწავლობდა შვეიცარიასა და საფრანგეთში. 1914 წელს დაამთავრა დიჟონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მოიპოვა სამართლის დოქტორის წოდება.

1915 წელს ჯამალზადე ბერლინში ჩავიდა. დაუკავშირდა ირანელ ემიგრანტებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა. მათი დავალებით ახალგაზრდა ჯამალზადემ იმოგზაურა ბალდაღში, ჯერმანშაჰში, ქურთისტანში, კერძოდ ფაშქუჰისა და ფიშქუჰის პროვინციებში. ბალდაღში ყოფნისას იგი თანამშრომლობდა გაზეთში „აღორძინება“. ჩრდილო-დასავლეთ ირანში ფარულად ჩასული ჯამალზადე შეეცადა ქურთებისა და ლურებისაგან შეექმნა მემამოხეთა რაზმი. როცა მეფის ჯარმა ქურთისტანი დაიპყრო, ჯამალზადემ ძლივს გაასწრო სტამბოლში და იქ გაზეთში — „აღმოსავლეთი“ აქვეყნებდა პოლიტიკური ხასიათის სტატიებს.

1916 წლის გაზაფხულზე ჯამალზადე ბერლინში ბრუნდება. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა ჟურნალში „ქავე“, რომელსაც 20-იან წლებში სპარსულ ენაზე უშვებდნენ ირანელი პოლიტიკური ემიგრანტები ჰასან თაყიზადე და მოჰამად ყაზვინი. ამ ყოველდღიურ პერიოდულ გამოცემაში თანამშრომლობდნენ ირანის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, შემდგომში სახელმწიფო მემკვიდრეები: ყაზემ ზადე ირანშაჰრი, ლანიზადე, იბრაჰიმ ფურ დაუდი, რეზა თარბიათი. ჟურნალ „ქავე“-ში გამოქვეყნებული მათი ლიტერატურული თუ ისტორიული ხასიათის შრომები აღიარებულ ევროპულ აღმოსავლეთმცოდნეთა გამოკვლევების დონეზეა დაწერილი. ასე ჩაეყარა საფუძველი ირანის ეროვნულ ლიტერატურათმცოდნეობას.

ისტორიული ხასიათის სტატიებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ წერილი მაზნდაკზე და განსაკუთრებით კი რუსეთ-ირანის ურთიერთობის ისტორია, რომელიც ჯამალზადემ ამ დროს დაწერა და „ქავეს“ დამატების სახით გამოდიო-

და. ეს ვრცელი ნაშრომი (რამდენიმე ასეული გვერდია) მიძღვნილია რუსეთ-ირანის ურთიერთობისადმი. მასში თხრობა პეტრე პირველის სიკვდილამდეა და შეიცავს ძვირფას მასალას ირანის დიპლომატიის ისტორიისათვის. ზერლინშივე 1917 წელს დაისტამბა ჯამალზადეს წიგნი „გამოუღვეელი სიმდიდრე ანუ ირანის ეკონომიკური მდგომარეობა“, რომელიც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ირანის ეკონომიკის მიმოხილვას მიეძღვნა. ეკონომიკური და ისტორიული ხასიათის შრომებსა და ჟურნალისტიკას ბევრი დრო მიჰქონდა, მაგრამ არც ლიტერატურისადმი დარჩენილა გულგრილი. ჟურნალში „ქავე“ ჯამალზადემ დასტამბა ნაშრომი მიძღვნილი ფირდოუსის უკვდავი პოემის „შაჰ-ნამესადმი“, სტატიები საადისა და ნიზამი არუზი სამარყანდელზე, „ათას ერთი ღამე“-ზე და ა. შ. „ქავეს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ჯამალზადეს პირველი მხატვრული ნაწარმოები, ნოველა „ყანდივით ტკბილი სპარსული“. ასე იწყებოდა ჯამალზადეს სამწერლო მოღვაწეობა.

1921 წელს ჯამალზადე მუშაობას იწყებს ბერლინში ირანის საელჩოში თარჯიმნის თანამდებობაზე და ხელმძღვანელობს გერმანიაში მყოფ ირანელ მოსწავლე ახალგაზრდობის კოლონიას.

ჯამალზადეს შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მხატვრული კონცეფცია საუკუნის პირველ ოცეულში ჩამოყალიბდა. 1922 წელს ბერლინის გამომცემლობა „ქავეანიმ“ დასტამბა ჯამალზადეს ნოველების პირველი კრებული „იყო და არა იყო რა“.

1931 წლიდან ჯამალზადე ცხოვრობს შვეიცარიაში, სადაც სამი ათეული წელი იმუშავა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ბიუროში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას მოღვაწეობა დაიწყო ჟენევის უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციების კურსს სპარსულ ენასა და ლიტერატურაში. ამ პერიოდში ჯამალზადე ძირითადად დასაქმებული იყო ეკონომიკის პრობლემატიკით; პირველ წყაროებზე დაყრდნობით იკვლევდა ირანის ეკონომიკურ მდგომარეობას და მიღებულ შედეგებს ვრცელი პუბლიკაციების სახით აქვეყნებდა შრომის ბიუროს საერთაშორისო გამომცემებში. იგი იშვიათად ჩადიოდა სამშობლოში. 50-იან წლებში კი ჯამალზადე შრომის საერთაშორისო ბიუროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჩავიდა ირანში, რათა შეესწავლა ნავთობის მრეწველობაში დასაქმებულ ირანელ მუშათა პირობები. გამოკვლევის საფუძველზე შედგენილ ჯამალზადეს ანგარიშს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. ითარგმნა რამდენიმე ენაზე. იგი დაიმოწმა ირანის მთავრობის მაშინდელმა მეთაურმა მოსადეყმა, ვის სახელთანაც არის დაკავშირებული ირანის ნავთობის ნაციონალიზაციის საქმე.

სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადეს შემოქმედების ძალამ და თავისებურებამ განსაკუთრებით ნოველისტიკაში იჩინა თავი. იგი არამარტო მეკვლეა ნოველის ჟანრისა სპარსულ ლიტერატურაში. იმათ შორის ვინც დიდად შეუწყო ხელი ამ სახეობის მაღალ ხარისხში აყვანას უპირველეს ყოვლისა სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადე უნდა ვახსენოთ განსაკუთრებულად.

სპარსელმა მკითხველმა ჯამალზადე თავისი ნოველების პირველი კრებულისადმი მიიღო როგორც მხატვრული სიტყვის, სიტუაციის ოსტატი.

ნოველების კრებულს „იყო და არა იყო რა“ მკითხველი დღესაც პირველქმნილების სიცხველით აღიქვამს, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი უცხოეთში დაიბეჭდა და თვით მწერალმა ცხოვრების დიდი ნაწილი სამშობლოს გარეთ გაატარა, მისი ნოველები ირანელმა ხალხმა მიიღო და შეიყვარა. ეს სიყვარული შარავანდედით მოსავს მწერალს სიცოცხლეშივე. ნოველებში გამოხატა ჯამალზადემ თავისი თემების და იდეების უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი სამყარო.

კრებულში „იყო და არა იყო რა“ ექვსი ნაწარმოებია. მას წამძღვარებული აქვს ავტორისეული წინასიტყვაობა, ბოლოში დართული აქვს ლექსიკონი. მასში განმარტებულია სპარსული ხალხური გამოთქმები, რომლებიც ავტორმა ამ ნოველებში გამოიყენა. თვით ლექსიკონის საჭიროების ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რამდენად უცხო და გაუგებარი იყო მაშინ ირანის მწერლობისათვის ხალხური სიტყვა-თქმანი.

სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადეს მხატვრული გამოსახვის საშუალებათა სისტემაში სათაურსაც თავისი დატვირთვა აქვს. კრებულში წარმოდგენილი ნოველების სათაურები მიგვანიშნებენ განსაზღვრულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მოტივზე. საკმარისია დავასახელოთ — „ყანდივით ტკბილი სპარსული“, „როგორც ბერიო, ისეთი ერიო“, „ჩრდილოეთის დათვის ამბორი“, „პოლიტიკოსი“, „მოლა ყორბან ალის ვნებანი“, „ამბოჯარი“. ამ ნოველების დამახასიათებელი თვისებაა მძაფრი სიუჟეტი და პერსონაჟის დრამატიზმი.

კრებული „იყო და არა იყო რა“ ჯამალზადეს მხატვრული შემოქმედების ჯვირგინს წარმოადგენს. მასში წარმოდგენილია ნოველები, რომლებშიც მწერალმა შთამბეჭდავად დაგვიხატა ხალხის ყოფა და ზნე-ჩვეულებები, დაუფარავად ამხილა თანამედროვე ირანის სინამდვილის ნაკლოვანი მხარეები. ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების მსგავსად ჯამალზადემაც იწვნია ირანში არსებული რეაქციული რეჟიმის სუსხი. თუმცა მწერალი ემიგრაციაში იმყოფებოდა და ნოველების კრებულშიც უცხოეთში დაისტამბა, მაგრამ ეს წიგნი საჯაროდ დაწვეს თეირანის ცენტრალურ მოედანზე. ასე ანგარიშმიუცემლად ფართოდ გახადეს ცნობილი ჯამალზადეს სახელი და მალე მწერლის შემოქმედებამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა [14].

ახლა, გამოქვეყნებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ, როცა ვაფასებთ ჯამალზადეს ნოველებს, დაკვირვებული მკითხველი მასში ჩრდილოვან მხარეებსაც აღმოაჩენს, მაგრამ 20-იანი წლების დასაწყისში, როცა სპარსელი მკითხველის წიგნის თაროზე ეს პატარა წიგნი გაჩნდა, ნათელი გახდა, რომ დაქროლა ახალმა სიომ, დაიწყო ახალი ეტაპი სპარსულ მწერლობაში. ჯამალზადეს ნოველებმა თამამად შეაზანზარა საუკუნეების მანძილზე გამომუშაებული, კლასიკური ლიტერატურის ტრადიციული კანონები. ჯამალზადე სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როცა სპარსული მხატვრული პროზა თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა.

კრებულში „იყო და არა იყო რა“ გატარებულია აზრი, რომ მწერალი უნდა იცავდეს ენის სიწმინდეს, არავის აპატიოს მისი დამახინჯება და შერყვნა. უფრო მეტიც, ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს ლიტერატურული ენის გამდიდრებას სასაუბრო მეტყველების ხარჯზე და ასევე უხვად დაესესხოს ხალხური შემოქმედების ბარაქიან სალაროს.

ამ მხრივ ჯამალზადეს ისეთივე მისწრაფებები და მიზანდასახულობა აქვს, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელსა და დედაბოძს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც მტკიცედ იდგა სამშობლოსა და მშობლიური ენის სადარაჯოზე.

სეიდ მოჰამად ჯამალზადე უახლესი სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი ზვის გამკვალავთაგანია, მისი აქტიური შემოქმედი და დამამშვენებელია. ნოველის ჟანრის დამკვიდრება და შემდგომი განვითარება სპარსულ ლიტერატურაში ჯამალზადეს დამსახურებაა. ჯამალზადე ნოვატორია, რომელმაც მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ძველ ფორმებსა და ჟანრებში, შეეცადა აღედგრა თანამემამულე მწერლების ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური თემატიკისადმი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშობლიუ-

რეალიზაციის დემოკრატიზაციის პროცესში და, რაც მთავარია, ირანის რეალისტური მხატვრული პროზის განვითარების საქმეში.

ჯამალზადეს ნოველისტიკა ნიშანდობილია უახლესი სპარსული მწერლობის განვითარების გზაზე.

ჯამალზადემ ახალი ჰორიზონტები გადაუშალა თავის თანამემამულე მწერლებს და მიუთითა იმ მაგისტრალურ ხაზზე, რა მიმართულებითაც უნდა წასულიყო თანამედროვე სპარსული მწერლობა, კერძოდ, აქტიურად შეეწყობა ლიტერატურის დემოკრატიზაციის საერთო პროცესისათვის, რაც გამოხატულებას პოვებდა როგორც მწერლობის ცხოვრებასთან დაახლოებაში, ასევე ლიტერატურული ენის ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებით განახლება-გაფართოებაში.

ჯამალზადემ მოუწოდა სპარსელ მწერლებს გაეფართოებინათ ლიტერატურული თვალსაწიერი, გარდა პოეზიისა, პროზაშიც მოესინჯათ კალამი, ამ მხრივაც წარემართათ ნიჭი და ეჩვენებინათ თავიანთი შესაძლებლობანი პროზაულ ჟანრებში, კერძოდ მოთხრობასა და რომანში. მით უმეტეს, როგორც აღნიშნავდა ჯამალზადე, ირანში ყველა პირობაა ამ საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად: მდიდარი სპარსული ენა, კარგი ლიტერატურული ტრადიცია, ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდობა.

ნოველების კრებულის — „იყო და არა იყო რა“ ავტორისეული წინასიტყვაობა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „ახალი სპარსული პროზის მანიფესტს“, ასეთი შთამაგონებელი სიტყვებით მთავრდება: „დაე, ავტორის სუსტი ხმა იყოს მსგავსი მამლის ყვილისა, რომელიც აღვიძებს მძინარე ქარავანს, აძულოს მწერლები ყური მიუგდონ დროის მოთხოვნებს, აღარ დამალონ თავის აზრები, ფიქრები ისე, როგორც ნიჟარა მალავს ძვირფას მარგალიტს და მზე სხივებს ღრუბელში“ [1].

ჯამალზადეს მოწოდებას უკვალოდ არ ჩაუვლია. 30—40-იან წლებში ირანში გამოჩნდა ნიჭიერ პროზაიკოსთა მთელი პლუადა: სადევ ჰედაიათი, ბოზორგ ალავი, სადევ ჩუბაქი და სხვა, რომლებმაც არათუ გააგრძელეს ჯამალზადეს მიერ წამოწყებული საქმე, არამედ ზოგჯერ უფრო მაღალ დონეზე აიყვანეს სპარსული ნოველისტიკა [23]. მოიხსნა იმის საჭიროება, რომ სპარსელ მწერლებს შეეგონება უკითხონ, დაიყოლიონ — შექმნან პროზაული ნაწარმოებები. ახლა ფართო გასაქანი მიეცა სპარსული პროზისა და დრამატურგიის განვითარებას. ამჟამად იგი წარმოდგენილია რომანით, მოთხრობით, ნოველით, ნარკვევით, დრამით.

ირანის ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანაა, დაეხმაროს ახალგაზრდა მწერლებს ამ ჟანრის კანონზომიერების შეცნობაში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ფასდაუდებელი სკოლაა მოჰამად ჯამალზადეს და სადევ ჰედაიათის ლიტერატურული მემკვიდრეობის, — როგორც მხატვრული შემოქმედების, ასევე ესთეტიკური შეხედულებების, მათი ნააზრევის შესწავლა. მხედველობაში გვაქვს ის საყურადღებო მოსაზრებები, რომლებიც გამოქმედილი აქვთ ამ გამოჩენილ მწერლებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

ეს არის ჯამალზადეს ნაშრომები: „სამწერლო ოსტატობის საფუძვლები“ (ყურანლი „ილმა“, თეირანი, 1969, № 9), „რომანი და ეპოქა“ (ყურანლი „წიგნების მიმოხილვა“, თეირანი, 1963, № 4—5). ამ უკანასკნელში ჯამალზადე უზიარებს მკითხველს თავის შეხედულებას მწერლის პასუხისმგებლობაზე, მსჯელობს, თუ რა ნიშან-თვისებებით განვსაზღვროთ თანამედროვე სპარსული მწერლობის მხატვრულობის დონე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჯამალზადეს წიგნი „მწერლის შრომა და ნოველისტიკა“, რომელიც 1966 წელს შირაზის უნივერსიტეტმა გამოსცა სპარ-

სულ ენაზე. ეს საინტერესო წიგნი ახალბედა ნოველისტებისთვისაა განკუთვნილი და ექვს თავს შეიცავს: ფიქრი, მოწოდება, ერუდიცია, წარმოსახვა და ფანტაზია, სიუჟეტი, წერა.

ნოველების პირველი კრებულის გამოცემიდან ოცი წლის მანძილზე ჯამალზადეს მხატვრული ნაწარმოები არ გამოუქვეყნებია. 1942 წელს თეირანში დაისტამბა ჯამალზადეს ნოველების მეორე კრებული „ძია ჰოსეინ ალი“, რომლის წინასიტყვაობაში მწერალმა ახსნა თავისი დიდი ხნის დუმილი: „გაიხსენეთ როგორ გაუსწორდნენ ჩემს წიგნს და მიხვდებით, როგორ ხვდებიან ირანში ახალ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელსაც დემოკრატიული იდეების ნიშანწყალი სცხია. უცხოეთში გადახვეწილი მწერლის დევნა, მისთვის სიცოცხლის გამწარება იოლი როდია, ამან თავისებური დალი დასვა ჩემს სულიერ მდგომარეობას და კარგა ხანს ვერ შეეძელი კალმის ხელში აღება“ [2].

ორმოციანი წლებიდან მოყოლებული ჯამალზადე ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. გამოაქვეყნა ვრცელი მოთხრობები: „შეშლილთა საცანე“ (1942 წ.), „საშინელი სამსჯავროს ველი“ (1944 წ.), „ყოლტაშან დივანი“ (1945 წ.), „წყალსადინარი“ (1947 წ.), ამავე ხანებში ჯამალზადემ დაწერა ავტობიოგრაფიული მოთხრობა „რა პირი, რა სარჩული ანუ ამბავი ისპაჰანისა“, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა თეირანში. სატირული ნაწარმოები „საშინელი სამსჯავროს ველი“ ისლამის ძირითადი დებულებების წინააღმდეგაა მიმართული. წიგნის ცალკეული ნაწილები ნოველების სახით შეიძლება იქნეს აღქმული. განკითხვის ჟამს, საშინელი სამსჯავროს წინაშე ვის არ შეხვდება მკითხველი: ქრისტიანს, იუდეველს, ინდუსს, მუსლიმანს და მათ შორის ერეტიკოს პოეტს ომარ ხაიამს.

50-იან წლებში გამოდის მწერლის ნოველების კრებულები „მწარე და ტკბილი“ (1955 წ.), „ძველი და ახალი“ (1959 წ.), რომელშიც პიესებიცაა წარმოდგენილი.

1961 წელს ჯამალზადემ თეირანში დასტამბა ნოველათა მეხუთე კრებული, რომლის წინასიტყვაობაში წერდა: «ნოველების პირველი კრებულის „იყო და არა იყო რას“ გამოსვლიდან 40 წელი გავიდა. ჩემი ცხოვრების დაისი დგება. გავაერთიანე უკანასკნელი ნოველები წიგნში და მივეცი სახელწოდება „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“» [5].

ჯამალზადემ ნოველების პირველი და ბოლო კრებულების სათაურად აირჩია ზღაპრის ტრადიციული დასაწყისი და ასე კიდევ ერთხელ გამოხატა სპარსელმა მწერალმა თავისი სიყვარული ხალხური სიტყვიერებისადმი.

როგორც ჩანს, ნოველების ამ კრებულით ჯამალზადეს სურდა დაესრულებინა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა, მაგრამ შემდგომ გადაიფიქრა და კვლავ გამოაქვეყნა მოთხრობების კრებულები „რა გინდა რა“ (1965 წ.), მასში გარდა ნოველებისა წარმოდგენილია აზიზ ნესინის, მორის ლებლანის, ოსკარ უაილდის, რ. თავორის, ონორე ბალზაკის ნაწარმოებების თარგმანები, აგრეთვე — „ნოველები წვერულვამა ყმაწვილებისათვის“ (1974 წ.) და „ჩვენა ზღაპარი დამთავრდა“ (1979 წ.).

სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადე, როგორც მწერალი და მოაზროვნე, რთული მოვლენაა სპარსული ლიტერატურის ისტორიაში.

კლასიკური სპარსული ლიტერატურისა და ევროპული კულტურის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა ჯამალზადემ რთული, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზა განვლო. მსოფლმხედველობითი წინააღმდეგობები ასევე არ ყოფილა მისთვის უცხო. ამით უნდა აიხსნას ის არაერთგვაროვანი შეფასება ჯამალზადეს მხატვრული მემკვიდრეობისა, კერძოდ ნოველისტიკისა, რომელიც

მელსაც გამონახატავენ როგორც ირანელი, ასევე უცხოელი ლიტერატურათმცოდნეები. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი რამ უდავოა: ჯამალზადე ფეხბედნიერი მეკვლეა სპარსული ნოველისა; ერთი პირველთაგანია, ვინც წარმოაჩინა სპარსული მხატვრული პროზის ფართო შესაძლებლობანი. ჯამალზადეს საუკეთესო ნოველებმა საპატიო ადგილი დაიკავეს სპარსული ლიტერატურის სავანძურში. უმეტესწილად ეს ეხება მისი შემოქმედების პირველი პერიოდის ქმნილებებს.

სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადემ სადღეუ ჰედაიათთან ერთად სპარსული პროზა გაიყვანა საერთაშორისო ასპარეზზე.

მხატვრული მემკვიდრეობით და გამოკვლევებით ჯამალზადემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სპარსული ენის ფუნქციების გაფართოების, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.

სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადე სიტყვით თუ საქმით ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა თანამედროვე სპარსული მწერლობა გახდეს ღირსეული მემკვიდრე თავისი სახელგანთქმული წინაპრისა, კლასიკური სპარსული ლიტერატურისა, რომელიც სრულიად სამართლიანად აღავსებს ყველა ირანელს სიამაყისა და აღტაცების გრძნობით.

ლიტერატურა

1. სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადე, იყო და არა იყო რა, ბერლინი, 1922 (სპარსულ ენაზე).
2. ჯამალზადე, მია ჰოსეინ ალი, თეირანი, 1942.
3. ჯამალზადე, მწარე და ტყბილი, თეირანი, 1955.
4. ჯამალზადე, ძველი და ახალი (ნოველები, პიესები), თეირანი, 1959.
5. ჯამალზადე, „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, თეირანი, 1961.
6. ჯამალზადე, სპარსული სალაპარაკო ენის ლექსიკონი, თეირანი, 1963.
7. ჯამალზადე, რა გინდა რა (ნოველები, თარგმანები), თეირანი, 1965.
8. ჯამალზადე, ჩვენი ზღაპარი დამთავრდა (ნოველები, თარგმანები), თეირანი, 1979.
9. ფარეზ ნათელ ხანლიარი, თანამედროვე სპარსული პროზა, წიგნში — ირანის მწერალთა 1 კონგრესის მასალები, თეირანი, 1947.
10. აბდოლ ალი დასთლეიბ, სეიდ მოჰამად ალი ჯამალზადე, ჟურნალი „ახალი მოამბე“, თეირანი, 1960, № 5 (სპარსულ ენაზე).
11. ჰაბიბ იალმაია ჯამალზადე, ჟურნალი „იაღმა“, თეირანი, 1961, № 8 (სპარსულ ენაზე).
12. მეჰრინ მეჰრდად, ჯამალზადეს ცხოვრება და მსოფლმხედველობა, თეირანი, 1963 (სპარსულ ენაზე).
13. რეზა ბარაჰანი, ნოველისტიკა, თეირანი, 1969 (სპარსულ ენაზე).
14. ვერა კუზნიჩკოვა, XX საუკუნის ახალი სპარსული ლიტერატურა, წიგნში — იან რიპკა, სპარსული ლიტერატურის ისტორია, ლაიფციგი, 1959 (გერმანულ ენაზე).
15. ბოზორგ ალავი, თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ისტორია, ბერლინი, 1964 (გერმანულ ენაზე).
16. ჰასან კამშად, თანამედროვე სპარსული პროზა, ლონდონი, 1966 (ინგლისურ ენაზე).
17. Ч айкин К., Краткий очерк новейшей персидской литературы, М., 1928.
18. Мохаммад Али Джамаль-Заде, Были и несбылицы, Пер. с иран. Б. Захедера, М., 1936.
19. М. А. Джамаль-Заде, Всякая всячина, Сост. Дж. Дорри, М., 1967.
20. Дж. Дорри, Мохаммад Али Джамаль-Заде, М., 1983.
21. მ. ხუბუა, მხატვრული პროზის საკითხისათვის უახლეს სპარსულში, თსუ-ს შრომები, VI, 1937.
22. ჯამალზადე, ნოველები, თარგმანი მ. ხუბუასი, „მნათობი“, 1935, № 5.
23. თ. კეშელავა, წერილები თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე, თბ., 1982.
24. თ. კეშელავა, სპარსული პროზის საწყისები, საქ. მეცნ. აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, № 1.
25. თ. კეშელავა, სადღეუ ჰედაიათი, თბ., 1990.

Т. Г. КЕШЕЛАВА

РОВЕСНИК ВЕКА

Резюме

Исполнилось 100 лет со дня рождения видного иранского прозаика — автора пьес и многочисленных книг и статей по литературоведению, лексикологии и истории культуры Ирана — Сеид Мохаммад Али Джамаль-Заде. Его литературное наследие оказало влияние на весь ход развития современной персидской прозы.

На ранних этапах персидская проза была представлена юмореской, бытовым анекдотом, рассказом, которые берут начало от таких малых повествовательных форм, как хекаят, латифе, макама.

Персидская новелла, в которой нашли творческое развитие богатые литературные традиции Ирана, как жанр в современном понятии этой формы, появляется в литературе Ирана с 20-ых годов XX столетия.

Сеид Мохаммад Али Джамаль-Заде по праву считается зачинателем жанра современной новеллы в литературе Ирана. С его именем связано становление и развитие персидской новеллистики.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ა.ლ. გვახარიაშვილმა

О. Г. БИТ-БАБИК

ЗВУКО-ЦВЕТОВЫЕ СООТВЕТСТВИЯ В ПОЭЗИИ И. АННЕНСКОГО

Идея соотношения звука и цвета возникла давно в результате поиска естественной связи между значением слов и их звучанием. На связь между музыкальным звуком и цветом указывали еще Леонардо да Винчи, Ньютон и др. Отмечают также способность композиторов Скрябина и Римского-Корсакого ассоциировать музыкальные произведения с цветом¹. Аналогичная связь существует между звуком речи и цветом. В результате психологического эксперимента на материале звуков грузинской речи Н. А. Кизирия были установлены звуко-цветовые соответствия как для гласных, так и для согласных звуков. Эксперименты же, проводимые Р. Якобсоном, а вслед за ним А. Журавлевым, Г. Н. Ивановой-Лукияновой, Е. В. Орловой на материале звуков русской речи показали, что информантами с определенным цветом связываются лишь гласные звуки, согласные же вызывают черно-белые ассоциации².

Французский поэт Артюр Рембо в сонете «Гласные» с каждым гласным звуком соотносил определенный цвет: «А — черный, Е — белый, И — красный, У — зеленый»³.

В первой четверти XX века в России особый интерес к проблемам звуко-символизма возник у поэтов-символистов, которые пытались проследить проявление звуковой символики в поэтической речи⁴.

В настоящей статье мы задались целью проследить синестетический эффект, созданный гласными, в стихотворениях И. Анненского «Госка отшумевшей грозы», «Май», «Июль», «Сентябрь», «Аметисты»⁵.

В процессе анализа поэтического текста мы придерживались того принципа, что эмоции, вызванные стихотворением, не должны приходиться в противоречие с эмоциями, вызванными звуками⁶. За основу исследования был взят метод отклонения частотностей звуков в стихотворении от их частотностей в нормальной речи⁷. Так как достаточно устойчивыми можно считать лишь частотности, полученные по выборкам из живой разговорной речи, то мы пользовались частотностью звукобукв, которая была подсчитана на материале живой разговорной речи в записях А. М. Пешковского и магнитофонных записях непринужденных бесед преподавателей и студентов. Общая выборка равна 20 тыс. звукобукв⁸. Но для удобства расчетов, проделав определенные счетные операции, частотности мы перевели в количество. Таким образом, была получена таблица № 1, в которой зафиксировано количество употребления звуков в нормальной речи.

¹ Б. კობორიძე, სამეტყველო ბგერის ასოციაცია ფერთან. მაცნე, 1981, № 1.

² Иванова-Лукиянова Г. Н., О восприятии звуков, — В кн.: Развитие фонетики СРЯ, М., 1966, с. 136—143.

³ Зарубежная литература XX века, Хрестоматия, Т. I, М., 1986.

⁴ Журавлев А. П., Фонетическое значение, Л., 1974, с. 18.

⁵ Анненский И., Избранные произведения, Л., 1988.

⁶ Якубинский Л. П., О звуках стихотворного языка, — В кн.: Язык и его функционирование, М., 1986, с. 163.

⁷ Штерн А. С., Объективные критерии выявления эффекта звуковой символики, — В кн.: Материалы семинара по проблеме мотивированности языкового знака, Л., 1963, с. 70.

⁸ Журавлев А. П., Указ. соч., с. 101.

Расчет данных производился следующим образом.

1. Брался текст в фонетической транскрипции, хотя в некоторых случаях мы учитывали и орфографию.

2. Вычислялось количество всех звукобукв, содержащихся в стихотворении (N).

3. Определялось, сколько раз встречается каждая буква в стихотворении (n_1).

4. С помощью специальных расчетов устанавливалось нормальное количество определенного звука для данного текста (n_2) $\frac{n \cdot k}{t}$, $t = 20000$.

5. n_1 сравнивалось с n_2 . Если $n_1 > n_2$, а $n_1 - n_2 > 1$, то считалось, что количество данного звука завышено.

6. По таблице № 2 определялось, в какой цвет окрашены звуки, количество которых превышает нормальное количество.

7. Установленные таким путем данные сравнивались с цветами, использованными в поэтическом тексте.

Синестетический эффект, созданный гласными, дает яркие, зрительно воспринимаемые цветовые картины в стихотворении «Тоска отшумевшей грозы». Лазурный, голубой, бирюзовый, зеленый — вот цвета, используемые поэтом.

Для I строфы стихотворения завышено количество звуков «э», «и».

Для (э) $n_2 = 0,81625$, $n_1 = 7$ (э) — зеленый (см. табл. №2)

Для (и) $n_2 = 5,544$, $n_1 = 9$ (и) — голубой.

Голубой, зеленый — доминирующие цвета в I строфе. И действительно, там царит «бездонье бирюзы, ее глаза усталые». Как известно, голубой, зеленый — это оттенки бирюзы.

Во II строфе завышено количество звуков «э», «а», «у».

Для (э) $n_2 = 0,84955$, $n_1 = 5$ (э) — зеленый.

Для (а) $n_2 = 9,575$, $n_1 = 16$ (а) — красный.

Для (у) $n_2 = 2,987$, $n_1 = 5$ (у) — синий.

Таким образом, доминирующими для II строфы являются цвета красный, синий, зеленый. Обратимся к тексту: ослепительная лазурь в красных лучах изливается на «зыби златошвейные», «сады зеленовейные».

В III строфе завышено количество звуков «у», «и».

Для (у) $n_2 = 2,842$, $n_1 = 4$ (у) — синий

Для (и) $n_2 = 5,488$, $n_1 = 10$ (и) — голубой.

Итак, светлый (голубой) и темный (синий) оказались доминирующими цветами для III строфы.

В «Тоске отшумевшей грозы» И. Анненский увидел «бирюзовые стекла», отразившие и бездонность лазурного неба, и солнечные лучи, и зелень садов.

В стихотворении «Май» также прослеживается синестезия гласных.

В I строфе краски светлые и темные. Тьма борется со светом и возвышается над ним. Наблюдается характерная для И. Анненского игра красок:

Так нежно небо зацвело,
А майский день уж тихо тает.
И только тусклое стекло
Пожаром запада блистает.

В результате анализа мы получили следующие данные:

$$\left. \begin{array}{l} \text{Для (а)} \quad n_2=7,44, \quad n_1=17 \\ \text{Для (и)} \quad n_2=4,48, \quad n_1=5 \end{array} \right\} n_1 > n_2$$

Итак, доминирующий цвет в I строфе — яркий красный (светлый), чуть разбавленный тусклым синим (темным).

Во II строфе завышено количество темных звуков «у», «и», «ы».

$$\text{Для (у)} \quad n_1=5, \quad n_2=2,552$$

$$\text{Для (и)} \quad n_1=12, \quad n_2=5,152$$

$$\text{Для (ы)} \quad n_1=3, \quad n_2=1,584$$

К нему прильнув из полутьмы,
В минутном млеет позлащеньи
Тот мир, в котором были мы...
Иль будем в вечном превращеньи.

В III строфе завышены звуки «о», «и», «ы», «у». В темные «и», «ы», «у» «тоскующею нотой» влилась пылью «зыбка позолота» «о».

$$\text{Для (и)} \quad n_2=4,48, \quad n_1=5$$

$$\text{Для (у)} \quad n_2=2,32, \quad n_1=5$$

$$\text{Для (ы)} \quad n_2=1,44, \quad n_1=3$$

$$\text{Для (о)} \quad n_2=8,16, \quad n_1=10$$

В IV строфе завышено количество «а», «и», «о».

$$\text{Для (а)} \quad n_2=7,626, \quad n_1=9$$

$$\text{Для (и)} \quad n_2=4,592, \quad n_1=8$$

$$\text{Для (о)} \quad n_2=8,364, \quad n_1=10$$

Доминирующие цвета — яркий красный «а», тусклый синий «и», желтый, золотистый «о».

Над миром, что златым огнем
Сейчас умрет, не понимая,
Что счастье искрилось не в нем,
А в золотом обмане мая.

В V строфе доминирующими цветами оказались синий («и» $n_2=4,424$, $n_1=8$), красный («а» $n_2=7,347$, $n_1=8$), золотистый («о» $n_2=8,058$, $n_1=12$).

Что безвозвратно синева,
Его златившая, поблекла,
И только зарево едва
Коробит розовые стекла.

Синестезия гласных прослеживается и в сонете «Июль». I строфа в результате анализа выдвигает на первый план тусклые темные «и» ($n_2=9,24$, $n_1=15$), «ы» ($n_2=2,97$, $n_1=5$), «у» ($n_2=4,785$, $n_1=5$).

Несмотря на обилие красок, И. Анненский видит мир на фоне «тучи разом потемнелой»:

Когда весь день свои костры
Июль палит над рожью спелой,
Не свежий лес с своей капеллой
Нас тешит: демонской игры

За тучей разом потемнелой,
Раскатно-гулкие шары,
И то оранжевый, то белый
Лишь миг живущие миры.

Миры «оранжевый» и «белый» живут лишь миг. Они, как видения, вспыхивают и исчезают. Остается тревожный темный фон.

Во II строфе завышено количество (о) ($n_2=6,120$, $p_1=8$), «о» — желтый, золотистый и «э» ($n_2=0,496$, $p_1=7$), «э» — светло-желто-зеленый.

В III строфе преобладают яркие цвета: «о» — золотистый, желтый, «а» — красный.

И для ожившего дыханья
Возможность пить благоуханье
Из чаши ливней золотых.

Таким образом, расположение гласных рисует четкую картину смены цветов и эмоций.

В стихотворении «Сентябрь» I строфа проходит под знаком Ы ($n_2=2,25$, $p_1=8$).

Раззолоченные, но чахлые сады
С соблазном пурпура на медленных недугах
И солнца поздний пыл в его коротких дугах
Невластный вылиться в душистые плоды.

Отчетливо проступает коричневая гамма осени ($n_2=2,25$, $p_1=8$). Звуки «и» ($n_2=7$, $p_1=9$), «а» ($n_2=1,625$, $p_1=7$), «у» ($n_2=3,625$, $p_1=5$) лишь дополняют фон, созданный (ы), ярким красным (а) и темными (и, у).

Во II строфе доминирует черный цвет «бездонных прудов», поглотивший «желтый шелк ковров». Для «ы» ($n_2=1,196$, $p_1=6$), для «о» ($n_2=12,444$, $p_1=13$).

Свойственная И. Анненскому игра красок наблюдается и в стихотворении «Аметисты».

Аметисты — это фиолетовые или бледно-красноватые камни. По старинным преданиям обладают сверхъестественной силой, приносят удачу, гарантируют постоянство, защищают от магии и болезней, предохраняют от опьянения. Окраска камня может сильно варьировать от фиолетового с кровавым оттенком до сине-сиреневого⁹.

Учитывая приведенные выше свойства аметиста, можно заключить, что этот камень должен вызывать положительные эмоции. С другой стороны, «подобно чудовищному пауку, сверкает острым, извращенным блеском аметист на пальце вампира; в переливах этого легендарного камня угадываются все тона темного пурпура, борьба холодного и больного лилового с горячими тонами сгущенной крови»¹⁰. Таким видится аметист А. Блоку, и это его видение рождает жуткие мысли, отрицательные эмоции. Итак, аметисты обладают как бы двойной символикой, и эти две струи находят отражение в стихотворении И. Анненского.

I строфа «Аметистов» построена на контрастах:

⁹ Корнилов Н. И., Солодова Ю. П., Ювелирные камни, М., 1983, с. 155.

¹⁰ Миллер-Будницкая Р. З., Символика цвета и синестетизм в поэзии на основе лирики Блока, — Известия Крымск. пед. ин-та, Симф., 1930.

Когда сжигая синеву
 Багряный день растет неистов
 Как часто сумрак я зову
 Холодный сумрак аметистов.

По признаку светлый—темный противопоставлены друг другу день—сумрак, по признаку горячий—холодный—жар—холод, по признаку яркий—темный—багряный—синий.

Таким образом, I строфа—это игра красок, оттенков. Красный цвет—цвет жаркий, оттенком которого является багряный; завышено количество (а), для которого ($p_2=0,3906$, $p_1=18$), основательно разбавлен синим (и) ($p_2=5,001$, $p_1=6$), но это не отражается на количестве (и), т. к. $p_1 > p_2$ лишь на незначительную величину. Видимо, это объясняется тем, что сказывается тематическая заданность цикла («Трилистник огненный»), к которому принадлежит рассматриваемое нами стихотворение. Огненное трепыхание красок бросает яркий отсвет на весь поэтический текст.

Во II строфе синий темный (и) является доминирующим ($p_2=4,317$, $p_1=12$). На первый план выступает аметист. Отчетливо виден его темный контур, внутри которого жидко льется мерцание свечи:

И чтоб не знойные лучи
 Сжигали грани аметиста,
 А лишь мерцание свечи
 Лилось там жидко и огнисто.

В III строфе завышено количество яркого, красного (а) ($p_2=7,836$, $p_1=16$):

И лиловоя и дробясь,
 Чтоб уверяло там сиянье
 Что где-то есть не наша связь,
 А лучезарное слиянье.

И, действительно, перекрывая тьму, торжествует «лучезарное слиянье».

Итак, мы вновь, получили математическое подтверждение имеющей место синестезии гласных. Звуко-цветовые соответствия в рассмотренных стихотворениях И. Анненского дали в красках яркую картину окружающего нас мира. Возможно, это еще одно свидетельство в пользу того, что звуки речи содержательны сами по себе, им присуще некоторое значение.

Т а б л и ц а I

в=560	в'=220	ж=160
с=640	с'=340	ш=240
д=400	д'=340	ц=80
р=480	р'=280	щ=60
г=200	г'=60	ч=400
п=400	п'=120	й=300
з=260	з'=40	а=1860
м=500	м'=140	э=165
б=260	б'=100	у=580
х=160	х'=20	ы=360
к=600	к'=60	о=2040
т=1100	т'=400	е=1760
н=800	н'=480	и=1120
ф=40	ф'=20	
л=400	л'=340	

Таблица № 2

№	Цвета	Э	О	Ы	И	У	А
1	Красный						+
2	Желтый		+				
3	Зеленый	+					
4	Синий				+	+	
5	Черный			+			
6	Белый		+				
7	Голубой				+		
8	Темно-коричневый			+			
9	Светло желто-зеленый	+					
10	Темный сине-зеленый						

Кафедра русского языка ТГУ им. И. Джавахишвили
Представил академик АН Грузии К. Г. Церетели

აკოლონ სილაგაძე

რეპროდუქციის თვისება და ლექსმცოდნეობითი კვლევის მასალის შერჩევა

ლექსმცოდნეობითი კვლევა გულისხმობს ორ ფუნდამენტურ ამოცანას: მოცემული ლექსთწყობის კანონზომიერი სისტემისა და მისი განვითარების კანონზომიერებათა განსაზღვრას. ამ საერთო ამოცანისათვის ამოსავალია შემდეგი ორი პოსტულატი (ისინი, ისევე როგორც წინამდებარე სტატიის შესავალში წარმოდგენილი ზოგიერთი სხვა თეორიული წინამძღვარი, ფორმულირებულია ჩვენ მიერ¹): 1. ლექსთწყობის სისტემის განვითარება კანონზომიერია ისევე, როგორც ლექსთწყობის სისტემა; 2. განვითარების კანონზომიერებები შეესაბამებიან ან მიემართებიან სისტემის კანონზომიერებებს. შდრ. რ. იაკობსონის გამონათქვამი თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტური იდეების განვითარებასთან დაკავშირებით: „Впервые была осознана неразрывность идей закономерной системы и ее изменений, в свою очередь закономерных“². ასეთ შემთხვევაში კვლევის ზოგად მეთოდს უნდა წარმოადგენდეს სტრუქტურული და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის გაერთიანება, რასაც ჩვენ სისტემური მიდგომის საერთო სახელწოდებით აღვნიშნავთ. სისტემური მიდგომა ჩვენთვის ნიშნავს იერარქიული, რთული სისტემის განსაზღვრისას (ეს მთავარი ამოცანაა) ამოსვლას სისტემის წარმომქმნელი ფაქტორიდან ან ფაქტორებიდან და მოვლენიდან ან მოვლენებიდან ორი გზით — კანონზომიერი სისტემის ანალიზის გზით და კანონზომიერი განვითარების ანალიზის გზით.

ასეთი მიდგომა კვლევისათვის ამოსავალ — და ამავე დროს ერთ-ერთ ყველაზე რთულ — საკითხად გულისხმობს მასალის შერჩევის პრობლემას. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემის სერიოზულობა არ შენიშნულა ადრე. ბ. ტომაშევსკი, მაგალითად, აღნიშნავდა რა, რომ მთავარია არა ის, არსებობს თუ არა საზღვარი ლექსსა და პროზას შორის, არამედ ის, რომ არსებობს მეტყველების ორი აშკარად გამოხატული ტიპი, ასკვნიდა: ნაყოფიერია არა საზღვრო მოვლენების შესწავლა, არამედ ორიენტირება, პირველ რიგში, ლექსისა და პროზის ყველაზე უფრო ტიპურ, ყველაზე უფრო გამოხატულ ფორმებზე, რომელთა ბუნების შესახებ ეჭვი არ შეიძლება გვექონდეს³; ამიტომ მაგალითებად უნდა ავიღოთ ყველაზე უფრო „კლასიკური“ ნიმუშები ლექსისა, სადაც დატულია იმ პირობათა მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც ყველაზე უფრო ტიპურია სალექსო პრაქტიკისათვის⁴.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ლექსთწყობის

¹ ა. სილაგაძე, ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ, თბ., 1987.

² Р. Я к о б с о н, Вместо предисловия, В кн.: Т. В. Г а м к р е л и д з е, Вяч. Вс. И в а н о в, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. I, Тб., 1984, გვ. XIII.

³ ლექსისა და პროზის, ერთი მხრივ, პოლარული დაპირისპირების, მეორე მხრივ, მათ შორის დიფუზური, გარდამავალი ფორმების არსებობის შესახებ იხ., მაგ., С. F. P. S t u t t e r g e i m, Poetry and Prose, Their Interrelations and Transitional Forms. In: Poetics—Poetyka—Поэтика, Warszawa, 1961, გვ. 225—237.

⁴ Б. Т о м а ш е в с к и й, Стилистика и стихосложение, Л., 1959, გვ. 14.

სისტემის დადგენისათვის, ყოველ შემთხვევაში — კვლევის გარკვეულ საფეხურზე, აუცილებელია ყველა ფაქტის გათვალისწინება, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არატიპურად გვეჩვენება (რომელთა არატიპურობაც ახლოდ ყველა ფაქტის გათვალისწინებისა და ანალიზის გზით დადგინდება). იმისათვის რომ განისაზღვროს, ერთი მხრივ, არატიპური და არამარკირებული, მეორე მხრივ, ტიპური და სწორი, აუცილებელია გარკვევა ყველა ფაქტში, ტიპურშიც, რომ მას ეს კვალიფიკაცია მიეცეს, და არატიპურშიც, რომ მას ეს კვალიფიკაცია მიეცეს. ერთი მხრივ, დადგენა არატიპურისა ნიშნავს ტიპურის, მარკირებულის ცოდნას, მეორე მხრივ, არატიპურის რეგისტრაცია და ანალიზი გვეჩვენებს იმისათვის, რომ ვიცოდეთ ის წესები, რომლებიც ტიპურს განაპირობებენ. საბოლოოდ, ამოცანას წარმოადგენს გამოვრიცხვით სტრუქტურის პოზიციებიდან არამარკირებული ფორმები მთელი სურათის გათვალისწინებით.

მაგალითისათვის, ქართული იამბიკოს ფორმა თავისი 12-მარცვლიანი სტრიქონისთვის ყველაზე გავრცელებულ სტრუქტურად გვიჩვენებს 5+7-ს რიტმული საზღვრით 5-მარცვლედსა და 7-მარცვლედს შორის. ეს ფორმა ეწინააღმდეგება ქართული ლექსის სტრუქტურული ერთეულების აგების ერთ მთავარ, ჩვენ მიერ დადგენილ, წესს და საბოლოოდ არ შევიდა ლექსთწყობის იმ სისტემაში, რომლის რეალიზაცია იძლევა ჩვენთვის აღქმად ქართულ რიტმულ ლექსს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს დავადგინოთ, ყველაფერთან ერთად ჩვენ გვეჩვენება ამ არატიპური ფორმის ანალიზიც და მისი ისტორიის ანალიზიც ქართული პოეზიის განვითარების მთელი სურათის გათვალისწინებით, რაც დავგანახებებს, ერთი მხრივ, შემდეგს: 1. ორწევრიანი აგებულება, სადაც პირველი წევრი მეორეზე მოკლეა, ქართული ლექსისთვის უჩვეულოა; 2. 7-მარცვლიან შემადგენელს ქართული ლექსის რიტმული მონაკვეთი არ იცნობს; მეორე მხრივ, შემდეგს: 1. იამბიკოს ფორმა პრაქტიკულად მხოლოდ საეკლესიო პოეზიაში გვხვდება; 2. საერო პოეზიის წარმომადგენლებთან იგი სპორადულად გამოჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თემატიკა სასულიეროსთან ახლოს მდგომია (ბესიკი, ვრ. ორბელიანი...); 3. რამდენიმე ცდა ამ სტრიქონის სხვა, ტიპურ, სტრიქონთან შეჯვარებისა, ან მარცვალთა სხვა რაოდენობების იმავე წესით განლაგებისა (გურამიშვილი, ბესიკი...) მარცხით დამთავრდა და იამბიკო საბოლოოდ ქართული რიტმული ლექსის სისტემაში არ დამკვიდრებულა (უკანასკნელი ცდა იხ. შ. ლებანიძესთან).

თუ საკითხს დავუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა შემთხვევაში ემპირიული მასალის შერჩევის პრობლემა ითხოვს გადაწყვეტას, პირველ რიგში, მისი სირთულის გათვალისწინებით. საქმე ისაა, რომ, განსხვავებით ლინგვისტური კვლევის მასალისგან, რომელიც შედარებით ცალსახად განისაზღვრება, ლექსის რიტმული ორგანიზაციის ამსახველი მასალა (იგულისხმება, რომ ვეპყარებით კვლევის ინდუქციურ მეთოდს) რთულია იმ გაგებით, რომ იგი, როგორც გარკვეული რეალიზაცია, ემორჩილება კანონზომიერებებს, მაგრამ, მეორე მხრივ, დაკავშირებულია შემოქმედებასთან, თანაც ლიტერატურულ, ე. ი. ინდივიდუალურ შემოქმედებასთან, რომლის პოეტიკა, განსხვავებით ფოლკლორისგან, უფრო ნაკლებად ემორჩილება შეზღუდვებს და უშვებს მოცემულ მომენტში კოლექტივისათვის მიუღებელი ან გაუგებარი სქემების არსებობას (რაც მომავალში არ გამოვრიცხავს მათ დამკვიდრებას). სირთულე სწორედ აქ წარმოიქმნება: ლექსის ფუნქციონირების ისტორიის ნებისმიერ ჭრილში აღმოჩნდება წესებიდან გადახრის შემთხვევები, არასწორი ფორმები, ადგილი ექნება ექსპერიმენტებსაც. ასე მაგალითად, ქართული პოეზიის განვითარების ნარტო მე-18 ს-ის ეტაპზე სალექსო ფორმებში ვხედავთ მთელ რიგ ცდას, რსეთს, რომელიც არ დამკვიდრებულა და ქართული ლექსის განვითარების

მომდევნო საფეხურზე არ გამეორებულა: ა) ე. წ. „სამკვეთი“ სტრიქონი (მამუკა ბარათაშვილი, პეტრე ლარაძე...); ბ) სტრიქონი $(5+3)+(4+2)$ (მამუკა ბარათაშვილი, გურამიშვილი...); გ) სტრიქონი $(4+5)+(4+4)$ (გურამიშვილი); დ) ორწევრედი (სტრიქონის შემადგენელი) $4+5$ (გურამიშვილი); ე) ორსტრიქონედი $5+7/5+3$ (ბესიკი); ვ) სტროფი $5+3/5+3/3+3/3+3/3+3/3+3/3$ (გურამიშვილი); სტროფი $4+2/4+2/5+3/5+3$ (გურამიშვილი); ზ) სტროფი $7+5/7+5/5+0$ (ბესიკი) და სხვ.

ადვილი დასანახია, რომ მასალის შერჩევის პრობლემა, პირველ ყოვლისა, უკავშირდება პოეტურ პრაქტიკაში მოდერნიზაციების საკითხს. როგორც ჩანს, სამი პრინციპული შესაძლებლობა არსებობს: 1. მოცემული ნოვაცია თავიდანვე ზუსტად ემთხვევა იმ პრინციპებს, რომლებიც მოქმედებენ ლექსთწყობის სისტემაში; 2. სიახლე ისეა გაფორმებული, რომ მხოლოდ შემდგომ — მომდევნო საფეხურზე — გახდება შესაბამისი მოცემული პრინციპებისა; 3. სიახლე არაკორექტულია.

არაკორექტული სიახლე ნიშნავს იმას, რომ ჩნდება ფორმა, რომელიც არ არის ტიპური სისტემისთვის, არ არის მარკირებული სისტემის თვალსაზრისით. პრობლემას წარმოადგენს: როგორ დავადგინოთ ტიპური და არატიპური, მარკირებული და არამარკირებული. ჩვენ მიერ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მოხმობილია რეპროდუქციის თვისება: მარკირებულია ის ფორმა, რომელსაც აქვს რეპროდუქციის უნარი; გადახვევები კვალიფიცირდება გადახვევებად იმის გამო, რომ მათ რეპროდუქციის უნარი არ გააჩნიათ.

ამასთან, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა უბრალოდ იმას, მეორდება თუ არა მოცემული სიახლე, მოცემული ფორმა საერთოდ, არამედ იმას, მეორდება თუ არა იგი განვითარების უშუალოდ მომდევნო საფეხურზე: თუ ჩვენ გამეორების ფაქტს აღმოვაჩინოთ არა მომდევნო საფეხურზე, არამედ საფეხურგამოტოვებით, ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ მოდერნიზაცია გვაქვს, რომლის სიცოცხლისუნარიანობის (რეპროდუქციის უნარის) შემოწმებას კვლავ სჭირდება უშუალოდ მომდევნო საფეხური. მაგალითი ქართული სინამდვილიდან: გურამიშვილის ეპოქის (მე-18 ს., რომელიც, ჩვენი სქემით, ქართული ლექსის დიპრონიაში განვითარების ქვემოდან მეორე საფეხურს ქმნის) შემდეგ პირველი უფრო მოკლე, ე. ი. მარცვალთა ნაკლები რაოდენობის მქონე, სეგმენტის შემცველი ორწევრედი განვითარების მესამე ეტაპზე (მე-19 ს.) არ გვხვდება, მაგრამ მეოთხე ეტაპზე, მე-20 ს.-ში, ფაქტობრივად — ბოლო პერიოდში, ასეთი შემთხვევები კვლავ გვაქვს (მაგ., ორწევრედი $3+4$). ეს არის არა მეორე საფეხურის, მე-18 ს-ის ეტაპის, სიახლის დადასტურება და დამკვიდრება, არამედ ახალი ექსპერიმენტი, რომლისთვისაც განვითარების მომდევნო საფეხურზე მოხდება შემოწმება და შესაბამისი კვალიფიკაცია: იგი ან გადახრად დარჩება, ან შექმნის ახალ სტრუქტურულ წესს, რომლის მიხედვითაც სისტემა კორექტირდება.

ამგვარად, მასალის შერჩევისათვის ჩვენ ვაყალიბებთ შემდეგ წესს: **ლექსთწყობის სისტემისთვის მარკირებულ, ტიპურ რიტმულ აგებულებად ითვლება განვითარების მოცემულ საფეხურზე რეალიზებული ისეთი ფორმა, რომელიც უშუალოდ მომდევნო საფეხურზე — და არა საფეხურგამოტოვებით — ამჟღავნებს რეპროდუქციის უნარს.**

ეს წესი გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ამოვიღებთ სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერი ისტორიიდან: ჩვენ გვაქვს დიპრონია განვითარების ურთიერთდაკავშირებული საფეხურების სახით, როგორც ერთი სისტემის რეალიზაციის სხვადასხვა დონე; ჩვენ გვაქვს გარკვეული ნიშნებით მარკირებული

საფეხურები, რომელთა თანამიმდევრობა კანონზომიერია და გარკვეულ ფორმულას ემორჩილება.

ამგვარად, ზემოთ ფორმულირებული წესის გამოსაყენებლად აუცილებელია დადგენა დიაქრონიის საფეხურებისა. ქართულისათვის ჩვენ მიერ დადგენილია ოთხი საფეხური (რეკონსტრუირებულია მესხეთე, რომელიც წინ უძღოდა ოთხს) და განვითარების სქემა, რომელიც მონაცვლეობის შემდეგ ფორმულას ქმნის: კოდიფიკაცია — რეფორმა — კოდიფიკაცია — რეფორმა.

რეპროდუქციის წესში გარკვეული კორექტივის შეტანის შესაძლებლობას იძლევა არაბული ლექსთწყობის ისტორიაში გამოვლენილი ზოგიერთი ფორმის განხილვა. კერძოდ, საინტერესოა ე. წ. ბანდი და ე. წ. შირ ჰურის.

ბანდი, როგორც ფორმა, შეიქმნა ერაყში XVII ს-ში. გრაფიკულად იგი ფორმდებოდა როგორც პროზაული ტექსტი, ამიტომ რიტმი მასში მხოლოდ ანაშენდროვე მკვლევარებმა (აბდ ალ-ქარიმ ად-დუჯალი) აღმოაჩინეს. ტექსტების ვერსიფიკაციული სეგმენტაცია მოახდინა ნაზიქ ალ-მალაიქამ. მისი თეორიით, ბანდის რიტმულ სტრუქტურას ქმნის: ა) კლასიკური არაბული ლექსთწყობის (არუდის) ორი საზომის — რამალის და ჰაზაჯის — ტერფების მორიგეობით გამოყენება; ბ) არათანაბარი სიგრძის (ე. ი. სხვადასხვა რაოდენობის ტერფების შემცველი) სტრიქონების მონაცვლეობა⁵.

ჩვენი აზრით, ბანდის რიტმული სტრუქტურის შექმნაში, სტრიქონთა არათანაბრობის პირობებში, მონაწილეობენ კლასიკური არუდის სისტემის ე. წ. მესამე წრის სამივე საზომის — ჰაზაჯის, რაჯაზის, რამალის ტერფები, პლუს კიდევ ერთი, მეოთხე, ტერფი, რომელიც წარმოადგენს იმავე „მესამე წრის“ აჩრდილიზებულ შესაძლებლობას (გარდა ამისა, რიტმული სქემა ორმაგია: სარიტმო საზღვრების გაუთვალისწინებლად ვიღებთ ჰაზაჯს, რითმების გათვალისწინებით გვაქვს მეტრთა მონაცვლეობა — ჰაზაჯი, რაჯაზი, რამალი, კლასიკური კანონების თვალსაზრისით არამარკირებული საზომი; მაგრამ ამგვარად ეს ჩვენთვის არაა საინტერესო)⁶.

ჩვენი საკითხის პოზიციებიდან, საგულისხმო ის არის, რომ ბანდი ფაქტობრივად არ გაცვლივია, ერთი მხრივ, ერაყის, მეორე მხრივ, უანრის ფარგლებს. ამგვარად, რეპროდუქციის თვისება მან პრაქტიკულად ვერ გამოამჟღავნა.

მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ საინტერესო გარემოებას. მე-20 ს-ის 40-იანი წლებიდან არაბულ პოეზიაში დამკვიდრდა ლექსთწყობის მოდერნიზებული სახეობა, შირ ჰურის სახელით ცნობილი⁷. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: ა) კლასიკური ლექსთწყობისგან განსხვავებით, აქ წარმოდგენილია მხოლოდ ისეთი საზომები, რომელთა აგებაში ერთი გარკვეული (და არა რამდენიმე სხვადასხვა) ტერფი მონაწილეობს; ბ) ტერფების რაოდენობა სტრიქონებში არაა ფიქსირებული, რაც შედეგად გვაძლევს მთავარ კანონს: ლექსის ფარგლებში სტრიქონები არათანაბარი სიგრძისაა.

როგორც ვხედავთ, ეს ბოლო, შირ ჰურისთვის დამახასიათებელი, წესი ემთხვევა ბანდისთვის დამახასიათებელ წესს. ამგვარად, თუ, ერთი მხრივ, ბანდი, როგორც ფორმა, აღარ ვამეორებულა, მეორე მხრივ, რეპროდუქციის

⁵ ნაზიქ ალ-მალაიქა, კადაა აშ-შირ ალ-მუასირ, ბეირუთი, 1967, გვ. 70—76 (არაბულ ენაზე).

⁶ А. Силагадзе, Банд, Труды Тб. гос. университета, 180, 1976.

⁷ იხ. ა. სილაგაძე, არაბული ლექსის სტრუქტურის საკითხები, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1971, № 1.

თვისება გამოავლინა მისმა ერთ-ერთმა სპეციფიკურმა წესმა — სტრიქონთა უთანაბრობის წესმა.

შეიძლება შემდეგი დასკვნის ფორმულირება: სალექსო ფორმამ, ნოვაციით შექმნილმა, შესაძლოა არ გამოავლინოს რეპროდუქციის თვისება, მაგრამ ამავე დროს ნოვაციის რაღაც გარკვეულ ელემენტს, გარკვეული წესის სახით; შეიძლება აღმოაჩნდეს რეპროდუქციის უნარი — მასზე დამყარებით განვითარების რაღაც საფეხურზე შეიძლება შეიქმნას ისეთი ფორმა ან ფორმათა მთელი სისტემა, რომელიც მარკირებული გახდება ლექსთწყობისთვის.

ამავე პოზიციებიდან საინტერესოა ბანდის მეორე წესის — ლექსში სხვადასხვა საზომების შერევის წესის — ბედი.

1925 და 1927 წლებში კაიროში გამოცა ცნობილი პოეტის, აჰმად ზაქი აბუ შადის, დივანები, მასში მოცემული იყო ახალი სალექსო ფორმა, რომელსაც, სხვათა შორის, აგრეთვე ში'რ ჰურრი ეწოდებოდა. ეს არის ფორმა, რომელშიც ერთი ლექსის ფარგლებში რამდენიმე სხვადასხვა საზომია შერეული. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში გაცოცხლდა, გამეორდა ბანდის კიდევ ერთი წესი. მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ აბუ შადისეული ჰეტერომეტრული ლექსი არ გასცილებია ეგვიპტის ფარგლებს და შეწყვიტა არსებობა ზემოთ ნახსენებ ორ დივანში. საქმე ის არის — და ამ შემთხვევაში საინტერესოა, — რომ ბანდს და აბუ შადის ფორმას შორის ერთი პრინციპული განსხვავებაა: ბანდში მონაცვლეობენ ის მეტრები, რომლებიც არუდის ერთი და იმავე წრის წარმომადგენლები არიან, მაშინ როდესაც აბუ შადის ლექსში ერთმანეთს ენაცვლებიან სხვადასხვა წრის წარმომადგენელი საზომები.

ასე რომ, ბანდის კიდევ ერთი წესის რეპროდუქციის უნარიანობის გამოვლენისთვის კვლავ არსებობს, როგორც ჩანს, დროც და საშუალებაც. ეს წესი — თუ იგი რეალიზდება მომავალში — ასეთი იქნება: ერთი სალექსო ნაწარმოების ფარგლებში დასაშვებია სხვადასხვა მეტრების მონაცვლეობა, ოღონდ ისინი არუდის სისტემის ერთი და იმავე წრის წარმომადგენლები უნდა იყვნენ.

А. А. СИЛАГАДЗЕ

СВОЙСТВО РЕПРОДУКЦИИ И ПОДБОР МАТЕРИАЛА ДЛЯ СТИХОВЕДЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ

Резюме

Стихovedческое исследование подразумевает наличие двух фундаментальных задач: определение закономерной системы данного стихосложения и закономерностей ее развития. Исходными являются два постулата: а) развитие системы стихосложения закономерно так же, как и система стихосложения; б) закономерности развития соотносятся с закономерностями системы.

Данный подход предполагает в качестве исходной — и одновременно наиболее сложной — проблему отбора материала анализа, в частности, проблему определения маркированных или типичных форм. В предлагаемой статье формулируется следующее правило: маркированным, типичным для системы стихосложения ритмическим построением считается реализованная на данной ступени развития такая форма, которая проявляет способность к репродукции на непосредственно

последующей ступени, а не через одну. Применение данного правила возможно лишь в том случае, когда определена диахрония в виде взаимосвязанных ступеней развития. Данные положения в статье иллюстрируются примерами из истории грузинского стихосложения.

На основе же анализа двух арабских стихотворных форм формулируется следующее подправило: созданная путем новации форма может и не обнаружить способности к репродукции, но какой-то элемент новации, в виде определенного правила, может оказаться жизнеспособным — на его базе возможно появление такой формы или даже системы форм, которые будут маркированы с точки зрения данного стихосложения.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სემიტოლოგიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ალ. გვახარიამ

მ ა რ ი ნ ა ა ლ ე მ ს ი ძ ე

ლიტერატურისმცოდნეობის პრობლემების კვლევის ავტომატიზაცია და ფორმალიზაცია

უკანასკნელ ხანს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები (ეგმ) სულ უფრო და უფრო დიდ როლს ასრულებს ფილოლოგიურ საკითხთა კვლევისას. მათი გამოყენება მეცნიერებს მხატვრული ტექსტების ავტომატური დამუშავების და მათში შემავალი ინფორმაციის დეტალური ანალიზის საშუალებას აძლევს. ამ მიმართულებით კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში¹ და მათ შორის საქართველოშიც².

ბუნებრივად ისმის კითხვა: რომელ საკითხთა კვლევისას და კვლევის რა სტადიაზე და დონეზეა უფრო ეფექტური ამ მანქანების გამოყენება?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეგმ-ის ლიტერატურისმცოდნეობაში გამოყენების ორი ძირითადი შესაძლებლობა არსებობს, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეცნიერული მუშაობის ორი დონე. პირველი ანუ საწყისი დონე გულისხმობს მხატვრული ტექსტის ავტომატურ დამუშავებას და ამისათვის მონაცემთა მანქანური ბაზების შექმნას, ხოლო მეორე — ლიტერატურისმცოდნეობის არსებითი პრობლემების კვლევას ეგმ-ის საშუალებით. ამდენად ზემოთ აღნიშნული ორი შესაძლებლობა ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ შესაბამისი ამოცანების დასმით. პირველ, საწყის დონეზე ეს ამოცანები შედარებით მარტივია და მათი გადაჭრის ალგორითმებიც — იოლად დასაპროგრამებელი (თუმცა ისინი დიდ მანქანურ დროს მოითხოვენ). პირველი შესაძლებლობა გულისხმობს ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების თუ ცალკეული ნაწარმოების კონკორდანის შექმნას.

¹ ჩვენთვის, როგორც აღმოსავლეთმცოდნეთათვის, განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლური პოეტური თუ პროზაული ტექსტების ამ კუთხით დამუშავებაში მიღწეული შედეგები. მაგალითად, დიდი წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა სუფიურ [23] და არაბულ [22; 20; 19] ლექსიკაზე სპარსულენოვან ტექსტებში. გამოკვლეულია ამირ ხოსრო დეჰლევის პოემის „შირინი და ხოსროვი“ ლექსიკა [8]. აღსანიშნავია ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორის რ. ძიპოლის თეორიული შრომები, რომლებიც ეძღვნება პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით პოეტური ტექსტების ანალიზის პრობლემას. მნიშვნელოვანია, რომ მან შექმნა არა მარტო თეორიული მოდელი, არამედ შეიმუშავა კონკრეტულ ტექსტზე მისი პრაქტიკული რეალიზაციის პროგრამაც. ამ პროგრამის მიხედვით ვენეციის უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუშაობა შუა საუკუნეების სპარსული პოეტური ტექსტების მონაცემთა ავტომატიზებული ბანკების ფორმირებასთან დაკავშირებით. ეს არის პირველადი „მატერიალური“ ბაზა, რომელიც აუცილებელია შემდგომი უფრო დრმა კვლევისათვის. ამ მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს დ. მეგვიანის წიგნი „ჰაფეზის ღაზელების კონკორდანსი და ლექსიკონი“ [21]. ჰაფეზის ღაზელების კონკორდანსი შემუშავებულია ინგლისელი მეცნიერის ს. პოკის მიერაც [17].

² აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშავდება შუა საუკუნეების სპარსულენოვანი ტექსტების მონაცემთა ავტომატიზებული ბანკები [3]; სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრში ენათმეცნიერებისა და ხელნაწერთა ინსტიტუტებთან კავშირში მიმდინარეობს მუშაობა ე. წ. „სიტყვათფორმების ბანკის“ ფორმირებაზე, რომელიც „ტექსტების ბანკის“ მეშვეობით მოგვეცეს სრულ ინფორმაციას ტექსტის ნებისმიერი სიტყვის მორფოლოგიური სტატუსის შესახებ (ასე დამუშავდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ნაწილი) [4]; ისტორიის ინსტიტუტში იქმნება საინფორმაციო ბანკების კომპლექსი, რომელიც ეფუძვნება „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს [7] და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

რაც შეეხება მეორე დონის ამოცანებს, მათ რიცხვს განეკუთვნება ლიტერატურისმცოდნეობის, ასე ვთქვათ, პრაქტიკული ხასიათის პრობლემები, მაგალითად, ავთენტური ტექსტის რეკონსტრუქცია, ჩანართების დადგენა ტექსტში, ავტორის ვინაობის გარკვევა, მისი გარკვეული დროისადმი, მიმდინარეობისადმი თუ სკოლისადმი მიმართების საკითხი და სხვა. ეს საკითხები დიდი ხანია ინტერესებს მეცნიერებს. ცნობილია ნაწარმოებები, რომელთა ავტორების პრობლემა ჯერ კიდევ ბევრ კითხვას ბადებს, მაგალითად, ხამურაპის კანონები, ჰომეროსის პოემები, „პლატონის მეშვიდე წერილი“ და ა. შ. განსაკუთრებით დიდი მუშაობა მიდის ამ კუთხით ბიბლიურ ტექსტებზე, კერძოდ, „ახალი აღთქმის“ ტექსტზე (გ. კიუშმელი, ა. ვიკენგაუზერი, ა. კლარკი, უ. ნოკსი). აღსანიშნავია, აგრეთვე სკანდინავიელ მეცნიერთა მიერ „წყნარი დონის“ ავტორობის საკითხის კვლევა, ნორვეგიელი მეცნიერის გ. ხეტსოს გამოკვლევა „სტატის ავტორი დოსტოევსკია“ [16] და მრავალი სხვა. ლიტერატურისმცოდნეობის ამ სფეროს ვ. ფუქსი „ლიტერატურულ კრიმინალისტიკას“ უწოდებს (ტექსტი — გამოსაძიებელი საქმე, ავტორი — ამ საქმის ჩამდენი პირი, სტილური მახასიათებლები — ხელის ანაბეჭდები და ა. შ.) [15] სწორედ ამ საკითხთა კვლევისას შეიძლება გამოყენებულ იქნას მათემატიკური მეთოდები და განსაკუთრებით მათემატიკური სტატისტიკის მეთოდი. სტატისტიკის როლს მწერლის ინდივიდუალური სტილის შესწავლაში ეხება ბ. გოლოვინის თეორიული ნაშრომი „ენა და სტატისტიკა“ [6].

ცხადია, ამ გზაზე გარკვეული ტექნიკური სიძნელებები წარმოიშობა ტექსტების კოდირებასა და დეკოდირებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება რ. ძიპოლის წიგნი „ახალი სპარსული პოეზიის კოდირება და დეკოდირება“ [24].

ჩვენ კოდირებისა და კოდირებული ტექსტების ანალიზის ძირითადად ორი გზა გვესახება.

პირველი — მარტივი კოდირების — გზა გულისხმობს მხოლოდ ძირითადი ტექსტის კოდირებას ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის გარეშე. ამ დროს ფილოლოგიური ანალიზის მთელა სიმძიმე ტექსტის დამუშავების ალგორითმსა და პროგრამაზეა გადატანილი.

მეორე — რთული ანუ ანალიტიკური კოდირების — გზა გულისხმობს, რომ კოდირების დროს ჩადებულ იქნეს დამატებითი ინფორმაცია, მაგალითად, ცალკეული სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფების რაობისა თუ წინადადებასა ან მთლიანად ტექსტში მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ტექსტების დამუშავების ალგორითმი და პროგრამა უფრო იოლი ხდება. რთული კოდირებისას აუცილებელი არ არის ტექსტის სრულად შეტანა მანქანაში. ამ დროს შესაძლებელია საკმარისი გამოდგეს ტექსტის ფილოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებული იმ ინფორმაციის მოყვანა, რომელიც შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად არის აუცილებელი.

პირველ შემთხვევაში საკუთრივ ტექსტების კოდირება საგრძნობლად მარტივდება და, რაც მთავარია, მისი შესრულება არ მოითხოვს სპეციალურ (ჩვენს შემთხვევაში ფილოლოგიურ) ცოდნას. მაგრამ ასე კოდირებული ტექსტების დამუშავების ალგორითმი და ე. ი. მანქანური პროგრამაც რთული გვეჩვენება, რადგან, ვარდა რთული ლოგიკური დასკვნების გაკეთების აუცილებლობისა, ამ შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური ლექსიკონების თანდართვა. ხოლო მეორე შემთხვევაში საკუთრივ კოდირების დროს მანქანაში შეგვყავს დიდი ფილოლოგიური ინფორმაცია და ამდენად კოდირების პრინციპების შექმნა და მისი რეალიზაცია პირველთან შედარებით საკმაოდ მაღალკვალიფიციურ

დონეს მოითხოვს, მაგრამ ვინაიდან ფილოლოგიური ანალიზი კოდირების პროცესში იქნა ჩატარებული, ტექსტის დამუშავების ალგორითმი პრაქტიკულად რთულ ლოგიკურ-სემანტიკურ სიძნელებებს არ აწყდება.

ეგმ-ის ლიტერატურისმცოდნეობაში გამოყენების საწყის ეტაპზე ჩვენ კოდირების მეორე ფორმა უფრო მისაღებად გვეჩვენება, რადგან ასე კოდირებული მასალის ანალიზის ალგორითმის შექმნა დედ პროგრამულ სიძნელებებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს ფაქტობრივად განაწილებულია ფილოლოგისა და პროგრამისტის ფუნქციები: თუ კოდირების პროცესში მანქანურ შესაძლებლობებზე გარკვეული წარმოდგენის მქონე ფილოლოგის შრომა გამოიყენება, ანალიზის დროს, ძირითადად, კოდირებაში ჩადებულ პირობითობაში (და არა ფილოლოგიურ საკითხებში) გარკვეული პროგრამისტის ცოდნა საჭირო.

ერთი შეხედვით ძალიან მომხიბვლელად ჩანს მარტივი კოდირების გზა, მაგრამ, ცხადია, იგი მანამ ვერ დაინერგება, სანამ, ფილოლოგისა და პროგრამისტის ერთობლივი დიდი შრომის შედეგად არ შეიქმნება მარტივად კოდირებული მასალის დამუშავების, როგორც ჩვენ გვეჩვენება, ურთულესი ალგორითმი და შესაბამისი პროგრამა. ასეთი საკმარისად უნივერსალური პროგრამის შექმნასთან დაკავშირებული სიძნელებები ავტომატიზებული მანქანური ენის შექმნის სიძნელებების ტოლფასად გვესახება. და ისევე როგორც ეს უკანასკნელი ნელ-ნელა იხვეწებოდა და ასეთი ენების მთელი თაობები იცვლებოდა, ასევე მარტივად კოდირებული ტექსტების ფილოლოგიური ანალიზის პროგრამებიც დაიხვეწება როგორც ანალიზის სიღრმის, ასევე მისი გამოყენების გამარტივების მხრივაც.

რაც შეეხება მეორე დონის ამოცანებს, თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი დაკონკრეტება და ფორმალიზება ლიტერატურისმცოდნეობის ფაქიზი პრობლემების კვლევისას გარკვეულად აღარბეებს და ერთგვარ ხიბლსაც უკარგავს მათ. უფრო მეტიც, არსებობს აზრი, რომ ლიტერატურისმცოდნეობის კატეგორიების მომხიბვლელობა სწორედ მათ ირაციონალობაშია. ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება ბოლომდე მართებული არ უნდა იყოს (გაგისხენოთ პოლ ვალერის გამონათქვამი „ზუსტი პოეტიკის“ შექმნის აუცილებლობის შესახებ [12, 346]). არ უფარყოფთ რა ზოგიერთი ლიტერატურული კატეგორიის თუ ცნების გარკვეული აზრით ირაციონალობას, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ მათი დაკონკრეტების და ფორმალიზების უსასრულო პროცესი ბოლოს და ბოლოს სასრულო შედეგს გამოიღებს. ეს გარკვეულ ანალოგიას წარმოადგენს ირაციონალურ რიცხვთან ნებისმიერი სიზუსტით მიახლოებისა შესაბამისი რაციონალური რიცხვის საშუალებით.

ნებისმიერ მეცნიერებაში, მათ შორის ლიტერატურისმცოდნეობაშიც, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ორი გზით შეიძლება წარმოებდეს: ერთი, როდესაც ამა თუ იმ დისციპლინისათვის სპეციალური მათემატიკური აპარატი აქმნება და, მეორე, როდესაც უკვე არსებული მათემატიკური ფორმულების თუ ცნებების გამოყენება ხდება. ჩვენი შეზღუდული მათემატიკური შესაძლებლობების შესაბამისად ჩვენ მეორე გზის რეალიზაციაზე გვექნება საუბარი.

ამ კუთხით განვიხილავთ ლიტერატურისმცოდნეობის ისეთ რთულ და ცუდად ფორმალიზებად ცნებას, როგორიცაა სტილი და მასთან დაკავშირებული საკითხები.

ლიტერატურული სტილის სტატისტიკური მეთოდებით შესწავლა ჯერ კიდევ 1851 წელს სცადა აუგუსტუს დე მორგანმა, რომელიც ნაწარმოებში სიტყვის სიგრძეზე დაკვირვებით შეეცადა ამ ნაწარმოების ავტორობის პრობლემა

გადაეჭრა. სტილის მათემატიკური გამოთვლის მეთოდით შესწავლას ეძღვნება ა. კენნის წიგნი „სტილის გამოთვლა“ [18].

აღსანიშნავია, რომ სტილის ცნების საყოველთაოდ მიღებული ამომწურავი განმარტება, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. სტილის განსაზღვრისათვის და, საერთოდ, შემდგომი მსჯელობისათვის დაგვირგნინდება „სტილშემქმნელი ფაქტორის“ [13, 254] ცნება, რომელშიც ჩვენ ვგულისხმობთ მხატვრული ნაწარმოების ცალკეულ კონკრეტულ მხარეს. სტილშემქმნელი ფაქტორის პარალელურად ლიტერატურისმცოდნეობაში იხმარება ისეთი ტერმინებიც, როგორცაა „სტილის კომპონენტები“ [15, 70], „სტილშემქმნელი კომპონენტები“ [14, 75], „სტილური მახასიათებლები“ [15, 313] და სხვა, რომლებიც საბოლოო ჯამში ერთსა და იმავეს გამოხატავენ. უხეშად რომ ვთქვათ, სწორედ ამ სტილშემქმნელ ფაქტორთა მნიშვნელობების ერთობლიობა ქმნის კონკრეტულ სტილს. სტილის მსგავსი განმარტება არსებობს ხელოვნებათმცოდნეობაში: „სტილი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ის გამოკვეთილი მახასიათებლები, რომელნიც საშუალებას აძლევს დამკვირვებელს დაუკავშიროს ხელოვნების ნაწარმოები სხვა ნაწარმოებს“ [1, 199].

ანალოგიურ საკითხებთან არის დაკავშირებული ა. მოლის „აღქმის მთლიანობის თეორია“, ანუ, როგორც იგი უწოდებს, „გეშტალტ-ფსიქოლოგია“, ამ თეორიის თანახმად „მთელი არ დაიყვანება მის შემადგენელ ნაწილთა უბრალო ჯამზე“. მეცნიერი გეშტალტს უწოდებს „ელემენტთა ჯგუფს, რომელიც აღიქმება როგორც რაღაც მთლიანობა და არის არა შემთხვევითი შეერთების შედეგი, არამედ მიღებულია გარკვეული „წესების დაცვით“ [11, 21]. სრულად ვეთანხმებით რა ა. მოლს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სტილშემქმნელ ფაქტორთა მნიშვნელობების ერთობლიობაც არ წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეთა ჯამს, რადგან ის განპირობებულია ავტორის ინდივიდუალური ხელწერით. სწორედ ეს არაშემთხვევითობა გვაძლევს უფლებას დავაყენოთ სტილის იდენტიფიკაციის ამოცანები და ის წარმოადგენს ამ მიმართულებით კვლევის საფუძველს.

რა თქმა უნდა სტილი, როგორც ლიტერატურისმცოდნეობის კატეგორია, არ დაიყვანება და არ ამოიწურება რამდენიმე სტილშემქმნელი ფაქტორით (რაც არ უნდა დიდი იყოს ამ ფაქტორთა რიცხვი), მაგრამ, მეორე მხრივ, მეცნიერულად დადგენილ სტილშემქმნელ ფაქტორებს შეუძლიათ წარმოაჩინონ სტილის უმნიშვნელოვანესი მხარეები. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის და არა ამ კატეგორიის ამომწურავი ანალიზი.

დგება არსებითი პრობლემა: სასრულოა თუ არა ნაწარმოების სრული სტილისტური დახასიათებისათვის საჭირო სტილშემქმნელ ფაქტორთა რაოდენობა? ჩვენი აზრით, არ არის სასრულო, რადგან სტილის კვლევა გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება ძიება ახალი ფაქტორებისა და სწორედ სულ უფრო და უფრო ფაქიზი ფაქტორების დაუსრულებელი ძიება გვეჩვენება სტილის, როგორც ლიტერატურისმცოდნეობის კატეგორიის, კვლევის ერთ-ერთ გზად. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია სტილის მიახლოებითი განსაზღვრის ცნების შემოტანით, რომელზეც უფრო დავფრთხილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩვენ არ ვეხებით სტილშემქმნელი ფაქტორების შინაარსსა და მათი მნიშვნელობების დათვლის წესებს, მაგრამ ვგულისხმობთ, რომ მათი კონკრეტული მნიშვნელობები არ არის დამოკიდებული ნაწარმოების ზომაზე, ცხადია, თუ ნაწარმოების ზომა თვითონ არ არის ერთ-ერთი სტილშემქმნელი ფაქტორი. ამიტომ მათი მნიშვნელობების დადგენა უნდა მოხდეს ნაწარმოების ზომის ერთეულზე, ანუ, როგორც მათემატიკაში ამბობენ, უნდა მოხდეს სტილშემ-

ქმნელ ფაქტორთა დანორმირება, რაც სრულიად აუცილებლად გვეჩვენება შემდგომი მსჯელობისათვის. სტილის ნაწარმოებში კვლევის ასეთ ზომის ერთეულად გ. ხეტსოს აღებული აქვს 3000—4000 სიტყვა [16, 210].

რა თქმა უნდა, სტილშემქმნელი ფაქტორები ყველა ქანრის ნაწარმოებებისათვის ერთი ვერ იქნება, რადგან, მაგალითად, პროზაული ნაწარმოები არ იცნობს პოეტურისთვის დამახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორცაა რითმა ან მეტრი და სხვ. როდესაც ვსაუბრობთ თეორი ლექსის სტილზე, რითმის უქონლობა ამ ნაწარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტილშემქმნელ ფაქტორს წარმოადგენს, იმ დროს, როცა პროზაული ნაწარმოების სტილის განხილვისას რითმის უქონლობა თავად ამ ქანრის სპეციფიკიდან გამომდინარეობს და ამიტომ სტილშემქმნელ ფაქტორს არ წარმოადგენს. (ვალკე) დგას აღმოსავლურ ლიტერატურაში გავრცელებული გართიმული პროზის — საჯის პრობლემა, რომელიც განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს). იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, დიალოგზე, როგორც მეტყველების ფორმაზე, დრამაში (ქანრის სპეციფიკაა) და, ვთქვათ, ჰემინგუეის რომანებში (სტილშემქმნელი ფაქტორია) და სხვ. ამიტომ ფაქტორთა გამოყოფისას უნდა გავმიჯნოთ უნივერსალური (საერთო ყველა ქანრის ნაწარმოებებისათვის) და ქანრობრივი სტილშემქმნელი ფაქტორები. თუ ვადარებთ ერთი ქანრის ნაწარმოებებს, მაშინ დარდება როგორც უნივერსალური, ისე ქანრობრივი ფაქტორები, მაგრამ თუ სხვადასხვას — შედარება მხოლოდ უნივერსალურ ფაქტორთა მიხედვით ხდება.

ამ მიმართულებით სტილის კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ორ ნაწარმოებს შორის სტილისტური მსგავსების ანუ სიახლოვის ძიება. სიახლოვის ცნება ანუ მანძილი სხვადასხვა სახის სიმრავლის ელემენტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფუნდამენტური ცნებაა მათემატიკაში, რომელიც ასე განისაზღვრება: ნებისმიერი ბუნების ელემენტებისაგან შექმნილ სიმრავლეს ეწოდება მეტრული სივრცე, თუ ამ სიმრავლის ორ ნებისმიერ x და y ელემენტს შეესაბამება არაუარყოფითი რიცხვი $r(x, y)$, რომელსაც ეწოდება ამ ელემენტებს შორის მანძილი და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: ა) იგივეობის აქსიომა — $r(x, y) = 0$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა x და y ერთმანეთს ემთხვევიან; ბ) სიმეტრიის აქსიომა — $r(x, y) = r(y, x)$; გ) სამკუთხედის აქსიომა — როგორც არ უნდა იყოს მეტრული სივრცის სამი ელემენტი, მისთვის სამართლიანია ასეთი უტოლობა: $r(x, y) + r(y, z) \geq r(x, z)$ [2, 220].

ლიტერატურისმცოდნეობაში შეიძლება იყოს სიმრავლე მხატვრული ნაწარმოებებისა, მაგალითად, სპარსული პოეზიის ნიმუშები ზოგადად, ან უფრო კონკრეტულად, ამა თუ იმ ეპოქის სპარსული პოეზიის ნიმუშები და ა. შ. იმისათვის, რომ ასეთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სიმრავლე მეტრულ სივრცედ იქცეს, უნდა შემოღებულ იქნეს ზემოთ მოყვანილი განმარტების შესაბამისად, ამ სიმრავლის ელემენტთა შორის მანძილის ცნება. იმისდა მიხედვით, თუ ლიტერატურისმცოდნეობის რომელი საკითხის კვლევაა განსაზღვრული ამ სიმრავლეში, სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს შემოყვანილი მანძილის, ანუ სიახლოვის, ცნება. ვინაიდან ჩვენ სტილის საკითხებზე ვეჩვენება მსჯელობა, ამიტომ შემოვიყვანთ სტილისტური მანძილის ცნებას, რომლის შედეგადაც არსებულ სიმრავლეს სტილისტურ მეტრულ სივრცეს ვუწოდებთ.

მიუხედავად ჩვენი მსჯელობისა და გამოყენებულ ცნებათა განმარტებების ნაკლები სიმკაცრისა, ჩვენ დასკვნებს შევეცდებით მივცეთ თეორემების სახე, რომელთაც ნაკლებ პრეტენზიული სახელით — დებულებით აღვნიშნავთ.

დებულება 1. ნებისმიერი სტილშემქმნელი ფაქტორის მნიშვნელობა შეიძლება ნებისმიერი სიზუსტით კოდირებულ იქნეს სასრულო რიცხვით. ე. ი. სტილშემქმნელ ფაქტორთა მნიშვნელობების სიმრავლე შეიძლება გადასახულ იქნეს სასრულო რიცხვთა სიმრავლეზე.

ძნელია და ალბათ შეუძლებელიც ჩამოყალიბებული დებულების აბსოლუტური სიმკაცრით დამტკიცება, თუმცა უნდა ითქვას, რომ თვით მათემატიკაშიც კი, თავი რომ დავანებოთ სხვა ნაკლებად ფორმალიზებულ დისციპლინებს, სიმკაცრის სხვადასხვა დონე არსებობს. ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილი „მტკიცება“ უფრო ამ დებულების შინაარსის გადმოცემა და შესაბამისი მაგალითების მოყვანა იქნება. თუ ჩვენ ვიკვლევთ რომელიმე პოეტურ კატეგორიას ამა თუ იმ ნაწარმოებში, მაგალითად, მეტაფორას, გამოყენებულ მეტაფორათა კოდირება შეიძლება შემდეგნაირად მოხდეს: თუ უბრალოდ ხარისხობრივად ვასხვავებთ ნაწარმოებში გარკვეული ტიპის მეტაფორათა სიხშირეს (ბევრი თუ ცოტა), ცხადია, კოდირებისათვის დაგვჭირდება ერთი ორობითი რიცხვი; თუ გამოყენებულ მეტაფორათა რაოდენობრივი შეფასება ხდება, მაშინ ამ ნაწარმოებში მეტაფორათა რაოდენობა მოგვცემს შესაბამის კოდს, რომლის რიცხობრივი მნიშვნელობაც იქნება ტექსტში მეტაფორათა რაოდენობის შესაბამისი.

მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი სტილშემქმნელი ფაქტორი, რომელიც ასე მარტივად არ ფასდება. დებულება 1 გულისხმობს, რომ ასეთი ფაქტორებიც კი ექვემდებარება სასრულო გრადაციას, ოღონდ გარკვეული სიზუსტით.

დებულება 2. ნებისმიერი ნაწარმოების სტილი განისაზღვრება სასრულო ან უსასრულო რაოდენობის სტილშემქმნელი ფაქტორების მნიშვნელობათა ერთობლიობით.

ამ დებულების სამართლიანობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

ცხადია, სხვადასხვა სტილშემქმნელ ფაქტორთა ფასი არ არის ერთი და იგივე ნაწარმოების სტილის დახასიათებისას. ზოგიერთი მათგანი არსებითად, ხოლო ზოგი უმნიშვნელოდ განსაზღვრავს სტილს. ამიტომ უნდა შემოვიყვანოთ სტილშემქმნელი ფაქტორის წონის ცნება, რასაც ჩვენ P_i აღვნიშნავთ. P_i არის არაუარყოფითი რიცხვი, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას i სტილშემქმნელი ფაქტორის მნიშვნელობაზე სტილის შექმნაში. წონების დადგენა ინდივიდუალურია და ამაშიც ვლინდება სტილის კვლევის სირთულე. ამ სირთულის გადალახვა შეიძლება სხვადასხვა ექსპერტთა მიერ დადგენილი სტილშემქმნელი ფაქტორების წონების გასაშუალოებით. თუ გადავნომრავთ ნაწარმოების სტილშემქმნელ ფაქტორებს ისე, რომ ფაქტორის ნომრის გადიდება აწვევდეს მისი წონის შემცირებას, ეს საშუალებას მოგვცემს წინა პლანზე წამოვწოთ ყველაზე არსებითი ფაქტორები და მათი სასრულო რაოდენობა განვიხილოთ, რადგან ამ რაოდენობის იქით დარჩენილი ფაქტორების წონები საკმაოდ პატარა იქნება.

განვიხილოთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სიმრავლე, აღვნიშნოთ იგი X -ით, ხოლო მისი ელემენტები (ცალკეული ნაწარმოებები) — $X_k (k=1, 2, \dots)$. X_k ელემენტის სტილშემქმნელი ფაქტორები აღვნიშნოთ $X_{k,i} (i=1, 2, \dots)$. მაგალითად, $X_{5,3}$ ნიშნავს, რომ საუბარია X სიმრავლის მეხუთე ელემენტის (ნაწარმოების) მესამე სტილშემქმნელი ფაქტორის მნიშვნელობაზე. გავიხსენოთ, რომ P_i -ით გვქონდა აღნიშნული i სტილშემქმნელი ფაქტორის წონა.

ამ აღნიშვნების შემდეგ უკვე შეგვიძლია X სიმრავლე ვაქციოთ მეტრულ

სივრცედ, ე. ი. შემოვიყვანოთ მის ელემენტებს შორის მანძილის (სიახლოვის) ცნება: X_k და X_j ელემენტებს შორის მანძილი ტოლია:

$$r(x_k, x_j) = \sqrt{P_1(x_{k,1} - x_{j,1})^2 + P_2(x_{k,2} - x_{j,2})^2 + \dots}$$

რომ ვიხსაროთ აჯამვის მათემატიკური აღმნიშვნელი Σ , ეს ტოლობა შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$r(x_k, x_j) = \sqrt{\sum_{i=1}^{\infty} P_i (x_{k,i} - x_{j,i})^2} \quad (1)$$

ასე შემოვიყვანილი მეტრიკა, რომელსაც ჩვენ სტილისტურ მეტრიკას ვუწოდებთ, ბუნებრივ განზოგადებას წარმოადგენს ჩვეულებრივი სამგანზომილებიანი ევკლიდის სივრცისა. პირველი და მეორე აქსიომების სამართლიანობა უშუალოდ ჩანს, ხოლო მეორე, სამკუთხედის აქსიომის დამტკიცება ეყრდნობა შვარცის, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, კოში-ბუნიაკოვსკის უტოლობას [2, 228].

შემოვიყვანოთ ახალი ცნება სტილის მიახლოებითი განსაზღვრის შესახებ. ჩვენ ვიტყვი, რომ ლიტერატურული ნაწარმოების სტილი დადგენილია გარკვეული ε სიზუსტით, თუ ყველა სტილშემქმნელი ფაქტორი, რომელთა წონა ნაკლებია ε -ზე, უგულებელყოფილი იქნება სტილის დადგენისას, ლიტერატურული ნაწარმოების სტილის მიახლოებითი დადგენის დროს სტილშემქმნელ ფაქტორთა რაოდენობა უკვე სასრულო ხდება და ამიტომ სტილისტურ მეტრულ სივრცეში მანძილი ორ ელემენტს შორის გამოისახება შემდეგნაირად:

$$r(x_k, x_j) = \sqrt{\sum_{i=1}^n P_i (x_{k,i} - x_{j,i})^2}, \quad (2)$$

სადაც n სასრულო რიცხვია და, ცხადია, იგი დამოკიდებულია ε -ზე. რაც უფრო პატარაა ε , მით მეტია n და ε -ის ნულისკენ მისწრაფების შემთხვევაში n შეიძლება მისწრაფოდეს უსასრულობისაკენ, რაზეც ჩვენ შემოთ გვქონდა საუბარი.

პრაქტიკულად ნებისმიერი სტილისტური გამოკვლევის რეალიზაცია აქ ჩამოყალიბებული სქემის მიხედვით აუცილებლად მიახლოებითი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ თავად სტილის მკვლევრის შესაძლებლობებიც შეზღუდულია.

ნაწარმოების სტილის ამ სქემით კვლევისას შემდეგი ამოცანები შეიძლება გადაიჭრას:

1. სტილის კვლევის პირდაპირი ამოცანა.

ამ ამოცანის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ წინასწარ დადგენილი n რაოდენობის სტილშემქმნელი ფაქტორებისა და მათი წონების საშუალებით მანძილის (სიახლოვის) განსაზღვრას სტილისტური მეტრული სივრცის (ნაწარმოებთა სპარავლის) ელემენტებს (ნაწარმოებებს) შორის ფორმულა (2)-ს-საშუალებით. ამ ამოცანის გადაჭრა არ წარმოადგენს სირთულეს, მით უმეტეს მანქანის დახმარებით. პრაქტიკულად ამ ამოცანის დასამისას იგულისხმება, რომ მთელი შინაარსობრივი, სტილისტური კვლევა უკვე ჩატარებულია (მონახულია სტილშემქმნელი ფაქტორები, მიახლოებით დადგენილია მათი რაოდენობა, მიცემულია მათთვის წონები).

ამ ამოცანის გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს გარკვეულად გადავჭრათ ტექსტოლოგიური იდენტიფიკაციის პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია შუა საუკუნეების ლიტერატურის მცოდნეობაში (გავიხსენოთ, თუნდაც „მოარული ბეითების“ სიხშირე აღმოსავლეთის პოეტთა დივანებში).

სტილის კვლევის პირდაპირი ამოცანის ორი ასპექტი შეიძლება გამოიყოს:

ა) ნაწარმოებთა სტილის იდენტიფიკაციის პრობლემა: განიხილება III რაოდენობის ლიტერატურულ ნაწარმოებთა სიმრავლე და ახალი, ამ სიმრავლის გარეთ დარჩენილი ნაწარმოები. უნდა მოინახოს სტილისტურად რომელ ნაწარმოებთან არის ახლოს ახალი ნაწარმოები.

ბ) ავტორთა სტილის იდენტიფიკაციის პრობლემა: განიხილება კონკრეტული ავტორის III რაოდენობის ნაწარმოებები ან ერთი ნაწარმოების III რაოდენობის მსხვილი მონაკვეთები და უცნობი ავტორის ნაწარმოები. უნდა დადგინდეს, არის თუ არა სტილისტურად ახლოს უცნობი ავტორი დასახელებულ ავტორთან.

პირველი ამოცანა შედარებით მარტივად წყდება. იგულისხმება, რომ ჩატარებულია წინასწარი შინაარსობრივი სტილისტური კვლევა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ხაუბარი, ე. ი. ეს სიმრავლე სტილისტურ მეტრულ სივრცედ არის ქცეული. ა) ამოცანის გადაწყვეტისათვის ფორმულა (2)-ის გამოყენებით უნდა გამოთვლილ იქნეს მანძილები $r(x_k, y)$, სადაც y ახალი ნაწარმოებია და k -ს იმ მნიშვნელობისათვის, რომლისთვისაც ეს მანძილი მინიმალური იქნება, ის ნაწარმოები გამოცხადდეს y ნაწარმოებთან ყველაზე ახლოს.

რაც შეეხება ბ) ჯგუფის პრობლემას, იგი ნაწილია უფრო ზოგადი, ავტორთა იდენტიფიკაციის მეტად გავრცელებული პრობლემისა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ასეთი ფორმალიზებული, გამარტივებული მიდგომა კვლევის მხოლოდ პირველი, დამხმარე ეტაპია ზოგადი პრობლემების გადაჭრის დროს. ფაქტობრივად, ავტორთა სტილისტური იდენტიფიკაცია იქნება ერთ-ერთი სტილშემქმნელი ფაქტორი ავტორთა იდენტიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტისას. ამ ფაქტორთა შორის შეიძლება იყოს ისეთები, რომლებიც სტილთან არც ღრინ დაკავშირებული, მაგალითად, ისტორიული თუ ბიოგრაფიული ცნობები და სხვა.

ბ) ჯგუფის პრობლემის გადასატრიალად ჩვენ დაგვჭირდება ავტორის მიდამოს ცნების შემოყვანა. ნებისმიერი ნაწარმოების სტილშემქმნელ ფაქტორთა ერთობლიობა გვაძლევს წერტილს n განზომილებიან სტილისტურ მეტრულ სივრცეში, სადაც n ამ ფაქტორთა რაოდენობას გამოხატავს. ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოკიდებულია ε სიზუსტეზე, ე. ი. სტილის ფორმალიზებული კვლევის დონეზე.

ავტორის მიდამოს ცნებისთვის ჩვენ დაგვჭირდება ამობურცული სიმრავლის ცნება, რომელიც მათემატიკაში შემდეგნაირად განიმარტება: სიმრავლე ამობურცულია, თუ ნებისმიერი მისი ორი წერტილის შემაერთებელ ხაზზე მდებარე წერტილებიც ეკუთვნის ამ სიმრავლეს. აქედან გამომდინარე, ავტორის მიდამო ვუწოდოთ სტილისტურ-მეტრული სივრცის მინიმალურ ამობურცულ სიმრავლეს, რომელიც ამ ავტორის ნაწარმოებების შესაბამის წერტილებს შეიცავს.

მას შემდეგ, რაც შემოყვანილია ავტორის მიდამოს ცნება, ბ) ჯგუფის პრობლემის გადაჭრა მარტივად ხდება. უნდა შემოწმდეს შემდეგი გამოსახულება: ეკუთვნის თუ არა უცნობი ავტორის y ნაწარმოები ნაცნობი ავტორის G მიდამოს, ე. ი. $Y \in G$.

ავტორობის დადგენის ურთულეს პრობლემას მიუძღვნა ფუნდამენტური ნაშრომი ჩეხმა მეცნიერმა პ. ვაშაკმა, რომელმაც ატრიბუციის სამი ძირითადი

მეთოდი გამოყო: 1. დოკუმენტური და ფაქტობრივი, 2. იდეურ-თემატური და 3. ენობრივი და სტილისტური [16, 209].

ბ. ვაშაყის მეთოდი (კერძოდ, მესამე ასპექტი) გამოიყენა გ. ხეტსომ იმის დასადგენად, ეკუთვნის თუ არა რამდენიმე ანონიმური პუბლიცისტური წერილი დოსტოევსკის. ამისათვის მეცნიერმა გამოყო 15 პარამეტრი (მეტყველების ნაწილების განლაგება წინადადების პირველ პოზიციაში, მეტყველების ნაწილების განლაგება წინადადების მეორე პოზიციაში, მეტყველების ნაწილთა შეფარდება წინადადების პირველ ორ პოზიციაში და ა. შ.), რომელთა მიხედვითაც გამოიკვლია დოსტოევსკი-პუბლიცისტის ენობრივი ხელწერა: პლუსით აღინიშნა საკვლევ სტატიაში კონკრეტული პარამეტრის სიახლოვე (ან დამთხვევა) დოსტოევსკის ავტორიზებული ტექსტის შესაბამის პარამეტრთან, მინუსით — დაშორება, ხოლო 0-ით — გარკვეული პასუხის მიღების პრაქტიკული შეუძლებლობა. პლუსებისა და მინუსების რაოდენობის მიხედვით გ. ხეტსომ შეეცადა გადაეწყვიტა დასახული ამოცანა.

ჩვენი აზრით, გამოყოფილი პარამეტრებისთვის წონების მინიჭებისა და ავტორის მიდამოს ცნების შემოყვანის გარეშე კვლევას შედეგად მიღებული დასკვნები კვლავ სუბიექტური რჩება და ახალ ფორმალიზებას მოითხოვს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გ. ხეტსომ არ გაითვალისწინა სტატიების ჟანრობრივი, თემატური და შესაბამისად სტილისტური ერთგვაროვნება, რაც გარკვეულწილად ნაკლებსაიმედოს ხდის მისი კვლევის შედეგებს.

2. სტილის კვლევის შებრუნებული ამოცანა.

შებრუნებული ამოცანის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ სტილშემქმნელი ფაქტორების წონების განსაზღვრას აპრიორულად მოცემული ერთი ჟანრის სხვადასხვა სტილის ნაწარმოებთა საშუალებით.

მოცემულია ერთი ჟანრის სხვადასხვა სტილის მქონე ნაწარმოებთა X_k, j სიმრავლე ($k=1, \dots, m; j=1, \dots, m_k$), სადაც m ამ ჟანრის სხვადასხვა სტილთა რაოდენობაა, ხოლო m_k — k სტილის ნაწარმოებთა რაოდენობა. გარდა ამისა, წინასწარი სტილისტური კვლევის შედეგად მიღებულია ამ ჟანრისათვის სტილშემქმნელ ფაქტორთა სიმრავლეც. უნდა განისაზღვროს სტილშემქმნელ ფაქტორთა წონა.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად შემოვიყვანოთ სტილის მიდამოს ცნება. იგი განისაზღვრება ავტორის მიდამოს ცნების ანალოგიურად, ე. ი. სტილის მიდამო არის სტილისტური მეტრული სივრცის მინიმალური ამობურცული სიმრავლე, რომელიც ამ სტილის ნაწარმოებთა შესაბამის წერტილებს შეიცავს.

შემოვიყვანოთ სტილის მიდამოს ცენტრალური წერტილის ცნება, რომლის ქვეშაც იგულისხმება ამ სტილისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნაწარმოები. იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც ექსპერიმენტული შეფასების მეთოდით, ისე როგორც სტილის მიდამოს გეომეტრიული ცენტრი. უკანასკნელ შემთხვევაში სტილის მიდამოს ცენტრალური წერტილის შესაბამისი ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება არც არსებობდეს. აღვნიშნოთ განსახილველი ჟანრის k სტილის მიდამოს ცენტრალური წერტილი x_k .

ამ შებრუნებული ამოცანის გადასაწყვეტად, ე. ი. სტილშემქმნელ ფაქტორთა წონების დადგენისთვის, უნდა მოხდეს მინიმისაცია შემდეგი გამოსახულებისა:

$$\sum_{k=1}^m \sum_{j=1}^{m_k} r^2(\overline{x_k}, x_k, j) = \sum_{k=1}^m \sum_{j=1}^{m_k} \sum_{i=1}^n P_i (\overline{x_k}, i - x_k, j, i)^2, \quad (3)$$

სადაც $\overline{x_k, i}$ არის k სტილის მიდამოს $\overline{x_k}$ ცენტრის i სტილშემქმნელი ფაქ-

ტორის მნიშვნელობა; x_k, j, i არის k სტილის j ნაწარმოების i სტილშემქმნელი ფაქტორის მნიშვნელობა; P_i არის i სტილშემქმნელი ფაქტორის წონა (რომელიც დასადგენია), ხოლო n — სტილშემქმნელ ფაქტორთა რაოდენობა.

გამოსახულება (3) მინიმიზაცია გულისხმობს k სტილის მიდამოს ცენტრალური წერტილიდან ამ სტილის ყველა ნაწარმოების შესაბამის წერტილამდე მანძილების ჯამისა და შემდეგ ყველა სტილისათვის ასეთი ჯამების ჯამის მინიმიზაციას.

ცხადია, რომ გამოსახულება (3) მინიმიზაციას ახორციელებს შემდეგი ტრივიალური მნიშვნელობები წონებისათვის $P_i = 0$ ($i = 1, 2, \dots, n$). ამიტომ წონებს უნდა დაედოს დამატებითი შეზღუდვა, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

$$\sum_{i=1}^n P_i = 1 \quad (4)$$

ტოლობა (4) გამორიცხავს ზემოთ აღნიშნულ შემთხვევას $P_i = 0$.

ტოლობა (4)-ის მარჯვენა მხარეს შეიძლება ჩაგვესვა ნებისმიერი დადებითი რიცხვი. ეს, ცხადია, შეცვლიდა წონების მნიშვნელობებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ განმსაზღვრელია არა წონების მნიშვნელობები, არამედ მათი შეფარდებები, იოლად დავრწმუნდებით, რომ ტოლობა (4) მარჯვენა მხარეს ნებისმიერი დადებითი რიცხვი წონების შეფარდებებს არ ცვლის.

გამოსახულება (3) მინიმიზაციისათვის (4) შეზღუდვის შემთხვევაში არსებობს ექსტრემუმის მონახვის ლაგრანჟის მამრავლთა მეთოდი [9].

უნდა აღინიშნოს, რომ ლაგრანჟის მამრავლთა მეთოდის გამოყენება ზოგად შემთხვევაში არ უზრუნველყოფს წონების დადებითობას. ეს უკანასკნელი კი სრულიად აუცილებელია იგივეობის ზემოთ მოყვანილი აქსიომის შესრულებისათვის. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ლაგრანჟის მამრავლთა მეთოდი საკმარისად მარტივ განტოლებებს გვაძლევს წონების მისაღებად, მაინც წონების დადგენის ამოცანა დაყვანილ უნდა იქნეს წრფივი პროგრამირების ამოცანაზე, სადაც ტოლობა (4) შეიცვლება უტოლობათა სისტემით: $P_i > 0$ (5).

როგორც ლაგრანჟის მამრავლთა მეთოდისათვის, ისე წრფივი პროგრამირების ამოცანის ამოსახსნელად არსებობს უკვე გამზადებული მანქანური პროგრამები, რომელთა გამოყენება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ასე რომ, აქ მოყვანილ სქემათა რეალიზაციაში ძირითადი სიძნელეები ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათისა და არა მათემატიკური.

3. სტილის კვლევის დიაგნოსტიკური ამოცანა.

სტილის კვლევის აქ ჩამოყალიბებული სქემის რეალიზაცია, კერძოდ, სტილშემქმნელ ფაქტორთა მნიშვნელობებისა და წონების დადგენა, ცხადია, შესაძლებელია როგორც ფორმალისებული წესით (მაგ., შებრუნებული ამოცანის ამოხსნით), ისე ექსპერტისა თუ ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის შედეგადაც, ეჭვგარეშეა, რომ ამ სქემის რეალიზაციის შედეგად მიღებული წონები დამოკიდებული იქნება სტილშემქმნელ ფაქტორთა რაოდენობაზე, თავად კონკრეტულ ნაწარმოებზე და ა. შ. ასე რომ, სხვადასხვა სპეციალისტები რეალიზაციის შედეგად სხვადასხვა წონას მიიღებენ. ამიტომ არსებითად გვეჩვენება დიაგნოსტიკური ამოცანის დასმა, რომელშიც ჩვენ ვგულისხმობთ, შევაფასოთ, თუ რამდენად გამართლებულია მიღებული სტილშემქმნელი ფაქტორები და მათი კონკრეტული წონები.

დიაგნოსტიკური ამოცანა: შექმნილია სტილშემქმნელ ფაქტორთა და მათი წონების გარკვეული სისტემა (განუჩვენებლად იმისა, ვის მიერ და რა წესით იქნა იგი შექმნილი). დასადგენია, რამდენად ადეკვატურია ეს სისტემა სტილზე ჩვენი ინტუიტიური წარმოდგენებისა.

ამისათვის უნდა ავიღოთ ნებისმიერი ნაწარმოები, რომელშიც აპრიორულად დარწმუნებული ვართ, რომ იგი k სტილს განეკუთვნება. სადიაგნოზო სისტემაში გამოყენებული სტილშემქმნელი ფაქტორებით და მათი წონებით გამოთვალეთ მანძილი ამ კონკრეტულ ნაწარმოებსა და სტილის მიდამოს ცენტრს შორის. და თუ აღმოჩნდება, რომ ამ მანძილებს შორის უმცირესი არ არის მანძილი k სტილსა და მოცემულ ნაწარმოებს შორის, ჩვენი აზრით, ეს ნიშნავს, რომ სტილშემქმნელ ფაქტორთა და მათი წონების შემქმნელი სისტემა დახვეწას მოითხოვს.

ზემოთ ჩვენ ჩამოვყალიბეთ ფილოლოგიურ საკითხთა ფორმალიზებული კვლევის მხოლოდ ზოგადი სქემები, რომელთა რეალიზაცია აუცილებლად იქნება დაკავშირებული გარკვეულ სქემატურობასთან. ამის დადასტურებას წარმოადგენს გ. ხეტოს განხილული სტატია. ცხადია, კიბერნეტიკული მეთოდების გამოყენებით ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრის მცდელობას ბევრი ნაკლოვანება აქვს, რომელთა შორის ამოცანების დასმისა და გადაწყვეტის სქემატურობა და გაუბრალოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მეცნიერები აღნიშნავენ აგრეთვე „კვლევის სტრუქტურულ-ფუნქციონალური და რაოდენობრივი ასპექტების მეტაფიზიკური აბსოლუტიზაციის“ და „მათემატიკური გამოთვლების შესაძლებლობათა მნიშვნელობის გადაჭარბების“ საშიშროებას [10, 13]. მოლის აზრით, კი ინფორმაციის თეორიის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოდის, როგორც „ატომისტური თეორია, რომელიც საგანს მარტივ ელემენტებად დანაწევრების საშუალებით“ აღწერს [10, 32].

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების არსებობა ძირითადად მართებულად მიგვაჩნია, მაინც უდავოა კიბერნეტიკული მეთოდების მნიშვნელობა ფილოლოგიურ საკითხთა კვლევისას. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ავტომატიზებულ და ფორმალიზებულ კვლევას თან უნდა მოსდევდეს მიღებული დასკვნების განზოგადება და დაზუსტება, სწორედ კვლევის ძველი და ახალი მეთოდების ასეთი სინთეზი მოგვცემს სასურველ შედეგს.

ლიტერატურა

1. თუმანიშვილი დ., გარდამავალი ხანის ქართული ხუროთმოძღვრება, სადისერტაციო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1990.
2. Александров П. С., Введение в общую теорию множеств и функций, М., 1948.
3. Берадзе Г. Г., Жоржوليანი Г. Г., Нахуцишвили Н. Г., К вопросу об автоматизированном банке данных средневековых персоязычных текстов, Бартольдовские чтения, 1987, год восьмой, Тезисы докладов и сообщений, М., 1987, с. 21—23.
4. Габуния К. А., Датукишвили К. Т., Кобахидзе М. О вопросах кодирования морфем, Машинные фонды языков народов СССР, Материалы рабочего совещания (Тбилиси, 15—22 ноября 1987 г.), Тб., 1988, с. 5—6.
5. Гельгардт Р. Р., О стиле литературного произведения (объект и метод), в кн.: «Вопросы стилистики, Сб. статей к 70-летию со дня рождения проф. К. И. Былинского», М., 1966, с. 70—82.
6. Головин Б. Н., Язык и статистика, М., 1971.

7. Думбадзе М. М., Использование полнотекстовых баз данных в исторических исследованиях, Машинные фонды языков народов СССР, Материалы рабочего совещания (Тбилиси, 15—22 ноября 1987 г.), Тб., 1988, с. 17—18.
8. Имамназаров М., Общая статистическая структура лексики поэмы «Ширин и Хосров» Амира Хосрова Дехлеви, «Восточное языкознание», М., 1976, с. 98—106.
9. Корн Г. и Корн Т., Справочник по математике, М., 1968.
10. Митрофанов А. С., Кибернетика и художественное творчество, М., 1980.
11. Моль А., Искусство и ЭВМ, в кн.: А. Моль, В. Фукс, М. Касслер, Искусство и ЭВМ, М., 1975, с. 15—278.
12. Моль А., Теория информации и эстетическое восприятие, М., 1966.
13. Морозова М. Н., О стилистическом своеобразии поэмы С. Есенина «А. С.», в кн.: «Вопросы стилистики», сб. статей к 70-летию со дня рождения проф. К. И. Былинского, М., 1966, с. 254—263.
14. Творогов О. В., Об исследовании стиля литературного произведения, в кн.: Анализ литературного произведения, Л., 1976, с. 67—88.
15. Фукс В., По всем правилам искусства. Точные методы в исследованиях литературы, музыки и изобразительного искусства, в кн.: А. Моль, В. Фукс, М. Касслер, Искусство и ЭВМ, М., 1975, с. 279—488.
16. Хетсо Г., Автор статьи — Ф. М. Достоевский, в кн.: Достоевский. Материалы и исследования, Л., 1985, с. 207—224.
17. H o s k e y S., A concordance to the poems of Hafez with output in Persian characters,—„The computer and Literary Studies“, Ed. A. G. Aitken, K. W. Bailey and N. Hamilton—smith, Edinburgh, 1973. 33. 291—306.
18. К е п п у А н т о н у, The computation of style, Pergamon Press: Oxford, New York, Toronto, 1982.
19. К о р р е R., Statistik und semantik der arabischen Lehnwörter in der sprache 'Alawi's —„Wissenschaftliche Zeitschrift der Humboldt—Universität zu Berlin, Gesellschafts und sprachwissenschaftliche Reihe“, IX, 5, 1959/60, 33. 585—619.
20. L a z a r d G., Les emprunts arabes dans la prose persane du X^e au XII^e siecle: apercu statistique—„Revue de l'École National des Langues Orientales“, Vol. 2, Paris, 1969, 33. 53—65.
21. М е н е г и н и—Correale Daniela, The Ghazals of Hafez, Concordance and Vocabulary, Roma, 1988.
22. М о и н ф а р М о h a m m a d D j a f a r, Le vocabulaire arabe dans le livre des Rois de Firdausi. Etude philologique et de statistique linguistique. Wiesbaden, 1970.
23. U t a s B., A Persian sufi Poem: vocabulary and terminology. Concordance, frequency word-list, statistical survey. Arabic loanwords and sufi-religious terminology in *Tarig ut taḥ gīg* (A. H. 744). London and Malmö, Curton Press, 1978 (Scandinavian Institute of Asian Study Monograph series, 26).
24. Z i p o l i R i c c a r d o, Encoding and decoding neopersian poetry, Roma, 1988.

М. М. АЛЕКСИДЗЕ

АВТОМАТИЗАЦИЯ И ФОРМАЛИЗАЦИЯ ИССЛЕДОВАНИЯ ЛИТЕРАТУРОВЕДЧЕСКИХ ПРОБЛЕМ

Резюме

В статье сформулированы общие схемы формализованного исследования стиля, как суммы стилеобразующих факторов, каждый из которых обладает индивидуальным весом. Опираясь на существующие в математике понятия расстояния и метрического пространства, множество художественных текстов можно рассмотреть как стилистическое метрическое пространство, между элементами которого есть определенная близость (метрическое расстояние). Такая стилистическая метрика дает возможность решить следующие задачи: 1. прямая за-

дача исследования стиля, первый аспект которой состоит в идентификации стиля произведения, второй — в идентификации стиля автора; 2. обратная задача исследования стиля — определение веса стилиобразующих факторов посредством априорно данных стилистически различных произведений одного жанра; 3. диагностическая задача исследования стиля — оценка стилиобразующих факторов и их конкретных весов.

Рассматриваются также некоторые теоретические проблемы, связанные с автоматической разработкой текста — такие, как вопрос о двух основных возможностях использования ЭВМ в литературоведении, пути кодирования и анализа кодированных текстов и др.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ნანა ჩიკვატია

ანტიმონოთელიტური თხზულებები ძველ ქართულ მწერლობაში

ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია არსენ იყალთოელის კრებული „დოგმატიკონი“.

არსენ იყალთოელის აღნიშნული კრებული მკვლევართა დიდი ყურადღებით სარგებლობს. შესწავლილია კრებულის ცალკეული ნაწარმოებები, მათ შორის იოანე დამასკელის ყველა თხზულება, გარდა ერთისა — ეს არის თხზულება სათაურით „ქრისტეს ორთა ნებათათვის და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითა თვებათა გარნა შემოკლებული და ორთა ბუნებათათვის და ერთისა გუამისა“¹.

ჩვენ შევისწავლეთ დამასკელის აღნიშნული ნაწარმოები, რომელიც მიმართულია მონოთელიტთა ერესის წინააღმდეგ. ქართული თარგმანის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ანალიზი (განსაკუთრებით ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ცნებათა გამომხატველი ტერმინების ანალიზი, ბერძნული და ქართული შესატყვისების შესწავლა) მოითხოვდა ნაწარმოების შინაარსის მისი იდეოლოგიის გათვალისწინებას. ამ ფაქტორმა აუცილებელი გახადა მონოთელიტობის არსის, მისი რაობის წარმოჩენა.

მონოთელიტების მოკლე ისტორიის წარმოდგენა დავუკავშირეთ იმ თხზულებებს, რომელთა ქართული თარგმანები დავადასტურეთ ძველ ქართულ მწერლობაში. შევეცადეთ წარმოგვედგინა მოკლე ექსკურსი მონოთელიტობის წინააღმდეგ ძველ ქართულ მწერლობაში არსებული თხზულებების შესახებ.

სანამ ქართულ თარგმანებს შევეხებოდეთ, მოკლედ გადმოვცემთ ამ ერესის ისტორიას, რაც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან.

მონოთელიტობის საქართველოში გავრცელების ფაქტი წერილობით წყაროებში არ ჩანს. თუმცა მკვლევართა შორის არსებობს აზრი, რომ VII ს-ში საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარების კარნახით გამორიცხული არ იყო მონოთელიტური, გარკვეულ წილად უნიონალური შეხედულებების გავრცელება. გამორიცხულია, რომ კიროს ფაზისეღს მონოთელიტობის თავგამოდებულ დამცველს, თავის სამწყსოში მიმდევრები არ ჰყოლოდა².

ეს ეხება იმ ისტორიულ ეპოქას, როცა მონოთელიტობამ, როგორც ახალმა მწვალებლობამ, იჩინა თავი.

მონოთელიტობა დიოფიზიტობასა და მონოფიზიტობას შორის არსებულ განსხვავებულობათა პროდუქტია. მონოთელიტობას სამართლიანად უწოდებენ შენიღბულ მონოფიზიტობას.

დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შერიგება იყო მიზანი მონოთელიტური მიმდინარეობის სულისჩამდგმელის ჰერაკლე კეისრისა (VII ს.), ბიზანტიის იმპერატორის მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ იგი ერთხანს სახელმწიფოდან გაქცევასაც ფიქრობდა. იმპერიას საშიში გარემო მტერი გამოუჩნდა სპარსეთის სახით. ქვეყნის შიგნითაც არ იყო ერთიანობა. ამ დროისათვის მონოფიზიტობამ მრავალ პროვინციაში მოიკიდა ფეხი და დიოფიზიტებს დაუ-

¹ S 1463, 128r—138v.

² ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 243.

პირისპირდა. ჰერაკლე კეისარმა და სერგი პატრიარქმა (VII ს.), რომელიც გაცილებით კარგი პოლიტიკოსი იყო, ვიდრე დოგმატიკოსი, გადაწყვიტეს საერთო ენა გამოენახათ მონოფიზიტებთან და ამით ქვეყნის გამთლიანებისთვის შეეწყობთ ხელი, შეექმნათ მიმდინარეობა, რომელიც მისაღები იქნებოდა როგორც მონოფიზიტების, ისე დიოფიზიტებისათვის — ეს იყო ამ ორი მოღვაწის მიზანი, ასე იქმნება მონოთელიტიზმი³.

მართლმადიდებელთა გაგებით, რაკი ბუნება ორია, შესაბამისად ნებაც და მოქმედებაც ორია.

მონოთელიტები კი, დიოთელიტების მსგავსად, ქრისტეს ორ ბუნებას ცნობენ, მაგრამ ნებას და მოქმედებას მხოლოდ ღვთაებრივს აღიარებენ, ისევე როგორც მონოფიზიტები.

სერგი პატრიარქი თვლის, რომ ქრისტეში ღვთაებრივი ბუნება მართავს ადამიანურს, ისევე როგორც ჩვენს სხეულს — სული. მოქმედება უკავშირდება არა ბუნების, არამედ ჰიპოსტასის გაგებას.

სერგი კონსტანტინოპოლელს მხარში ედგა კიროს ფაზისელი (VII ს.), შემდგომში ალექსანდრიის პატრიარქი. მან მოახერხა თეოდოსიანელების შემორიგება მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.

სერგი პატრიარქს და კიროს ფაზისელს ღირსეული მოწინააღმდეგე გამოუჩნდათ — სოფრონ იერუსალიმელი (VII ს.). მისი მოძღვრების მიხედვით, ქრისტე შეუზავებელი ჰიპოსტასია, განუყოფელი და შეუზავებელი ორ ბუნებაში, მოქმედი ორივე ბუნებით.

638 წელს, სოფრონ იერუსალიმელის გარდაცვალების შემდეგ, იწერება იმპერატორ ჰერაკლეს „სარწმუნოების გარდამოცემა“, აქ ხაზგასმულია ქრისტეს ერთი ნება, მოქმედება უკანა პლანზეა. ასე გადადის მონოთელიტიზმი თავისი განვითარების მეორე სტადიაში — მონენერგეტიკობიდან მონოთელიტიზმში.

ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე მონოთელიტიზმისა იყო მაქსიმე აღმსარებელი.

680 წელს შედგა VI მსოფლიო კრება. კრებაზე მონოთელიტიზმს იცავდნენ მაკარი ანტიოქელი და მისი მოწაფე ბერი სტეფანე. მათ თანაუგრძნობდა პატრიარქი გიორგი კონსტანტინოპოლელი. კრებაზე შეაჩვენეს მონოთელიტები თეოდორე ფარანელი, კვიროს ალექსანდრიელი, სერგი პატრიარქი, პიროსი, ბეტრე კონსტანტინოპოლელი, მაკარი ანტიოქელი, სტეფანე, ბერი პოლიხრონიოსი. კრებამ მონოთელიტიზმი მწვალებლობად გამოაცხადა.

კრებაზე წაიკითხეს სარწმუნოების ძეგლისწერა „სმეცა“, კრების მონაწილე ყველა მამის ხელმოწერით. აქ გამეორებულია ნიკეის, კონსტანტინოპოლის, ნაწილობრივ ქალკედონის კრების დადგენილებები. ხაზია გასმული ქრისტეს ორ ნებასა და მოქმედებაზე. კრებაზე აღიარეს მხოლოდშობილი ქრისტეს ორ ბუნებოვნება, ორი ნება, ორი საქმე. უარყვეს წინააღმდეგობა ნებათა შორის. ორივე ბუნების მოქმედება უცვლელი დარჩა ქრისტეში, განუყოფელი, შეუზავებელი. თითოეული ბუნება მოქმედებს თავისი წესისამებრ: საღვთო — ღვთაებრივად, კაცობრივი — კაცობრივად.

თითქოს ყველაფერი გაირკვა და საცილობელიც არაფერი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ მონოთელიტიზმამ მოგვიანებით მაინც იჩინა თავი და საკმოდ სერიოზულადაც. ცნობილია, რომ 712 წელს ჩატარებულ კრებაზე მონოთელიტიზმმა ანათემას გადასცეს VI მსოფლიო კრება და მის მიერ გამოტანილი

³ В. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, Петроград, 1918.

დადგენილებები. მართლმადიდებლობის აღდგენა მოხერხდა მხოლოდ 716 წელს. მონოთელიტობის გამოცოცხლება, როგორც ჩანს, ეკლესიის მართლმადიდებლური დოგმებისთვის სერიოზულ საფრთხედ ესახებოდათ. ამის აშკარა გამოხატულება უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იოანე დამასკელი საგანგებო პოლემიკას უმართავს ამ ერესს.

ძველ ქართულ მწერლობაში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ ერესის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკას პირველად ყურადღება მიაქცია ეფთვიმე მთაწმიდელმა. მონოთელიტების კრიტიკა დასტურდება მის მიერ შედგენილ ორ კრებულში. ერთია „მცირე სჯულისკანონი“⁴, ხოლო მეორე „წინამძღვარი“⁵.

ეფთვიმემ ასევე თარგმნა ამ ერესის წინააღმდეგ მიმართული თხზულება „სიტყვსება, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესა და პიროსის კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა მწვალებლისა“⁶. დაიწყო ამ უკანასკნელით. „სიტყვსება, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესა და პიროსის კონსტანტინეპოლელ პატრიარქის მწვალებლისა“ მოგვიანებით ხელახლა თარგმნა ნიკოლოზ გულაბერიძემ⁷. ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები სწავლობენ და ამზადებენ ორივე თარგმანს გამოსაქვეყნებლად.

„სიტყვსებაში“ გადმოცემულია 645 წელს აფრიკაში მაქსიმე აღმსარებელსა და პიროსს შორის მიმდინარე დისპუტზე წამოჭრილი საკითხები.

პიროსი ქრისტეში ორ ბუნებას ცნობს და ერთ ნებას. მისი აზრით, ორი ნების დაშვება გამოიწვევდა შემდეგ შეუსაბამობებს: ქრისტეს ერთიანობის დარღვევას, ორი მნებებელის არსებობას, წინააღმდეგობებს ნებათა შორის.

მაქსიმე აღმსარებელი პასუხობს, რომ თუ ორი ბუნების არსებობა ვერ დაარღვევს ქრისტეს მთლიანობას, მაშინ ამას ვერც ორი ნება შეძლებსო. ორი ნება რომ ორ მნებებელს იწვევდეს, გამოდის, ერთი ნების მქონე სამება ერთგვამოვანი ყოფილა, რაც გამორიცხულია. ორი ნება ვერც წინააღმდეგობებს გამოიწვევდა, რადგან წინააღმდეგობათა მიზეზი შეიძლება იყოს ან ბუნებრივი ნება ან ცოდვა. თუ მიზეზად ბუნებრივ ნებას მივიჩნევთ, ბუნებრივი ნების მიზეზი ღმერთია მხოლოდ. შფოთის, წინააღმდეგობის მიზეზად ღვთის ჩათვლა კი მკრეხელობაა. თუ მიზეზად ცოდვას ვიტყვით, ესეც არასწორია, ვინაიდან ცნობილია, ქრისტემ ცოდვა არ იცის.

პიროსი სთავაზობს, აღიარონ ორი ნებისგან ერთი ნება, რაც, მისი აზრით, გამოიწვევდა თანხმობას ერთნებიანებასა და ორნებიანებაში.

აღმსარებელი ამტკიცებს, რომ თუ ერთ შეზავებულ ნებას ვაღიარებთ, გამოდის ერთობა მოკვდავის და უკვდავის, ხრწნადის და უხრწნელის, აგებულის და აუგებლის... მაშინ იძულებული ვიქნებით, რომ ბუნებაც ერთი ვაღიაროთო. მას მოჰყავს ციტატები სახარებიდან, რომლებითაც დასტურდება ქრისტეს როგორც ღვთაებრივი, ისე კაცობრივი ნებაც.

ამის შემდეგ კამათი ორ მოქმედებაზე გადადის. პიროსი თვლის, რომ რაკი ქრისტე ერთგვამოვანია, საქმეც მასში ერთი უნდა იყოს. აღმსარებელი პასუხობს, რომ განხურვებული მახვილი ერთია, მაგრამ მისი მოქმედება ორია — ჭრის და წვავსო. ასევეა ქრისტეც. ქრისტეში მხოლოდ კაცი რომ მოქმედებდეს, სასწაულს ვერ აღასრულებდა. მხოლოდ ღმერთი რომ მოქმედებდეს, ვერ იღნებოდა.

4 S 144, გვ. 18—19.

5 A 853, გვ. 60—73.

6 S 367, გვ. 39—52.

7 K 14, 228r—251r.

თხზულების დასასრულს პიროსი აღიარებს ქრისტეს ორ ნებას და ორ საქმეს.

ნ. გულაბერიძეს უთარგმნია მაქსიმე აღმსარებლის თხზულებები მონოთელიტობაზე:

1. „ბუნებითისა ნებისა, ესე იგი არს ნებისათვის“⁸;
2. „ვითარმედ ყოვლითა გუარითა არა იყოს შემდგომად აღდგომისა ერთი ნება წმიდათა ურთიერთას მიმართ და ღვთისა და ერთი ნებებული ყოველთა, ვითარცა ვიეთნიმე იტყვიან“⁹.
3. „მოფარდულობისაგან ორმოცდამეათერთმეტისა თავისა, ვითარმედ ორთა ნებათასა ქრისტეს ზედა მამათა ბუნებითნი დანიშნეს არაჯერჩინებანი“¹⁰;
4. „მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ ერთისა ჯერ არს თქუმაჲ მოქმედებასა ქრისტესსა ზედმპყრობელობითა საღთოჲსა მისისა, ვითარცა უსაქმიერესისაჲთა, რომელი ზედმპყრობელ იყო კაცობრივისა, რომელთა ესე საკმარ არს სიტყვს გებაჲ“¹¹.
5. „მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ ვითარცა ორღანოჲსა დამძვლისაჲ ერთი არს მოქმედებაჲ, ეგრეთვე ლთეებისაჲცა და კაცებისა ერთი მოქმედებაჲ“¹²;
6. „მეტყუელთა მიმართ ერთსა შეზავებულსა მოქმედებასა ქრისტესსა“¹³.

აღმსარებელი განგვიმარტავს ნების რაობას, განასხვავებს მას წინააღრჩევისაგან. აცხადებს, რომ ვინც ქრისტეს ერთ ნებას აღიარებს, განასხვავებს მას ღმერთი მამისგან და უხრწნელი დედისგან. ამტკიცებს, რომ ქრისტემ მაილო აღამიანის ყველა თვისება, ცოდვის გარდა. კაცობრივი ნების დასადასტურებლად მოჰყავს ადგილები სახარებიდან. აცხადებს, რომ ქრისტეს თუ ბუნებრივი ნება აკლდა, ჭეშმარიტი კაცი ვერ იქნებოდა. თუ მხოლოდ კაცობრივი ნება ჰქონდა, საკვირველებებს ვერ იქმნა; თუ მხოლოდ საღვთო ნება იყო, ღვთაება ვერ ივენებოდა; თუ ვიტყვით შეზავებულ ნებას, ღმერთი მამისაგან განვასხვავებთო ქრისტეს.

აღიარებს, რომ მოქმედება ორია და მათ შორის წინააღმდეგობანი არ არსებობს. წინააღმდეგია შეზავებული მოქმედების აღიარების, რადგან ამ შემთხვევაში ბუნებაც შეზავებული უნდა ვაღიაროთ.

მონოთელიტობაზე, როგორც ერესზე, მსჯელობას ვხვდებით „მცირე სჯულისკანონში“¹⁴. აქ ნათქვამია, რომ მონოთელიტთა საცთურებამ აღორძინა სევეროსის, აპოლინარის და თემისტოსის წვალებანი.

ამ ცნობის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ რა მიმართება არსებობს მონოთელიტობასა და აქ დასახელებულ სამ ერესს შორის. სათანადო ლიტერატურის გაცნობის, დასახელებული ერესების მრწამსისა და შეხედულებების გაანალიზების შედეგად ნათლად წარმოჩინდა, რომ „მცირე სჯულისკანონის“ ავტორის მიერ მოწოდებული ცნობა სრულიად საფუძვლიანია და ჭეშმარიტების შემცველი. ქრისტეს ნებისა და მოქმედების შესახებ სევეროსის, თემისტოსისა და აპოლინარ ლაოდიკიელის შეხედულებებსა და მონოთელიტობის ძირითად დებულებებს შორის ბევრი რამ საერთოა, ამდენად, სრულიად გამართლებული ჩანს „მცირე სჯულისკანონში“ გამოთქმული აზრი,

⁸ K 14, 251v—252v.

⁹ K 14, 255v—257v.

¹⁰ K 14, 263v—267r.

¹¹ K 14, 269—270r.

¹² K 14, 269v—270r.

¹³ K 14, 270r.

¹⁴ S 144, გვ. 18—19.

რომ მონოთელიტობამ ააღორძინა სევეროსის, აპოლინარისა და თემისტოისის ერესები.

გამოთქმულია აზრი, რომ სევერიანობა, რომელიც მონოფიზიტური მიმდინარეობის დანარჩენ ფრაქციებთან შედარებით ყველაზე ახლოს დგას მონოთელიტობასთან, ცნობს მხოლოდ ერთ ღმერთმამაკაცებრივ მოქმედებას. ქრისტეს ადამიანური ბუნება ჰიპოსტასური არაა, ამიტომ იგი კაცობრივ მოქმედებას ვერ შესძლებს. ამ აზრს გამოთქვამს ჯ. დორნერი¹⁵. ბოლოტოვის აზრით კი, სევეროსი იმდენად სერიოზულად სვამდა საკითხს ქრისტეს კაცობრივი თვისებების ჰიპოსტასური არსებობის შესახებ, რომ ძნელია ირწმუნო, რომ იგი თვისებებს სუბსტრატის გარეშე განიხილავდა. საყურადღებოა, რომ სევეროსს ქრისტეს ერთი მოქმედების დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითი — ქრისტეს სიარული წყალზე, — სწორედ ის ფაქტი, რომელსაც ფსევდოდონისეს კომენტატორები იყენებენ მაცხოვრის ორი მოქმედების დასამტკიცებლად. განა ადამიანს შეუძლია, — კითხულობს სევეროსა, — წყალზე სიარული? ან ღმერთს შეიძლება მოკვდავთა წესისამებრ ფეხით სიარული ახასიათებდეს? ღმერთი სიტყვა ერთი გახდა, როგორც მისი მოქმედება.

რაც შეეხება თემისტოისს, ჩვენთვის მხოლოდ ის ფაქტია ცნობილი, რომ ისიც სევერიანთა მიმდევარი იყო. იგი იზიარებს აზრს, რომ ქრისტე, როგორც კაცი, ყველაფერში მსგავსია ჩვენი, გარდა ცოდვისა. აქედან იგი ასკვნის, რომ უცოდინრობა ცოდვა კი არაა, არამედ თვისება ადამიანური შეზღუდული ბუნების. ქრისტემ, როგორც ადამიანმა, ნამდვილად არ იცოდა ის, რისი ცოდნაც კაცს არ ძალუძს.

გამოთქმულია აზრი, რომ მონოთელიტობას გარკვეული მსგავსება აქვს აპოლინარ ლაოდიკელის (IV ს.) მოძღვრებასთან¹⁶. ცნობილია, რომ მონოთელიტები სიტყვით კი აღიარებენ ადამიანურ ბუნებას, მაგრამ ამ ბუნებას საკუთარი არც ნება აქვს და არც მოქმედება. სერგი პატრიარქის აზრით, ღმერთ-კაცს მართავეს ღვთაებრივი ნება, როგორც ჩვენს სხეულს — რაციონალური სული. ადამიანური ბუნება პასიურია (nonrational). ამასთან ძალიან ახლოა აპოლინარის შეხედულება, რომ ქრისტემ ადამიანის სული და სხეული მიიღო გონების გარეშე. გონება ადამიანისა იმდენად სუსტია, იმდენად ვნებული, რომ დარჩენილიყო ქრისტეში, მას წინააღმდეგობას გაუწევდა ცოდვის დაძლევაში. ბუნებათა შეერთებისას მოხდა მათი შერევა. ყოველი შერევის არსი იმაშია, რომ შერეული ელემენტები არ ინარჩუნებენ თავის თვისებებს მთლიანად, არამედ ნაწილობრივ. ქრისტე რომ ორი სრული ბუნების მფლობელი ყოფილიყო, მაშინ სუბიექტი ტანჯვის და სიკვდილის იქნებოდა სრული კაცი და ღვთაებრიობასთან მას არანაირი კავშირი არ ექნებოდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეიძლება საფუძველს მოკლებული არ იყოს მონოთელიტობის მსგავსება თეოდორე მოფსუესტიელის (V ს.) მოძღვრებასთან. მოფსუესტიელი აღიარებს, რომ ქრისტეში ორი ბუნებაა შეერთებული განუყოფლად, განუცალკევებლად, ხოლო მისი ნება და მოქმედება ერთია. შეერთებას იგი გამოხატავს ტერმინით *ἡ συνάρσις*, რაც, აღნიშნავს ზედაპირულ, გარეგნულ ურთიერთობას. იმავე სიტყვას იყენებდა ნესტორი კონსტანტინოპოლელი (V ს.), რომელიც ქადაგებდა — ქრისტეში ღმერთის და კაცის ბუნება

¹⁵ В. В. БОЛОТОВ, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 340.

¹⁶ აპოლინარის მსგავსება მონოთელიტობასთან ცნობილია სხვა ლიტერატურითაც. იხ. *Encyclopedia of Religion and Ethics*, Edited by James Hasting, *volum VIII*, Edinburgh 33- 822.

ცალ-ცალკე არსებობსო. ამ შემთხვევაში ტერმინი მართებულადაა გამოყენებული, მოფსუესტიელი კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბუნებანი მაცხოვარში განუყრელადაა გაერთიანებული, გამოდის, რომ იგი η *συσχρεια*-ს არაზუსტად იყენებს შესაბამისი ტერმინის უქონლობის გამო. ზუსტი ტერმინი კი, როგორც თ. ჭყონია აღნიშნავს¹⁷, VI საუკუნეში იპოვა ლეონტი ბიზანტიელმა. ეს არის ტერმინი *ἐνυπάρτασις*, რომელიც ზუსტად გამოხატავს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების შეერთებას განუყოფლად. მისი ქართული შესატყვისია „კუამოვანი“. მონოთელიტთაგან განსხვავებით, ბუნება მოფსუესტიელთან ჰიპოსტასს ნიშნავს.

მონოთელიტური ერესის კრიტიკა დასტურდება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეფთვიმე მთაწმიდლის ცნობილ კრებულში, რომელიც „წინამძღვრის“ სახელითაა ცნობილი. ეს კრებული ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. იგი შესწავლილია თ. ჭყონიას მიერ. მკვლევარი საინტერესო და მნიშვნელოვან დასკვნებს იძლევა კრებულის შედგენილობის შესახებ. „წინამძღვარი“ არ არის ერთი რომელიმე თხზულების თარგმანი, იგი ეფთვიმე მთაწმიდელს შეუდგენია სხვადასხვა წყაროების საფუძველზე, რომელთა შორის უბირველესი ადგილი უკავია დამასკელის „გარდამოცემას“¹⁸. როგორც ირკვევა, „წინამძღვარში“ დადასტურებული კრიტიკა მონოთელიტობისა აღებულია სწორედ იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“. მონოთელიტობას ეძღვნება „წინამძღვრის“ XVII, XVIII, XX თავები: 1. ორთა მათ თვთმფლობელთა ნებათათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა¹⁹; 2. განღმრთობისათვის ბუნებისა მის გორცთა ქრისტესთაჲსა²⁰; 3. ბუნებითა კაცებისა საქმეთათს²¹.

ვინაიდან ეფთვიმეს „წინამძღვრის“ წყარო ამ ნაწილში „გარდამოცემაა“, ორიოდე სიტყვა ამ თხზულების შესახებ.

იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ არის ცნობილი ტრილოგიის „წყარო ცოდნისას“ მესამე ნაწილი. აღნიშნული თხზულების ტექსტი ამჟამად გადაცემულია პუბლიკაციისათვის, ხოლო მის შესახებ გამოკვლევა გამოქვეყნებული აქვს რ. მიმინოშვილს²². ამ თხზულებაში გადმოცემულია მართლმადიდებლური ქრისტიანული საარწმუნოების ძირითადი არსი, მისი დოგმატურ-თეოლოგიური საფუძვლები.

მონოთელიტობის არსი და მისი კრიტიკა დასტურდება „გარდამოცემის“ ოთხ თავში. ესენია:

თავი 57: „ნებათა და თვთმფლობელობათათს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა“²³;

თავი 58: „უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს შორისთა მოქმედებათათს“²⁴.

თავი 60: „განღმრთობისათს ბუნებასა და ნებასა გორცთა უფლისათა“²⁵;

თავი 61: „მერმეცა ნებათათს და თვთმფლობელობათა, გონებათა და მეცნიერებათა და სიბრძნეთა“²⁶.

17 თ. ჭყონია, ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღვარი“ (ხელნაწერი შრომა).

18 S 1463, 54r—102v.

19 A 853, 60—69.

20 A 853, 60—70;

21 A 853, 70—73.

22 რ. მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანი.

23 S 1463, 82r—83v.

24 S 1463, 83v—85v.

25 S 1463, 86r.

26 S 1463, 86v—87r.

ჩამოთვლილი თავებიდან პირველი ორი თავი შემოკლებული სახით შეტანილია „წინამძღვარში“, სახელწოდებით „ორთა მათ თვთმფლობელთა ნებათათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა“

ჩვენ შევისწავლეთ „წინამძღვრის“ აღნიშნული ტექსტი, ანუ ეფთვიმე მთაწმიდლისეული თარგმანი „გარდამოცემის“ ანტიმონოთელიტური პოლემიკისა, მაგრამ თავი შევიკავეთ მისი ცალკე განხილვისაგან, რადგან „გარდამოცემის“ ანტიმონოთელიტური კრიტიკა სხვა ქართული თარგმანებითაც გვხვდება. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ „გარდამოცემა“ ეფთვიმეს შემდეგ ცალკე სრული სახით თარგმნეს ჯერ ეფრემ მცირემ, მერე კი არსენ იყალთოელმა.

„გარდამოცემის“ დასახელებული თავების თარგმანების შესწავლამ ნათლად დაგვანახა, რომ მათი სახით დამასკელის ერთი და იგივე ტექსტია წარმოდგენილი. მათ შორის რაიმე აზრობრივი, შინაარსობრივი სხვაობა არ დასტურდება.

ამდენად, დამასკელის შეხედულებებზე, მის ანტიმონოთელიტურ მსჯელობებზე წარმოდგენის შესაქმნელად, ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისი ჩანს ერთი რომელიმე თარგმანის განხილვა. ჩვენც, გამომდინარე „დოგმატიკონის“ შესწავლის ინტერესებიდან, არსენ იყალთოელის თარგმანზე შევიჩერდით.

ა) „გარდამოცემის“ პირველ თავში დამასკელი ნებას და მოქმედებას უკავშირებს არსებას. რამდენი არსებაცაა, ნებაც და მოქმედებაც იმდენივეა. ქრისტეს განკაცებისას ორი არსება გაერთიანდა. ამიტომაც როგორც ბუნება, ასევე ნება და მოქმედება განიყო. დამასკელი განმარტავს ტერმინებს, ნება (**τὸ θελημα**), ნებება (**θελημα**), ვითარნებება (**πῶς θέλει**), ვითარმოქმედება (**πῶς ἐνεργεῖν**), მნებებელობითი (**ἡ θελησις**)...

მოჰყავს სახარებიდან ადგილები, სადაც ქრისტეს კაცობრივ და საღვთო ნებაზეა ლაპარაკი. ავტორი სვამს კითხვას, შეიძლება თუ არა ვალიაროთ ერთი შეზავებული ნება? პასუხი უარყოფითია. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, ქრისტეს მამის ნებისგან განვამორებთ, ვინაიდან მამის ნება არაა შეზავებული.

ბ) რაც შეეხება მოქმედებას (ამაზე ლაპარაკია „გარდამოცემის“ II თავში), დამასკელი აღიარებს, რომ ქრისტეს, როგორც მამის თანაარსს, აქვს საღვთო მოქმედებაც და, როგორც კაცქმნილს, ჩვენს თანაარსს — კაცობრივი მოქმედებაც. გვაწვდის შემდეგი ტერმინების განმარტებებს: მოქმედება (**ἡ ἐνέργεια**), მოქმედებული (**τὸ ἐνεργητόν**)... აკონკრეტებს, ქრისტეში რომელია ღვთაებრივი მოქმედება, რომელია კაცობრივი; ეკამათება ნესტორიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქრისტეში ორი მოქმედების აღიარება ორგვამოვნებამდე მიგვიყვანსო.

დამასკელი აგონებს მწვალებლებს, რომ თუ ორ ბუნებას აღიარებენ, მოქმედებაც ორი უნდა ცნონ, ვინაიდან რომლის ბუნება სხვადასხვაა, მისი მოქმედებაც სხვადასხვაა, რომლის ბუნება ერთია, მისი მოქმედებაც ერთი უნდა იყოს.

სასწაულს ქრისტეში ღმერთი იქმს, არა გარეშე ხორცის, მდაბალ საქმეებს — ხორცი, არა გარეშე ღვთაების. ეწინააღმდეგება მათ, ვინც აღიარებს, რომ განხორციელების შემდეგ ძე მამის ერთარსება არააო. ამის გასაბათილებლად მოჰყავს ქრისტეს გამოხატვამი: „რადცა ჰხედავს მამასა, მათი ძეცა მსგავსად იქმს“.

ავტორი ქრისტეში შეზავებულ მოქმედებას გამორიცხავს. იგი ასკვნის, რომ ქრისტეს მოქმედება არც მხოლოდ ღვთის მოქმედებაა, არც მხოლოდ კაცის.

გ) შემდეგ თავში „განღმრთობისათვის ბუნებათა და ნებასა კორცთა უფლისათა“ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ უფლის ხორცის განღმრთობით არ მომხდარა ბუნებათა შეცვლა, მათი აღრევა, იგივე ითქმის ნებაზეც.

დ) ანტიმონოთელიტურია „გარდამოცემის“ შემდეგი თავიც „მერმეცა ნებათათვის და თვთმფლობელობათა გონებათა და მეცნიერებათა სიბრძნეთა“. დამასკელი კითხულობს, თუკი ქრისტემ ხორცი უსულო ან სული უგონებო მიიღო, მაშინ განკაცებას რაღა აზრი ჰქონდაო. გამოდის, ქრისტეს პირუტყვის სული მიუღია. ამტკიცებს, რომ ქრისტეში მოქმედებდა როგორც კაცობრივი, ისე ღვთაებრივი ნება.

ქრისტემ მიიღო სულიერქმნილი ხორცი სულით სიტყვიერით და გონიერით, რომელიც მთავრობს ხორცს, ხოლო თვითონ მთავრობს ღმერთი სიტყვიერით, რადგან, როგორც ღმერთს და როგორც კაცს, აქვს ნება. როცა საღვთო ნება მიუშვებს, მაშინ კაცობრივი ბუნება თავისი წესით მოქმედებს. აკი ამიტომაც განილტვოდა სიკვდილისაგან, შეეშინდა. მისმა საღვთო ნებამ ინება არჩევა სიკვდილისა კაცობრივი ნების მიერ. მისი ნებით იქმნა ვნება, ნებით მისცა თავი სიკვდილად, არა როგორც ღმერთმა, არამედ როგორც კაცმა.

კაცობრივი ნება ჟამიერად დაწყებული იყო, უგიობელი ბუნებით, არა ყოვლისშემძლე, ხოლო ღვთაებრივი — ყოვლისშემძლე.

მონოთელიტური ერესის კრიტიკა ხშირ შემთხვევაში მიმართული იყო იმ მცდარი, არამართებული გააზრების წინააღმდეგ, რასაც მონოთელიტები ამა თუ იმ ტერმინში დებდნენ. ტერმინთა მნიშვნელობის სხვადასხვაგვარი გააზრება ხშირად მწვავე დისკუსიების საგანი იყო. ერთ-ერთი ასეთი ტერმინი ჩანს *μία θεανδρική ἐξέρχεια*.²⁷

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში²⁸ გამოთქმულია აზრი, რომ მონოთელიტები იყენებენ დიონისე არეოპაგელის ფორმულას *μία θεανδρική ἐξέρχεια*. გველვერის მიერ მითითებულია ეს ფაქტი და იქვე აღნიშნულია, რომ ეს საკითხი — მონოთელიტობის კავშირი დიონისე არეოპაგელის მოძღვრებასთან — შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ჩვენ, რასაკვირველია, პრეტენზია არ გვაქვს, რომ ამაზე სრული პასუხი გავცეთ, რადგან კარგად გვესმის, რომ საკითხი იმდენად რთული და სერიოზულია, რომ იგი სპეციალურ კვლევას საჭიროებს. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ, გავვერკვია, სად ხმარობს დიონისე არეოპაგელი ამ გამოთქმას *μία θεανδρική ἐξέρχεια* და არსებობდა თუ არა ჩვენს მწერლობაში რაიმე მიმანიშნებელი ამ ფორმულაზე და, თუ არსებობდა, როგორ იყო იგი გააზრებული. ამ თვალსაზრისით გავეცანით დოგმატიკური და პოლემიკური ხასიათის ნაწარმოებებს და, მართლაც, ქართულად თარგმნილ რამდენიმე თხზულებაში წავაწყდით ამის პასუხს.

სანამ ამ თხზულებებს შევეხებოდეთ, სადაც ეს ფორმულაა განმარტებული, საინტერესოა აღვნიშნოთ, თუ რომელ ნაწარმოებში და რა კონტექსტში იყენებს მას დიონისე არეოპაგელი. ეს არის ეპისტოლე გაიოზის მიმართ, სადაც ქრისტეს კაცობაზე და ღვთაებრიობაზეა საუბარი²⁹.

„დოგმატიკონის“ ერთ-ერთ თხზულებაში, კერძოდ „გამოკრებანი წამე-

27 პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) შრომები, თბ., 1961, გვ. 235.

28 ზ. ალექსიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 244.

29 პეტრე იბერიელი, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

ზათანში³⁰, ავტორს მოჰყავს ფსევდოდოქსისეს გამონათქვამი გაიოზის ძიმართ ეპისტოლიდან: „მიერთვან არა ხოლო ღმრთეებით მოქმედი საღმრთოთა, არცა კაცობრივ ოდენ კაცობრივთა, არამედ განმამაკაცნა რაჲ ღმერთი, ახალი რაჲმე ღმერთმამაკაცებრი მოქმედებაჲ მოქალაქობდა ჩვენს შორის“³¹.

ტექსტის ამ ადგილს არშიაზე დოგმატიკონში ახლავს კომენტარი, რომელშიც ფსევდოდოქსისეს გამონათქვამი სრულიად ნათლად დიოფიზიტური მართლმადიდებლური ვაგებით არის გააზრებული: „ღმერთმამაკაცებრ, ესე იგი არს ღმრთებრ თანად და მამაკაცებრ საღმრთოთა და კაცობრივთა იქმოდა... ახალსახეობითი სადმე არს კჲმად ესე წმიდისად, რომელი შემსგავსებულთა წოდებითა მრჩობლისა ქრისტეს ბუნებისათა მრჩობლსა ცხადჰყოფს მოქმედებასა“³².

შემდეგი ძეგლი, რომლის ქართული თარგმანი არსებობს და ფსევდოდოქსისეს აღნიშნული გამონათქვამი ასევე დიოფიზიტური ვაგებით არის განმარტებული, არის დიონისე არეოპაგელის თხზულებების კომენტარები. როგორც ცნობილია, ამ კომენტარებს მიაკუთვნებენ მაქსიმე აღმსარებელსა და გერმანოზ პატრიარქს. ჩვენ მათ ვაგეცანით ხელნაწერში A-110.

კომენტატორი ფსევდოდოქსისეს იმ ფორმულას, რასაც მონოთელიტები იყრდნობოდნენ, დიოფიზიტურად განმარტავს: ღმერთმამაკაცებრი მოქმედება იმიტომ თქვაო, რომ არა მხოლოდ ღვთეებით მოქმედებდა საღვთოს, არც კაცობრივ-კაცობრივს, რადგან არც მხოლოდ კაცი იყო და არც მხოლოდ ღმერთი. ერთ ღმერთმამაკაცებრივ გვამში განიხილება ორი ბუნება, ორი მოქმედება. ჯანა კაცს ძალუძს სიარული წყალზე, ან შეიძლება ღმერთი ხორციელი ფეხით დადიოდეს? სწორედ ესაა ღმერთმამაკაცებრივი მოქმედება. როცა გვამი (სხეული) ერთია, მოქმედება კი ორი, კომენტატორი სახარებიდან ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდების მოშველიებით ასაბუთებს იესოს ორი მოქმედების განონზომიერებას.

შემდეგ ნაწარმოებში „გარდამოცემა“ ფსევდოდოქსისეს აღნიშნული გამოთქმა იოანე დამასკელის სპეციალური განსჯის საგანია. მას ცალკე თავი აქვს მიძღვნილი — „ღმერთმამაკაცებრივი მოქმედებისათვის“³³. ფორმულა *μία θεοποίησις ἐνάρχεια* აქ დიოფიზიტური ვაგებით არის განხილული: ღმერთმამაკაცებრივი მოქმედება გულისხმობს, რომ განკაცებული ღვთის კაცობრივი მოქმედება საღვთო იყო — ესე იგი განღმრთობილი და არა უნაწილო ღვთაებრივი მოქმედებისაგან. არც საღვთო მოქმედება იყო განცალკევებული კაცობრივი მოქმედებისაგან. თითოეული განიხილებოდა მეორესთან კავშირში, მსგავსად განხურვებული მახვილის მოქმედებისა, როცა წვა განკვეთილია და განკვეთა დამწვარი, მოქმედებს ერთი მახვილი (ისევე როგორც ქრისტე — ერთი პირი), მაგრამ წვა სხვა მოქმედებაა და კვეთა — სხვა.

ამრიგად, ქართულად თარგმნილ ძეგლებში, რამდენადაც ჩვენ შევძელით ფსევდოდოქსისეს ფორმულაზე თვალის მიდევნება, მისი მხოლოდ დიოფიზიტური ინტერპრეტაცია დასტურდება და გამორიცხულია მისი მონოთელიტური გააზრება.

³⁰ „გამოკრებანი წამებათანის“ ავტორად მთარგმნელის, არსენ იყალთოელის მიერ დასახელებულია იოანე დამასკელი. იხ. 1463, 138v—183r. კ. კეკელიძის მოსაზრებით, ეს არის იოანე დამასკელის თხზულება „პიერა პარალელა“. როცა დოგმატიკონის აღნიშნული ტექსტი FG-ში გამოქვეყნებულ ტექსტს შევადარეთ, გაირკვა, რომ სულ სხვა ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. ნაწარმოების რაობა და ავტორის ვინაობა დასადგენია.

³¹ S 1463, ფ. 157.

³² იქვე.

³³ S 1463, 87r-v.

დაბოლოს, ის ძირითადი თხზულება, რომელიც სპეციალურად მიმართულია მონოთელიტიზმის წინააღმდეგ და წარმოადგენს ჩვენი ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური შესწავლის ობიექტს, არის იოანე დამასკელის „ქრისტეს ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითა თუთებათა“³⁴.

საყურადღებოა, რომ იოანე დამასკელი დასაწყისშივე აცხადებს იმ ძირითად მიზეზებს, რომელნიც განაპირობებენ მწვალებელთა ცთომილებას. ეს არის სახელწოდებათა (ტერმინთა) არასწორი ხმარება. ამიტომაც საჭიროდ თვლის, მოგვეცეს ტერმინების — გვამი (ἡ σάπτασις), ბუნება (ἡ φύσις), ნება (τὸ θέλημα), მოქმედება (ἡ ἐνέργεια) — განმარტებები. იგი ვრცლად მსჯელობს ქრისტეს ორ ბუნებაზე. ორბუნებოვნებიდან გამომდინარე დასკვნა გამოაქვს, რომ მათ ვინც ორ ბუნებას აღიარებენ, ნებაც და მოქმედებაც ორი უნდა ცნონ, იმიტომ, რომ თავისი ბუნების შესაფერისი მოქმედების, ნების არქონა თვითონ ბუნების არარსებობას ნიშნავს. მოქმედება თითოეული არსების ძალა და ძრვავა, რომლის გარეშე არამყოფია ოდენ. ქრისტეში კაცს ენება ჭამა: „გულისთქუმით გული მითქუმიდაო ჭამად პასექსა ამას თქვენთანა“, ენება სმა, მორჩილება, სვლა...

კამათობს მათთან, ვინც ნებას გუამოვნებითად თვლის. ნება რომ გუამოვნებითი იყოს, მაშინ გამოვა, რომ ძე ღმერთი, როგორც მამისგან განსხვავებული გვამი, განსხვავებული ნების ყოფილა. სახლში შესულ ქრისტეს დამალვა ნებას, ვერ იმალება. თუ ნება ერთია ქრისტეში, ის ღვთაებრივი უნდა იყოს. გამოდის ღვთაებრივი ნება ყოვლისშემძლე არ ყოფილა. კაცი მოქმედებდა მაცხოვარში: ეძინა, ჭამდა, კეთროვანს ეხებოდა, დადიოდა... კაცი მოქმედებს, როცა ყრმას ხელს ჰკიდებს; ღმერთი მოქმედებს, როცა მას აღადგენს. ქრისტეს მოქმედებას დამასკელი აღარებს განხურვებული მახვილის მოქმედებას.

აღნიშნულ თხზულებაში იოანე დამასკელი მსჯელობს ფსევდოდოქონისეს ფორმულაზე — „ერთი ღმერთმამაკაცებრივი მოქმედება“. რასაკვირველია, ფსევდოდოქონისეს ამ ფორმულას იგი დიოფიზიტური პოზიციით ხსნის.

გვხვდება მსჯელობები აპოლინარიზმზე, მანიქეველობაზე, ნესტორიანებზე, ბონოფიზიტებზე.

იოანე დამასკელი თავის თხზულებას ასე ამთავრებს: უცოდველი ქრისტესთვის უცხო იყო ცოდვა. ჩვენთვის მოკვდა, მოგვცა მცნება, გვიჩვენა გზა, საითკენაც წინამორბედად წავიდაო.

ამრიგად, ჩვენ შეგვეცადეთ თავი მოგვეყარა ყველა იმ წყაროსათვის, რომელშიც აისახა მონოთელიტიზმის ისტორია, მისი კრიტიკა და რომელიც შემოგვინახა ქართულმა მწერლობამ. ესენია, როგორც სპეციალურად მხოლოდ მონოთელიტიზმის წინააღმდეგ დაწერილი თხზულებები, ისე ის თხზულებები, რომლებშიც მონოთელიტიზმა მოხსენებულია სხვა მწვალებლობათა გვერდით.

ერთშიც და მეორეშიც გატარებულია მონოთელიტიზმის კრიტიკა ჭეშმარიტი მართლმადიდებლური პოზიციებიდან ქრისტეს ორი ნების და ორი მოქმედების აღიარების ოვალსაზრისით.

რასაკვირველია, ჩვენ მიერ მოძიებული თხზულებებით სრულებითაც არ ჩნდება ამოწურული ის წყაროები, რომლებშიც გამოვლინდა ანტიმონოთელიტიური კრიტიკა, სხვების ძიება მომავლის საქმეა.

АНТИМОНОФЕЛИТСКИЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ
В ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ

Резюме

В древнегрузинской литературе известно несколько произведений, переведенных с греческого языка, касающихся истории монофелитской ереси, как одной из разновидностей монофизитства. Среди них выделяются произведения, специально посвященные антимонофелитским спорам. Таковыми являются: 1. «Прения между святым Максимом и константинопольским патриархом Пиросом». Данное произведение было дважды переведено на грузинский язык: сперва Евфимием Мтацмидели (XI в.), второй раз — Николозом Гулаберидзе (XIII в.).

2. «О двух волях и действиях и других естественных свойствах в Христе», принадлежащее Иоанну Дамаскину и переведенное на грузинский язык Арсеном Икалтоели (XI в.).

Николозом Гулаберидзе были переведены несколько антимонофелитских произведений Максима Исповедника.

Критике монофелитской ереси посвящены несколько глав сочинений Евфимия Мтацмидели, известном под заголовком «Цинамдзгвари» («Предводитель»).

Критика монофелитских воззрений с позиций ортодоксальной догматики дается в четырех главах «Изложения православной веры» Иоанна Дамаскина, известного в грузинской письменности по переводам Ефрема Мцире (XI в.) и Арсения Икалтоели (XI в.).

Во всех названных произведениях монофелитские воззрения рассматриваются как еретические, неприемлемые для православного диофизитского понимания, признающего в Христе в соответствии двум природам две воли и два действия.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დაცვის, აღრიცხვისა და ექსპოზიციის განყოფილება
წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

თამარ ოთხაიჭური

ერთი ზრამატიკული ხასიათის შენიშვნის შესახებ
ძველ ქართულ მწიგნობარულ

ეფრემ მცირის შიერ ნათარგმნ გრიგოლ ნაზიანზელის 16-სიტყვიან ლიტურგიკულ კრებულზე დართულ კომენტართა შორის ყურადღებას იპყრობს ერთი გრამატიკული ხასიათის შენიშვნა, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის XLIII ჰომილიის, „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ კომენტარებშია ჩართული. რამდენადაც ცნობილია, გრიგოლმა ეს ჰომილია ბასილი დიდის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 381 წელს შექმნა. „ეპიტაფიის“ შესავლის ერთი, საკმაოდ მოზრდილი პასაჟი ჰომილიის დაგვიანებით შეთხზვის მიზეზის ასხნას ეიმობა. აქ არის ერთი ფრაზა: *ἴδ' ὅτι τοσοῦτον ἀπ' ἄρχῆς τὸν καιρὸν θέσπερις... μὲνεις ματαμῶν*² — „თუ კი ამას (ეპიტაფიის შეთხზვას. — თ. ო.) შევეუდექი მოგვიანებით, ... ნურავის გაუყვირდება“. ამ წინადადების ეფრემისეული თარგმანია: „ხოლო რომელ ესოდენ ჟამისმეორედად დავემთხვე ... ნუცა ერთსა ვის უკვრს“.

სიტყვათშეთანხმება *τὸν καιρὸν θέσπερις* ეფრემს მისთვის ჩვეული სიტყვით აქვს თარგმნილი: „ჟამისმეორედად“ (*ὁ καιρὸς* — „ჟამი“, *θέσπερις* — „მეორე“)³. ტექსტში ეს სიტყვა შემდეგი ნიშნებითაა წარმოდგენილი: „ჟამის³ მეორედად“ (Jer 15, 22v; Jer 43, 24r). ჰომილიაზე დართული შენიშვნა სწორედ ამ სიტყვასა და ნიშნებს ეხება:

„ესე კელოვნებად სხუათაცა აღწერილთა შინა, ხოლო უფროდსა დიდისა ამის მოძღუროსა და უმეტესად თვთ ამას საკითხავსა შინა უფრო იხილვების, რაათა სიმოკლისათვს სიტყვსა ორთა სიტყუათა ერთად შეადგმიდეს. და ესე აწინდელისა ამის თარგმანისაგან სხუათაცა აღგილთა შეისწავე ნიშნებითა ამით, რამეთუ აჰა, რაჟამს უკმნა თქუმად, ვითარმედ „მეორედად ჟამისა დავემთხვე მას“, სიმოკლისათვს ორთა სიტყუათა ერთად შეადგამს და ანსა მოჰყუეთს „ჟამისაგან“ და მოკუეთილისა მის წილ ასომასა სანისასა ზედა იოტად უხის. ხოლო რაათა არა ორგან განჰკრა ესრეთ, ვითარმედ „ჟამისა მეორედად“, რომელი ესე ორსიტყუობადა არს, ამისთვს ქუემოდთ შესაკრავად უხის სუნებზა, რომელი ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ „თანა-წარვლე“, ესე იგო

¹ ეფრემ მცირის ნათარგმნი გრიგოლ ნაზიანზელის 16-სიტყვიანი კომენტარებული კრებულებია: A 109 (XIII ს.), Jer 15 (XII ს.), Jer 43 (XII—XIII სს.), Jer 13 (XIII—XIV სს.). ამ ნუსხათაგან სამში — A 109, Jer 15, Jer 43 კომენტარები ხელნაწერთა აშეიბზეა მოთავსებული. Jer 13-ში კრებულის ბოლოს. — გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1988, გვ. 133—138, 144—151, 151—158, 159—167; T. Bregadze, Repertoire des manuscrits de la version géorgienne des discours de Grégoire de Nazianze, Corpus Christianorum, Series Graeca 20, Corpus Nazianzenum I, Brepols, Turnhout, 1988, გვ. 76, 79, 80, 81.

² PG, t 36, col. 496 B.

³ ამ აღგილის ექვთიმე ათონელისეული თარგმანია: „შემდგომად რავდენთამე ჟამთა“; ლათინური: „quam tempus“ — PG, t36, col. 497 B; ფრანგული: „avec tant de retard“ — Grégoire de Nazianze, Discours Funebres, ed. F. Boulenger, Paris, 1908, გვ. 60.

არს თანა-წარჰყედ პირველსა შესაკრავსა, რამთა არა ორსიტყუა ჰყენე. და წინა კერძო გაჰყარ ოქსიასა ზედა, რამთა ესრეთ ერთსიტყუა ჰყენე, ვითარ-მედ „ჟამის“მეორედად“. და ესეცა ესრეთ იჰყარ, სადაცა ამით ნიშნებითა ორ-ნი სიტყუანი ერთად შედგმულ იყენენ. რამთა რაჟამს იოტაჲ უჯდეს ზედა კერძო ბილოჲსა ასოსა, მუნ იცოდნი, ვითარმედ ასომ მოკუეთილ არს, ვითარ-იგი არს, რაჟამს იტყოდნი: „ღმრთის“მოყუარე, „ღმრთის“მსახური“, „ღმრთის“მშობელი“.

ესა, ყოველგან სანთადა ანი მოკუეთილ არს და არა იტყვ სიგრძისათვს, ვი-თარმედ: „ღმრთისა მოყუარეო“, „ღმრთისა მსახურიო“, „ღმრთისა მშობელიო“, არამედ ვითარ ზემო წერილ არს და ვითარ ჩუეულებჲა აქუს ძუელთა, ეგ-რეთვე ახალთა, შედგმულნი ესე სიტყუანი აღნიშნვოდეს და ითქუმიდენ. ხო-ლო რაჟამს სთქუა: „ღმრთივ“შემოსილო“, „ღმრთივ“გონიერო“, აჰა, ორნი ერთად შედგმულნი, რომელთა სვნებჲაჲ უნა, რამთა ერთგან გაჰყრა, ხოლო იოტაჲ არღარა უნა, რამეთუ ასომ არა აკლს, არამედ შედგმული ოდენ არიან. აგრეთვე აწ შენადგამთაცა სიტყუათა შინა, სადა ზედათ იოტაჲ არა უჯდეს და ქუე-შეთ სვნებჲაჲ უჯდეს, სცან, რამეთუ ასომ არა აკლს, არამედ შედგმული ოდენ არს. და ესე არს ნიშანთათვს“⁴.

შენიშვნაში საუბარია ქართული სიტყვების შედგმის, კომპოზიტად ქცევის წესზე. ასე რომ, ეჭვგარეშეა, იგი ქართველ მწიგნობარს ეკუთვნის, თანაც საკმაოდ განსწავლულ გრამატიკოსს. ასეთ პიროვნებად XI—XII საუკუნეებში, იმ პერიოდში, როდესაც ითარგმნა და რა დროითაც დათარგმნებულია ამ შე-ნიშვნის შემცველი გრიგოლის ჰომილიათა კრებული, ამავე კრებულის მთარ-გმნელი, ცნობილი ქართველი გრამატიკოსი, ეფრემ მცირე გვეგულებჲა⁵, რო-მელსაც სწორედ, ჩვენი აზრით, უნდა ეკუთვნოდეს ზემოთ მოყვანილი გრამა-ტიკული შენიშვნა. მაგრამ აქ ერთ მომენტზე უნდა შევაჩიროთ ყურადღება. შენიშვნის დასაწყისში საუბარია იმ პიროვნებაზე, რომელმაც XLIII ჰომილი-ის თარგმნისას მოახდინა სიტყვათა შედგმა: «აჰა, რაჟამს უქმდა ითქუამდ, ვი-თარმედ მეორედად ჟამისა დავემთხვე მას“, სიმოკლისათვს ორთა სიტყუათა ერთად შეადგამს და ანსა მოჰკუეთს „ჟამისაგან“». სიტყვათა შედგმა, ცხადია, XLIII ჰომილიის მთარგმნელმა, ეფრემ მცირემ განახორციელა. ამის გამო დღევანდელ მკითხველს შესაძლოა გაუჩნდეს შთაბეჭდილება, რომ შენიშვნის ავტორი სხვა პირი, მაგალითად, კრებულის გადაამწერი⁶, ან ვინმე უცნობი ქართველი მწიგნობარია, რომელიც საკუთარ კომენტარს ურთავს ეფრემის ქარ-თულ თარგმანს, ანალიზებს სიტყვათა შედგმის „გელოვნებას“, რომლისთვი-

⁴ ტექსტი წარმოდგენილია Jer 13-ის მიხედვით (300v—301r). Jer 15-სა და Jer 43-ში ეს შენიშვნა აშეიბზეა მოთავსებული (22, 24) და ძნელად გასარჩევია. Jer 43-ში ტექსტი საგრძნობლად შემოკლებულია. A 109-ს სერთოდ აკლია ის გვერდები, სადაც ამ შენიშვნის არსებობაა სავარაუდებელი.

⁵ ეფრემ მცირის, ანტონ კათალიკოსის მიერ „საღმრთო ღრამატიკოსად“ წოდებული მწიგ-ნობრის, გრამატიკულ განსწავლულობაზე მიუთითებს მის თარგმანებზე დართული ანდერძ-მინაწერები. წინასიტყვაობებში, სქოლიოებში, მისი გრამატიკული ხასიათის შრომები. — იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფეამ, თბ., 1976, გვ. 66—70; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 198—252; მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XI, თბ., 1968; მ. შანიძე, „სიტყუაჲ ართრონათუს“ ძველი ქართული გრამატიკული ტრაქ-ტატი, თბ., 1990, გვ. 121—130.

⁶ აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ეფრემისეული თარგმანების გადაამწერნი ზოგ შემთხვევაში აქტიურობას იჩენენ გადანუსხვისას. მაგალითად, Jer 13-ის გადაამწერი ერთეა ეფრემის თარგმანის ტექსტში, ბერძნულ დედანთან შედარების საფუძველზე ცვლის ზოგი-ერთ დეტალს, რაზეც მიუთითებს კიდევ თავის მინაწერებში. — გრიგოლ ნაზიანზელის თხზუ-ლებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 162—163.

საც ეფრემს გარკვეული მიზნით მიუძღვრება. ამ მოსაზრებას მთლიანად ვერ უარყოფთ, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ძველ ქართულ და საერთოდ ბიზანტიურ მწერლობაში შენიშნულია შემთხვევები, როდესაც ავტორი თავის თავზე, საკუთარ ნაშრომში თუ ნაღვაზე საუბრისას მესამე პირს მიმართავს, თხოვს მესამე პირში წარმართავს. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, ეფრემს საკუთარი თავი ეგულისხმა შენიშვნაში იმ პირზე საუბრისას, რომელმაც მოახდინა სიტყვათა შედგმა, თანაც შენიშვნაში გამკაცრებული პროფესიული გრამატიკული განსწავლულობის მქონე პიროვნებად XI—XII საუკუნეებში სხვა არც არავინ გვეგულება.

მართლაც, შენიშვნაში გრამატიკული მოვლენის, სიტყვათა შედგმის, პროფესიული, მეცნიერული გააზრებაა წარმოდგენილი, ტერმინები ნათლადაა განსაზღვრული, საილუსტრაციოდ მოყვანილი მასალა განზოგადებულია. განხილულია შემდეგი საკითხები: რა ხდება სიტყვათა შედგმის დროს, როგორ, რა საშუალებებითაა გრაფიკულად გამოსახული ეს მოვლენა, რა მიზანს ემსახურება სიტყვათა შედგმის ხელოვნება.

შენიშვნის მიხედვით, სიტყვათა შედგმა ხდება ძველი ქართული ენობრივი ნორმების თანმიმდევრული დაცვით — ნათესაობით ბრუნვაში დასმული მართლი მსაზღვრელი იკვეცს ემფატიკურ -ა-ს, რომელიც კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა შემტყიცებას უშლის ხელს („ანსა მოჰყუთს „ჟამისაგან“).

სიტყვათა შედგმის „ველოვნება“ შედგმული სიტყვის ტექსტში გრაფიკულად გარკვეული ნიშნებით წარმოდგენას გულისხმობს. ესენია: ორი სიტყვის შემავრთებელი რკალი — სუნემა, ასოს მოკვეცის ნიშანი — იოტა, მახვილი — ოქსია. განხილულია სიტყვათა შედგმისა და მისი გრაფიკულად წარმოდგენის ორი სახე: 1. კომპოზიტის პირველ კომპონენტს („შენადგამს“) ბოლო ხმოვნის მოკვეცის ნიშნად ზევით უზის იოტა, ხოლო ქვეშ — შემავრთებელი ნიშანი სუნემა; 2. კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტები იოტას გარეშე, სუნემით უკავშირდებიან ერთმანეთს იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება ხმოვნის მოკვეცა. შენიშვნაში საინტერესოაა ახსნილი ტერმინი „სუნემა“: „სუნემაჲ, რომელი ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ „თანა-წარვლე“, ესე იგი არს თანა-წარჰკედ პირველსა შესაკრავსა, რაჲთა ერთსიტყუა ჰყვნე“. განმარტებულია ის ზმნა („თანა-წარვლე“ — *συνβιβω*), საიდანაც ნაწარმოებია სიტყვა „სუნემა“, რაც ხელს უწყობს ამ ტერმინის მკაფიოდ და ცხადად გააზრებას.

ქართულ ნუსხებში შენიშვნაში განხილული ნიშნები *ⴁ*, *ⴂ*, *ⴃ* ბერძნული პროსოდის ნიშანთა სისტემიდანაა შემოტანილი. თავად ბერძნულ ხელნაწერებში პროსოდის ნიშნები ძვ. წ. აღ. I საუკუნიდან ჩნდება და მათი შემოღება ბერძენი გრამატიკოსის, არისტოფანე ბიზანტიელის სახელს მიეწერება⁷. პროსოდის ნიშანთა რაობა და დანიშნულება განმარტებულია ამავე ეპოქის ბერძენი გრამატიკოსის, დიონისე თრაკიელის თხზულებას *Τέχνη γραμματικῆς* — ერთ-ერთ თავში *Περὶ παραθέσεως* და ამ თხზულებაზე შექმნილ შუა საუკუნეების ანონიმურ კომენტარებში⁸. ალექსანდრიელი გრამატიკოსების მიერ ბერ-

⁷ მოკლე შენიშვნას სიტყვათა შედგმის შესახებ ვხვდებით A 689 ნუსხაში (XIII ს.), სადაც სიტყვას „ყოვლად ἅ σαλονებო“ აშიაზე აქვს მინაწერი: „შეისწავე, ვითარმედ „ყოვლადსათონებო“ ერთი სიტყუა არს“ (f 158), ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

⁸ *Aristophanis Byzantii, Fragmenta post A. Nauck collegit, testimoniiis ornavit, brevi commentaris instruxit William I. Slater, Walter de Gruyter, Berlin, New-York, 1936*, გვ. 170.

⁹ *Dionysii Tracis, Ars Grammatica et Scholia in Dionysii Thracis Artem Grammaticam, — Grammatici Graeci I, ed. Gustavus Uhlig, Lipsiae, 1965.*

ძნულ ხელნაწერებში შემოტანილმა ნიშანთა სისტემამ გააადვილა მანამდე გა-
ზმულად ჩაწერილი ტექსტების (scriptio continua) კითხვა¹⁰, შემუშავდა
ბერძნული ტექსტების კითხვის განსაზღვრული წესი. პროსოდის ნიშანთა
სისტემაში, რომელიც ოთხი ქვეჯგუფისაგან შედგებოდა (Tónoi, Xrónoi,
Πνεύματα, Πάθη), გათვალისწინებული იყო ბერძნული ენის სპეციფიკა, მისი
ტონურობა, ხმოვანთა კვანტიტატური ბუნება და სხვ¹¹.

ქართულ ხელნაწერებში პროსოდის ნიშნების გაჩენა მჭიდროდ უკავშირ-
დება ქართულ მწერლობაში ე. წ. ელინოფილური მიმართულების წარმოშობას.
როგორც ცნობილია, ელინოფილურობა გულისხმობდა არა მარტო ბიზანტიური
მწერლობის ძეგლთა ზედმიწევნითი თარგმანების შექმნას, რამაც თავის მხრივ
გამოიწვია ქართული ენობრივი კონსტრუქციების ბერძნულთან დაახლოება,
ბერძნული ლექსიკის ქართულში დამკვიდრება და ა. შ., არამედ ეს იყო ზო-
გადად დასახული გეზი ბიზანტიური კულტურისაკენ, რამაც მოიცვა საზღვარ-
გარეთ მოღვაწე ქართველთა საქმიანობის ყველა სფერო, მათ შორის მწიგ-
ნობრობა. ქართული ხელნაწერის აგება ბიზანტიური ხელნაწერი წიგნის მი-
ხედვით — ხელნაწერის აღჭურვა ისტორიული ხასიათის წინასიტყვაობებით,
ანდერძებით და ზანდუკით, აშიებზე განმარტებითი ხასიათის შენიშვნების
(„შეისწავეთა“) დართვა, ტექსტის გამართვა პუნქტუაციის, აგრეთვე პროსო-
დის ნიშნებით — ყოველივე ეს ქართველ ელინოფილთა ლიტერატურული
მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდა¹².

როგორც ცნობილია, ქართული მწერლობის ისტორიაში ელინოფილურო-
ბის ორი ეტაპი იკვეთება. პირველია შავი მთის მწიგნობრული კერის და მისი
შამამთავრის, ეფრემ მცირის მოღვაწეობა, სადაც ელინოფილური ტენდენციები
პირველად იჩენს თავს. შემდგომი ეტაპია იოანე პეტრიწისა და მისი მიმდევ-
რების საქმიანობა, რომელთა ლიტერატურულ მოღვაწეობაში ელინოფილურო-
ბამ განვითარების უმაღლეს, ზოგ შემთხვევაში კი უკიდურეს ზღვარს მიაღ-
წია.

სწორედ იოანე პეტრიწის სახელს უკავშირდება ქართულ ხელნაწერებში
პროსოდის ნიშანთა სისტემის გაფორმება. პროკლეს „კავშირნის“ განმარტე-
ბის წინასიტყვაობაში, ბოლოსიტყვაობასა და აშიაზე მოთავსებულ განმარ-
ტებაში პეტრიწი იძლევა ამ ნიშანთა ახსნას. მისი მსჯელობა მთლიანად ეფუძ-
ნება დიონისე თრაკიელის პროსოდის ნიშანთა სისტემას¹³. აქაც, ისევე რო-
გორც დიონისე თრაკიელთან, პროსოდის ნიშანთა ოთხი ჯგუფია წარმოდგე-
ნილი: მახვილის ნიშნები (ოქსია, ვარია, პერისპომენი), მარცვალთა სიგრძე-
სიმოკლის ნიშნები (მაკრა, ვრაქია), ფშვინვის ნიშნები (დასია, ფსილი), სადე-

¹⁰ B. A. van Groningen, Short Manuel of Greek Paleography with 12 Pla-
tes and 15 Figures, Leyden, 1963.

¹¹ E. Wellesz, A History of Byzantine Music and Hymnography, Oxford,
1971, გვ. 249.

¹² ამ საკითხთან დაკავშირებით თეორიული მოსაზრებები გამოთქმული აქვს ეფრემ მცო-
რეს იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ წინასიტყვაობაში. იოანე დამასკელი, დიალექ-
ტიკა, გვ. 67—68.

¹³ ს. ყაუხჩიიშვილი, მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა შესწავ-
ლისათვის, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1941, გვ. 755—759; М. И.
Пичхадзе, О некоторых вопросах грамматики в древнегрузинской филологии. —
Кавказ и Средиземноморье, Тб., 1980, გვ. 251—263.

კლამაციო ნიშნები (აპოსტროფი, კვენი, კპოდისტოლი)¹⁴. ყველა ეს ნიშანი მეტ-ნაკლები სიზუსტითა და სისრულით დასტურდება პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში შექმნილ თარგმანთა შემცველ ქართულ ხელნაწერებში¹⁵.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ნიშანს ამ სისტემიდან ელინოფილოზობის ადრეულ ეტაპზე, XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ეფრემ მცირის სახელთან დაკავშირებულ შავ მთაზე გადანუსხულ ქართულ ხელნაწერებშიც ვხვდებით¹⁶. შავი მთის ქართულ ხელნაწერებში, პეტრიწულისაგან განსხვავებით, მხოლოდ სამი ნიშანი დასტურდება: ო, ' და '. როგორც ჩანს, საწყის ეტაპზე მოხდა პროსოდის ნიშანთა სისტემიდან მხოლოდ ზოგიერთი ნიშნის გადმოტანა. სწორედ ამ სამი ნიშნის მნიშვნელობა და მათი პრაქტიკული გამოყენების წესი განსაზღვრული ზემოთ მოყვანილ შენიშვნაში.

საყურადღებოა ტერმინები, რომლებითაც ეს ნიშნები მოხსენიებული შენიშვნაში. ნიშანი ო, რომლის ფუნქცია სიტყვათა შეერთებაა დიონისე თრაკიელის პროსოდის ნიშანთა სისტემაში, ხოლო სახელწოდება ამავე სისტემის მიხედვით — კვენია (პეტრიწთან — „შემკრველი“) შენიშვნაში „სუნემბადაა“ წოდებული. ეს გაცილებით გვიანდელი ტერმინია, რომელიც სისტემატურად დასტურდება ბიზანტიურ ნუსხებში, სახარებაზე დართულ ეკფონეტიკურ ნიშანთა ცხრილებში X საუკუნიდან მოყოლებული¹⁷. ქართულ სახარებაზე — გელათურ ოთხთავზე (Q 39, XI ს-ის ბოლო) დართულ ეკფონეტიკურ ნიშანთა ცხრილშიც სხვა ეკფონეტიკურ ნიშნებთან ერთად სუნემბაა ნახსენები¹⁸. ეკფონეტიკურ ნიშანთა სისტემის სუნემბა არც ფორმით, არც ფუნქციით არ განსხვავდება ძველი გრამატიკოსების კვენისაგან¹⁹.

ასოს მოკვეცის ნიშანს — ', რომლის აღმნიშვნელი ტერმინი დიონისე თრაკიელის გრამატიკაში „აპოსტროფია“, შენიშვნის ავტორი „იოტას“ უწოდებს. ამ ფუნქციით სიტყვა „იოტას“ არ დასტურდება არც ძველ გრამატიკოსებთან, არც მათ გვიანდელ კომენტატორებთან, არც ეკფონეტიკურ ნიშანთა სისტემაში. ამ ტერმინის წარმომავლობის გარკვევისას, ვფიქრობთ, ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვა „იოტას“ მნიშვნელობას. ἰωτα თავის ძირითად მნიშვნელობასთან ერთად (ბერძნული ანბანის მეცხრე ასო) არის აგრეთვე მცირე ნიშანი, პატარა ხაზი, ასოს უმცირესი ნაწილი, ხვეულა²⁰. ἰωτα-ს სწო-

¹⁴ იოანე პეტრიწის შრომები, განმარტება პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1973, ტ. II, გვ. 221.

¹⁵ ეს ნუსხებია: S 2562 — ამონიოს ერმისის თხზულებანი ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭელაძემ და მ. რაფაეამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფაეამ, თბ., 1983, გვ. 018; H 1669, A 39, S 2568 — ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია, 1989 (სადისერტაციო ნაშრომი), გვ. 117—122; ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „კლემაქსის“ უცნობი ქართული ვერსია, „მაცნე“, ელს, 1987, № 4, გვ. 129—154.

¹⁶ ლ. ქაჯაია, პუნქტუაცია V—XII სს-ის ქართულ ხელნაწერებში, 1969 (სადისერტაციო ნაშრომი).

¹⁷ C. H ö e g, La Notation ekphonétique, Copenhagen, 1935, გვ. 17—25, 37.

¹⁸ თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული შინაწერები, საქართველოს მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ. მიმოხილველი, ტ. II, 1951, გვ. 455—476.

¹⁹ M. L a u m, Das Alexandrinische Akzentuationssystem, Paderborn, 1928, გვ. 139.

²⁰ A Greek-English, Lexicon, Compiled by H. G. Liddel D. D. and R. Scott D. D., Oxford, 1961, გვ. 847.

რედ ამ მნიშვნელობას უნდა უკავშირდებოდეს შენიშვნაში გამოყენებული ტერმინი „იოტა“, როგორც მცირე ზომის, ხვეულას ფორმის ნიშანი.

შენიშვნაში ნახსენები მესამე ნიშანია ოქსია — / . იგი ამ სახელწოდებით დასტურდება როგორც დიონისე თრაკიელთან, ისე ეკფონეტიკურ ნიშანთა სისტემაში. ეს არის ტონური მკვეთრი მახვილი — *á:ia*. ქართულ ხელნაწერებში ამ ნიშანს სუნემბასა და იოტასაგან დამოუკიდებლადაც ხშირად ვხვდებით ცალკეით და უარყოფით ნაწილაკებზე, ბერძნულიდან გადმოტანილ ქართული დაწერილობის ბერძნულ სიტყვებზე. სულხან-საბა ორბელიანი ქართული ლექსიკონის შესავალში ეყრდნობა იოანე პეტრიწისეულ პროსოდის ნიშანთა განმარტებებს და ოქსიას შესახებ აღნიშნავს: „ოქსია, რომელ არს მახვილი. სადა სიტყვასა ზედათ აკრული აქვს, მუნ კმისა ამაღლება კამს“²¹. გულისხმობს თუ არა ჩვენს შემთხვევაში იოტათი და სუნემბით შედგმულ სიტყვაზე დასმული ოქსია ამ სიტყვის ხმის ამაღლებით წარმოთქმას? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან არაბუნებრივი იქნებოდა ჰომილიის კითხვისას ხმის აწევით ყოფილიყო წარმოთქმული სწორედ შედგმული სიტყვები. ამ შემთხვევაში სუნემბასა და იოტასთან ერთად შედგმულ სიტყვაზე დასმული ოქსია ემსახურება სიტყვათა შედგმას — კომპოზიტად ქცეული სიტყვის ერთი ინტონაციური მთლიანობით წარმოთქმას. ეს თავად შენიშვნაშია აღნიშნული: „წინა კერძო გაჰკარ ოქსიასა ზედა, რაათა ესრეთ ერთსიტყუაჲ ჰყვენე, ვითარმედ: „ჟამის'მეორედად“».

ყურადღებას იპყრობს ამ ფრაზის პირველი ნაწილი — „წინა კერძო გაჰკარ ოქსიასა ზედა“. აქ მინიშნებულია ოქსიას „გაკვრის“, ე. ი. მისი დასმის ადგილი — „წინა კერძო“ — წინა მხარე, წინა ნაწილი. როგორც შემდგომში, მაგალითების განხილვისას ვნახავთ, ოქსია ყოველთვის იოტასა და სუნემბას მომდევნოდ, ამ ნიშანთა შეხდგომ, შედგმული სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზეა დასმული. სწორედ ეს უნდა იყოს მითითებული ზემოთ მოყვანილ ფრაზაში, რადგან „წინას“, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში. მწიგნობრულ წრეებში „მომდევნოს“, „მემდევის“ მნიშვნელობა ჰქონდა?²

საინტერესოა, რომ ეფრემ მცირის სახელთან დაკავშირებულ შავი მთის XI—XII სს-ის ნუსხებში შენიშვნაში წარმოდგენილ სიტყვათა შედგმის წესი პრაქტიკულადაა გატარებული, თუმცა არცთუ ხშირად. აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვათა შედგმისას ნიშანთა ხმარება უმეტესწილად არასისტემურია, უხვადაა შეცდომები. ზოგ შემთხვევაში სიტყვას აკლია ხოლომე რომელიმე ნიშანი, უფრო ხშირად ოქსია. მოვიყვანთ მაგალითებს:

A 162 (XI ს., მეტაფრასული კრებული, ეფრემ მცირის თარგმანი): სარწმუნოება მტკიცეთა, ცხოველთ'მსხუერპლებანი, მრავალღმერთი (8r); გარე-შეწერილსა (59v); ღმრთისსაყუარელთა (88v).

²¹ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1965, გვ. 27.

²² ტერმინი „წინაათ“ „მომდევნოს“ მნიშვნელობით გამოყენებული აქვს საპაწმინდური მწიგნობრული სკოლის ცნობილ გადამწერ-რედაქტორს, იოანე-ზოსიმეს Sin 34-ისა და Sin 6-ის მინაწერებში — ც. ჭანკიევი, ბალესტინელ გადამწერ „იოანეთა“ შესახებ, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, III, თბ., 1972, გვ. 50. „წინა“ ამავე მნიშვნელობით ვხვდებოდა მიქაელ მოდრეკილის იადგარშიც (S 425, 978—988 წწ.) — ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, შემდგენლები: თ. ბრეგაძე, თ. ენუქიძე, ნ. კასრაძე, ლ. ქუთათელაძე, ქრ. შარაშიძე, რედ. ელ. მეტრეველი, ტ. I, თბ., 1959, გვ. 561, 563; აგრეთვე ნევირიბულ ძლისპირებში (A 603) — ნევირიბული ძლისპირანი, გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, III, თბ., 1982, გვ. 841.

S 384 (XI—XII სს., გადაწერილთა შავ მთ.:ზე): ვეცხლისფერქათომნი (1v); ბუდედგემდიო (2r).

Q 1158 (XI ს. სამოციქულოს თარგმანება, რედაქტირებულია ეფრემ მცირის მიერ): კორცუმესხმითა (52r); კელთდასხმად, მარტუცუვეს, სრულუვეს (56r).

A 24-ში, ეფრემის დედნიდან გადაწერილ კრებულში ამ ნიშანთა ხმაოების თითო-ორთა ნიმუში დასტურდება. Q 37-ში (1091 წ.), ასევე ეფრემის დედნიდან გადაწერილ „ფსალმუნთა თარგმანებაში“, საერთოდ ვერ ვხვდებით ამ ნიშნებს.

საინტერესო მასალას გვაძლევს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხელნაწერი S 127ს, XI—XIII სს. ჰომილეტიკურ და აკიოგრაფიულ თხზულებათა კრებული, კერძოდ მისი პირველი ნაწილი, რომლის რედაქტორად და ერთ-ერთ გადაწერად ეფრემ მცირეა მიჩნეული²³. ამ ხელნაწერში, განსაკუთრებით კი ეფრემის მიერ გადაწერილ ნაწილში, თითქმის უშეცდომოდაა დასმული შედგმის ნიშნები: სიტყუათსტადირნად (72r), ყამისყამთსა (73v), რომლისმსგავსი (74r), ნათელშარავანდსა (75r), ღმრთისსათნოსა (100v), ცრემლთმშობელი (114r), მღვმეშეწყუდეული, მკეცთმიცემული, მშუდობისდასაბამისაჲთა (9v), აჩრდილისმწერლობენ (12r), წინადაწარმეტყუელთმკლეღმან (16r), ელვამკრთომობდედ (81v), მუსიკათმოქმედობდიან (82r), დედისპირისაჲ (90v), ღმრთისსახეობით (107v).

სიტყვათა შედგმის ნიშნებს ყველაზე მეტი რაოდენობით გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფრემ მცირისეული თარგმანები შეიცავენ. ეფრემს სწორედ ნაზიანზელის თხზულებების თარგმნისას მიუმატავს სიტყვათა შედგმისთვის ყველაზე ხშირად, რასაც თავად შენიშვნა გვატყობინებს: „ესე კელოვნება სხუათაცა აღწერილთა შანა, ხოლო უფროასლა დიდისა ამის მოძღურისა და უმეტესად თუთ ამას საკითხავსა შინა უფრო იხილვების“. გრიგოლ ნაზიანზელის ეფრემ მცირისეული თარგმანების შემცველ ხელნაწერებს შორის გამოირჩევა ოთხი კრებული — Jer 13, Jer 15, Jer 43 და A 109, რომლებშიც სიტყვათა შედგმის „კელოვნება“ წარმოდგენილი მეტ-ნაკლები სისრულითა და სიზუსტით. ეს კრებულები როგორც შედგენილობით (16 ლიტურგიკული ჰომილია თავისი კომენტარებით), ისე პალეოგრაფიულადაც (მარგინალური ნიშნები, სტიქომეტრია, პროსოდის ნიშნები) ერთი ტიპის კრებულებია და, ჩვენი აზრით, ყველაზე ახლოს უნდა იდგნენ ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი 16-სიტყვიანი კრებულის თავდაპირველ მოდელთან. ამ საკმარისად მოზრდილ კრებულებში თითქმის არ არის ისეთი გვერდი, სადაც სვხეშბათი, იოტათი და ოქსიათი აღნიშნული შედგმული სიტყვა არ იყოს წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერებშიც ნიშანთა ხმარებისას გვხვდება ხოლმე უზუსტობები, აქაც ხშირია რომელიმე ნიშნის გამორჩენა. მოვიყვანთ მაგალითებს:

ღმრთისსაყუარტლთა (A 109, 190v), სახისდასაბამისაჲ (A 109, 193v), კატხეშთანასაჲ (A 109, 204r), ზესტკათაჲ (Jer 15, 198v), ზეშმარტებისძეღლებად (Jer 15, 199v), ზესთამტსაჲ (Jer 15, 200r), ღრთისგარემრთა (Jer 15, 200v), ნავისმსხდომთა (Jer 13, 210v), ყრმათმსრველობაჲ (Jer 13, 214v),

²³ ვლ. მეტრეველი, ეფრემ მცირის აკიოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 115—125.

ზეშთ'აღმვლდრმი (Jer 43, 206r), ცხოვლისყოფელის'მრკლულ (Jer 43, 218v), კლდის'საკუთებელ (Jer 15, 207v; A 109, 197r), ჩუენისჟამისნაწრლებ (A 109, 191r; Jer 13, 183r), ღმრთის'საიდუმლონი (Jer 13, 200r; Jer 15, 214v). დას-ტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთ ხელნაწერში შედგმის ნიშნებით წარმოდგენილი სიტყვა სხვა ნუსხაში ნიშნების გარეშე, მსაზღვრელ-საზღვრულის სახითაა მოცემული: საწნეხლის' მავალისა (Jer 15, 214v) — საწნეხლისა მავალისა (Jer 43, A 109)

ამგვარად, განსაკუთრებულ სისტემურობასა და სიზუსტეს შედგმის ნიშანთა ხმარებისას გრიგოლ ნაზიანზელის ქართული კრებულების გადამნუსხელები არ იჩენენ. საერთოდაც, როგორც ჩანს, ბიზანტიური მწიგნობრული წესებისა ოუ ნიშნების დამკვიდრება ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში საკმაოდ რთული პროცესი იყო. ამ პერიოდის ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდებით ხოლმე მწიგნობარ-მთარგმნელთა მოთხოვნას „გადაწერის მნებებელთა“ მიმართ, რათა ისინი განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრონ დედანში არსებულ სხვადასხვა ნიშანს და გადანუსხვისას ზედმიწევნით შეასრულონ განსაზღვრული წესები: აუცილებლად აშიებზე დაუროთონ განმარტებები („ამისთვისცა ყოვლად უჯგრო არს ვისგანმე კიდესა წარწერილისა მის თარგმანისაჲ შიგან გარევით დაწერაჲ“), პუნქტუაციის ნიშნებით გამართონ ტექსტი („გვედრები უკუე, რაჲთა წერტილი შეიკრძალოთ“)²⁴ და ა. შ.

საინტერესოა, რომ ასეთივე ვითარება იყო ბიზანტიურ მწიგნობრულ ტრადიციაშიც. ანასტასი სინელი თავისი „წინამძღვრის“ ანდერძში, რომელიც ქართულმა ნუსხებმაც შემოგვინახა, ასე მიმართავს გადამწერებს: „ამას თანა გვედრებით გადაწერის მნებებელთა მოწერად სხოლიონთაცა და მოსწრაფებით მგსწავებად ტონთა და წერტილთა და მცირე წერტილთა და ნაკლულსიტყუათა. და რამეთუ სხუა ჟამცა სარწმუნოებიანისა სიტყვსა გარდამწერალთა უწიგნოთა ვიეთმე უმეცრებისამან გმობით აღავსეს იგი“ (S 1463, 1r). ასევე ჩივის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტატორი, ბასილი მინიმუსი, რომ შეცდომილნი ნაზიანზელის ტექსტში დასმულ წერტილებს (*τὰ στίγματα*) არაფრად აგდებენ, რითაც გრიგოლის პომილიათა კითხვის წესს ხრწნიან²⁵. როგორც ჩანს, ბიზანტიურ ლიტერატურულ სამყაროში არსებობდა გარკვეული მწიგნობრული ტრადიცია, რომლის მიმდევრებიც იყვნენ საკმაოდ განათლებული, განსწავლული პირები. „უწიგნო გარდამწერალთაგან“ განსხვავებით ამ წრეში იქმნებოდა ხელნაწერები, რომლებიც თავისი განსაკუთრებულად მწიგნობრული ხასიათით გამოირჩეოდნენ. ამგვარი მწიგნობრული ტრადიციის ნიშნებს ატარებს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ეფრემისეული კრებულები A 109, Jer 13, Jer 15 და Jer 43, რომლებიც გასხვავდებიან და გამოირჩევიან გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა შორის.

გრიგოლის ქართულ ნუსხებში შედგმული სიტყვების კვლევა მ ბერძნულ ტექსტის გათვალისწინებით შემდეგი სურათი გამოავლინა: ქართულ ნუსხებში შედგმის ნიშნებით წარმოდგენილი სიტყვები ბერძნულ ტექსტში, თითო-ორ-

²⁴ იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გვ. 66—70.

²⁵ R. Cantarella, Basilio Minimo II, Scilii inediti con introduzione e note, BZ 20, 1926, გვ. 4.

ლა გამონაკლისის გარდა, არ წარმოადგენენ რთულ სიტყვებს, არამედ ჩვეუ-
ლებრივ მსახვრელ-სახვრულს, ან უბრალოდ ორ ან მეტ ერთმანეთისაგან
დამოუკიდებელ სიტყვას. მაგ.: ყოვლის სოფლის თავის ტუსის თანაშემკრებელსა

(A 109, 190 v) — *χόσμον θλον ἔαστη συνάγεισαν* (PG 36, col. 625, A 8);
ღამის ტორსი (A 109, 197 r, Jer 15, 207 v) — *νυκτός νυκας ἄξια* (PG 36,
col. 644, B10); დრაქმის პოვნისა ზედა (A 109, 202 v) — *ἐπι τη τῆς δραχμῆς*
ἐρίσει: (PG 36, col. 660, A 8—9); არ' დაცარიელებადთაგან (Jer 15, 199 r)
— *τὰ μη κεισόμενα* (PG 36, col. 625, B 10); ჩუენის უამის ნაწილებ (Jer
15, 119 r, A 109, 191 r, Jer 13, 183 r) — *τὸν καμ' ἦμας χρονας πηματα*
(PG 36, col. 625, C 3); ჭეშმარიტების ძეგლებად (Jer 15, 199 v) — *τῆς*
ἀληθείας ἐνθάμα (PG 36, col. 625, C 13); სიდიდით ბატაკცემულსა (Jer
15, 201 v) — *τῷ μεγέθει φιλότητος* (PG 36, col. 632, B 8); სიბორო-
ტის ძირბან (Jer 15, 202 v) — *ἡ τῆς κακίας ῥίζα* (PG 36, col. 633, B 7).

არც გრიგოლ ნაზიანზელის ბერძნულ ნუსხებში დასტურდება იოტასა და
სუნემბის გამოყენების შემთხვევები სიტყვათა შედგმის მიზნით²⁶. ეს არც იყო
მოსალოდნელი, რადგან ბერძნულ ენაში კომპოზიტთა წარმოების სრულიად
განსხვავებული წესები არსებობს²⁷, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულ
ნუსხებში შემაერთებელი ნიშანია, ხოლო — ასოს მოკვეცისა²⁸.

ამგვარად, ქართველი გრამატიკოსი, რომელმაც, როგორც ჩანს, კარგად
უწყის „რბამობაჲ ბერძნულსაჲ და ქართველთა ენებისაჲ“²⁹, ბერძნული ხელ-
ნაწერებიდან იღებს ნიშნებს, იოტასა და სუნემბას; ერთი მხრივ, მათი ფუნქცი-
ის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ენობრივი ნორმებისა და წესების გათვა-
ლისწინებით ახდენს მათ ადაპტაციას ქართულ ნიშანაწერს და ასე ამკვიდრებს
სიტყვათა შედგმის „კელოვნებას“ ქართულ მწიგნობრობაში.

საინტერესოა, როგორი განვითარება პოვა ამ „კელოვნებამ“ მომდევნო
ხანის ქართულ მწიგნობრობაში, თუ დამკვიდრდა ეს წესი ქართულ ხელნაწერ
ტრადიციაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პეტრიწული და ანტონ I-ის
სკოლის ნუსხები, სადაც ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი ამ ტიპის მწიგნობ-
რული ტრადიციის არსებობა. პეტრიწული სკოლის ნუსხებში სიტყვათა შედ-
გმის შემთხვევები ხშირია. ეს კანონზომიერიცაა, რადგან ამ სკოლის ოარგმა-

²⁶ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა 50-მდე
ბერძნულ ხელნაწერს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ფსკოვის ბერძნულ ხელნაწერთა კო-
ლექციებიდან. აგრეთვე გრიგოლის თხზულებათა ბერძნულ კრებულების 30-მდე მიკრო-
ფილმს ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ე. მოსესის მიკროფილმების
კოლექციიდან.

²⁷ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969, გვ. 292.

²⁸ შემაერთებელი ნიშანი ბერძნულ ნუსხებში გამოიყენებოდა უმეტესწილად გაუგებ-
რობის თავიდან ასაცილებლად პრეფიქსთან ან უარყოფითნაწილაკთან სიტყვებში, რათა მკი-
თხველმა ერთმანეთისგან განასხვავოს მაგ.: *ἐπιχαιριάζ* და *ἐπι χαιρων*, *ἀμφοῖς κρημνός* და
ἀμφοῖς κρημνῶν, *ὀμῶμα* და *ὀμῶμα*. მოკვეცის ნიშანი იმპარება უარყოფითი ნაწილაკ-
ებისა და წინდებულების ბოლო ხმოვანთა მოკვეცის ნიშნად ხმოვნით დაწყებულ სასელთა
წინ: *καμ' ἦμαρ*, *ὄ' ἦμαρ*, *ὀμ' ἔρχομαι*.

²⁹ ამ სიტყვებით ახასიათებს ედრემ მცირე ბერ კვირიკე აღექსანდრიელს — გრიგოლ
ნაზიანზელის თხზულებათა შემდეგელ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 147.

ნები საერთოდ გამოირჩევიან კომპოზიტთა სიუხვით. აქ სიტყვათა შედგმა იმავე პრინციპით ხდება, რაც შავი მთის ნუსხებში — სიტყვები სამივე ნიშნის გამოყენებითაა შეერთებული და წესი თანმიმდევრულადაა დაცული, მაგალითად: მოყუარეთ¹ საყუარტლნი (S 258, 50r), ქორწილ² დამცველი (S 2568, 52r), კიცუთ³ მწყსელისა (A 39, 2r), წინ⁴ შესავლითთა (A 39, 122r), ზედ⁵ დაწესებრთი (A 39, 197r) და ა. შ. ზოგ შემთხვევაში გვხვდება ისეთი ნუსხები, სადაც ნიშანთა ხმარება გამარტივებულია, უფრო ხშირად, ვიდრე შავი მთის ხელნაწერებში, იკარგება იოტა და ოქსია. ზოგჯერ იცვლება სკნემბას გრაფიკული მოხაზულობა, რკალი ორმაგდება³⁰, ან სამმაგდება. მაგალითად: ტკბილ⁶ ჳმაობისა (H 1669, 109v), ღმრთის⁷ გამობრწყინებისა (H 1669, 135v). ვფიქრობთ, პეტრიწულ ნუსხებში დადასტურებული პროსოდის ნიშნები წარმოადგენენ არა მხოლოდ პროსოდის ნიშანთა იმ სისტემის რეალიზებას, რომელიც იოანე პეტრიწს თეორიულად აქვს ჩამოყალიბებული პროკლეს „კავშირის“ განმარტების ბოლოსიტყვაობაში, არამედ ნაწილობრივ იმ გრამატიკული ტრადიციის გაგრძელებას (მხედველობაში ვგაქვს სიტყვათა შედგმა სამი ნიშნით), რომლის სათავე XI საუკუნის შავი მთის ნუსხებში ჩანს.

ახლა რაც შეეხება ანტონ I-ის სკოლის ნუსხებს. ანტონ I-ის „გრამატიკაში“ წარმოდგენილ პროსოდის ნიშანთა სისტემაში, რომელიც სომეხი გრამატიკოსის, მხითარ აბა სებასტიელის „გრამატიკას“ ეფუძნება, შემკვრელი რკალი სკნემბის ან კფენის სახელწოდებით არ ჩანს. ტექნიკურ ნიშნებში წარმოდგენილია გაორმაგებული რკალი ˘˘ — ოჰოდიასტოლი, ანუ გარემორთხმული, რომელიც რთული სიტყვების შემაერთებელია³¹. პრაქტიკულად ეს ნიშანი ანტონის სკოლის ნუსხებში არ დასტურდება, სიტყვათა შემაერთებელ ფუნქციას აქ უბრალო რკალი ასრულებს: შავის⁸ ჳღვის⁹ მკლავი (S 450, 30r), ლამაზ¹⁰ ფერჯიანთა (S 450, 180v), ღიდ¹¹ შტჳნიერებთა (S 450, 31r) და ა. შ. ვფიქრობთ, ისევე როგორც პეტრიწული ნუსხების შემთხვევაში, ანტონის სკოლის ხელნაწერებშიც გრძელდება სიტყვათა შედგმის ქართული, შავი მთის ტრადიცია, ოღონდ გამარტივებულად — შედგმის სამი ნიშნიდან მხოლოდ ერთი რკალია დარჩენილი.

აქ დგება ერთი საკითხი: ვინ არის ის პირი, რომელმაც პირველმა წემოიტანა სიტყვათა შედგმის „კელოვნება“ ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში? ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ერთი ფრაზა შენიშვნაში: „ვითარ ჩუეულებაჲ აქუს ძუელთა, ეგრეთვე ახალთა, შედგმულნი ესე სიტყუანი აღინიშნვოდეს და ითქუმოდენ“. გრამატიკული ხასიათის ლიტერატურაში სიტყვით „ძუელნი“ (*οι παλαισι*) მოხსენიებულნი არიან ხოლმე ძველი თაობის მწერლები, უფრო ხშირად ძველი გრამატიკოსები³², შესაბამისად „ახალნი“ უნდა გულისხმობდეს შენიშვნის ავტორის თანადროულ, ე. ი. XI—

³⁰ აღსანიშნავია, რომ გაორმაგებული რკალი ˘˘ პეტრიწის პროსოდის ნიშანთა სისტემაში ვპოდიასტოლი — ქუეშეგამომყოფია, მაგრამ პრაქტიკულად ამ ნიშნის სიტყვათა გაყოფად ხმარების შემთხვევები ქართულ ხელნაწერებში თითქმის არ არის დადასტურებული.

³¹ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 38—43.

³² Thesaurus Graecae Linguae ab Henrico Stephano constructus, Parisiis, 1842—1847, tomus VI¹, col. 65.

XII საუკუნეების მწიგნობრებს. აქედან გამომდინარე, შენიშვნას თუ ვერწმუნებით, ძველ ქართულ მწიგნობრობაში XI საუკუნემდეც, ეფრემამდეც არსებობდა სიტყვათა შედგმის ტრადიცია. რამდენადაც დღეისთვისაც ცნობილი, სიტყვათა შედგმის ნიშნები XI საუკუნემდე ქართულ ნუსხებში არ დასტურდება. მათი შემოტანა ქართულ ხელნაწერებში ტიპური მახასიათებელია ზოგადად ქართული მწერლობის ელინოფილიზაციისა, იმ მრავალმხრივი პროცესისა, რომლის წამომწყები სწორედ ეფრემია. ასე რომ, ვფიქრობთ ეს მოვლენა არ უნდა გაიმიჯნოს მისი სახელისაგან, მით უმეტეს, ფაქტობრივი მასალაც, ქართულ ხელნაწერთა მონაცემებიც ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. ყოველივე ამის გათვალისწინებით როგორ უნდა გავიგოთ შენიშვნის ფრაზა ძველი და ახალი თაობის გრამატიკოსების შესახებ? როგორც ცნობილია, ეფრემი თავის ანდერძებში ხშირად იხსენიებს თავის წინამორბედ, ძველი თაობის მთარგმნელებს, მათ მემკვიდრედ, მათი მთარგმნელობითი პრინციპების მიმდევრად აცხადებს თავს („შემდგომნი თარგმანი პირველდამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებით... მათითა ენითა ვზრახავ და მათითა ყურითა მესმის, და მათითა კელითა ვშურები“³³), თუმცა სწორედ თავისი მთარგმნელობითი პრინციპებით უპირისპირდება ხოლმე მათ. ეს შუა საუკუნეების ეტიკეტი, ზოგ შემთხვევაში გარკვეული პოლიტიკაც. ამ კონტექსტში უნდა იყოს, ვფიქრობთ, გაგებული შენიშვნის ფრაზა ძველი და ახალი გრამატიკოსების შესახებ, რომელიც ამ შემთხვევაში გარკვეულ რიტორიკულ დატვირთვის ატარებს, რაც შენიშვნის ავტორს, შესაძლოა, თავისი დებულებისთვის მეტი ავტორიტეტულობის მისანიჭებლად სჭირდება.

და ბოლოს, რა მიზანს ემსახურება სიტყვათა შედგმა და რატომ მიმართავს ეფრემი ამ „ველოვნებას“ ასე ხშირად სწორედ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა თარგმნისას? ამ კითხვაზე ჰასუხი თავად შენიშვნაშია, ეს ხდება „სიმოკლისათვის სიტყვსა“. აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ გრიგოლ ნაზიანზელის მხატვრული სტილის ერთ თავისებურებაზე, რაც განსჯის საგნად იყო ქცეული მის თანამედროვეთა, კომენტატორთა და მთარგმნელთათვის. ეს არის გრიგოლის სტილის ერთ-ერთი ნიშანი — ლაკონურობა, სიტყვასიმოკლე. ბასილი დიდი გრიგოლისადმი მიწერილ ეპისტოლეში შენიშნავს: „გუშინ წინ შენგან წერილი მივიღე. ნამდვილად შენგან რომ არის, ეს ჩანს არა იმდენად ხელის მიხედვით, რამდენადაც ეპისტოლეს თავისებურებით. მასში სიტყვები ცოტაა, აზრი კი დიდია გადმოცემული“³⁴. გრიგოლ ნაზიანზელის X საუკუნის კომენტატორი, ბასილი მინიმუსი, გრიგოლის ჰომილიათა ამა თუ იმ პასაჟის კომენტარებისას აღნიშნავს ხოლმე: „ნუ ნაკლულად შევირაცხიეს ადგილი ესე, რამეთუ ჩუეულებისაებრ ფილოსოფოსთაჲსა შეამოკლებს სიტყუჲსა“ (Jer 13, 301v). თავად გრიგოლსაც არაერთი აზრი აქვს გამოთქმული ლაკონურობასთან დაკავშირებით³⁵. მოკლე ფრაზაში ჩადებული ღრმა სიბრძნე — ასე შეიძლება განისაზღვროს გრიგოლ ნაზიანზელის სტილის თავისებურება. აღსანიშნავია, რომ ლაკონურობა ერთ-ერთი ხერხია რიტორიკული ხელოვნებისა, რომლის დიდოსტატადაც იყო აღიარებული ბიზანტიური მწერლო-

³³ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 33-148.

³⁴ Saint Basile, Lettres, Texte établi et traduit par J. Courtonne, Paris, 1975, t. I, Epist. XIX, გვ. 49.

³⁵ იხ. გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლეები ნიკობულეს მიმართ: „იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წერო ლაკონურად“, „იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაწერო წერილი“ — PG, t. 37, col. 105—109, Epist. 51, 54.

ბის ისტორიაში გრიგოლ ნაზიანზელი³⁶. ეფრემ მცირე კარგად გრძნობდა გრიგოლ ნაზიანზელის პროზის სტილს. 16-სიტყვიან კრებულზე დართულ ანდერძში ეფრემი აღნიშნავს, რომ მისი თარგმანები წარმოაჩენენ „სიტყუა-სიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისასა“ (Jer 43, 3v), ხოლო ექვთიმე ათონელის შესახებ აღნიშნავს, მან „სიტყუა-სიმოკლე მოძღურისა განავრცისო“ (Jer 43, 3r). გრიგოლის ჰომილიების ქართულად გადმოტანისას ეფრემი, როგორც ჩანს, ცდილობდა გრიგოლის სტილის ამ ერთ-ერთი თავისებურების შენარჩუნებას თარგმანში. სწორედ სიტყვათა შედგმა (სიტყვათა განთიანება ხმოვნის ამოვადებით) იქნებოდა მისთვის საუკეთესო ხერხი ლაკონურობის ეფექტის მისაღწევად.

აქ კიდევ ერთ მხარეს უნდა მიექცეს ყურადღება: როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლის ჰომილიები ორატორული ხელოვნების დრამა ცოდნით იყო შექმნილი, რაც სხვადასხვა ხერხების გამოყენებასთან ერთად გულისხმობდა აგრეთვე თხრობის რიტმულ ორგანიზაციასაც. გრიგოლ ნაზიანზელი სწორედ რიტმული პროზის ოსტატადაა მიჩნეული ბიზანტიურ მწერლობაში³⁷. ხოლო პროზის რიტმული ორგანიზაცია მდგომარეობდა თხრობის გარკვეულ ნაწილთა — პერიოდთა, კოლონთა და კოლათა ურთიერთშეთანხმებასა და მათი სინტაქს-სიმოკლის დაცვაში. არსებობდა მარცვალთა განსაზღვრული რაოდენობა, რომლისგანაც უნდა შემდგარიყო რიტმული პროზის ესა თუ ის მონაკვეთი³⁸.

ბასილი მინიმუსი თავის კომენტარებში ხშირად ეხება გრიგოლის ჰომილიათა კითხვის წესს, რომელიც თხრობის სხვადასხვა მონაკვეთთა შეთანხმებასა და პაუზებით დანაწევრებაში მდგომარეობს. ეს კომენტარები კარგადაა ცნობილი ეფრემისათვის. იგი მათი ქართულად მთარგმნელია. შენიშნულია, რომ ეფრემი ცდილობდა კიდევ თავის თარგმანებში გრიგოლის პროზის ამ თავისებურების — რიტმულობის გადმოტანას³⁹. სიტყვათა შედგმა, რომელიც ხმოვნის მოკვეცაში, ე. ი. საჭირო შემთხვევაში მარცვლის ამოვადებაში მდგომარეობს, ხომ არ იყო ერთ-ერთი ხერხი ამ მიზნის მისაღწევად? ეს საკითხი შექმნის კვლევასა და დაფიქრებას საჭიროებს და, ალბათ, დიდ სირთულეებთანაცაა დაკავშირებული, რადგან გრიგოლის ქართულ ხელნაწერებში, როგორც აღვნიშნეთ, თანმიმდევრულად არაა გატარებული სიტყვათა შედგმის წესი. ზემოთ განხილულმა ოთხმა ნუსხამ მხოლოდ დაახლოებით შემოგვინახა 16-სიტყვიანი კრებულის ეფრემისეული დედნის თავდაპირველი სახე.

ამ რიგის საკითხთა კვლევა, ვფიქრობთ, ახლებურად წარმოაჩენს ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პრინციპებსა და მეთოდებს, საინტერესო მასალას მოგვცემს, აგრეთვე, XI—XII საუკუნეების ქართული მწიგ-

³⁶ J. Quasten, *Patrology, The Golden Age of Greek Patristic Literature*, Washington, 1960, v. III, გვ. 605.

³⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური რიტმული პოეზიის აღრეული ნიმუში (გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუა ქალწულისა მიმართ“) — გულანი, 1989 და ამ ნაშრომში დასახელებული ლიტერატურა: E. Norden, *Die Antike Kunstprosa von VI Jahrh. Bd. I—II*, Stuttgart, 1958; Th. Sinko, *De traditione orationum Gregorii Nazianzeni*, Cracoviae, 1917, გვ. 54; J. Sajdak, *De Gregorio Nazianzeno poetarum Christianorum fonte*, Krakau, 1917. აგრეთვე ქ. ბეზარაშვილას მიერ 1970 წლის 30 ოქტომბერს ლუბენის კათოლიკურ უნივერსიტეტში წაკითხული მოხსენება: *La version Georgienne de la Poesie de Grégoire de Nazianze*, გვ. 12—14.

³⁸ L. G. De Fonseca, *S. J. Epitome Introductionis in Paleographiam Graecam*, Editio altera, Roma, 1944.

³⁹ ქ. ბეზარაშვილი, დასახ. ნაშრომები.

ნობრული ტრადიციების, აგრეთვე ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების შესწავლისათვის.

Т. З. ОТХМЕЗУРИ

ОБ ОДНОЙ ГРАММАТИЧЕСКОЙ ЗАМЕТКЕ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ

Резюме

В древнегрузинском переводе комментария к XLIII Слову Григория Назианзина включена грамматическая заметка, принадлежащая, по всей вероятности, известному грузинскому переводчику и грамматiku XI века Ефрему Мцире.

В заметке «Об искусстве соединения слов» дается правило создания грузинских составных слов. Опираясь на греческую систему просодических знаков и усматривая функцию этих знаков в греческих рукописях, грамматик адаптирует их на грузинский лад и с учетом грамматических норм грузинского языка производит соединение слов. Эта система применяется в большинстве грузинских рукописей XI—XII вв., связанных с именем Ефрема Мцире. Особенно часто она встречается в грузинских сборниках Слов Григория Назианзина XII—XIII вв. Означенная система в более упрощенном виде также отражена в поздних грузинских рукописях.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

თამარ ვაშაძემ

„უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი წარმოება ძველ ქართულში

ძველ ქართულ ტექსტებში (ორიგინალურსა და ნათარგმნში) დასტურდება „უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმები. წარმოშობით „უჩნს“ დამოუკიდებელი ზმნაა. სინტაქსურად ყველა „უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმა შედგენილი შემასმენელია; „უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმები იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით; მოეპოვება სუბიექტური (სათნო-იჩინე, სათნო-იჩინა...) და ობიექტური (სათნო-მიჩნს, სათნო-ვიჩნს, სათნო-უჩნს) წყობა; იცვლება დრო-კილოთა მიხედვით (სათნო-უჩნს, სათნო-უჩნდა, სათნო-უჩნდეს...). ობიექტური წყობის „უჩნს“ მეშველზმნიან აღწერით ფორმებს არ მოეპოვება ნამყო ძირითადის ნაკვითი — სუბიექტური წყობის მქონე ფორმებისაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად სწორედ ნამყო ძირითადის ნაკვთებითაა წარმოდგენილი (ღირს-იჩინე, ღირს-იჩინა).

„უჩნს“ მეშველზმნიან აღწერით ფორმათა შემადგენელი კომპონენტების რიგი ასეთია: სახელური წევრი+მეშველი ზმნა (ტკბილ უჩნდა, ადვილ უჩნდა). დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ზმნური კომპონენტი წინ უსწრებს სახელურს (უჩნ საშინელ).

„უჩნს“ მეშველზმნიან აღწერით ფორმათა სახელური წევრი ძირითადად ფუძის სახითაა წარმოდგენილი (ტკბილ უჩნდა). გრამატიკულად იგი სუბიექტია, ხოლო სემანტიკურად (ინვერსიის გამო) — დამატება. დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სახელური ნაწილი ვითარებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში სახელური კომპონენტი სინტაქსურად უბრალო დამატებაა.

როგორც ცნობილია, ახალ ქართულში „ჩანს“ მეშველი ზმნა გამოიყენება შედგენილი შემასმენლის ზმნურ წევრად, რაც ნიშნავს: „უნდა იყოს“: „მხედრები დაქანცულნი ჩანდნენ“ (კ. გამსახურდია)... იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით: დადლილი ვჩანვარ, დადლილი ჩანხარ, დადლილი ჩანს, დადლილი ჩანან... მოეპოვება მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთები: დადლილი ჩანს, დადლილი ჩანდა, დადლილი ჩანდეს... სხვა ნაკვთებში შესაძლოა გამოიყენებულ იქნეს შესაბამისი ვნებითის გამო- ზმნისწინიანი ფორმა: „ასე ულამაზოდ გამოჩნდებოდა“... წარმოშობით დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ზმნაა და ამ დანიშნულებით გამოიყენება კიდევ: „თვლით ძლივსა ჩანან“ (ი. გოგები.) [(11), 448]. ძველ ქართულში კი „უჩნს“ მეშველ ზმნას დაკისრებული აქვს მიჩნევის სემანტიკის გამოხატვა. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ნაკლებად დასტურდება ორგანული წარმოების მიჩნევის სემანტიკის გამოხატველი ზმნები „ეტკბილება“, „ეპატარაება“ ტიპისა, რაც ახალ ქართულში ენიანი ვნებითის ფორმებითაა წარმოდგენილი.

ძველ ქართულში „უჩნს“ მეშველი ზმნა ყველაზე ხშირად ობიექტური წყობითაა დადასტურებული. რაც შეეხება სახელურ კომპონენტს, იგი ნაირგვარია. ერთ შემთხვევაში სახელურ წევრად წარმოდგენილია მასდარი:

ტყუვილ გიჩნს („ტყუილი გგონიათ“, „ტყუილად მიგაჩნიათ“): ხოლო ქრისტეს მიმართ სარწმუნოებად და სწავლად, რომელი ტყუვილ გიჩნს იქუენ [(4), 46, 11].

სირცხვლ მიჩს (←მ-ი-ჩ(ნ)-ს) („მესირცხვილება“, „სირცხვილად მიმაჩნია“); არა სირცხვლ მიჩს ნაბრძოლი ესე ჯორცთა ჩემთა [(5), 173, 35].

სირცხვლ გიჲს („გესირცხვილება“, „სირცხვილად მიგაჩნია“): ვითარ არა სირცხვლ გიჲს მისი სახელისდებად ღმრთად [(7), 245, 17].

სირცხვლ უჩნდა („ესირცხვილებოდა“, „სირცხვილად მიაჩნდა“): არა სირცხვლ უჩნდა მას მსგავსებაჲ ჩუენი [(3), 53, 10].

„უჩნს“ მეშველზმნიან აღწერით ფორმათა სახელურ წევრად ყველაზე ხშირად ზედსართავი სახელებია წარმოდგენილი:

ძნელ გიჲნდა („გეძნელებოდა“, „ძნელად მიგაჩნდა“): ანუ ვითარმცა ძნელ გიჲნდა წარგებაჲ დარჩომილისაჲ მისცა [(2), 97, 24].

ძიმე გიჲს („გეძიმება“, „ძიმედ მიგაჩნია“): აჩუენე მოწყალეებაჲ შენი და სიყუარული ძმისა შენისათჳს და ნუ ძიმე გიჲს შენდობად შეცოდებაჲ მისი [(3), 41, 3].

ფიცხელ მიჲს (←მ-ი-ჩ(ნ)-ს) („ფიცხლად მიმაჩნია“): არა ფიცხელ მიჲს სიტყუაჲ ესე არამედ ტკბილ და კეთილ მოყუარისაჲ მოყუარისა მიმართ [(4), 105, 39].

მარჯუე უჩნდა („ემარჯვებოდა“, „მარჯვედ მიიჩნედა“): სადა ვის მარჯუე უჩნდა, არამედ ვერ სადა გამოიჩინეს [(6), 350, 30].

იწრო უჩნდა („ვეიწროვებოდა“, „იწროდ მიაჩნდა“): მუცელი ქალწულისაჲ არა იწრო უჩნდა [(5), 41, 3].

ბოროტ უჩნდა („ბოროტად მიაჩნდა“): ბოროტ-უჩნდა წინაშე ღმრთისა საქმეჲ ესე [(1), 34].

ადვილ უჩნდა („ეადვილებოდა“, „ადვილად მიაჩნდა“): რამეთუ ადვილ უჩნდა ბოროტის-ყოფად და მოკუდინებად ყოველთა მათ მართალთა [(6), 239, 21].

ტკბილ უჩნდა („ეტკბილებოდა“, „ტკბილად მიაჩნდა“): არცაღა ტკბილ უჩნდა მას სიმცხინვარე მზის თუალისა [(7), 171, 25].

„უჩნს“ მეშველზმნიან აღწერით ფორმათა ერთი დიდი ნაწილი სახელურ წევრად მიმლეობებს წარმოგვიდგენს:

ბრწყინვალე უჩნდა („ბრწყინვალედ ეჩვენებოდა“, „ბრწყინვალედ მიაჩნდა“): არცაღა ბრწყინვალე უჩნდა მას ნათელი მზისა [(7), 171, 24].

სათნო უჩნს („სათნოდ მიაჩნია“, „სათნოდ ეჩვენება“): აწ ვითარცა სათნო უჩნს სიწმიდესა შენსა [(7), 270, 37].

საწუნელ უჩნდა („საწუნელად მიაჩნდა“): რამეთუ საწუნელ უჩნდა ადგილი იგი [(7), 228, 7].

საკვრველ მიჲს („საკვირველად მიმაჩნია“): არა ესრეთ საკვრველ მიჲს წიგნთა თარგმანებაჲ [(8), 173, 20].

საგონებელ მიჲს (←მ-ი-ჩ(ნ)-ს) („საგონებლად მიმაჩნია“): საგონებელ მიჲს, ვითარმედ ზეცით იყო კაცი იგი [(6), 347, 4].

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოცემულ აღწერით ფორმას მოეპოვება შესაბამისი ორგანული ვარიანტი, მაგრამ ეს უკანასკნელი მოკლესულია მიჩნევის სემანტიკის გამოხატვას. აღნიშნული გარემოება ერთ-ერთი მიზეზია „უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმების გამოყენებისა ძველ ქართულში. მაგალითად, **საჭირო გვიჩნს** („საჭიროდ მიგვაჩნია“), შდრ.: **გვესაჭიროება**; **ღირს-უჩნს** („ღირსად მიაჩნია“), შდრ.: **ელირსება**.

ღირს უჩნს (←უ-ჩ(ნ)-ს) („ღირსად მიაჩნია“): უფროჲს ხოლო ამისთვის, რამეთუ ლავრისა მამათა არა ღირს უჩნს [(4), 83, 5].

საჭირო გვიჩნს („საჭიროდ მიგვაჩნია“): იგი ჭირი არა საჭირო გვიჩნს [(9), 298, 14].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ზმნური წევრი წინ უსწრებს სახელურს. აღსანიშნავია,

რომ სწორედ ასეთ შემთხვევაში დადასტურდა ერთ ზმნურ კომპონენტთან ორი სახელური წევრი:

ხოლო მარხვად და სიწმიდღ ნუვის უჩნ საშინელ და საზარელ [(5), 100, 17].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ „უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი წარმოების სახელური წევრი ვითარებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. სინტაქსურად იგი უბრალო დამატებაა:

ღმერთად უჩნდეს („ღმერთად მიაჩნდეს“): რომელნი-იგიცა ღმერთად უჩნდეს ერსა მას დაბნელებულსა ქართლისასა [(9), 357, 15].

„უჩნს“ მეშველი ზმნა მიჩნევის სემანტიკაზე მიგვანიშნებს მაშინაც, როდესაც იგი სუბიექტური წყობითაა წარმოდგენილი:

უღირს-იჩინე („უღირსად მიიჩნიე“): და ხატი მონისად შემოსად არა უღირს-იჩინე [(9), 22, 21]; რომელმან-იგი არაა უღირს-იჩინა თანაზიარყოფად მონისა ოვსისა სარწმუნოვასა [(8), 122, 9].

ზოგჯერ (სუბიექტური წყობის დროს) მეშველი ზმნა „იჩინა“ დასტურდება „გამოიჩინა“ შინაარსითაც:

სათნო იჩინე („სათნოება გამოიჩინე“): დიდებაა შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ესრეთ სათნო იჩინე [(7), 85, 22].

ჩინ (ჩან) ფუძიანი მეშველი ზმნა ზოგჯერ „გან“ და „გამო“ პრეფერბიანი ვარიანტებითაც წარმოგვიდგება. ასეთ შემთხვევებში მიჩნევის სემანტიკა დაჩრდილულია:

განაჩინონ მეფედ, შდრ.: გაამეფონ (განჩინება — „შეწირვა“, „მიცემა“, „განთვსება“, „გამორჩევა“, „გამოჩინება“, „სჯა“, „ჩუენება“, „განსაზღვრება“, „განწესება“, „დადგენა“, „დამტკიცება“, გადაწყვეტა“):

სწორ გამოაჩინა (გამოჩინება — „საცნაურ ყოფა“, „გამოცხადება“, „ჩვენება“): არამედ მადლითა და სასწაულითა ღმერთმან სწორ მათდა გამოაჩინა [(10), 352, 17].

გაანალიზებული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. „უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმები (ძველ ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში) მიგვითითებს მიჩნევის სემანტიკაზე, რაც ახალ ქართულში ვნიანი ვნებითის ფორმებითაა გამოხატული (ეტკბილება, ებატარაგება). აღნიშნული ფუნქცია (მიჩნევითობა) ძველ ქართულში ნაკლებად დასტურდება ორგანული წარმოების შემთხვევაში. ძირითადად გამოყენებულია აღწერითი წარმოება (ტყუვილ გიჩნს, იწრო უჩნდა, ფიცხელ მიჩნს, ტკბილ უჩნს და სხვა).

2. ძველ ქართულში „უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმების სახელური კომპონენტი ხშირად წარმოქმნილია (უბატონსე გიჩნს, საკვრველ მიჩნს, საგონებელ უჩნს და სხვა).

3. „უჩნს“ მეშველზმნიანი აღწერითი წარმოების გამოყენების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მისი შესაბამისი ორგანული ვარიანტი, ჩვეულებრივ, ვერ გამოხატავს მიჩნევის შინაარსს (შდრ.: საჭირო გვიჩნს — გვესაჭიროება). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „უჩნს“ მეშველზმნიანი წარმოება მიჩნევის სემანტიკასთან ერთად სტატიკაზეც მიგვანიშნებს (ტკბილ უჩნს, ადვილ მიჩნს, ძნელ უჩნს და სხვა).

ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, თბ., 1983.

3. მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, ძველი ქართული ენის ძეგლები, 8, თბ., 1955.
4. მამათა ცხორებანი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI ს-ისა, თბ., 1975.
5. სინური მრავალთავი 864 წლისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბ., 1959.
6. შატბერდის კრებული X საუკუნისა, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, I, თბ., 1979.
7. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), თბ., 1964.
8. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), თბ., 1967.
9. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III (XI—XIII სს.), თბ., 1971.
10. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV (XI—XIII სს.), თბ., 1968.
11. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მორფოლოგიის ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

Т. В. ВАШАКИДЗЕ

АНАЛИТИЧЕСКИЕ ФОРМЫ С ВСПОМОГАТЕЛЬНЫМ ГЛАГОЛОМ UCNS «КАЖЕТСЯ» В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В древнегрузинском языке аналитические формы с вспомогательным глаголом ucns «кажется» выражают семантику кажимости, чем и отличаются от соответствующих органических форм (saçigo gwiçns «нам кажется нужным», ср. gwesaçigoeba «нам нужно»).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ჯორბენაძემ

ინეზა კიკნაძე

ხ მ ვ // ხ ი ვ ფ უ მ ის ე რ თ ი მ ნ ი უ ვ ნ ე ლ ო ბ ის ა და „მესახიენის“
დაზუსტებისათვის

თეატრალურ ტერმინოლოგიაში „მესახიენი“ ცნობილი გახდა თეიმურაზ ბაგრატიონის პიესით „სამსახეობა რაინდისა“. ამ სიტყვას პირველმა დიმიტრი ჯანელიძემ მიაქცია ყურადღება თავის გამოკვლევაში „რუსთაველი და სახიობა“ (1967 წ.) და მიუთითა, რომ „მესახიე“ იგივე **მსახიობია**. აქვე შევნიშნავთ, რომ „მესახიე“ უცნობია ქართულ სინამდვილეში არსებული ლექსიკონებისათვის (დ. ჩუბინიშვილისთვისაც კი, რომელიც „რაინდს“ რამდენჯერმე იმოწმებს), მათ შორის სპეციალური ლექსიკონებისთვისაც¹.

პიესა მოქმედ პირთა სათვალავში „მესახიენი“ არა ჩანს, თუმცა აქვე არიან წარმოდგენილი: მედაირენი, მგოსანნი, მეჩანგენი, მეწინწილენი, მენაპირენი (მენაფირენი), მეორძენი, ჯარის კაცნი, შინა ყმანი და სხვანი და სხვანი, ე. წ. ღასა, არამთავარი მოქმედი პირნი, რომლებიც დამხმარე როლს ასრულებენ პიესაში.

„მესახიენი“ გვხვდება ავტორისეულ რემარკებში: ერთადერთი მაგალითი მოვიძიეთ, პერსონაჟს რომ განეკუთვნება ნათქვამი: „მესახიენი უნდა შემეწივნენ“ (41v), — ამბობს მეჩონგურე სირაძე.

ეს სიტყვა ავტოგრაფში ასეთი ვარიაციებით გვხვდება²: მესახიენი > მესახიენი // მასახიენი // მოსახიენი (44v); ამათგან ყველაზე ხშირად იხმარება მესახიენი (10 შემთხვევა). აქვე მოგვყავს მასალა ტექსტიდან (ფრჩხილებში ვუთითებთ პირველნაბეჭდის გვერდებს):

მესახიენი — „მესახიენი უნდა შემეწივნენ“, 41v, პერსონაჟ. (48); „მესახიენი სირაძეს გარე მოადგებიან“, 14v, ავტ. რემარკა (48); „მესახიენი და ყოველნი“, 43v, ავტ. რემარკა (50, „მესახიენი და ყველანი“); სხვა შემთხვევებში „მესახიენი“ გამოტანილია ტექსტის გარეთ, იხ. 41v, 42r, 42v, 43r, 43v (გვ. გვ. 48, 49, 50, 51).

მესახიენი — „მესახიენი მასვე“, 44v, ავტ. რემარკა (52, „მესახიენი მასვე“);

მოსახიენი — „... თქმულნი ყოველნი პირველსა საქმესა შინა მოსახიენით“, 37r, ავტ. რემარკა (42); „მოსახიენი მასვე“, 44v, ავტ. რემარკა (53, „მესახიენი მასვე“).

მასახიენი — „მასახიენი ისევ იმას“, 44v. ავტ. რემარკა (52, „მესახიენი ისევ იმას“).

როგორც ვხედავთ, გამოქვეყნებულ ტექსტში³ დაფიქსირებული არ არის „მესახიენი“ და „მასახიენი“, „მოსახიენი“ კი მხოლოდ ერთხელ გვხვდება.

ფორმა გამჟღავნებელია: **სა-ხ-ი (ვ)** ფუძეს დაერთვის კონფიქსები **მე** — **ე, მო** — **ე**, და **მა** — **ე**. თუმცა ტექსტში სიტყვა ოდენ **ნარ**-იანი მრავლობითით

¹ რუსულ-ქართული დრამატული თეატრალური ხელოვნების ტერმინები, თბ., 1946, შემდგ.: გ. ახვლედიანი, ე. თოფურია, შ. ძიძიგური, დ. ჯანელიძე; ასევე: რუსულ-ქართული „ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი“, თბ., 1985; შემდგ. ა. ყიფიანი; გრ. ჩხიკვაძე, მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 1966, და სხვ.

² იხ. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი № 23381.

³ „სამსახეობა რაინდისა“, ს. იორდანიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1947.

წარმოგვიდგება (მესახივე-ნ-ი//მესახიე-ნ-ი//მასახიე-ნ-ი), მხოლოდითი რიც-
ხვისათვის გვაგვარაუდებინებს მესახივე>მესახიე//მოსახიე//მასახიე ფორ-
მებს; ხოლო სიტყვაში წარმოჩენილი -ივ (<-ევ) ფორმანტი ხ—ევ>ხ—ივ
ფუძესა და **სახიობა** (<სა-ხ-ივ-ობ-ა<სა-ხ-ევ-ობ-ა) ტერმინთან **მე-სა-ხ-ივ-
ე-ნ-ის** კავშირზე მიუთითებს.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული მა-ხ-ი-ობ-ელ-ი//
მა-ხ-ე-ობ-ელ-ი (იგივე **მეფსალმუნე** ფართო გაგებით) ამოსავალი ჩანს პიესის
მსახიობელისათვის (3V). **მსახიობელი** ხმისმიერი გამართობია. „მსახიობელთა
დასიცი“ არსებულა; ტრ. რუხაძე იმოწმებს არსენ იყალთოელს⁴. **სახიობელი**
(მასუბსტანტივებელი მ-ს გარეშე) ილია აბულაძესაც აქვს შეტანილი ლექსი-
კონში⁵ და, როგორც განმარტება მიგვითითებს, **საგალობელიც** არის და **მა-
გალობელიც**, მუსიკოსი; **გალობასაც** შეიძლება ნიშნავდეს.

ხეობა>//**ხიობა**, იგივე **კურთხევა**, **გალობა**, **მღერა**, თავის მხრივ, ამოსა-
ვლად გვაგვარაუდებინებს ხ-ევ>ხ-ივ ფუძეს, რაც მინიშნებული აქვს ილ. აბუ-
ლაძეს, თუმცა არც მის მიერ შედგენილ ლექსიკონში და არც სხვაგან ვინ-იანი
ფუძე დადასტურებული არ არის. ამდენად, საყურადღებოა პიესის ავტოგრა-
ფის ჩვენება: მე-სა-ხ-ივ-ე-ნ-ი.

ამასთან კავშირში საინტერესოდ წარმოჩნდება ვუკ. ბერიძის მიერ დასავე-
ლურ კილოებში მოძიებული სიტყვა **მეხევე-ს**⁶ განმარტება: „სატირალში მო-
სულნი ჭირისუფლის ნათესავთა და მოყვარეთა ვარდა, სხვა მცხოვრებნი იმავე
სოფლისა“; თურმე ისინი, „მეხევენი „გადასახურავს“ იხდიან მხოლოდ ათ
შაურს“. ამ განმარტებიდან ირკვევა, რომ **მეხევენი** ჭირისუფლის ჩვეულებრი-
ვი თანამგრძობნი არ უნდა იყვნენ. **მეხევენი**, ჩვენი ვარაუდით, **ხიობენ**
(„**ხიობს**“ ზმნა)⁷, ე. ი. გალობით, მღერით, შეიძლება ერთგვარ სიმღერის კი-
ლოზეც კი ასრულებენ რაღაც რიტუალს მიცვალებულის სულის გასაპატიო-
სნებლად. „გადასახურავიც“ ხომ ამიტომ აქვთ **მხოლოდ ათი შაური**, ე. ი. სხვებ-
ზე ნაკლები. **მეხევენი**, როგორც ჩანს, ხმით მოტირალნი არიან (შდრ. **ხ. საბა**:
ჯობა — კივილი, გინა ვალალება. თხზ., IV₂, გვ. 446). იგივე **მემღერნი** და **მა-
ხიობელნი**. **მე-ხ-ევ-ე-ში**, ჩვენი აზრით, შემონახულია ძალზე ძველი ხ-ევ>ხ-ივ
ზმნური ფუძე, რომელიც **სახიობა**, **მსახიობელი**, **სახიობელი** და მისთ. სიტყვე-
ბისათვის ამოსავალი უნდა იყოს. სხვათა შორის, არც დიალექტის **მეხევე** ჩანს
სხვა ლექსიკონებში.

გალობის (ხმის გამოცემის) შინაარსი რომ არის ჩადებული **მეხევე-ში**,
ამის დასტურია **ხიოდი**⁸ (ვ. ბერიძე) — „ხიოდი ბატონები, როცა წითელა,
ხველა და სხვ. მორეული არ არის“; **მოუხიოდე** ბატონებს — მოუბოდიშე, შეე-
ხვეწე „ბატონებს, რომ არ გაჯავრდეს“, — განმარტავს ვ. ბერიძე და იქვე დას-
ძენს: შდრ. სვ. **ხიად**.

მართლაც, სვანურ პოეზიაში ხშირად გვხვდება ფორმები: ხიად, ხიად-ი,
ხიად-ულ (-ულ კნინობითისა), რაც ერთგვარი რეფრენივით გასდევს სიმღე-
რით წარმოთქმულ ლექსს (ამ სიტყვის ზუსტად თარგმნა, მგონი, შეუძლებე-
ლიც არის). მოვიყვანთ ორიოდ ნიმუშს: „ო, **ხიადულ**, თამარ დედფალ“-ო,

⁴ ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949, გვ. 26.

⁵ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

⁶ ვუკოლ ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 1912, თბ., 1986, გვ. 80.

⁷ ტრ. რუხაძე, „მსახიობელზე“ მსჯელობის დროს აღნიშნავს, რომ ვ. ბერიძეს მისთვის მიუნიშნებია ხალხში შენახულ ფორმაზე „უხიოდე“. იხ. ტრ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

⁸ ვ. ბერიძე, დასახ. ლექსიკონი, გვ. 82.

⁹ სვანური პოეზია, I; სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თო-
ფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბ., 1939.

სიხარულო, თამარ დედოფალი (2,1), ო, **ხიადი**, ვოთარ ფუსდა“—**ო**, **გენაცვა**, ოთარ ბატონო (94,11) **ხიად**, თვეთელ, მამ ჯეპანი“ — **გენაცვა**, თვეთულ, არ გედრახვის (90,42). „**ხიად**, ვოთარ, თვეფს ი დაშნა-ს დემ ჯაყდანი“ — **გენაცვა**, ოთარ, თოფსა და ხმაღს ვერ დატიკავებ (94,92-93). ო, **ხიადულ**, ლუბსუყე ჯა-**ვკლანი**! — ო, **გენაცვა**, ლუბსუყე ჯაჭვლიანი! (94,95), **ხიად**, ხოჩა ლახება! — **გენაცვა**, კარგო ძებო! (74,5) — და სხვ.

ძველი ქართული **ხადა**, **ხდა** — „ლაღად-ყოფა“, „წოდება“, „გმობა“, ძა-**ხილი**, მოხმობა (დ. ჩუბინაშვილი, ილ. აბულაძე) და დიალ. **ხიოდი** („უხიოდე“) შინაარსით ახლოს დგას ერთმანეთთან. ამავე დროს **ხიოდი** (და შეიძლება სვა-**ნური ხიად-იც**)¹⁰ გვავარაუდებინებს ამოსავალ ფუძეში თანხმოვანს, ქართუ-ლისათვის -**ვ**-ს: ხ-ივ-ოდი < *ხ-ევ-ოდი.

ხევ ფუძის ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა — „გალობა“ — დაცული უნდა იყოს სიტყვაში „ხევური“, „ხევურო“. ქეგლ-ით ეს „სიმღერაა ერთგვა-რი“. საილუსტრაციო მასალა ქართულურიდანაა: „გაგებმის ქართული „სუფრუ-ლები“, მათ მოჰყვება ვაჟკაცური „ხევურო“, „ჩონგურო“ (ს. მგალობლიშვი-ლი). „ბერიკაცმა ვაჟკაცური ხმით შემოსძახა ხევური“ (ნ. ლომთური).

არის ცდუნება იმისა, რომ **-ურ** წარმომავლობის სუფიქსდართული ხევ-ი (ტოპონიმი) ვივარაუდოთ ამ სიტყვაში; მაგრამ სამუსიკო დარგის სპეციალის-ტებთან¹¹ კონსულტაციამ დაგვარწმუნა, რომ **ხევური**-ს (მათი სწორებით **ხეფუ-რო**-ს) ამოსავალია **ხ-ევ** ზმნური ფუძე. აქედან არის მიღებული სახელი (სა-წყისი) **ხ-ევ-ა** და შემდგომ **ხ-ევ-ური**-ი. აქვე უნდა გავიხსენოთ, ერთი მხრით, სამეცნიერო ლიტერატურაში მუსიკალურ ტერმინ „მეხურ“—თან დაკავშირებით გაშლილი ძსჯელობა. რომ **მეხური**¹² ხმით შესასრულებელი საგალობელია (პ. კარბელაშვილი, კ. კეკელიძე, ლ. ჯღამაია) და არა მხოლოდ ხმით შესასრუ-ლებელი, არამედ ნოტირებულიც (ყ. ბ. თიბო, ელ. მეტრეველი) და, მეორე მხრით, „ვეფხისტყაოსნის“ „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის დას-კვნისდა მიუხედავად, რომ ამ სალექსო სტრიქონში **ხევა** არის „უჯან დახევა“, „თავის დროზე შეკავება“, რაც გამაგრებულია თ. ბაგრატიონის, ნ. მარის, პ. ინგოროყვას, ვ. ბერიძის, ნ. ნათაძის და სხვათა მოსაზრებებით, შეიძლება გავიზიაროთ განსხვავებული ახსნაც, თუნდაც იმავე თ. ბაგრატიონის განმარ-ტების მიხედვით: „**ხევა** ანუ დახევა — ეს ნიშნავს **გალობის კილოსა** (ხაზგასმა ჩვენია, — ი. კ.); ჯმა ანუ კილო ოდესცა მაღალის ჯმით სწორეს საზომისა მი-მართ მისდრიკოს, რადგანაც **ყოველი ლექსი გალობაზედ უნდა იყოს გამარ-თული**, რომელ ლექსი თვისის სისწორისაგან გარე არ გავიდეს“. მას მოსდევს „ვეფხისტყაოსნის“ კომისიისათვის მისაღები განმარტება: „და მდბიოდ ასე გამო[ი]თარგმანება, რომელ ჯართა თავდაღმართში დაუხევენ, რომელ ურემი

¹⁰ შენიშვნა: მის. ალაიძეს **ხიოდი** დადასტურებული აქვს ლეჩხუმურში (ოკრიბულში) და ნიშნავს **მზიან დარს** (იხ. ქეგლი, „ღრუბლებთა ვაფანტის შემდეგ დამდგარი მზიანი დარი“). ადვილი შესაძლებელია, ეს შინაარსი — **სიხარულის**, **სიყვარულის** — დადებითი ემოციის გამო-ხატველი იყოს ჩადებული „**ხიოდი ბატონებში**“ (ვ. ბერიძე), რაზედაც სვანური პოეზიის ნი-მუშთა თარგმანებიც მიუთითებს (იხ. ზევით), მაშინ ჩვენ ძალიან ძველ, წარმართული კულ-ტურის ამსახველ (**მზის** კულტთან დაკავშირებულ) სიტყვა-ცნებებთან გვქონია საქმე: საკითხი, ცხადია, კვლევას მოითხოვს.

¹¹ ანზორ ერქომაიშვილისა და თეიმურაზ ქვეციშვილის ცნობით **ხევურო** კახეთშიც იმ-ღერება, „სუფრულის“ ერთი სახეობაა, „მრავალყამიერის“ ტიპისა, მხოლოდ ნაკლებ გავრ-ცელებული. არსებობს ნოტიური ჩანაწერიც.

¹² ვრცლად ტერმინის შესახებ იხ. ელ. მეტრეველი. „მეხელისა“ და „მეხურის“ გავე-ბისათვის, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 160—177.

არ გადაიჩეხოს; მელექსემაც თავისი თავი ისე გვარად იპყრას. ქართული ლექსია ხევა¹³.

მაშასადამე, ხევა ვალობის კილოც არის, რომელიც ვარკვეულ საზომს იცავს (შდრ. „მეხური“); ყოველი ლექსი ვალობის კილოზე უნდა იყოს გამართული. შდრ. ამ კუთხით სევანური ლექსი, რომელიც სიმღერებია და სხვაგვარად არც სრულდებოდა. დღესაც, ზოგ კილოში, მაგ. თუშურში, სპეციალისტების მითითებით, მხოლოდ ერთ კილოზე (ჰანგზე) სრულდება, იკითხება (გარმონის თანხლებით) ლექსი. როგორც ჩანს, ლექსის კითხვის წესი არსებობდა, მათ შორის ურითმო ლექსისაც, ერთგვარი კილოს მოხმობით, რითაც დაცული იყო რიტმიკულ-მელოდიკური მხარე კითხვისა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მუსიკალური თანხლების გარეშე ლექსი არ იკითხებოდა, ან არ იკითხებოდა. თუ ეს ასეა, არ არის გამორიცხული „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ შემდეგს გულისხმობდეს: „როცა მოქმელს ლექსი (სათქმელი) შემოაკლდება, იქ ვალობის კილო — ხევა მოიშველიოს (ან სხვამ შეაშველოს). იქნებ ამაში მდგომარეობს კიდევ ერთგვარი „უკან დახევა“ (ხევა ხომ რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელია!). თქმა და ხევა ჩვენთვის სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, რადგან ისინი ავსებენ ერთმანეთს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ანტონიმებიც შეიძლება იყვნენ¹⁴.

თუ ხევა (= „სიმღერა“, „ვალობა“) ფუძესთან დაკავშირებული ჩვენი მსჯელობა მისაღებია, მაშინ, უდავოდ, მესახივენიც ვალობას უკავშირდება.

ვინ არიან პიესის მესახივენი? — ცხადია, მსახიობები, მაგრამ პიესაში მსახიობთა ჯგუფი, დასი იგულისხმება. ამაზე მიუთითებს სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმით ხმარება: მესახიე-ნი-ი. ზევით უკვე ვთქვით, რომ პიესაში სიტყვა მხოლობითში (მესახიე) არცა გვხვდება, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. მესახიენი პიესაში ქოროს ფუნქციას ასრულებენ. მსახიობთა ერთი ჯგუფი იმეორებს ვარკვეული პერსონაჟების, ჩონგურზე ან ჩანგზე დამკვრელთა ლექსის (სავარაუდებელია, ერთგვარ კილოზე, სიმღერით ნათქვამი) ბოლო სტროფს, ან მნიშვნელოვანი აზრის შემცველ სტრიქონს, რითაც ხაზი ესმება ლექსის მოქმელის, შემთხვევლის, მოშიარის ნათქვამის მნიშვნელობას (აქ გამეორების სტილისტიკური ფუნქცია აშკარაა), ე. ი. მესახიენი იმით განსხვავდებიან სხვა მსახიობებისაგან, რომ თავისი დამოუკიდებელი, საკუთარი ტექსტი არა აქვთ, სხვის ნათქვამს იმეორებენ, რასაც ავტორიც გახაზავს ხოლმე რემარკაში: „მესახიენი — მასვე“ ან „მესახიენი ისევ იმას“... მესახიენი რომ „მესახიობელთა“//„მახიობელთა“ დასია, ვარკვეული ფუნქციის მქონე მსახიობთა ჯგუფი, ისიც მიუთითებს, რომ ავტორი მათ უპირისპირებს სხვა მსახიობებს: „მესახიენი და ყოველნი“ (43v). სიტყვით „ყოველნი“ ხაზგასმულია, რომ მხოლოდ „მესახიენი“ კი არ იმეორებენ ამჟამად ნათქვამს, არამედ სხვებიც, სცენაზე მყოფი ყველა მოქმედი პირიც უერთდება მათ.

მესახიენი რომ ხიობენ, ვალობით ეხმიანებიან ლექსის მოქმელს, რომ მგალობელნი არიან, ტექსტიდანვე ჩანს. ერთგან, მოსალოდნელი მესახიენის ნაცვლად პერსონაჟთა რიგში ავტორს გამოტანილი აქვს „მგალობელნი“ (42v). მგალობელნი აქ საეკლესიო მსახურების შემსრულებელს არ ნიშნავს, მას უფრო ფართო, ზოგადი მნიშვნელობით ხმარობს დრამატურგი — ისინი ხმით, ვალობით, სიმღერით შეეწყვიან მოშიარეს.

13 თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, ვაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევით, და საძიებლოთ, თბ., 1960.

14 მაგ., ინგილოური კილოს ლექსიკონში შეტანილი მოხევა, რაც გაჩუმებასაც ნიშნავს, სხვა მნიშვნელობაც აქვს: მოხევა, მოვლეჯა; იხ. ინგილოური ლექსიკონი, შედგ. ნ. როსტიაშვილის მიერ, თბ., 1978, გვ. 142.

ამრიგად, მესახივენი > მესახიენი // მასახიენი // მოსახიენი იგივე „მახიობელ-
თა დასია“. **მესახიე ამ დასის წევრია.**

ძველი ქართული **მახიობელი, სახიობელი // მსახიობელი**, თ. ბაგრატიონის
პიესის **მესახიე**, დიალექტური **მეხევე** (მეხევენი) და **მგალობელი** სინონიმური
ცნებებია.

მესახივენ-სა და **მეხევენ-ში** სრული სახით არის დაცული უძველესი ზმნუ-
რი ფუძე **ხევ-ხივ**, რომლის მნიშვნელობაა **ხმის გამოცემა, ღაღად-ყოფა, გალო-
ბა.**

И. Г. КИКНАДЗЕ

ОБ ОДНОМ ЗНАЧЕНИИ ХЕВ > ХУВ И ТЕРМИН «МЕСАХИВЕНИ»

Резюме

«**Мес̄ახивени**» автографа (см. «Берейтор» Т. Багратиони) дает воз-
можность выделить древнюю глагольную основу х-ев > х-ув; лексиче-
ское значение — «выдавать голос», «взывать», «петь» (ср. глагол
«хиобс», — «**сахиоба**» — «лицедейство», «**махиобели**» — «лицедей», «**мса-
хиоби**» — «актер»). С этим значением **хев** связаны диалектная «**мехе-
ве**» (В. Беридзе), название застольной песни «**хевуро**» («хевури») и
«хева» известной строки Руставели: «Лекста გრძელთა თკმა და ხევა».

В статье уточнено значение «**месахивени**». Это группа актеров, ко-
торая наделена определенной функцией. Не имея собственного текста,
месахивени хором повторяют или подпевают персонажу, выделяя и
этим подчеркивая главную мысль сказанного (ср. **хоро** классического
греческого театра).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ალ. გვახარიამ

ჰ ი თ ე ვ ა ნ ბ ი ზ ა შ ვ ი ლ ი

მ- პ რ ე ფ ი ქ ს ი ა ნ ი ვ ნ ე ბ ი თ ე ბ ის I ს მ რ ი ს მ წ კ რ ი ვ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ის ა თ მ ის
ს ა შ უ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი

ე- პ რ ე ფ ი ქ ს ი ა ნ ი ვ ნ ე ბ ი თ ე ბ ის მ წ კ რ ი ვ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა ს ა შ უ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი უ ნ-
და განვიხილოთ, როგორც გარდამავალი საფეხური ძველიდან ახლისაკენ: საკ-
მაოდანა შერყეული მწკრივთა წარმოების ძველქართულისებური სისტემა
და ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული ახალი (იგულისხმება
როგორც მწკრივთა რაოდენობა და თანმიმდევრობა, ისე მათთვის დამახასია-
ებელი ძირითადი ნიშნები).

საკვლევი მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ გვაქვს ნარევი სისტემა,
რომელშიც შედის როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისთვის ნიშანდობლივი
ელემენტები: იხმარება აწმყოს ძველი დაბოლოება საშუალო ქართულის ადრე-
ული პერიოდის ძეგლებში. XVII ს-ის ხელნაწერებში აქა-იქ ასახული ახალი
ფორმები ცხადყოფენ, რომ იმ დროის ცოცხალი სასაუბრო ენისათვის უცხო
არ იყო აწმყოს ახლებური წარმოება. მოგვიანო ხანის ძეგლებში თანდათან მა-
ტულობს ახალი ფორმები და ლამის უთანაბრდება ძველს. საკმაოდანა მო-
მძლავრებული მყოფადის წრე, თუმცა მყოფადის წარმოების ძველი სისტემა
ჯერ კიდევ მოქმედებს. ძირითადად დამთავრებულია -ოდ სავრცობიანი ზმნების
-დ სავრცობიანებთან გათანაბრების პროცესი. თითო-ორიოლა მაგალითი, ნაშთის
სახით შემორჩენილი, ძველის ინერციასლა წარმოადგენს.

აწმყოს წარმოების ძველი ქართულის ნორმები მთლიანადაა დაცული აბუ-
სერისძე ტბელის თხზულებაში — „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალ-
ში“, ქართულ ისტორიულ საბუთებსა და ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატია-
ნეში“. ახალი წარმოების ნიმუშები დადასტურებულია „გეფხისტყაოსნის“
BZRR'W ლიტერებით აღნიშნულ ხელნაწერებში და ბჩქკარ¹ აბინ გამოცემებში,
„ამირანდარჯანიანის“ OPRT ხელნაწერებში, დამატებების ტექსტში, „ვისრამია-
ნის“ ვარიანტებში, „ქართლის ცხოვრების“ I ტომის ერთ ჩანართსა და ერთ ვა-
რიანტში, „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომში; „ქართლის ცხოვრების“ II
და „ქართული სამართლის ძეგლების“ II ტომებში ახალდაბოლოებიანი ფორ-
მები შედარებით მომრავლებულია. ლაბიდარულ წარწერებსა და ე. თაყაიშვი-
ლის მიერ შესწავლილ სამხრეთ საქართველოს ძეგლებზე შესრულებულ წარ-
წერებში აწმყოს ფორმები საერთოდ არ შეგვხვედრია, თუ არ ჩავთვლით
გვევდრები ფორმას, რომელსაც არავითარი ჩვენების მოცემა არ შეუძლია.
როგორც ჩანს, ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში არ იძებნება არც ერთი ძეგ-
ლი, სადაც მხოლოდ ახალდაბოლოებიანი ფორმები იქნებოდა წარმოდგენილი.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ჯერ ძველი, შემდეგ კი ახალი წარმოების ნი-
მუშებს:

ა) „საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების“ (ვე-
ფხისტყ., 141/140/, 143); „მოავსენა: „ასისა საჭურჭლისა არსო, უბრძანეთ,
ეცსცა გებრიანების“ (ამირანდარჯ., 337, 1—2); „არავის ეწყალვის მიჯნური,
არვის ებრალვის“ (ვისრამ., 142, 12—13); „მესწრაფების მე აღშენებად სახლ-
სა ღმრთისასა“ (ქართ. ცხ., I ტ., III, 13—14); „ეგულების განდგომა“ (ქართ.
ცხ. II, ტ. 238,4); „იმათოდენი სისხლი ეღინების“ (ქართ. სამ. ძეგლ., I ტ.,
490, 35), და ა. შ.

ბ) „თუ გებრიანება, მოვკლავ“ (ამირანდარეჯ. დამატ., 733,5—6); „სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი“ (ქართ. ცხ., I ტ., ჩანართი BP'b); „და უფალი ემოწმება სახარებაში“ (სამ. ძეგლ., I ტ., 271, 152); „თუ მეფე მასთვის მოწყალეა და ებრალება, ებრიანება, მის შვილებსაც მისცემს, და თუ არ ებრიანება, თავისთვისვე დაიჭერს“. (იქვე, 172, 181); „იმათს ჯამაგირსა და მიცემაზე ბევრი გვეხარჯება“ (სამ. ძეგლ., II ტ., 455), და ა. შ.

აწმყოს ხოლმეობითი ძველი ქართულის დონეზე პირნაკლი მწკრივია: მას მხოლოდ III პირის მხოლოდობისა და მრავლობითის ფორმები მოეპოვება, I და II პირების ფორმები კი არ ეწარმოება. ზ. სარჯველადის აზრით, ამ მწკრივს უძველეს ქართულში I და II პირებიც უნდა ჰქონოდა, რომელიც გარეგნულად სავსებით იდენტური იქნებოდა აწმყოს I და II პირებისა [7, 425]. ზოგი რკვლევარი მას ცალკე მწკრივად საერთოდ არ გამოყოფს [2, გვ. 35—40; 3: 6; 11, გვ. 136, 163; 12, გვ. 77—80].

ჩვენი აზრით: ა) თუ ერთგვითი აწმყო სამივე პირის ფორმებს თავისუფლად აწარმოებდა, ასევე თავისუფლად უნდა ეწარმოებინა იგივე ფორმები მრავალგვით აწმყოსაც; ბ) თუ III პირისთვის მრავალგვისობის გადმოცემა საჭიროც იყო და შესაძლებელიც, ასევე უნდა ყოფილიყო I და II პირებისთვისაც, ეს დანარჩენი ხოლმეობითების მაგალითზეც ნათლად ჩანს; გ) გარდა ამისა, აწმყოს ხოლმეობითის სხვა ხოლმეობითებისაგან განსხვავებით ერთი სპეციფიკური ფუნქციაც ჰქონდა — გამოხატავდა ნუ ნაწილაკიან უკუთქმით ბრძანებითს, უფრო მეტიც: ამ ტიპის ბრძანებითის წარმოება მხოლოდ აწმყოს ხოლმეობითის საშუალებით იყო შესაძლებელი. ამისი გათვალისწინება აუცილებელია: თუ I პირისთვის არა, II პირისთვის არანაკლებ აუცილებელი იყო ბრძანებითობის გადმოცემა, ვიდრე III პირისთვის, ბრძანება ხომ უმრავლეს შემთხვევაში II პირს ეხება; დ) როგორც ჩანს, ჯერობის კატეგორია საერთოდ იყო დამახასიათებელი ძველი ქართული ზმნებისთვის. იგი ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე და ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო უძველეს ქართულში სხვა ზმნურ კატეგორიათა შორის. ამას ადასტურებს მრავალგვისობის გადმოცემ მწკრივთა სიმრავლე ძველ ქართულში. აქედან გამომდინარე, რაკი უწყვეტელს, წყვეტილსა და I თურმეობითს თავ-თავიანთი ხოლმეობითები ჰქონდათ, სრულიად ლოგიკურია, რომ აწმყოსაც — ამ უძველეს მწკრივს — თავისი ხოლმეობითი ჰქონოდა. III პირიც რომ დაკარგულიყო და ძველ ქართულში აღარც ის ყოფილიყო შემორჩენილი, ვფიქრობთ, მაინც დადგებოდა ამ მწკრივის აღდგენის საკითხი. მით უფრო მეტი საბუთი არსებობს I და II პირების დაშვებისათვის. ძველ ტექსტებში მათი იშვიათი ფორმებიცაა გამოვლენილი [7, 425]. რადგან უწყვეტელის ხოლმეობითი უწყვეტელს ემყარება, II ხოლმეობითი — წყვეტილს, ცხადია, აწმყოს ხოლმეობითისათვის აწმყო უნდა ყოფილიყო ამოსავალი.

რაც შეეხება აწმყოს ხოლმეობითის I და II პირების ფორმების იშვიათობას ძველი ქართულის დონეზე, ეს მიუთითებს საერთოდ ხოლმეობითების როლის შესუსტებაზე. როგორც ჩანს, ეს პროცესი მწერლობამდელ ენაში დაიწყო და შემდეგ გრძელდებოდა მთელი ძველი ქართულის არსებობის პერიოდშიც. აწმყოს ხოლმეობითის მოშლის დათარღების შესახებ შეიძლება ითქვას: V—VIII საუკუნეებში აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი ერთმანეთს აშკარად უპირისპირდებოდა; ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში ეს უკანასკნელი თანდათან სუსტდება [7, 426].

საშუალო ქართულში ხოლმეობითების რაოდენობა საგრძნობლადაა შემ-

ცირებული. თვით აწმყოს ხოლმეობითის ხმარების შემთხვევები კი მინიმუმამდეა დაყვანილი. იგი საშუალო ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის მხოლოდ სამ ძეგლში მოვიხიეთ. ესენია: „ქართლის ცხოვრების“ I ტ., სამართლის ძეგლების I—II ტომები.

ნიმუშები: „**ნუ უკუე შეერთვნ** ცნობა შენი განზრახვასა მას მათსა ბოროტსა“ (ქართ. ცხ., I ტ., ჩანართი (BP¹Tb) 36, 16—17); „...რომელსა-იგი განიზრახვენ, **ნუ შეერთვინ** ცნობა შენი, ნუ შეილო“... (იქვე, 99,5—6); „უკეთუ ვინმე შეიხებინ, თავი თვისი სიკუდილად განწირის და იტყვნ“ (იქვე, 89, 11—12)., — „მარადის **ვეედრებინ** დედოფალი აღსარებასა ქრისტესსა“ (იქვე, 106, 1); „და **ვეედრებინ** ღმერთსა მარხვითა“ (იქვე, ჩანართ² (TK), 132, 12); „შე-თუ ენმე-ირთოს ცოლი ახლად, ღუაწად ნუ განვალნ იგი, **ნუცა შეერევინ** იგი სხუასა საქმესა“ (სამ. ძეგლ., I ტ., 122, 1—5); „ნუმცა **ეპოებინ** მათ შემწე, გინა შემწყნარებელი ობოლთა მათთა“ (სამ. ძეგლ., II ტ., 379); „ამა სამწყსოთა შინა მესამეთა წელთა მარტყოფთა და ნასომხართა დრამი **ერგებინ**“ (იქვე, 364).

სხვა ძეგლებისათვის აწმყოს ხოლმეობითის მწკრივი უცნობია. **ნუ** ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი აწმყო-მყოფადის მწკრივებით გადმოიცემა, ისევე როგორც ახალ ქართულში. აქვე შევნიშნავთ, რომ აწმყოს ხოლმეობითის მრავლობითის ფორმები ტექსტებში დადასტურებული არ არის.

ჩანს, ხოლმეობითების მოშლა აწმყოს ხოლმეობითიდან დაიწყო, ჯერ I—II პირებიდან (მწერლობამდელ ქართულში), შემდეგ — III პირიდანაც. აწმყოს ხოლმეობითიდან მოვლენა სხვა ხოლმეობითებზეც გავრცელდა, რაც ძველი ხოლმეობითების საერთო დაკარგვით დამთავრდა.

უწყვეტლის მწკრივს ძველ ქართულში **ე**- პრეფიქსიანი ვნებითები სხვა **-ოდ** სავრცობიანი ზმნების მსგავსად **-ე** მწკრივის ნიშნით აწარმოებდნენ, რითაც მყარდებოდა სხვაობა **-ოდ** და **-დ** სავრცობიან ზმნებს შორის. საშუალო ქართულის დონეზე მათი უღლება იმდენადაა ერთმანეთს დაახლოებული, რომ ზღვარი ფაქტობრივად აღარ არსებობს. **-ოდ** სავრცობიანებს **-დ** სავრცობიანების მსგავსად **-ი** სუფიქსი აწარმოებს. ამდენად, უწყვეტლის I—II პირების უღლების მოდელი თითქმის მთლიანად ემთხვევა ახალი ქართული ენის ნორმებს (სხვაობა თავს იჩენს მხოლოდ თემის ნიშანთა ხმარების სფეროში).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **-ოდ** და **-დ** სავრცობიან ზმნათა შორის განსხვავების მოშლა მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაწყებულიყო, რაც **ე**. წ. ნართაული **ი** გაჩნდა **-დ** სავრცობიან ზმნებთან უწყვეტელსა და I ბრძანებითში. ნართაული **ი** სალიტერატურო ენის მონაცემებით ამ მწკრივებში IX საუკუნიდან დასტურდება (ცოცხალ მეტყველებაში ასეთი ფორმები ერთი-ორი საუკუნით აღრეა სავარაუდებელი), **-ოდი** კი — X საუკუნიდან (ცოცხალ მეტყველებაში, ალბათ, VIII—IX სს-იდან). უნიფიკაციის ტენდენცია ძველი ქართული ენის ძეგლებშიც იკვეთება, როგორცაა: „ანდრია სალოსის ცხოვრება“, „კარაბადინი“, აგრეთვე XII—XIII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტები [7, 447].

მრავლობითი რიცხვის III პირის უღლება ძირითადად ისევ ძველ გრამატიკულ ნორმებს მისდევს — პირის ნიშნად კვლავ **-ეს** ფორმანტი რჩება საშუალო ქართულის ადრეული პერიოდის ძეგლებში, შემდგომ **-ენ** და **-ნენ** დაბოლოებები თანდათანობით ხშირდება, რითაც იშლება ზღვარი ძველ და ახალ სისტემებს შორის. ასე, მაგალითად: **-ენ** სუფიქსი უგამონაკლისოდ დააცული ქართულ ისტორიულ საბუთებსა და „ასწლოვან მატიაწეში“. ახალი წარმოების მხოლოდ იშვიათი ნიმუშებია დადასტურებული „ვეფხისტყაოსნის“, „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანისა“ და „ქართლის ცხოვრების“ I ტომში

შესულ თხზულებათა ხელნაწერებში. -ენ||-ენ სუფიქსები ხმარების სიხშირით უთანაბრდება -ეს სუფიქსს „ამირანდარეჯანიანის“ დამატებებსა და „ქართლის ცხოვრების“ II ტომში. დანარჩენი ძეგლები მასალის სიმცირის გამო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა.

ნიმუშები: „გულმესისხლედ **ებროდენ**“ (ამირანდარეჯ. დამატ. 800, 36); „დიდად ლხინობდენ და **შეექცეოდენ**“ (ქართ. ცხ., II ტ., 384, 23); „მეფემან იეიმურაზ უთხრა უარი, რამეთუ **ეყოდენ** და ნათესავნი იყვნენ“ (იქვე, 384, 27—28); „შეიძულეს ყიზილბაშთა და სჯულით სუნობასაცა **ეწამებოდენ**“ (იქვე, 371; 20); „**ემტერებოდენ** როსტომს მეფესა“ (იქვე, 419, 5); „ანდუყაფარს არ **ენდობოდენ**“ (იქვე, 406, 22) m: **ენდობოდენ**; „კიდემ. ერთი რიგი სხვა თეორიცი ყოფილა, კირმანაულს **ეძახდენ** (სამ. ძეგლ., I ტ., 485, 15), და მისთ.

ე. ნიკოლაიშვილმა შეისწავლა -ეს სუფიქსის -(6)ენ-ით შეცვლის საკითხი და დაასკვნა, რომ -ენ სუფიქსი სალიტერატურო ენაში XV საუკუნიდან ჩნდება, იგი დადასტურებულია „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში, რომელიც აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა და მანვე დაათარიღა 1469—1495 წლებით. ფორმა, რომელშიც -ენ ფორმანტია გამოვლენილი, არის **იყუნენ**. მანვე **იყუნენ (მოწვევულ იყუნენ)** და **მივიდენ** ფორმები მოიძია შესაბამისად „ქართლის მატანიესა“ და **ლაშა** გიორგის დროინდელი მემკვიდრის თხზულებაში, რომელიც ანასეულ ნუსხას ერთვის ბოლოში [5, 98].

საინტერესოა უწყვეტლის ის ფორმები, რომელთაც დღეს მყოფადის ხოლმეობითის მწკრივის მნიშვნელობა აქვთ: „მე შენისა პირისა ნიშანსა ვეძებდი, ზოგჯერ შენისა ჯავრისაგან დაჯსნასა **ვეცდებოდი**“ (ვისრამ., 252, 18—19); „ეგზომ ნახვა მას ყოლა არად უჩნდა და არცა **ეყოფოდა** (იქვე, 102, 35); „მისგან ვისის სურნელებისა სული **ეცემოდა**“ (იქვე, 236, 15—16); „და ვიდრე ბუშაკობდა ამით საკვრველებითა, მწე **ექმნებოდა** წმიდაჲ ესე ახოვანი დიდი მოწამე გიორგი“ (აბუს., ტბ. 62, 25—27). „**მიეცემოდეს** მწარესა ტყუეობასა უწყალოთა სიკუდილითა“ (ასწლ. მატ., 71, 26—27); „და ღონე თუმცა იყო, **ეცდებოდეს**, რათა არა აუფლონ სიკუდილსა შემოსლვად“ (ქართ. ცხ., II ტ., 145, 12—13); „სხვა გვარნი კაცნი [ცა] ბევრნი დავასახელეთ და სამკმელო არ **ეყოფოდა**“. (სამ. ძეგლ., II ტ., 188).

დღეს უწყვეტელში მათ ნაცვლად გვაქვს: **ვცდილობდი, ჰყოფნიდა, სცემდა...** მათი შესაბამისი აწმყოს ფორმებია: **ვცდილობ, ჰყოფნის, სცემს**. უფრო ზემოთ დამოწმებული ფორმებისა კი: **ვეცდები, ეყოფის, ეცემის**; ისენი დღეს მყოფადებია.

გექონების ფორმა ვლინდება „ვეფხისტყაოსნის“ GHIT (1516 (16), 2,500) და „ვისრამიანის“ FK (253, 25) ხელნაწერებში. **გვექონებოდა** კი გვაქვს „ამირანდარეჯანიანის“ S (437, 1) ხელნაწერში.

უწყვეტლის ხოლმეობითის მოშლა საშუალ ქართულში უკვე ფაქტია. „ვეფხისტყაოსანში“, „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანში“ მისი ხმარების სულ ათიოდე მაგალითი მოიპოვება, თითო-თითო ნიმუშია წარმოდგენილი „ამირანდარეჯანიანის“ დამატებებსა და ქართულ ისტორიულ საბუთებში. სასულიერო მწერლობის ისეთი ძეგლი, როგორცაა „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში“, მხოლოდ ორ მაგალითს ითვლის; იშვიათი ნიმუშები გვაქვს აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ I—II ტომებში. „ასწლოვანი მატანიისთვის“ და „სამართლის ძეგლების“ I—II ტომებისთვის უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი უცნობია.

მაგალითები: „დღე და ღამე მუჯამრითა **ეკმეოდის** ალვა თლილი“ (ვეფხისტყ., 330, 1, 107); „**ეხვეოდიან**, ჰკოცნიდეს ხრმალსა და სალტე-კოტასა“

(იქვე, 514 (611), 4, 201); „გამოვიდის და ერთი მეორესა ეცვალეზოდის“ (ამირანდარეჯ., 352, 6—7); ვარ.: ეცვალეზოდეს ACFGHIKLMNPST, ეცვალეზოდის Q, ეცვალეზოდის BO; „სადაცა ლაშქარნი შეგუებზოდის, დავკოცნით და გავაქცივნი“ (იქვე, 500—501); „ქალაქნი და ქალაქნი წინა მოგუეგებზოდის“ (იქვე, 531, 4—5); ვარ.: მოგუეგებზოდინ A, მოგუეგებზოდინ P. „ხანდახან ვისის კუბოსაგან სულწელი სული ეცემოდის“ (ვისრამ., 63, 1); „ზოგჯერ იადონთა ეუზნებზოდის და ერჩოდის მრავლითა საყუედღურითა“ (იქვე, 72, 33—34); „მეფენი ქართლისანი მცხეთით გამართოდის სომხითს“ (ქართ. ცხ., I ტ., 48, 8); „ვერა-რომელი სახელ-განთქმული მოისარი, პირველ ანუ მის ჟამისა, ესწორებზოდის“ (ქართ. ცხ., II ტ., V, 6, 2—4), და მისთ.

ა. შანიძე ფიქრობდა, რომ უწყვეტლის ხოლმეობითი X ს-იდან უნდა განვითარებულიყო აწმყოს ხოლმეობითის დასუსტების შედეგად [8, გვ. 304—305; 9, გვ. 11; 10, გვ. 9]. X—XI სს-ებში ჩამოყალიბებულ მწკრივად მიიჩნევედა მას ი. აბულაძეც [1, გვ. 028]. ლ. კიკნაძემ აჩვენა, რომ უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი არის ხანმეტ ტექსტებშიც. მართალია, მისი ფორმები I სერიის სხვა მწკრივებთან შედარებით ძალიან ცოტაა, „მაგრამ საერთოდ მისი ხმარების შემთხვევები არც ისე იშვიათია“ [4, გვ. 255, შდრ. 7, გვ. 433—438].

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან კარგად ჩანს, თანდათან როგორ კლებულობს უწყვეტლის ხოლმეობითის გამოყენების სიხშირე საერო ლიტერატურის კლასიკური ნიმუშებიდან მოყოლებული ისტორიულ წყაროებამდე თუ დოკუმენტებამდე.

ძველი ქართულის დონეზე არსებობს I კავშირებითი, ახალი ქართულის დონეზე კი — აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი. რაც შეეხება საშუალ ქართულს, აქ სამივე მწკრივი თანაარსებობს: იშვიათად ფორმითაც შენარჩუნებულია I კავშირებითი (რომელიც წარმოების მიხედვით აბსოლუტურად ემთხვევა უწყვეტლის ხოლმეობითს, რამდენადაც საუბარია -ოდ სავრცობიან ზმნებზე) და წარმოქმნილია აწმყოსა და მყოფადის კავშირებითები. ძირითადად მოშლილია სხვაობა -ოდ და -დ სავრცობიან ზმნებს შორის ამ მწკრივში.

I კავშირებითის მოშლისა და მის ბაზაზე აწმყოსა და მყოფადის კავშირებითების ჩამოყალიბების პროცესი ძველ ქართულშივე დაიწყო I კავშირებითს ძირითადად კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოხატვა ევალეზოდა. ბრძანებითი კილოს გადმოცემის უნარი გვიანდელი შენაძენი უნდა იყოს, იმ დროისა, როცა I ბრძანებითის მწკრივი თავის უფლებებს კარგავდა. როგორც ჩანს, მისი ფუნქციები ასევე მოშლის გზაზე მდგარ I კავშირებითს გადმოცემა, რომლის წიაღშიც უკვე ვითარდებოდა აწმყოსა და მყოფადის კავშირებითები. კავშირებითის მიერ ამ ფუნქციის კისრება ბუნებრივად მოჩანს მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოხატვის ფონზე, რადგან ბრძანებითი კილოც, ჩვეულებრივ, მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს. მართალია, კავშირებითმა თანდათან დაკარგა მყოფადის გადმოცემის უნარი (და ეს აღარც იყო საჭირო, რადგან მყოფადის მწკრივი განვითარდა), მაგრამ I ბრძანებითისგან მემკვიდრეობით მიღებული ფუნქცია შეითვისა, რომელიც I კავშირებითის მოშლის შემდეგ აწმყოსა და მყოფადის კავშირებითებზე განაწილდა.

საშუალ ქართულში აწმყოსა და მყოფადის კავშირებითები მომავალ დროის თხრობითი კილოს გამოხატვის ფუნქციასაც ითავსებენ. ეს ფაქტი

მოწმობს იმას, რომ მყოფადის მწკრივს საბოლოოდ ჯერ კიდევ არა აქვს ნოპოვებული დომინანტური უფლებები და მომავალი დროის გადმოცემის ერთ-ერთ საშუალებად კვლავ რჩება I კავშირებითი — იმ დროისათვის საკმაოდ შესუსტებული მწკრივი, რომლის წიაღშიც უკვე აღმოცენებულია აწმყო-სა და მყოფადის კავშირებითები.

წარმოვადგენთ I კავშირებითის, აწმყოსა და მყოფადის კავშირებითების ნიმუშებს, რომლებშიც ნათლად წარმოაჩენენ საშუალო ქართულის ვითარებას:

I. ა) I კავშირებითი კავშირებითი კილოს ფუნქციით: „და ვინცა, რამანცა გუარმან ჩუენმან დღესით გთხოვოს და ანუ ვერჩოდის, კრულმცა არს დაუსაბამოსა ღ(მრ)თისა პირითა მკუდარი და ცოცხალი!“ (ისტ. საბ., 93, 15—17); „და უბრძანა ერისთავთა ზომხეთისათა, რათა შეეწეოდინ ფარნავაზს“ (ქართ. ცხ., I ტ., 23, 15—16); ვარ.: შეეწეოდინ M, შეეწეოდეს m, შეეწეოდენ cet; „კუალად მიუძცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამისთევანი და ლიტანიობანი ადესრულებოდინ ყოველსა ადგილსა“ (ქართ. ცხ., II ტ., 125, 20—22); „წინა დღით მწუხრსა, რომელსა დღესა ეგუდებოდის კურთხევა, შეიმოსოს მთავარებისკობოსი“ (სამ. ძეგლ., II ტ., 50), და სხვ.

ბ) მომავალი დროის ფუნქციით: „უკეთუ ვინ აღდგეს მტერი თქუენ ზედა და მიღმართ [გ] ებრძოდის, ჩუენ ... გიშუელოთ“ (ქართ. ცხ., I ტ., 49, 14—16); ვარ.: ებრძოდეს AMcet; „უკეთუ კუალად ვისმე მიღმართ ჰბრძოდით, ათასათასითა მკედრითა ჭურვილითა შეგეწეოდით“ (იქვე, 49, 16—17); ვარ.: შეგეწეოდით Tem, შეგეწეოდეთ cet; „რომელ [ი] სწორ იყოს თავისა შენისა ფარულად და გეტყოდის“ (სამ. ძეგლ., I ტ., 106, 5); „სამართალ არს ესევითართა ქორწინებათა დაყოვნებაჲ ეგევითარისა კრებულებისა მიერ, რომელი ღმრთისა შუამდგომელობითა სულთა მათთა შეეხებოდის“ (სამ. ძეგლ., II ტ., 196), და მისთ.

გ) ბრძანებითი კილოს ფუნქციით: „და მ(ა)ს დღ(ე)სა უ(ამ)ისწირვ(ა)ჲ ჩ(ე)მთ(ვ)ს აესრულებოდის“ (ისტ. საბ., 57, 95); „ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის (იქვე, 57, 105—106); „ფრთხილად იყავ, შუალამე მომელოდი და ნსეთი რა დონე ძებნე, რომელ ერთგან შევიყარნეთ“ (ვისრამ., 287, 20—22); „შენ დაადგერ აქა და ემოყურებოდი ბერძენთა, ვიდრემდის განქარდეს ბნელი ესე“ (ქართ. ცხ., I ტ., 241, 9—10); ვარ.: ემოყურებოდე AC, დაემოყურებოდი Bdp; „ხოლო თუ ინებონ ლოდინება შენი, გელოდიან ურპას ქალაქსა შინა“ (იქვე 187, 4); ვარ.: გელოდენ Mm, გელოდონ AC; „არა ჰრიდოს თუალმან შენმან და არცაღა გეწყალოდის“ (სამ. ძეგლ., I ტ., 106, 13—14), და მისთ.

II. ა) აწმყოს კავშირებითი კავშირებითი კილოს ფუნქციით: „და აგრევე ჩუენცა შემოგვიწირავს მღვდელი დავით ... რომე ჩვენი ბეგარა და გამოსაღები არასფერისთანა არა ეთხოვბოდეს რა“ (ისტ. საბ., 159, 16—19); „ესრე გაცდე სანატრელად, რომელ დიდნი ველმწიფენი დარბაზისა შენისა საძირკუელსა ემთხუეოდენ შენისა ზარისაგან“ (ვისრამ., 179, 18—20). „ესრეთ მიბრძანეს მოხუცებულთა ჩემთა, რათა მოვიდე წინაშე შენსა და ვერჩიდე ბრძანებასა შენსა“ (ქართ. ცხ., I ტ., 200, 2—3); „უნდა ებრალეოდეს, არათუ ემეტებოდეს მისთვის ის ტანჯვა“ (სამ. ძეგლ., I ტ., 364, 370), და ა. შ.

ბ) მომავალი დროის ფუნქციით: „ხოლო დუკატი და ბოტინატი, ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა“ (ისტ. საბ., 62, 30—31); „ვისცა გულსა შინა სიყუარულისა ცეცხლი ეგზებოდეს, ვედარცა ენასა დაბამს“ (ვისრამ., 56, 5—7); „თუ არა მერჩიდეს, დავივიწყო სიყუარული მისი“ (ქართ. ცხ., I ტ.,

109, 5); „აქამდის ჩემის ალაგისა ჩემის იყოს და ტყუილადც მეცილებოდე“ (სამ. ძეგლ., I ტ., 484, 11), და სხვ.

გ) ბრძანებითი კილოს ფუნქციით: „მე შემიწირავს თავისუფლად და შეუვალად ყოვლისა შესავლობისაგან, არა ეთხოვებოდეს რა“ (ისტ. საბ., 122, 15—16); „აწ გეწყალოდეს პატრონი ჩემი მზეჭაბუკი“ (ამირანდარეჯ., 633, 2—3). ვარ.: გეწყალოდეს FTKLS, გეწყალებოდეს GHN; „რომელსა ენებოს სიმართლით სამართლის ქნა, მარადის ვევედრებოდეს ღმრთისა“ (სამ. ძეგლ., I ტ., 132); „სწორად ეპატრონებოდენ ქონებასა მამისა მისისასა“ (იქვე, 227, 1); „ჩუენგან და ჩუენისა სიტყუისა მოქმისმინოთა კაცთაგან არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები“ (სამ. ძეგლ., II ტ., 67), და მისთ.

III. ა) მყოფადის კავშირებითი კავშირებითი კილოს ფუნქციით: „სოფლისა მოსავლისა საქმე ასრე გავაჩინეთ, რომე ყოლაი სწორად გაეყოფოდეს“ (ისტ. საბ., 141, 69—70); „კარი არ დავშულა, რომელ არ გაიღებოდეს“ (ვისრამ..., 185, 10); „რათა ესენი მწე ექმნებოდეს ტფილისის ციხესა შინა მყოფთა თათართა“ (ქართ. ცხ., II ტ., 365, 18—19); „კაცი ვინც იყოს ბოროტის მოქმედი ასეთი, რომე დედის ნაცვალთან და მამის ხასასთან დაეცემოდეს“ (სამ. ძეგლ., I ტ., 43, 42, 8), და მისთ.

ბ) მომავალი დროის ფუნქციით: „მას ადგილსა მფრინველი დაჯდების, უკუეთუ განგემარჯუებოდეს“ (აბუს. ტბ., 58, 17—18); „აწ ერთსა შეგაგონებ და გულის-ყურითა მოისმინე: ვისცა წაეკიდებოდე, გულსა შიგან საზავოსა ადგილსაცა დაუგდებდი“ (ვისრამ., 253, 31—33); „პატრიაქთა შენდობითა, რაჟამს ეზიარებოდეს, მაშინ უნდა შევიდეს წმიდასა ტრაპეზსა“ (სამ. ძეგლ., I ტ., 146, 57); „და თუ რადმე ვერ იქნებოდენ და ნასყიდი ეყოფოდეს, მამამ ნასყიდი დაიჭიროს“ (იქვე 409, 16); ვარ.: ეყოფოდენ; „რაჲ მეფე შეეკაზოდეს, ტაშტი მსახურთ-უხუცესმან დაიჭიროს“ (სამ. ძეგლ., II ტ., 95, 15); AB: შეეკაზოდეს, და სხვ.

გ) ბრძანებითი კილოს ფუნქციით: „არცა პური და ღვინოი მოეკრიბვოდეს, არცა-რაი ვისგან ეწყინებოდეს“ (ისტ. საბ., 181, 30—31). „და თუ ვაჟს მამა ცოცხალი არ ყუანდეს, არ გამოერთმეოდეს“ (სამ. ძეგლ., I ტ., 230, 9); „ვინცა ვერ მოვიდოდან, ყუელსა შინად გაეგზავნებოდეს“ (სამ. ძეგლ., II ტ., 60); „ააერწოოსა გამოსავალნი ყოველფერნი ხატსა ღმრთაებისასა მიერთმოდენ და რუსთველნი მიიღებდენ მოსახსენებლად ჩვენდა“ (იქვე, 366), და მისთ.

მსგავს კონტექსტებში დღეს უფრო II კავშირებითი გამოიყენება.

I კავშირებითი შედარებით კარგადაა შემონახული ისტორიულ საბუთებში, „ქართლის ცხოვრების“ I—II და „სამართლის ძეგლების“ I—II ტომებში.

საშუალ ქართულში არა მხოლოდ მყოფადის მწკრივი არსებობს, არამედ ჩამოყალიბებულია მყოფადის წრე (მყოფადის კავშირებითზე უკვე ვისაუბრეთ, ხოლმეობითის მწკრივზე ქვემოთ შევჩერდებით). როგორც ვნახეთ, ძომავალი დროის გამოხატვის არა ერთი საშუალებაა გამოყენებული ამ პერიოდის სალიტერატურო ენაში. ეს საშუალებებია: მყოფადი, I კავშირებითი, აწმყოსა და მყოფადის კავშირებითები...

ზ. ჭუმბურიძის გამოკვლევის მიხედვით, მყოფადი, რომელიც თავდაპირველად ნუ ნაწილაკიან უკუთქმითი ბრძანებითის ფორმებში უნდა ჩასახულიყო, „აბოს წამებაში“ დადასტურებული, რომელშიც ვალს ზმნა უკვე ამ მნიშვნელობით იხმარება [13, გვ. 61]. X საუკუნემდე შექმნილ ძველ ქართულ ტექსტებში ავტორი უკუთქმითი ბრძანებითის გამომხატველ ზმნისწინიანი აწმყოს საკმაოდ ხშირ ფორმებს ადასტურებს, რომელნიც მყოფადის გაგებას უნდა შეიცავდნენ [13, გვ. 63—64]. მომავალი დროის მნიშვნელობით ზმნისწინიანი

აწმყოს ხმარების მაგალითები თუ ძველ ქართულში იშვიათია, XI ს-იდან მატულობს, ხოლო „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ ენაში იგი გაცილებით ხშირად იხმარება, ვიდრე იმავე პერიოდის სასულიერო მწერლობის ძეგლებში [13, გვ. 67]. „მომავალი დროის გამოხატვის ძირითად საშუალებად ერთხანს კვლავ კავშირებითის მწკრივი რჩება“ [13, გვ. 65].

მყოფადის მწკრივში მხოლოდითი რიცხვის III სუბიექტური პირის დაბოლოება ძირითადად ძველქართულისებურია, ახალი წარმოების იშვიათი ნიმუშები გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“, „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“ ხელნაწერებში, „ამირანდარეჯანიანის“ დამატებების დადგენილ ტექსტსა და ხელნაწერებში. ისტორიულ საბუთებში, „ასწლოვან მატთანესა“ და „ქართლის ცხოვრების“ I ტომში ახალი ფორმები საერთოდ არ ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ II ტომსა და „სამართლის ძეგლების“ I—II ტომებში -ა სუფიქსი ხმარების სიხშირით უთანაბრდება -ი-ს სუფიქსს.

ნიმუშები: **გაებჭობა** (ვეფხისტყ., RJ, 960 (59), 2, 315; **მეყოფა** (იქვე, R, 1297, 1, 427); **გვერგება** (იქვე R', 922 (21), 2, 302); **მოერევაო** (ამირანდარეჯ., LR, 38, 8—9); **გარდაგებდებაო** (იქვე, Q, 490, 5); **დაემსგავსება** (ვისრამ., G, 79, 25); „შენ ქალი არ **დაგელევა**“ (ამირანდარეჯ. დამატ., 779, 1); LR: **დაგელევის**; „მე მომკალო, ჩემი თავი ანგარიშში **გაგეთულებაო**“ (ქართ. ცხ., II ტ., 412, 24—25); „თუ იმაზედ **გაგემარჯუება** და დაიჭერო, მას უკან მაგასაც გაგერიგებო“ (იქვე, 412, 13—14); „შეატყუეს მეფესა, რომ ყრმა არისო და, რასაც მოვაჯსენებთ, ვერ ურჩ **გუექმნებაო**“ (იქვე, 390, 4—5); „უასაკობისათვის შენდობა **მიეცემა** და არცა რა **წაერთმევა**“ (სამ. ძეგლ., I ტ., 199, 300); „ამას გარდა არა **გამოერთმევა** რა“ (სამ. ძეგლ., II ტ., 495), და სხვა მრავალი.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე ზმნა ძველ დაბოლოებასაც ინარჩუნებს და ახალსაც ამჟღავნებს ერთი და იმავე ძეგლის ფარგლებში. ძველი და ახალი წარმოების ნიმუშებს არცთუ იშვიათად ერთსა და იმავე წინადადებაშიც ვხვდებით: „მოადს არც ფიცი **დაედება**, არცა რა **წაერთმის**“ (სამ. ძეგლ., I ტ., 537, 216); „დედაკაცს ფიცი არ **და[ე]დება**, არც გარემე კაცი მოფიცრად **შეეგდების**“ (იქვე, 59, 620); „თავისის მამისაგან იმას სამკუიდრებელი არა **მიეცემა** რა, უკეთუ ის კაცი მოკუდა და შვილები დარჩა, იმათ პაპისაგან **მიეცემის** სამკუიდრებელი“ (იქვე, 220, 411).

უნდა ითქვას ისიც, რომ საშუალო ქართულის ძეგლებში უზმნისწინო აწმყოს ფორმებს ხშირად აქვთ მყოფადის მნიშვნელობა. ზოგჯერ საპირისპირო მოვლენაც შეინიშნება: ზმნისწინიანი აწმყო ვერ იძლევა მყოფადის გაგებას.

XII—XIII სს-ების ქართულ ხელნაწერებში, ისტორიულ საბუთებსა და „სამართლის ძეგლების“ ტომებში -მცა ნაწილაკიან წინადადებებში ხშირია მყოფადის ფორმები. ამგვარი წინადადებები შეიცავენ დალოცვა-კურთხევისა თუ წყევლა-შეჩვენების ფორმულებს, რაც -მცა ნაწილაკს მოითხოვს. მას ყოველთვის ნატვრის მნიშვნელობა აქვს, ეს კი ზმნურ ფორმას ნატვრითი კილოს ფუნქციას ანიჭებს. ასე რომ, საშუალო ქართულში მყოფადის მწკრივს ნატვრითი კილოს გამოხატვაც ევალება. ვფიქრობთ, აქედან უნდა განვითარებულიყო დღევანდელ სასაუბრო მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული ლოცვისა თუ წყევლის ფორმულები, რომლებშიც გამოყენებულია **აგრემც**, **ნეტამც** ნაწილაკები. ისინი ზმნას სხვადასხვა მწკრივის ფორმით მოითხოვენ. ძაგ.: აგრემც შენ გაიხარე! აგრემც იმას მარჯვენა შერჩენია! აგრემც იმას დაუბრძავდეს თვალები! ნეტამც წასულა და აღარ დაბრუნებულა! და ა. შ.

ნიმუშები: „**დამცაეცემის** დანთქმაჲ დათანისი, კეთრი გეეზისი“ (Арх. экс.,

წალკის ქართ. ხელნაწ., 1193—1208 წწ. 38); „უზიარებელმცა იქმნებიან დღესა კორცთაგან განსლვისა მათისა და გამო-მცა-ეჭუებას კრებულისაგან წ(ნი)დათა მამათისა!“ (ისტ. საბ., 103, 88—89); „და თუ ვინმე იკადროს ამისა ჩემისა გაგებულისა შეცვალებად... შე-მცა-ედების ძრწოლია კაენისაი“ (იქვე, 79, 38—41); „ვინცა ამ წმიდათა კრებათა მოციქულთაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული არ შეიწყნაროს... შე-მცა-ექმნების ძრწოლია კაენისა“ (სამ. ძეგლ., I ტ., 397, 21); „მათმცა მიემთხვევის შემთხვევა იგი პირველისა მღვდელისა ელისა“ (სამ. ძეგლ., II ტ., 378), და სხვა მრავალი.

მყოფადის ხოლმეობითი საშუალ ქართულში საკმაოდ ფენომოკიდებული მწკრივია. III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ეს სუფიქსი ჯერ კიდევ ნორმაა, -ენი-ნენ სუფიქსიანი იშვიათი ფორმები მოიპოვება „ამირან-დარეჯანიანის“ დადგენილ ტექსტსა და ხელნაწერებში, „ქართლის ცხოვრების“ II ტომსა და „სამართლის ძეგლების“ I ტომში. „სამართლის ძეგლების“ II ტომში ახალდაბოლოებიანი ფორმები საკმაოდ ხშირია. აბუსერისძე ტბელის თხზულებაში — „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში“, ისტორიულ საბუთებსა და „ასწლოვან მატიაწეში“ აღნიშნული მწკრივი საერთოდ არ გამოიყენება.

ნიმუშები: „შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა“ (ვეფხისტყ., 1177, 1, 388); „სამთა მათ ვერავინ მოერეოდა“ (ამირანდარეჯ., 110, 7); ვარ.: მოერეოდეს BCEFOPS, მოერეოდათ GHKLMNT, მოერეოდნენ Q; „ისი ლომნი რას გეყოდენ, რომე მათისა სიკუდილისათვის სტირ?“ (იქვე, 498, 2—3); ვარ.: რასა გეყოდეს B, რას გეყოდნენ QS; „შიკრიკი ეგრე ფიცხლად წავიდა, არაბული ცხენი ვერ მიეწეოდა“ (ამირანდარეჯ. დამატ., 751, 1—2); „მტერთა გაეხარებოდა და მოყუარეთა დაემძიმებოდა“ (ვისრამ., 71, 15—17); „უკეთუ ესენი ერთმანეთს გაეყრებოდენ, მაშინ წაჯდებოდა საქმე ამათი (ქართ. ცხ., II ტ., 407, 25); „ისინიც ამგვარს დროს ბევრს შეესწრებოდენ“ (სამ. ძეგლ., I ტ., 479); „ვერა რომელი მხარე ვერ შეიძლებდა იმის დარღვევას და ყოველთვის მოექცევოდნენ მათ შორის ქმნილის წერილისამებრ“ (სამ. ძეგლ., II ტ., 572) და სხვ.

I ბრძანებითი საშუალ ქართულში აღარ არსებობს. მისი ფუნქციები III პირისთვის მთლიანად კავშირებითს ეკისრება (ზემოთ კავშირებითებთან დაკავშირებით განვიხილეთ I კავშირებითის, აწმყოსა და მყოფადის კავშირებითების მიერ ბრძანებითი კილოს გამოხატვის შემთხვევები). რაც შეეხება II პირს, -ოდ და -დ სავრცობიანი ზმნების გათანაბრების გამო იგი ფორმალურად დაემთხვა აწმყოს კავშირებითს: „რა ყმა იყო, პატრონისა ადგილსა ეკრძალვოდე“ (ვისრამ., 182, 17—18); ვარ.: ეკრძალე GO; „გებრალეზოდეთ, მსმენელნი ჩემისა ამბისანო“ (იქვე, 224, 30—31); „აღდეგ, მეფეო, და განკრძალულად მიეგებვოდე, რამეთუ ორნი მეფენი ზეცისა და ქუეყანისანი მოვლენ შენდა“ (ქართ. ცხ., I ტ., 167, 2—4); „ეკლესიის შესამატს ეცდებოდეთ“ (სამ. ძეგლ., II ტ., 501), და სხვ.

ასეთ კონტექსტებში დღეს ჩვეულებრივ წყვეტილის მწკრივი გამოიყენება. როგორც ვხედავთ, ე- პრეფიქსიანი ვნებითებთან I ბრძანებითში III პირის ხმარების არც ერთი შემთხვევა საშუალ ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში დადასტურებული არ არის, არც მხოლოდითში და არც მრავლობითში. II პირი I კავშირებითითაც გადმოიცემა, ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება I კავშირებითისა და აწმყოს კავშირებითის ფორმებიც.

შესწავლილი მასალა ცხადყოფს, რომ I ბრძანებითი I კავშირებითზე აღრე მოიშალა.

ამრიგად, ე- პრეფიქსიანი ვნებითების I სერიის მწკრივთა ანალიზის სა-

ფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: აწმყოს ახლებური წარმოება (ემალე-ი-ს—
 ემალე-ა) ჩვენ მიერ შესწავლილ წერილობით წყაროებში XVII საუკუნემდე
 არ დასტურდება (ცოცხალ მეტყველებაში მისი ჩასახვა ერთი-ორი საუკუნით
 ადრე უნდა ვივარაუდოთ). ამ დროისთვისაც იგი სპორადულად იჩენს თავს
 კლასიკური საერო ლიტერატურის ძეგლთა ხელნაწერებში. „ქართლის ცხოვ-
 რების“ I—II და „სამართლის ძეგლების“ I—II ტომებში მოძიებული ახალი
 წარმოების ნიმუშებიც მხოლოდ XVII საუკუნესა და შემდგომ პერიოდს განე-
 კუთვნება. თარიღის ზუსტი დასახელება არ ხერხდება. ვიცით მხოლოდ ის, რომ
 „ვეფხისტყაოსნის“ თარიღიანი ხელნაწერი (B—H54), რომელშიც ახალი ფორ-
 მის გვხვდება (შექცევა 186 (185), 1,52), გიორგი XI-ისეულია და გადაწერი-
 ლია 1680 წელს. XVIII ს-ის I ნახევარშიც -ა სუფიქსიანი ფორმები ნაკლებ
 გამოიყენება. მათი ხმარების სფერო გაცილებით ფართოვდება II ნახევარში.
 -ი-ს—ა ევოლუციის პროცესის დასასრული სალიტერატურო ენაში XIX ს-ის
 პირველი ნახევრისთვისაა სავარაუდებელი.

საშუალო ქართულში აღარ გვხვდება I ბრძანებითი, ფაქტობრივად მო-
 შლილია აწმყოს ხოლმეობითი, საკმაოდ და შესუსტებული I კავშირებითი და
 უწყვეტლის ხოლმეობითი. ბოლო პერიოდის ძეგლებში ეს უკანასკნელი აღარ
 გამოიყენება, სამაგიეროდ ჩამოყალიბებულია აწმყოსა და მყოფადის წრეები,
 გვაქვს აწმყოსა და მყოფადის კავშირებითები, რომელთაც ნაკისრი აქვთ I კავ-
 შირებითისა და I ბრძანებითის ფუნქციები.

თემის ნიშანთა ხმარების თვალსაზრისით ისევ ძველი სისტემაა გაბატო-
 ნებული. ზმნათა უმრავლესობას შენარჩუნებული აქვს საკუთარი თემის ნიშანი,
 ლუმიცა იგრძნობა -ებ თემის ნიშნის უფრო ფართოდ გავრცელებას ტენდენცია.

დ ა მ ი წ მ ე ბ უ ლ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი

ვეფხისტყ.: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, გამოსცეს ა. შანიძემ და ა. ბარა-
 შიძემ, თბ., 1966.

ამირანდარეჯ.: მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი. გამოსცა ლ. ათანელიშვილმა (XVII—
 XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით), თბ., 1967.

ვისრამ.: ვისრამიანი, გამოსცეს ა. გვახარია და მ. თოდუამ, თბ., 1962.

აბუს. ტბ.: აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუ-
 სერისძეთა სავარაუდლო მატინე, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941.

ისტ. საბ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული სა-
 ბუთები IX—XIII სს., გამოსცეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

ასწლ. მატ.: უამთაღმწერელი, ასწლოვანი მატინე, გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ.,
 1987.

ქართ. ცხ., I ტ.: ქართლის ცხოვრება, I ტ., გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955.

ქართ. ცხ., II ტ.: ქართლის ცხოვრება, II ტ., გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959.

Арх. экс.: Е. Такайшвили. Археологическія экскурсіи, вып. III, —1905

სამ. ძეგლ., I ტ.: ქართული სამართლის ძეგლები, I ტ., გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1963.

სამ. ძეგლ., II ტ.: ქართული სამართლის ძეგლები, II ტ., გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1966.

ლიტერატურა

1. ილ. აბულაძე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბ., 1957.

2. ა. არაბული, სპორადულად გამოვლენილ III პირის -ნ/-დ, -ენ/-ედ სუფიქსთა ფუნ-
 კციისათვის ძველ ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან.
 თბ., 1980.

3. ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იკე, V, თბ., 1953.
4. ლ. კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961.
5. ე. ნიკოლაიშვილი, III სუბიექტური პირის -ეს სუფიქსის -(ნ)ეს-ის შეცვლის ისტორიისათვის: „მაცნე“, ელს, 1978, № 3.
6. გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში: იკე, XVI, თბ., 1968.
7. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
8. ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): ქრესტომათია — „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ (შეადგინეს ა. შანიძემ, აღ. ბარამიძემ და ილ. აბულაძემ), მეათე გამოცემა, თბ., 1948.
9. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, II, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თსუ სამეცნიერო სესია, 1946 (მოხსენებათა კრებული), თბ., 1947.
10. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, III, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ქართულში, მისი წარმოშობა და განვითარება: საქ. მეცნ. აკად. სამეცნიერო სესია, 1947, 14—15 XI (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).
11. არნ. ჩიქობავა, მესამე პირის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიშკის მოამბე, V—VI, თბ., 1940.
12. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.
13. ზ. კუმბურაძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, 1968.

К. Г. ГИГАШВИЛИ

К ВОПРОСУ ОБРАЗОВАНИЯ СКРИВ ПЕРВОЙ СЕРИИ ГЛАГОЛОВ СТРАДАТЕЛЬНОГО ЗАЛОГА С ПРЕФИКСОМ ე—(ე) В СРЕДНЕГРУЗИНСКОМ

Резюме

На основе изучения памятников делается вывод, что суффикс 3-го субъективного лица -ა (а) в настоящем времени глаголов страдательного залога с префиксом ე- (ე) (ემალებ-ი-ს → ემალებ-ა) имеется с XVII века. Возникновение нового образования в устной речи предполагается гораздо раньше: примерно с XV—XVI веков.

В среднегрузинском отсутствует первое повелительное, фактически нет пермансива настоящего, редко встречаются первое сослагательное и пермансив имперфекта. Оформляются группы настоящего и будущего.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ენო ჩიხუა

ნარატიული ეპიზოდის სემანტიკა

ნარატიული ტექსტის კვლევაში განსაკუთრებულია ფრანგული სკოლის როლი (ლევინ-სტროსი, ბარტი, გრემა, ტოდოროვი, ბრემონი, ჟენეტი და სხვები). ფრანგული სკოლის უთუო დამსახურებად თხრობითი ტექსტის კვლევაში უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებული დისციპლინის (ნარატოლოგიის) აუცილებლობის დასაბუთება (ტოდოროვი, ბრემონი), თხრობითი ტექსტის კვლევის მრავალმხრივი პრობლემატიკის გათვალისწინება, თხრობის შინაარსობრივი ორგანიზაციის არსებითი ასპექტების (სინტაქსურის, პარადიგმატულისა და იერარქიულის) გამოჩენა, თხრობითი ტექსტის ერთეულთა რეინტერპრეტაციის (მეორეული სემანტიზაციის) კვლევა მხატვრულ თუ მითოლოგიურ ტექსტში.

ფრანგულ სკოლაში ბევრ შემთხვევაში ტექსტის მიმართ გამოიყენეს ანალიზის „საკუთრივ“ ლინგვისტური მეთოდები (შდრ. ლევინ-სტროსი-იაკობსონი [40], გრემა [33; 34], ბარტი [29]), გაიმაჯნა — „თხრობა, როგორც „ამბაჯი“ და „თხრობა, როგორც დისკურსი“ (récit comme histoire vs. récit comme discours — ტოდოროვი [50]), თხრობის ტემპორალური და ატემპორალური სტრუქტურები (ლევინ-სტროსი [43; 44], გრემა [33; 34]); სემანტიკური იზოტოპიის დონეები (გრემა [33], ბარტი [29]). ამავე დროს, მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა ენის ფაქტორის როგი არსებითი ასპექტი, რომელნიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ნარატიული ტექსტის კვლევისას ლინგვისტური თვალსაზრისით, რასაც საგანგებოდ გახაზავს უ. ჰენდრიკსი [39]. ენის ფაქტორის როგ არსებით მხარეზე თხრობით ტექსტთან დაკავშირებით საგანგებოდ შეაჩერეს ყურადღება ფრანგული სკოლის „გარეთაც“, კერძოდ, ისეთმა მკვლევარებმა, როგორიც არიან: ჰენდრიკსი, [39], სერლი [47], კუროდა [41], შილტი [28; 46], ჰელიდეი [35], ვან დეიკი [31], ვეჟბიკა [52] და სხვ. შეგჩერდებით უ. ჰენდრიკსის მიერ ნარატოლოგთა თვალსაზრისის შეფასებაზე, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; კერძოდ, უ. ჰენდრიკსი მიუთითებს, რომ ნარატოლოგებს ძირითადად კვლევის ობიექტად გაუხდიათ თხრობითი ტექსტის ენობრივი ქსოვილისაგან ერთგვარად აბსტრაჰირებული „ნარატიული სტრუქტურები“ და არა რეალური ნარატიული ტექსტი. აღნიშნული თვალსაზრისით ნიშანდობლივია ფრანგული სკოლის წარმომადგენლის როლან ბარტის სიტყვები: „თხრობის „ენა“ („ენა“ ბრჭყალებშია. — ნ. ჩ.) არ არის იგივე, რაც სამეტყველო ქმედების (langage articulé) ენა, თუმცა ხშირად ამ უკანასკნელს ემყარება. თხრობითი ერთეულები არსებითად დამოუკიდებელი არიან ენობრივი ერთეულებისაგან. [29, 3]. აღსანიშნავია, რომ რ. ბარტს მხედველობაში აქვს ზოგადად თხრობა (récit) და არა მხატვრული პროზა.

ჩვენი აზრით, საქმე ისაა, რომ თუმცა თხრობას ახასიათებს შრეობრივი, იერარქიული სემანტიკური ორგანიზაცია, რასაც მოსდევს ენობრივ ერთეულთა მეორეული სემანტიზაცია თხრობის სინტაგმატურ ლერძზე წარმოქმნილი ახალი ოპოზიციებისა და კვივალენტობების, აგრეთვე თხრობის არქიტექტონიკულ ფორმათა განხორციელების გამო, ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ თხრობითი ერთეულები არსებითად დამოუკიდებელია ენობრივი ერთეულებისაგან.

ენა, მისი უზოგადესი სემანტიკური კატეგორიები და კონკრეტული ენობრივი ერთეულები მაშინაც მონაწილეობენ რეალობის სემანტიკურ დანაწევრებაში, კატეგორიზაციაში (და, ამდენად, ინტერპრეტაციაში), როდესაც ამ პროცესებზე უშუალოდ არა გვაქვს გამახვილებული ყურადღება, როდესაც არ ხდება ენის ფაქტორის ნიშნადობის ობიექტივაცია.

როგორც ამას საგანგებოდ აღნიშნავს მ. ჰაიდეგერი, რეალობა მხოლოდ ენის საშუალებით გვეძლევა მაშინაც, როდესაც სიტყვებს არ წარმოვთქვამთ და საერთოდ არა გვაქვს ენა მხედველობაში. ჰაიდეგერის აზრით, ენის ყოველდღიური გამოყენება შესაძლებელია, რამდენადაც ენას ისე შევჩერეთ, რომ მას ველარც ვამჩნევთ [37; 38]. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ე. კასირერიც [30, 44]. როგორც ჩანს, მხოლოდ აღნიშნული ვითარების გამო შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ „თხრობითი ერთეულები არსებითად დამოუკიდებელია ენობრივი ერთეულებისა და კატეგორიებისაგან“.

თხრობითი ტექსტის კვლევა ვერ იქნება საფუძვლიანი და ამომწურავი ენობრივი ფაქტორის მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე. სწორედ ეს სფერო წარმოადგენს ნარატიული ტექსტის კვლევისას ტექსტის ლინგვისტიკის კომპეტენციას.

ნარატიული ტექსტის სემანტიკურ კვლევას ყველაზე მეტი შეხების წერტილი აქვს მომიჯნავე დარგებთან (პოეტიკა, სტილისტიკა, სიუჟეტოლოგია, ჰერმენევტიკა). ფილოლოგიის მომიჯნავე დარგების გამოცდილების გათვალისწინებამ ბევრ შემთხვევაში შეიძლება ახალი კუთხით დაგვანახვოს ენობრივი კანონზომიერებანი. ამავე დროს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნარატიული ტექსტის სემანტიკური კვლევისას ყურადღების ცენტრშია სწორედ ენობრივი (სემანტიკური) კანონზომიერებანი.

წინამდებარე ნაშრომი უშუალოდ შეეხება ნარატიული ეპიზოდის სემანტიკას.

თხრობით (ნარატიულ) ტექსტში მოქმედების გაშლის მაფიქსირებელი ეპიზოდის სემანტიკის კვლევის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ შესაძლებელია ნარატიული ეპიზოდი პრედიკატივით და შესაბამისი თხრობითი წინადადებით ჩავანაცვლოთ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჩანაცვლება დაკავშირებულია თხრობითი ეპიზოდის სემანტიკის „შეკუმშვასთან“ (და რიგ სხვა ცვლილებებთან, რომლებზეც აქ არ შევჩერდებით; იხ. [4; 8]).

ამდენად, საქმე გვაქვს ერთგვარ სემანტიკურ ეკვივალენტობასთან, რამდენადაც არსებობს სემანტიკური საფუძველი იმისთვის, რომ თხრობის სიუჟეტურ დინამიკაში ნარატიული ეპიზოდი ჩავანაცვლოთ შესაბამისი სემანტიკის პრედიკატივით და წინადადებით.

ასეთი სემანტიკური ეკვივალენტობის ზოგად საფუძველს უნდა წარმოადგინდეს პერსონაჟის მოქმედების გაშლის მაფიქსირებელი ნარატიული ეპიზოდისა და შესაბამისი პრედიკატივის რიგი მსგავსი სემანტიკური მახასიათებელი.

თხრობა წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობის პრაქტიკაში ტექსტის აგების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმას. ფუნქციონირების განსხვავებული სფეროები განაპირობებენ თხრობის, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური თუ კომპოზიციური ფორმის, მნიშვნელოვან ვარიირებას ზეპირსა და წერილთა მეტყველებაში, მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში, ფოლკლორში, მიოთისში, განსხვავებულ ეპიკურ ჟანრებში (მაგ., თხრობა, როგორც კომპოზიციური ფორმა ჯადოსნური ზღაპრისა, მითისა, რომანისა) (შდრ., სერლი, კუ-

როდა, შმიდტი, ლევი-სტროსი, გრემა, ამონი, ტოდოროვი [47; 41; 46; 43; 44; 33; 36; 50]).

მნიშვნელოვანი ვარიირების მიუხედავად, შესაძლებელია განისაზღვროს თხრობითი ტექსტის სემანტიკური ორგანიზაციის არსებითი მახასიათებლები.

ნარატიული ეპიზოდისა და პრედიაკატის სემანტიკის მიმართების თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა აქვს თხრობითი ტექსტის შემდეგ მახასიათებლებს, რომლებიც კორელაციაში აღმოჩნდა პრედიაკატის შესაბამის მახასიათებლებთან:

1. ნარატიულ ტექსტში, კერძოდ, ნარატიულ ეპიზოდში, წინადადებათა (ანუ გამონათქვამთა) გადაბმის (იგივე კოპერენციის)¹ დიაქრონული პრინციპი (ანუ წინადადებებს შორის მოვლენათა დროში თანმიმდევრობის სემანტიკის დომინირება).

ამავე დროს, ერთი პრედიაკატიც, როგორც ცნობილია, შეიძლება აფიქსირებდეს ერთზე მეტ სემანტიკურ სიტუაციას (მოქმედებას, პროცესს ან მდგომარეობას). რომლებიც დროში თანმიმდევრობით ხასიათდებიან (მაგალითად, ე. წ. რეზულტატური სემანტიკის პრედიაკატები — „მოკლა“, „გატყუა“ — აფიქსირებენ მოქმედებას და მის შედეგს. ჩვენ მიერ გამოვლენილია ზერთული სემანტიკის პრედიაკატები: „დასჯა“, „ჩამოხრჩობა“ და სხვა, რომლებიც ექვსი სემანტიკური სიტუაციის დროში თანმიმდევრობას აფიქსირებენ და ფაქტიურად „შეკუმშულად“ მოიცავენ ნარატიულ ტექსტს [7; 9; 12; 4].

2. თხრობით ტექსტში სხვა სემანტიკური მიმართებების შერწყმა დროში თანმიმდევრობის ტემპორალურ სემანტიკასთან. მაგალითად: ა) მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებისა; აგრეთვე, ბ) მოქმედების სემანტიკასთან დაკავშირებული მიმართებებისა (აღნიშნულ მოვლენას აღწერენ, როგორც „*écrase — mant de la logique et de la temporalité* [29, 10].

ერთი პრედიაკატის სემანტიკაშიც ხდება ანალოგიური ურთიერთგანმსჭვალვა და შერწყმა ორ, ან ორზე მეტ სემანტიკურ სიტუაციას შორის დროში თანმიმდევრობის მნიშვნელობისა მიზეზ-შედეგობრიობის და სხვა სემანტიკურ მიმართებებთან (მაგალითად, იგივე შედეგობითი ზმნები, აგრეთვე, ზერთული სემანტიკის პრედიაკატები).

3. თხრობით ტექსტში მოქმედ პირთა ფუნქციური სემანტიზაცია აქტანტებად (ბარტი, გრემა [29; 33], ისევე, როგორც პრედიაკატისა და წინადადების შემთხვევაში (შდრ., ტენიერი [49]; აქტანტები და სირკონსტანტები, შდრ., ფილბორი [32]).

4. თხრობით ეპიზოდში მოქმედების გაშლის ფიქსირებისას ხდება მოქმედების ინდივიდუალიზაცია, სახვა. სახვა, როგორც არქიტექტონიკური ფორმა, განიხილება პოეტიკაში (შდრ., *μῦθος* — არისტოტელესთან [17], შდრ., ინდივიდუალური მოვლენა, როგორც ეპოსის ძირითადი მახასიათებელი ჰეგელთან [24, 365, 461], *изображение* — ბახტინთან [18, 58]). თუმცა მიმეტურობას დღეს აღარ მიიჩნევენ ეპიკურ ჟანრთა აუცილებელ მახასიათებლად (მაგ., პარაბოლური პროზისათვის, ფილოსოფიური რომანისათვის).

სავანგებოდ ვუსვამთ ხაზს იმას, რომ ნარატიულ ეპიზოდში მოქმედების ინდივიდუალიზაცია, სახვა უკავშირდება აქტანტების კონკრეტულობას, აგრეთვე მოქმედების დროისა და ადგილის (როგორც ქრონოტოპის ასპექტების) ერთიანობას, კონკრეტულობასა და შემოზღუდულობას (ანუ დროის „ეპიზო-

¹ კოპერენციის შესახებ იხ. [1], შდრ. [29], [33].

დურობას“ და სივრცის „სცენურობას“, „ლოკალურობას“, 'მდრ., პანორამული და სცენური თხრობა პერსი ლაბოკთან [45]).

კონკრეტული ეპიზოდური მოქმედების სემანტიკა ნარატიული ეპიზოდის მსგავსად შეიძლება ახასიათებდეს ცალკეულ პრედიკატსაც (თუმცა ინდივიდუალიზაციისა და დეტალიზაციის ხარისხი ნარატიულ ეპიზოდში უფრო მაღალია).

კონკრეტული, ეპიზოდური მოქმედების სემანტიკის გადმოცემა პრედიკატის მიერ ენათმეცნიერებაში განიხილება, ერთი მხრივ, აქტუალიზაციის ტერმინებში (ბალი [28]), ხოლო მეორე მხრივ კი — რეფერენციის ტერმინებში (მდრ., სერლი, კუროდა [47; 41], ბულიგინა, შმელიოვი [22]). ამ მხრივ არსებითია პრედიკატის „ეპიზოდური“ და „კვალიფიკაციური“ სემანტიკის გამიჯვნა სივრცე-დროში განფენისა და აქტანტთა რეფერენციის ტიპის მიხედვით, პრედიკატის ეპიზოდურ სემანტიკას უკავშირდება კონკრეტულ სივრცე-დროში განფენა და აქტანტთა კონკრეტული რეფერენცია (ბულიგინა, შმელიოვი [22]).

5. თხრობის კომპოზიციური გაფორმების თვალსაზრისით რელევანტური მახასიათებლები (თხრობითი კილო, დიექტური დრო-სივრცე, პირი) მიემართება როგორც მთელ ნარატიულ ეპიზოდს (როგორც პრედიკატთა თუ გამონათქვამთა წყებას), ასევე ეკვივალენტური სემანტიკის ერთ პრედიკატს და შესაბამის წინადადებას.

ამგვარად, აღნიშნულ სემანტიკურ მახასიათებელთა საზიარობა (პირველი მიხსლოების თვალსაზრისით) მონიშნავს მოქმედების გაშლის მაფიქსირებელი ნარატიული ეპიზოდისა და შესაბამისი პრედიკატის სემანტიკური ეკვივალენტობის საფუძველს. ამავდროს, ცხადია, რომ საჭიროა ასეთი სემანტიკური ეკვივალენტების ხასიათისა და ენობრივი რაობის უფრო ზუსტი და არსებითი განსაზღვრა.

რიგ ნაშრომში [3—14] ჩვენ წარმოვადგინეთ ნარატიული ეპიზოდისა და პრედიკატის სემანტიკის კვლევის შედეგები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მოქმედების გაშლის მაფიქსირებელ ნარატიულ ეპიზოდს და შესაბამისი სემანტიკის პრედიკატს აქვთ რიგი საერთო არსებითი სემანტიკური მახასიათებელი, რომლებიც განსაზღვრავენ შესაძარბებელ ერთეულთა სემანტიკური სტრუქტურის ერთტიპურობას, ერთგვარობას.

კერძოდ, არსებითია ის, რომ ნარატიული ეპიზოდისა და პრედიკატის სემანტიკის აღწერისათვის რელევანტური აღმოჩნდა მოქმედების ზოგად სემანტიკურ კატეგორიასთან დაკავშირებულ კატეგორიათა ერთი და იგივე წყება.

აქვე მოკლედ განვმარტავთ, თუ რას ვგულისხმობთ ზოგადსემანტიკურ კატეგორიაში: ამ უკანასკნელს ერთი ენის ფარგლებში გავიზარებთ, როგორც სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც გამსჭვალავს ენის დონეებს (ლექსიკურს, გრამატიკულს: მორფოლოგიურს, სინტაქსურს) და თითოეულ დონეზე ამ დონისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სახით წარმოგვიდგება².

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ასეთი ზოგად სემანტიკური კატეგორიები რელევანტურია საკუთრივ ტექსტის დონის ერთეულებისთვისაც და, კონკრეტულად, ნარატიული ეპიზოდის სემანტიკური სტრუქტურის აღწერის თვალსაზრისით.

კერძოდ, ჩვენ მიერ გამოვლენილია შემდეგი კანონზომიერებანი:

1. დიურატიულობის, როგორც ზოგადსემანტიკური კატეგორიის რელევანტურობა, ერთი მხრივ, პერსონაჟის მოქმედების გაშლის მაფიქსირებელი ნარატიული ეპიზოდისათვის, მისი ტემპორალურ-სემანტიკური (ასპექტური) სტრუქტურის

² ზოგადსემანტიკური კატეგორიის ცნების ამგვარი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით მდრ., Бондарко А. В., Функциональная грамматика, Л., 1984; Seiler H. [48, 49].

ტურის აღსაწერად, მეორე მხრივ კი შესაბამისი მნიშვნელობის პრედიკატის ასპექტური სემანტიკის აღსაწერად. (შდრ., ჩვენს სტატიაში განხილული ეპიზოდი ჯ. ჯოსის „ულისედან“ — ბლუმის მიერ საუზმის მომზადების ეპიზოდი და შესაბამისი სემანტიკის პრედიკატები და წინადადებები, რომლებიც „შეკუმშულად“ აფიქსირებენ ეპიზოდის შინაარსს: ბლუმი საუზმეს ამზადებდა (ბლუმმა საუზმე მოამზადა [5]).

2. ამავე დროს, ჩვენ მიერ გამოვლენილია დიუარტიულობისა და დინამიკურობის ზოგადსემანტიკური კატეგორიების ურთიერთკავშირი, აგრეთვე დინამიკურობის ზოგადსემანტიკური კატეგორიის რელევანტურობა როგორც პრედიკატის ლექსიკურ-გრამატიკული სემანტიკის, ასევე მოქმედების გაშლის მაფიქსირებელი ნარატიული ეპიზოდის სემანტიკური სტრუქტურის აღწერის თვალსაზრისით [5; 4].

3. ზემოთ მითითებულ ნაშრომებში ჩვენ მიერ გამოვლენილი იყო ზოგადსემანტიკურ კატეგორიათა სინტაგმატურად დალაგებული წყება, რომელიც რელევანტური აღმოჩნდა როგორც მოქმედების გაშლის მაფიქსირებელი ნარატიული ეპიზოდის (სეგმენტის), ასევე მოქმედების აღმნიშვნელი პრედიკატის სემანტიკის აღწერისათვის [4; 7; 8; 9; 12; 14].

კატეგორიათა აღნიშნული წყება ასეთია: მოქმედების ნორმა, მიზეზი 1 (გარეგანი), მიზეზი 2 (იგივე მოტივი), ინტენცია (მიზანი), მოქმედება/ქმედება, შედეგი (იხ. სქემა [4; 7]-ში).

4. ზოგადსემანტიკური კატეგორიების წყება წარმოვადგინეთ როგორც კატეგორიათა „ბუდე“ (სინტაგმატური და პარადიგმატული ლერძებით), რადგან აღნიშნული კატეგორიები არ არის განცალკევებულნი, ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს პრესუპოზიციული და იმპლიკაციური მიმართებებით [3; 7; 9; 11; 12].

5. იმპლიკაციური და პრესუპოზიციული მიმართებები მიზეზი 1 კატეგორიიდან მოყოლებული შედეგამდე უკავშირდება, აგრეთვე, დროში თანმიმდევრობისა, მიზეზ-შედეგობრიობის და ალბათობის სემანტიკას, რაც რელევანტური აღმოჩნდა როგორც ნარატიული ეპიზოდის, ისე პრედიკატის ლექსიკური სემანტიკის აღწერისათვის [4; 7; 8].

ამგვარად, მოქმედების კატეგორიასთან დაკავშირებულ კატეგორიათა ბუდეს გააჩნია გარკვეული სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც სინტაგმატურად ვლინდება ტემპორალური და კაუზალურ-რეზულტატური იმპლიკაციების სახით.

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქმედების გაშლის მაფიქრებელ ნარატიულ ეპიზოდს და (შესაბამის) პრედიკატს შორის ვლინდება სემანტიკური იზომორფიზმი, რომელიც გულისხმობს ნარატიული ეპიზოდისა და პრედიკატის სემანტიკურ სტრუქტურათა ერთტიპურობას, ერთგვარობას მათი აღწერისათვის თანაბრად რელევანტურ ზოგადსემანტიკურ კატეგორიათა „ბუდის“ არსებობის საფუძველზე.

ცნობილია, რომ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული ტერმინი იზომორფიზმი არსებითად გულისხმობს შეფარდებით და არა აბსოლუტურ იზომორფიზმს, რომლისათვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღსაწერ ერთეულთა სტრუქტურულ პარალელიზმს, სტრუქტურათა ერთგვარობას, საერთო, საზიარო სტრუქტურულ მახასიათებლებს³. (კურილოვიჩი [42], შდრ., მაკაივი ე. [27], ბულიგინა [21], ბულიგინა, კლიმოვი [23]).

³ სწორედ ამ მომენტებს გახაზავს კურილოვიჩი: „Les complexes phoniques (p. ex. les syllabes) et les complexes sémantiques (p. ex. les propositions) présentent des parallélismes de structure profonds. On constate entre eux une ressemblance de forme, un iso-

ამგვარად, ნარატიული ეპიზოდის შინაარსობრივი სტრუქტურა განისაზღვრება სემანტიკური კატეგორიების „ბუდით“, რომელიც საზიარო აღმოჩნდა ნარატიული ეპიზოდისა და პრედიკატივსათვის⁴.

კატეგორიათა ეს „ბუდე“ განაპირობებს, აგრეთვე, ნარატიული ეპიზოდის კოჰერენტულობას (სემანტიკურ „შეჭიდულობას“, დაკავშირებას).

ლიტერატურა

1. ვ. ბოედერი, ძველი ქართული ნარატივის ერთი ტექსტლინგვისტური თავისებურება. ვაზაშვილი/არაგაბაშვილი, თსუ 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, 1988 წ. 11—16 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1988.
2. ლ. ენუქიძე, სიღრმული სტრუქტურისა და ბირთვული წინადადების ადგილი ქართულში, სინტაქსისა და ტექსტის ლინგვისტიკის მომიჯნავე პრობლემები, წიგნში: „ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში“, თბ., 1987, გვ. 89—129.
3. ნ. ჩიჩუა, მოქმედების სემანტიკა კატეგორიულ ტერმინებში, „მომხმე“, 1984, № 2.
4. ნ. ჩიჩუა, მოქმედების ნომინაციის ასპექტები თხრობით ტექსტში, „მაცნე“, ელს, 1985, № 4.
5. ნ. ჩიჩუა, დიურატიულობისა და დინამიკურობის სემანტიკის გამოვლენა თხრობითი ტექსტის ეპიზოდში, „მაცნე“, ელს, 1988, № 3.
6. ნ. ჩიჩუა, ნარატიული ტექსტის სემანტიკური კვლევის ასპექტები, „მაცნე“, ელს, 1989, № 3.
7. ნ. ჩიჩუა, მოქმედების ნომინაცია და სემანტიკური ინტერპრეტაცია ნარატიულ ტექსტში, „მაცნე“, ელს, 1990, № 2.
8. ნ. ჩიჩუა, მოქმედების ნომინაციის ლინგვისტური მექანიზმი და პარამეტრულ-სტილისტური ორიენტაცია თხრობით ტექსტში, „მაცნე“, ელს, 1989, № 1.
9. ნ. ჩიჩუა, სემანტიკური კატეგორიები და გამონათქვამის ინტერპრეტაცია, ნარატიულ ტექსტში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ლუწის უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ფაკულტეტი (შვეიცია). სამეცნიერო სესია „იბერიულ-კავკასიური ენები ზოგადი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერების თვალსაზრისით“, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1989.
10. ნ. ჩიჩუა, ნარატიული ტექსტი, როგორც ნარატიულ სტრუქტურათა განხორციელება, — ამიერკავკასიის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, თელავი, 1982, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1982.
11. ნ. ჩიჩუა, მოქმედების კატეგორიული გეშტალტი, როგორც მოქმედების სემანტიკის უზოგადესი წარმოდგენა — ახალგაზრდა მეცნიერთა IV რესპუბლიკური კონფერენცია, 1983, სოხუმი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1983.
12. ნ. ჩიჩუა, მოქმედების დიურატიულად დაუნაწევრებელი ნომინაცია თხრობით ტექსტში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1986.
13. ნ. ჩიჩუა, დიურატიულობა, როგორც ტექსტის კატეგორია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1987.
14. ნ. ჩიჩუა, მოქმედების ნომინაცია თხრობით ეპიზოდში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, არნ. ჩიქობავას 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1988.

morphisme remarquable. L'idée principale de la glossématique c'est justement de dégager les traits structuraux communs aux deux plans de la langue, phonique et sémantique (expression et contenu)“ [42, 16]. აქ შდრ. „parallélismes de structure“, „une ressemblance de forme“, „un isomorphisme“, „les traits structuraux communs aux deux plans de la langue“ [42].

⁴ ბუნებრივია, იგულისხმება ნარატიული ეპიზოდის შინაარსობრივი (სემანტიკური) სტრუქტურის გარკვეული არსებითი ასპექტი, რომელიც არ ამოწურავს მის სემანტიკას.

15. ბ. ჯორბენაძე, მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგადი პრინციპისათვის, წიგნში: „ბალავარი მწერლობისა“, თბ., 1987, გვ. 3—32.
16. ა. პარისი, ნარატის სინტაქსური ანალიზი ქართველურ ენებში, თსუ 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, 1988, 11—16 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1988.
17. Аристотель, *Поэтика*, Л., 1927.
18. Бахтин М., *Вопросы литературы и эстетики*, М., 1975.
19. Бахтин М., *Проблемы поэтики Достоевского*, М., 1972.
20. Бенвенист Э., *Уровни лингвистического анализа*, «Новое в лингвистике», вып. 4, М., 1965.
21. Булыгина Т. В., *О некоторых аналогиях в соотношении семантических и звуковых единиц*, ВЯ, 1967, № 5.
22. Булыгина Т. В., Шмелев А. Д., *Пространственно-временная локализация как суперкатегория предложения*, ВЯ, 1989, № 3.
23. Булыгина Т. В., Климов Г. А., *Уровни языковой структуры*, в кн.: *Общее языкознание. Внутренняя структура языка*, М., 1972.
24. Гегель, *Эстетика*, т. 3, М., 1971.
25. Зись А. Я., Стафеецкая М. П., *Интерпретация произведения как феномена культуры*, в кн.: *Художественная рецепция и герменевтика*, М., 1985.
26. Кривонос Б. А., *«Вопросы языкознания»*, 1986, № 6.
27. Макаев Э. А., *К вопросу об изоморфизме*, ВЯ, 1961, № 5.
28. Bally Ch., *Linguistique Générale et Linguistique Française*, Troisième éd., Berne, 1950.
29. Barthes R., *Introduction à l'analyse structurale des récits* — „Communications“, 1966, № 8.
30. Cassirer E., *The Philosophy of Symbolic Forms*, trans, Ralph Menheim. I, New Haven, 1953.
31. Van Dijk Teun A., *Issues in the pragmatics of discourse*, University of Amsterdam, 1975.
32. Fillmore Ch., *The Case for Case*, In: „Universals in Linguistic Theory“, ed. by E. Bach, R. T. Harms. New York, 1968.
33. Greimas A. J., *Éléments pour une théorie de l'interprétation du récit mythique*—„Communications“, 1966, № 8.
34. Greimas A. J., *Du sens*, Paris, 1970.
35. Halliday M. A. K., *Linguistic Function and Literary Style: „An Inquiry into the language of William Golding's „The Inheritors“*,—„Literary Style: A symposium“, ed. by Seymour Chatman, Oxford University Press, London-New York, 1971, გვ. 330—368.
36. Hamon Ph., *Mise au point sur les problèmes de l'analyse du récit*,—„Le Français moderne“, 1972, № 3, გვ. 204—221.
37. Heidegger M., *The Nature of Language*—In: „On the way to Language“, New York, 1971.
38. Heidegger M., *Holzwege*, Frankfurt am Main, 1950.
39. Hendricks W. O., *Linguistic Contribution to Literary Sciences*—„Poetics“, 1973, №7.
40. Jacobson R., Levi-Strauss C. „Les Chats“ de Ch. Baudelaire, „L'Homme“, 1962, vol. 2, № 1.
41. Kuroda S. Y., *Reflections on the Foundations of Narrative Theory*, — In: *North-Holland Studies in Theoretical Poetics: Pragmatics of Language and Literature*, v. 2. ed. by Teun A. van Dijk. W. O. Hendricks, Amsterdam, Oxford: North-Holland. Publishing Company, American Elsevier Publishing Company Inc., 1976, გვ. 107—140.
42. Kurilowicz J., *La Notion de l'isomorphisme*, J. Kurilowicz *Esquisses Linguistiques I*, Deuxième édition, Wilhelm Fink Verlag, München, 1973, გვ. 16—26.
43. Lévi-Strauss C., *The structural study of Mythe*, „Journal of American Folklore“, 1955, vol. 68, № 270.
44. Lévi-Strauss C., *Mythologiques*, I—IV, Paris, 1954—1971.
45. Lubbock P., *The Craft of Fiction*, New-York: The Viking Press, 1957.

46. Schmidt S. J., Towards a Pragmatic Interpretation of „Fictionality“, In: North-Holland Studies in Theoretical Poetics: Pragmatics of Language and Literature, v. 2, ed. by Teun A. van Dijk, W. O. Hendricks, Amsterdam, Oxford: North-Holland Publishing Company, American Elsevier Publishing Company Inc. 1976, 83. 161—178.

47. Searle J. R., The Logical Status of Fictional Discourse, In: Expression and Meaning, Cambridge, Cambridge University Press, 1970, 83. 58—75.

48. a) Seiler H., Apprehension: Language, Object and Order, Pt. III: The Universal Dimension of Apprehension (=Language Universal Series, I, III), Tübingen, 1986. b) Seiler H., Determination: A functional Dimension for Interlanguage Comparison //Language Universals: Papers from the Conference held in Gummersbach, Cologne, Germany, October 3 || 8, 1976 (Tübinger Beiträge zur Linguistic, III) Ed. by Seiler H., Tübingen, 1978.

49. Tesnière L., Eléments de syntaxe structurale, Paris, 1956.

50. Todorov Tz., Les catégories du récit littéraire—„Communications“, 1966, №8.

51. Todorov Tz., La grammaire du Décameron, Paris, 1969.

52. Wiersbicka A. Descriptions or Quotations? In: Sign, Language, Culture, I, The Hague- Paris, 1970.

Н. Ш. ЧИЧУА

СЕМАНТИКА НАРРАТИВНОГО ЭПИЗОДА

Резюме

Результаты исследования семантики нарративного эпизода и предиката, представленные в ряде статей автора, в настоящей работе обобщаются и интерпретируются в терминах концепции изоморфизма уровней (или планов) языка (ср. Курилович, Макаев, Булыгина).

Выявленный в работе изоморфизм нарративного эпизода и предиката носит семантический характер, что подразумевает параллелизм, однотипность семантической структуры рассматриваемых единиц.

В ряде работ автора выявлено гнездо пронизывающих языковые уровни семантических категорий, которые релевантны с точки зрения описания семантических структур обеих рассматриваемых единиц.

В «гнезде» семантические категории взаимосвязаны теснейшим образом отношениями пресуппозиции и импликации, которые определяют семантическую структуру гнезда категорий. Отношения пресуппозиции и импликации, выявленные между категориями, связаны с темпоральной семантикой следования во времени, а также с каузально-результативной и вероятностной семантикой.

Указанное гнездо категорий имеет решающее значение с точки зрения раскрытия характера семантического изоморфизма нарративного эпизода и предиката.

Семантическим изоморфизмом рассматриваемых единиц объясняется, очевидно, возможность субституции нарративного эпизода предикатом (соответствующим предложением) в сюжетной динамике повествования, что является доказательством их семантической эквивалентности или изофункциональности.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ლელა თურმანიძე

კომპოზიციური ფორმები და ტექსტის მაკროსინტაქსი

ტექსტის ლინგვისტიკამ, ენათმეცნიერების ამ ახალმა დარგმა, უკვე მიაღწია კვლევისა და განვითარების ისეთ დონეს, რომ უკვე არსებობს მისი სამი დამოუკიდებელი დარგი — ტექსტის ზოგადი თეორია, კონკრეტული ენის ტექსტის ლინგვისტიკა და ტექსტის სტილისტიკა.

ტექსტის ლინგვისტიკა კომუნიკაციური ლინგვისტიკის წამყვანი მიმართულებაა. როგორც თავად სახელწოდება მიგვანიშნებს, მისი კვლევის ობიექტია ტექსტი, მაგრამ ჯერ კიდევ ზუსტად არ არის დადგენილი თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ტექსტად, რას წარმოადგენენ მისი მახასიათებლები, ანუ ჯერ კიდევ არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება ტექსტის ცნებისა.

ტერმინი „ტექსტი“ 70-იანი წლების მონაპოვარია. მანამდე ტექსტის მნიშვნელობით სხვა ტერმინები იხმარებოდა, სახელდობრ, „რთული სინტაქსური მთლიანობა“, „ზეფრაზული მთლიანობა“, „კომპონენტი“, „სუბტექსტი“ და სხვ.

ზ. ი. ტურაევას ნაშრომში „ტექსტის ლინგვისტიკა“ მოცემულია ტექსტის შემდეგი განმარტება: „ტექსტი გაიგება როგორც სხვადასხვა სახის ლექსიკური, ლოგიკური და გრამატიკული კავშირით გაერთიანებულ წინადადებათა მოწესრიგებული სიმრავლე, რომელიც გადმოგვცემს განსაკუთრებული წესით ორგანიზებულ და გამიზნულ ინფორმაციას. ტექსტი რთული მთლიანობაა, იგი ფუნქციონირებს როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური ერთიანობა. ტექსტი არის სისტემურის და ინდივიდუალურის ერთობა“ [3, 11].

ტექსტის სტრუქტურის ნამდვილი სერიოზული შესწავლა ბოლო ათწლეულია რაც დაიწყო. დღეს უკვე ლაპარაკია არა მარტო წინადადების, არამედ ტექსტის სინტაქსზეც. ტრადიციული სინტაქსის გვერდით გვაქვს ტექსტის სინტაქსი, ანუ მაკროსინტაქსი მისი ორი გაგებით — მთლიან ტექსტში (მაკროტექსტში) ზეფრაზულ ერთიანობათა მონაცვლეობის სინტაქსი და ტექსტის, როგორც მთლიანობის, სინტაქსი.

ტექსტის შემსწავლელი მეცნიერების აღსანიშნავად ამერიკელი და ინგლისელი მეცნიერები გვათავაზობენ „ჰიპერსინტაქსს“, ანდა „სუპერსინტაქსს“, ჯერმანელი მეცნიერები — „ტექსტის გრამატიკას“, სხვა ლინგვისტთა ნაშრომებში კი გვხვდება ტერმინები „მთლიანი ტექსტის სინტაქსი“, ან „გაბმული ტექსტის სინტაქსი“ [1, 62].

ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებიდან დღემდე ტექსტის სინტაქსი დაკავშირებული იყო ზეფრაზული ერთიანობის სინტაქსთან, მაგრამ თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკაში მოხდა ტექსტის სინტაქსის კვლევის პრინციპული გაფართოება.

დღეისათვის მეტ-ნაკლებად შესწავლილია ზეფრაზულ ერთიანობათა სინტაქსი, მაგრამ, რაც შეეხება მაკროსინტაქსს, ანუ მთლიანი ტექსტის სინტაქსს, იგი ჯერ კვლევის საწყის ეტაპზეა.

ტექსტის სუპერსინტაქსური დონის ძირითად ერთეულებს კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმები წარმოადგენს. ისინი გვევლინებიან შუალედურ რგოლად წინადადებასა და გაბმულ მეტყველებას (ტექსტს) შორის და წარმოგვიდ-

გებთან როგორც სინტაქსური ერთეულები, რომლებიც წარმოადგენენ ერთი შინაარსით გაერთიანებულ წინადადებათა ჯგუფს. შესაძლებელია, რომ ესა თუ ის კომპოზიციური ფორმა სტრუქტურულად დაემთხვას ზეფრაზულ ერთიანობას და პირიქით. როგორც უკვე ითქვა, ტექსტის მიკროსინტაქსი განისაზღვრება როგორც ზფე-ის წინადადებათა სინტაქსი და მაკროსინტაქსი კი — ტექსტში შემავალ კომპოზიციურ ფორმათა ერთიანობის და ურთიერთდაკავშირებულობის სინტაქსი. ვ. გ. გაკი შემდეგნაირად განსაზღვრავს კომპოზიციურ ფორმებს: „სემანტიკურ პლანში ზფე ხასიათდება თემის ერთობით: მასში, როგორც წესი, განვითარებულია ერთი მიკროთემა, რომელიც შეიცავს რიგ მოვლენებს. არსებობს მოვლენებს შორის დამოკიდებულების ორი ძირითადი ტიპი. 1. ერთდროულობა, როდესაც საქმე ეხება ერთი ან რამდენიმე სუბიექტის შესახებ სინქრონულ ფაქტებს. 2. შედეგობრიობა — როდესაც ერთ სუბიექტთან დაკავშირებული ფაქტები ერთმანეთს მოსდევს. დამოკიდებულების ამ ორ ტიპს, ზფე-ს ორი სემანტიკური ტიპი შეესაბამება — აღწერითი და თხრობითი“ [2, 204].

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, მაკროსინტაქსის ფარგლებში საქმე გვაქვს კომპოზიციურ ფორმათა სინტაგმატიკასთან. ტექსტის მაკროსინტაქსურ დონეზე შესწავლა გულისხმობს ზეფრაზულ ერთიანობათა ურთიერთმონაცვლეობის მთელ ლოგიკურ ვარიანტთა შესწავლას, რაც რთულია. და შეიძლება მხოლოდ ეტაპობრივად, წინამდებარე ნაშრომში კი შეგვიძლია დავსვათ შემდეგი კითხვა — როგორ ხდება ერთი კომპოზიციური ფორმის, ამ კერძო შემთხვევაში თხრობის მონაცვლეობა სხვა კომპოზიციურ ფორმებთან და რა ენობრივ საშუალებებზე დაყრდნობით ხდება ეს მონაცვლეობა?

თხრობითია ტექსტი, სადაც საუბარია ამბის, მოვლენის განვითარების თანამიმდევრობის შესახებ. შეიძლება ტექსტი იყოს აღწერითი ან მსჯელობის შემცველი, მაგრამ მასში თხრობის ელემენტებიც იყოს გარეული ან პირიქით.

იმისთვის, რომ ნათელი გახდეს ერთი კომპოზიციური ფორმის, თხრობის მეორეთი, აღწერითი შეცვლა, ვნახოთ რამდენიმე მაგალითი და დავაკვირდეთ, თუ რა ენობრივი საშუალებებით ხდება ეს გადასვლა. ენობრივი საშუალებები კი შეიძლება მეტად მრავალფეროვანი იყოს და მიეკუთვნებოდეს ლექსიკის ან გრამატიკის სფეროს.

„გრამატიკული და ლექსიკური საშუალებები გამოიყენება არამარტო თხრობის ელემენტთა დასაკავშირებლად, არამედ მის დასანაწევრებლადაც ზეფრაზულ ერთიანობად“ [2, 208].

როგორც ზემოთ ითქვა, ზეფრაზული ერთიანობა კი ხშირ შემთხვევაში ემთხვევა კომპოზიციურ ფორმას.

კომპოზიციურ ფორმათა მონაცვლეობა გულისხმობს ტექსტის ამგვარი დანაწევრების სხვადასხვა ტიპოლოგიურ ვარიანტს. ენობრივი საშუალებები შეიძლება იყოს მორფოლოგიური, ლექსიკური (ზმნიზედური ან მიმანიშნებელ სიტყვითი), ე. წ. ნულოვანი და სინტაქსურიც კი (როდესაც იცვლება რთული წინადადების ტიპი).

მეტად მნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებული საშუალება ამ მონაცვლეობის განსახორციელებლად ფრანგულ ენაში არის გრამატიკული დრო: *passé composé* → *passé simple*, *présent* → *imparfait* და სხვ. მაგალითად „Lola termina par un lancer de boomerangs et se retira comme il était venu nonchalemment. Pendant qu'il saluait son regard balayait la salle de gauche à droite, de droite à gauche, ainsi le public pouvait se rendre compte que Lola avait des yeux clairs...“ [4, 21].

ამ შემთხვევაში passé simple იცვლება imparfait-თი თხრობა კი -- აღწერით.

ან კიდევ:

„Maurice la rencontra dans les bals et les fêtes où la jeunesse se retrouvait.

A son retour du régiment, il chercha de plus en plus sa compagnie.. Vidal n'était ni beau, ni très éloquent. Grand, maigre, perché sur des longues pattes sèches il semblait prêt à se démancher à chaque geste ou à chaque pas...“ [4, 326]. Passé simple გადადის imparfait-ში და ერთი კომპოზიციური ფორმა — თხრობა—იცვლება მეორეთი—აღწერით.

ან კიდევ:

„Jean ne put résister longtemps. Au bout de deux ou trois minutes il fut trempé de la tête aux pieds étouffé par la violence du vent. Au-dessous de lui s'étendait le pont où les embarcations de sauvetage se suivaient sagement, posées sur leur chantier“ [4, 58].

შეიცვალა დრო და ერთი კომპოზიციური ფორმა შეცვალა მეორემ.

ტექსტის შიგნით ზეფრაზულ ერთიანობათა (ანუ კომპოზიციურ ფორმათა) მონაცვლეობა შეიძლება მოხდეს ლექსიკურ საშუალებათა მეშვეობით. ამგვარ საშუალებებს მიეკუთვნება ზმნიზედა ან ზმნიზედური ფუნქციის შესრულებელი კონსტრუქცია. მაგალითად:

„Charlie commanda son quart de rouge, son oeuf dur mayonnaise et son sauté d'agneu; il se mit à manger. **Et pendant ce temps là le vieux monsieur** Silvain achevait tranquillement son repas...“ [4, 118].

ან კიდევ:

„...Ils observait la scène sans parler. J'attendais que la porte du fournil s'ouvrit.. **Et brusquement** comme perçant à travers les ténèbres profondes d'où je venais comme enfin désignée parmi tant de réalités innommées, une chose commença d'exister dans mon esprit“ [4, 313].

ან კიდევ:

„Le second capitaine descendit l'échelle le premier, bien posément, comme on avait l'habitude de la descendre... **A ce moment**, le navire donna un violent coup de roulis sur tribord, une furieuse bourrasque de vent passa en tornade“ [4, 69].

ერთ ზეფრაზულ ერთიანობას მეორე ცვლის, კომპოზიციური ფორმა, თხრობა, კი ამ შემთხვევაში თხრობითვე იცვლება.

ან კიდევ ვნახოთ ასეთი მაგალითი:

„Un sentiment sourdait en moi, de honte triste, qui montait, m'envahissait tout l'être. „A quoi bon? me disais-je. Ce jeu est illusoire et vain, qui ne retient entre ses lignes que quelques captures humiliées, quelques derisives faux-semblants“ [4, 54].

როდესაც ჩვეულებრივი რთული თხრობითი წინადადება იცვლება კითხვითი წინადადებით, ერთ კომპოზიციურ ფორმას, თხრობას, მეორე, მსჯელობა, ცვლის.

შეიძლება ერთი კომპოზიციური ფორმიდან მეორეზე გადასვლა მოხდეს ენობრივი საშუალების გარეშე, მაშინ გვექნება ე. წ. ნულოვანი ვარიანტი:

„La femme de Vidal Maurice s'appelait Odette. Avant son mariage elle habitait avec sa mère à l'entrée du bourg ..

Odette était une brune fort bien faite et de jolie visage. Sa bouche épaisse et menue à la fois luisait comme un fruit“ [4, 325].

ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ თხრობა აღწერით შეიცვალა, ადგილი არ ჰქონია არც მორფოლოგიური, არც ლექსიკური და არც სხვა ენობრივი საშუალების ხმარებას.

თუკი ვ. გ. გაკს მიემართავთ, ვნახავთ, რომ: „ახალი მოვლენა ახალი ფაქტის გამოჩენასთან არის დაკავშირებული. ასეთი ფაქტი შეიძლება იყოს მატერიალური საგანი“ (Un homme est venu), ახალი ინფორმაცია (on apprend que), სუბიექტის ახალი განცდა (on éprouva un sentiment de...).

ამიტომაც ახალი ზეფრაზული ერთიანობის პირველი ფრაზა ხშირად შეიცავს ისეთ ზმნებს როგორცაა: apparaitre, venir, arriver, retenir. (ხმაზე), en-vahir (გრძნობაზე), entendre, apprendre, remarquer, éprouver“ (აღქმულ გრძნობებსა თუ ინფორმაციაზე) dire, crier [2, 208].

მაკროსინტაქსის ამგვარი გააზრება ახალ პერსპექტივებს ქმნის ენათა კვლევის სფეროში.

ლიტერატურა:

1. ვ. სერგია, ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, 1989.
2. В. Г. Гак, Теоретическая грамматика французского языка, Синтаксис, М., 1981.
3. З. Тураева, Лингвистика текста, Л., 1986.
4. Conteurs Français du XX s., Moscou, 1981.

Л. З. ТУРМАНИДЗЕ

КОМПОЗИЦИОННЫЕ ФОРМЫ И МАКРОСИНТАКСИС ТЕКСТА

Резюме

Рассматриваются проблемы макросинтаксиса и композиционных форм. Для организации текста обязательно чередование композиционных форм, причем в большинстве случаев эти формы совпадают со сверхфазовыми единствами. Статья посвящается исследованию тех лексико-грамматических средств, которые используются для членения текста на сверхфазовые единства, т. е. те средства, с помощью которых осуществляется переход от одной композиционной формы к другим.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის ფრანგული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

სალომი გოლჭვაძე

ზოგი რამ კილოს შესახებ

ჩვეულებრივ, ძოუბარს სურს გადასცეს თავის ადრესატს გარკვეული შეტყობინება — რეალური ან ირეალური, რაც შეიძლება იყოს რამდენიმე ტიპისა. ამ შეტყობინებით მსმენელს შეიძლება გადაეცეს გარკვეული ინფორმაცია. გადაცემულმა შეტყობინებამ შეიძლება აიძულოს, წააქეზოს მსმენელი, სთხოვოს ან უბრძანოს მას შეასრულოს რაიმე მოქმედება, ან გამოხატოს რაიმე სურვილი. ეჭვი და სხვა. ეს მნიშვნელობები ინგლისურში სხვადასხვაგვარად გამოიხატება: ა) მოდალური ზმნებით, ბ) მოდალური გამოთქმებით, გ) ზმნიანებებით და დ) კილოს კატეგორიით.

ცნობილია რომ კილო ზმნის ის გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს მოუბრის დამოკიდებულებას გამოხატული აზრის მიმართ.

კილოს განიხილავენ როგორც ზმნის ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიას, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ეს არის ზმნის ფორმათა ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს მოუბრის დამოკიდებულებას ფაქტობრიობის ან პირობის შესრულება/არშესრულების მიმართ. კილოს კატეგორია მთლიანად წინადადების მნიშვნელობას განეკუთვნება და არა მხოლოდ ზმნას.

ინგლისურში კილოს შემდეგი სამი ტიპი გამოიყოფა: ა) ინდიკატივი (თხრობითი), ბ) იმპერატივი (ბრძანებითი) და გ) საბჯანქტივი (კავშირებითი). კომუნიკაციისას კილოს ეს სამი ტიპი რეალიზდება ისეთი სამეტყველო აქტებით. როგორცაა: ა) ასერტები (assertions); ბ) თხოვნა, მოთხოვნა, ბრძანება; გ) ნება-სურვილი, წადილი, ნდობა, ნატვრა, ჩივილი, დაპირება, ეჭვი, აღზათობა და სხვა.

ინდიკატივი — არამარკირებული ფორმაა და მოლაპარაკის აზრებს წარმოგვიდგენს როგორც ფაქტობრივს. ეს ფაქტი ან ფაქტები შეიძლება იყოს ნამდვილი ან ყალბი შესრულებული ან შეუსრულებელი, მოსალოდნელი ან მოულოდნელი და ა. შ.

კილოს ამ ფორმისათვის არსებითია დროის გამოხატვა და ამდენად ინდიკატივი გადახლართულია გრამატიკული დროის კატეგორიისთან; ინდიკატივის კილოს ფორმები რეალიზდება ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის გრამატიკული კატეგორიის მეშვეობით.

იმპერატივი — კილოს მარკირებული ფორმაა და შემდეგ მნიშვნელობებს გადმოგვცემს: ბრძანებას, იძულებას, წაქეზებას, დარიგებას, ჭკუის სწავლებას და ა. შ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელები დღეს ყოველნაირად ერიდებიან ამ მნიშვნელობების კატეგორიული ფორმით გადაცემას და თანამედროვე ინგლისურ ენაში უხვადაა წარმოდგენილი ბრძანების თუ ჭკუის სწავლების მნიშვნელობათა გადმოსაცემი არაპირდაპირი, არაკატეგორიული ფორმები, მაგრამ ამ საინტერესო საკითხზე წინამდებარე სტატიაში ვერ შევჩერდებით, რადგან ჩვენი ამოცანაა ყურადღება გავამახვილოთ კავშირებით კილოზე.

სიტყვა „საბჯანქტივი“ ნიშნავს რაიმეზე დამატებულს. დასამატებელი ნა-

წილი გამოხატავს პირობას, პიპოთეზას, შესაძლებლობას. სიტყვა „საბჯანქტივი“ (კავშირებითი) წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან *subjunctivus—sub* (ქვეშ), *jungere* (დაკავშირება); ე. ი. „კავშირებითი“ ნიშნავს „დაკავშირებულს; ქვედაკავშირებულს“. ეს მნიშვნელობა დომინირებს კავშირებით კილოში, რადგანაც მოქმედებები, რომლებიც გამოხატულია ამ კილოს ზმნის ფორმებით, დამოკიდებულია რაიმე სურვილზე ან პირობაზე, რომელიც შეიძლება იყოს აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი. სწორედ ამიტომ, კავშირებითი კილოს ფორმა ძირითადად დამოკიდებულ წინადადებებში იხმარება.

კავშირებითი კილოს ძირითადი მნიშვნელობაა წარმოადგინოს მოლაპარაკის მოქმედება როგორც არაფაქტობრივი, სათუო, არარეალური, შეუძლებელი. ეს მნიშვნელობები გამოიხატება რიგი სინთეზური და ანალიზური ფორმებით.

კავშირებით კილოში ზმნები მხოლოდ ორ დროს განარჩევენ: აწმყო და ნამყოს. შესაბამისად შეიძლება ვილაპარაკოთ აწმყო კავშირებითისა და ნამყო კავშირებითის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ კავშირებითი კილოს აწმყოს და ნამყოს ბევრი არაფერი აქვთ საერთო თხრობითი კილოს დროთა სისტემის აწმყო და ნამყო ფორმებთან. ეს ტერმინები მხოლოდ ტრადიციით შემორჩნენ ენაში.

საინტერესოდ მიგვაჩნია კავშირებითი კილოს შემცველი ზოგიერთი წინადადების სემანტიკის ჩვენება:

1. ა) I wish this clock worked.

ბ) I wish this clock would work.

(ა) წინადადება გამოხატავს სურვილს აწმყოს შესახებ, (ბ) წინადადება — სურვილს მომავლის შესახებ, ანუ (ა) წინადადება აღნიშნავს, რომ საათი არ მუშაობს ახლა, მას რაღაც ჭირს და მე — მოლაპარაკე, ამის გამო გაღიზიანებული ვარ. (ბ) წინადადება კი გულისხმობს, რომ არსებობს რაღაც ვარაუდი, შესაძლებლობა, რომ საათი შეკეთდება და მე — მოლაპარაკეს ჩემი სურვილის შესრულების იმედი მაქვს.

2. ა) I'd play football with you if I were younger.

ბ) I wouldn't do it for all the tea in China.

გ) I would trade that car for a new one.

დ) I'd hate to live in a house like that.

მაგალითი (ა) გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკე ვერ ეთამაშება მსმენელს ფეხბურთს მისი ასაკის გამო. მაგალითი (ბ) მარტივი წინადადებაა, მაგრამ მასში ძალიან ადვილი აღსადგენია პირობა, ანუ ნათელია, რომ მოლაპარაკეს მხედველობაში აქვს გარკვეული პირობა — თუ შენ მომცემ მთელი ჩინეთის ჩაის (რაც ძალიან ძვირია); (გ) მაგალითში „If I were you“ — „მე რომ შენი ვიყო“ — მხოლოდ ნაგულისხმევი, არ არის გამოხატული; (დ) მაგალითში ნაგულისხმევი პირობაა: „If I had to“ (მე რომ იძულებული ვყოფილიყავი) და ეს წინადადება ნიშნავს: „მადლობა ღმერთს, არ მოხდება ასეთ სახლში ცხოვრება“.

ასევე პირობით — სავარაუდო (hypothetical conditional) მნიშვნელობა საკმაოდ ნათელია შემდეგ მაგალითში: „If you went on a diet, you'd lose weight“ — (დიეტას რომ დაიცავდე, წონაში დაიკლებდი) — ეს წინადადება ერთდროულად რჩევასაც გამოხატავს და რბილ საყვედურსაც. მოუბარი

შეუწუხებია მსმენელის ჯანმრთელობას და სურს, რომ მან წონაში დაიკლოს. ამ მოქმედების შესრულება მთლიანადაა დამოკიდებული იმ პირობის შესრულებაზე, რომელიც დამოკიდებულ წინადადებაშია გამოხატული. ეს მნიშვნელობა გადმოცემულია ზმნის კავშირებითი კილოს ფორმით. მოლაპარაკეს იმედი აქვს, რომ შესაძლებელია მისმა მეგობარმა დაიცვას დიეტა და ამის შედეგად დაიკლოს წონაში.

წინადადება — „If you'd gone on a diet you would have lost weight“ (თქვენ რომ დიეტა დაგეცვათ, დაიკლებდით წონაში) — გულისხმობს, რომ მსმენელმა არ მიიღო რჩევა დიეტის შესახებ და ამიტომ მას ისევ ზედმეტი წონა აქვს, მაგრამ იქნებოდა გამხდარი ახლა, რჩევა რომ მიეღო მაშინ.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს უხდება სხვადასხვაგვარი არაფაქტობრივი მოქმედებების ასახვა. ინგლისურში განარჩევენ არაფაქტობრიობის გამოხატვის შემდეგ სამ ძირითად მოდელს:

(1) „If you were happy, you'd make others happy“ (ბედნიერი რომ იყო, სხვასაც გააბედნიერებდი). ეს წინადადება შეიცავს were-იან კავშირებითს (სინთეზურ ფორმას) დამოკიდებულ წინადადებაში და would-იან კავშირებითს (ანალიზურ ფორმას) მთავარ წინადადებაში. წინადადება წარმოადგენს ფაქტ(ის)-საწინააღმდეგო მტკიცებას და გამოხატავს არაფაქტობრიობა-რეალობას. ეს წინადადება შეიძლება ეხებოდეს აწმყოსაც და მომავალსაც: If you were happy today, you'd make others happy (ბედნიერი რომ იყო დღეს, სხვაც ბედნიერი იქნებოდა); If you were happy next week, you'd make others happy (ბედნიერი თუ იქნები, სხვასაც გააბედნიერებ).

(2) If you had been at the party last night you wouldn't be so miserable now (წუხელ წვეულებაზე რომ ყოფილიყავი, ახლა ასეთი ვასაციოდავებული არ იქნებოდი). ამ წინადადებაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ მსმენელი გულნატკენია ახლა, რადგანაც არ დაესწრო წვეულებას; მის მეგობარს იგი ეცოდება და ოდნავ საყვედურობს მას.

(3) „If you had been happy you would have made others happy“ (ბედნიერი რომ ყოფილიყავი, სხვებსაც გააბედნიერებდი) საკმაოდ პესიმისტური გამონათქვამია და იმის ალბათობა, რომ მსმენელი ოდესმე ვინმეს გააბედნიერებს, ნულის ტოლია. სხვების გაბედნიერების შესაძლებლობა აღარაა და არც მისი მომავალში განხორციელების იმედი ჩანს.

ასევე:

(1) If you really loved me so strongly, you would have married me (შენ რომ ნამდვილად გყვარებოდი, ცოლად შემირთავდი) — ჩემი აზრით, შენ მე არ გიყვარვარ, მაგრამ დიდი ალბათობა იმისა, რომ ჩემი ვარაუდი არასწორია.

(2) If you had loved me so strongly then, I would be your wife now (შენ რომ მაშინ ძლიერად გყვარებოდი, ახლა შენი ცოლი ვიქნებოდი). ეს წინადადება გულისხმობს, რომ მას საუბედუროდ ახლა სხვა ცოლი ჰყავს, მაგრამ ეს მაინც არ გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ ოდესმე იგი მისი ცოლი გახდეს.

(3) If you had loved me so strongly, you would have married me (შენ რომ ძლიერ გყვარებოდი მაშინ, ცოლად შემირთავდი). გულისხმობს, რომ მან იგი არ შეირთო ცოლად და აღარც იმის ალბათობა არსებობს, რომ იგი ოდესმე მისი ცოლი გახდეს.

პირობითი წინადადების ზემოაღნიშნული სამი ტიპი წარმოადგენს არარეალურ, ფაქტ-საწინააღმდეგო მტკიცებებს, რომლებიც დამოკიდებულია დაქვემდებარებულ წინადადებაში გამოხატულ პირობის განხორციელებაზე და ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მოქმედების შესრულების შესაძლებლობის ხარისხით.

განვიხილოთ კავშირებითის ხმარების შემდეგი შემთხვევები:

(1) If I had the time, I would take you on a voyage round the world (დრო რომ მქონდეს, მსოფლიოს შემოგატარებდი).

(2) If I had been captain of a ship I would have taken you on a voyage round the world (გემის კაპიტანი რომ ვყოფილიყავი, მსოფლიოს შემოგატარებდი).

ეს წინადადებები გულისხმობენ უარყოფას, რომელიც გამოხატული არ არის. პირველ წინადადებაში უარყოფა ძლიერად არ არის გამოხატული. არსებობს გარკვეული შესაძლებლობა, რომ მოლაპარაკე იპოვნის დროს.

მეორე წინადადებაში ჰიპოთეზის კატეგორიული უარყოფაა. შესაბამისად მშენებელს მოლაპარაკის მიერ სამოგზაუროდ წაყვანის ყოველგვარი იმედი გადაჭრული აქვს.

პირველი წინადადება ეხება აწმყო დროს, მეორე კი ნამყოს. ორივე წინადადების დამოკიდებული წინადადება აწმყოშია და ორივე მთავარი წინადადება წარსულშია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა დამოკიდებული წინადადება დგას აწმყოში, მთავარი კი წარსულში ან კი პირიქით.

The plane I intended to catch crashed and everyone was killed. If I had caught that plane, I would be dead now (თვითმფრინავი, რომლითაც გაფრენას ვაპირებდი დაიღუპა და ყველა მგზავრი მსთან ერთად. მე რომ იქ ვმჯდარიყავი, მეც ახლა მკვდარი ვქნებოდი).

If you were not so indifferent to him you would have noticed that there was something happening to him (შენ რომ იპისდამი ასე გულგრილი არ იყო აღრეც შეამჩნევდი, რომ მის თავს რაღაც ხდებოდა).

If they had left at nine they would certainly be home by midnight (ისინი 9 საათზე რომ გასულიყვნენ, შუალამისთვის სახლში იქნებოდნენ).

If my son were a genius, I'd have underestimated him (თუ ჩემი ვაჟიშვილი გენიოსია, მე ის სათანადოდ ვერ შემიღასებია).

მოცემული მაგალითების ანალიზი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია იმ ნატიფი განსხვავებების ჩვენება, რომელიც ამ და მათი მსგავსი წინადადებებით გადმოიცემა. მნიშვნელობების მსგავსი გადმოცემა აუცილებელია უცხოური, ჩვენს შემთხვევაში, ინგლისური ტექსტის სწორი ინტერპრეტაციისა და ზუსტი დეკოდირებისათვის.

С. А. БОЛКВАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ЗАМЕЧАНИЯ ОТНОСИТЕЛЬНО ПРИМЕНЕНИЯ НАКЛОНЕНИЯ В СОВРЕМЕННОМ АНГЛИЙСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Наклонение в лингвистической литературе обычно трактуется как глагольная категория, но поскольку наклонение выражает отношение говорящего к высказыванию в целом, постольку ее следует отнести к числу синтаксических категорий.

В данной статье выявляются особенности применения сослагательного наклонения в английском языке. С целью точного декодирования и выявления малейших нюансов в тех или иных высказываниях основное внимание уделяется пресуппозициям и импликациям, которые имеются в различных предложениях или группах предложений.

В работе анализируется семантика десяти различных типов предложений с условными придаточными, которые содержат глаголы в сослагательном наклонении. Объясняется, как трактуются эти и подобные им синтаксические конструкции англичанами.

Целью подобного толкования является избежать неправильное интерпретирование иностранным слушателем речи англичанина в процессе коммуникации.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრა
წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

ლილი ზოქსაძე, ირინე ღემბრაძე

მაერთებლების წვლილი შეტყობინების სრულ დეკოდირებაში

(ინგლისურ-ქართულ მასალაზე)

სასაუბრო ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ლაპარაკში ისეთ სიტყვათა ჩართვა, რომლებიც გაბმულ მეტყველებაში ძირითადი სალექსიკონო მნიშვნელობით იშვიათად იხმარება. ამ სიტყვებსა და გამოთქმებს ჩვეულებრივ უწოდებენ: პაუზის შემავსებლებს (gap-fillers), ცარიელ სიტყვებს (empty words), წინასწარ შეთხზულ შემავსებლებს — (prefabricated fillers), მერთებლებს (connectives), ფრაზა-კომენტარებს (comment clauses) და სხვა [1, 3, 5]. ყურადღებას შევიჩერებთ მერთებლებზე.

ზოგი მკვლევრის აზრით, მერთებლები ბევრს ვერაფერს მატებენ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ იმას მიგვანიშნებენ, თუ რა დამოკიდებულება აქვს მოსაუბრეს მსმენელისა თუ თვით მის მიერვე გამოთქმული აზრისადმი. ისეთი შესიტყვებანი, როგორცაა: you know (იცი რა; იცი), you see (ხედავ), sort of (რაღაც), so to speak (ასე ვთქვათ); I think (ფიქრობ), I believe (ჩემი აზრით); I suppose (გვარაუდობ) და სხვ., მივეითებენ გამონათქვამის ბენზონიტებაზე, წარმოთქმის მანერასა თუ მოსაუბრის განწყობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვებსა და გამოთქმებს აშკარა, ადვილად აღსანახი ლექსიკური მნიშვნელობა არც გააჩნიათ, რამდენადაც ძალზე იშვიათად იხმარებიან თავიანთი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით. ამით აიხსნება ის, რომ მერთებლები ხშირად აღიზიანებენ კიდევაც მსმენელს. ზოგნი საუბრიდან მათ ამოგდებსაც კი მოითხოვენ, რადგან მერთებელთა ხშირი ხმარება განუვითარებელი აზროვნების ან საკუთარ თავში დაურწმუნებლობის მახასიათებლად მიაჩნიათ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მერთებლები უდიდეს როლს თამაშობენ სასაუბრო ენაში. სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობა ერთნაირად გასაგებია როგორც მოცემულ ენაზე ჯოლაპარაკე ინდივიდის, ასევე — უცხო (ინგლისური) ენის შემსწავლელისათვის, მერთებლების მნიშვნელობა კი მშობლიურ ენაზე მეტყველისათვის ბევრად უფრო საგულისხმოა, ვიდრე — უცხოელისთვის. მერთებლებს გარკვეული წვლილი შეაქვთ მოსაუბრე-მსმენელს შორის ურთიერთობის დამყარებაში, რადგანაც ერთი და იგივე გამოთქმა ნაცნობობის სხვადასხვა საფეხურზე შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს აღქმული. ამიტომაც, რომ ოფიციალურ საუბარში (რომელიც ზუსტ, დაკვირვებულ მეტყველებას მოითხოვს) მერთებლების ხშირი ხმარება მიზანშეწონილი არ არის, მაშინ როდესაც მეგობრულ ვითარებაში ისინი სასურველ ეფექტს ახდენენ და ხაზს უსვამენ მოსაუბრეთა გულთბილ ურთიერთდამოკიდებულებას. ამდენად, მერთებლების ამოღება მეტყველებიდან დიდი დანაკარგი იქნებოდა სასაუბრო ენისათვის.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ზოგიერთი დაკვირვება ზოგადად მერთებლებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა you know მერთებელს.

თანამედროვე სასაუბრო ინგლისურში ასობით მერთებელი გვხვდება. დ. კრისტალი და დ. დეივი მათ სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ:

1. გამაძლიერებელი ანუ დამატებითი: as a matter of fact (სინამდვილეში, ამ დროს), to be precise (უფრო ზუსტად), in other words (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ), in a sense (გარკვეული აზრით), that is (ესე იგი, ანუ) და სხვა.

2. შემზღუდველი ანუ მაკონკრეტებელი: at least (ყოველ შემთხვევაში), rather (უფრო სწორად), at any rate (ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში), actually (სინამდვილეში), mainly (უმთავრესად) და სხვა.

3. შემარბილებელი: you know (იცი), you see (ხედები), I mean (გგულისხმობ), sort of (რალაც), right? (ასე არ არის?) და სხვა. ეს უკანასკნელი ხელს უწყობენ საუბრის გახანგრძლივებას და, რაც მთავარია, გამოხატავენ მოსაუბრის გულთბილ დამოკიდებულებას მსმენლისადმი, რამდენადაც ქმნიან მეგობრულ, არაოფიციალურ სასაუბრო სიტუაციას.

რ. კვერკის აზრით, მაერთებლები ასრულებენ შემდეგ სემანტიკურ ფუნქციებს:

ა) (ისინი) მიუთითებენ, თუ რამდენად მართებულად მიიჩნევს მოსაუბრე ძირეულ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. ასეთი მაერთებლების ქვემდებარედ, ჩვეულებრივ, პირველი პირი გვევლინება. მაგ.: I guess (ვგონებ), I believe (ჩემი აზრით), I reckon (ვოვლი), I think (ვფიქრობ), I hear (გაკვივე), I suppose (ვვარაუდობ).

ბ) მაერთებლები მიგვანიშნებენ, რომ მოსაუბრეს არავითარი ეჭვი არ ეპარება ნათქვამში. მაგ.: I know (როგორც ვიცი, როგორც ჩემთვის ცნობილია), I see (მიხვდით), I say (მომისმინე), I agree (გეთანხმები) და სხვა.

გ) ზოგი მაერთებელი გამოხატავს მოსაუბრის განწყობას, მის ემოციურ დამოკიდებულებას ნათქვამისადმი: I'm glad to say that (მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ) I'm pleased to say (კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო), I'm happy to tell you (სიხარულით მინდა გითხრათ, გამცნოთ), I'm afraid ვშიშობ, I regret (ვწუხვარ), I hope (ვიმედოვნებ), I wish (ნეტავ), I fear (ვშიშობ) და სხვა.

დ) მაერთებლები მსმენელისაგან მოითხოვენ ყურადღებას, თანხმობას; ამასთან, მის მიმართ მოსაუბრის სიბზოსაც გამოხატავენ. ასეთი მაერთებლების ქვემდებარე, ჩვეულებრივ, არის you (მსმენელი). მაგ.: you know (იცი), you see (ხედები), you realise (როგორც ხედები), you may know (ალბათ იცი, რომ) mind you (იცოდე), mark you (გაითვალისწინე) და სხვა [7].

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ წინადადებაში მაერთებლის ფუნქციისა და მნიშვნელობის სწორად ამოსაცნობად საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ინტონაციას, აგრეთვე ისეთ პროსოდიულ თუ პარალინგვისტურ პარამეტრებს, როგორიცაა: ტემპი, ბგერის ხანგრძლივობა, მახვილი, ტონი, ტემბრი და სხვა. მაგრამ ეს ცალკე კვლევის საგანია და, ამდენად, აქ მას ვერ შევხებით.

განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაერთებელი you know, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ე. წ. შემარბილებელ მაერთებლებს მიეკუთვნება და უმთავრესად მსმენელის ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად.

you know-ს, როგორც მაერთებლად გამოყენებულ ყველა სხვა გამოთქმას, თავისი პირველადი სალექსიკონო მნიშვნელობაც აქვს. მაერთებლისაგან განსხვავებით, პირდაპირი ლექსიკური მნიშვნელობით ნახმარი you know არ გა-

მოიყოფა პაუზით (მეტყველებისას), თუ მიძიმით (წერისას) და უფრო მკაფიოდ წარმოითქმის. შტრ.::

1. You know he works on Sundays — შენ იცი, ის კვირაობით მუშაობს. ასეთ შემთხვევაში you know-ს შეიძლება მოსდევდეს that. You know that he works on Sundays—შენ ხომ იცი, რომ ის კვირაობით მუშაობს.

2. You know, he works on Sundays—სხვათა შორის ის კვირაობით მუშაობს.

შეკითხვას He'll have to be told, don't you agree? შეიძლება ჰქონდეს ორგვარი პასუხი:

1. You know, I don't — იცი რა, შეიძლება ამან გაგაკვიროს, მაგრამ არ გეთანხმები. აქ მოსაუბრე მაერთებლის გამოყენებით წინასწარ შეამზადებს მსმენელს მოულოდნელი პასუხისათვის.

2. You know I don't — შენ მშვენივრად იცი, რომ არ გეთანხმები, ამ შემთხვევაში პასუხი თანამოსაუბრის გალიზიანებაზე მიგვანიშნებს, რადგან, როგორც ცნობილია, ნაცნობი ინფორმაციის მიწოდება მსმენელს, ჩვეულებრივ, აღიზიანებს ხოლმე. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა დაგვემოწმებინა ამერიკელი პროფესორის — უილგა რივერსის — მიერ მოხმობილი იაპონური ენის მაგალითი: იაპონელისათვის, რომლის მეტყველებაც, ჩვეულებრივ, შეტად ელიპტურია, ნაცნობი ინფორმაციის მიწოდება შეურაცხყოფელია.

რ. კვერცი და დ. კრისტალი მაერთებელი you know-ს ცხრა მნიშვნელობას მიუთითებენ:

1. you know-ს შეუძლია გამოხატოს მოსაუბრის სურვილი დარწმუნდეს იმაში, რომ ადრესატი მას მთელი გულისყურით უსმენს და საუბრის ყველა დეტალს თუ მინიშნებას ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში მაერთებელი კითხვითი ხასიათისა და აღმავალი ტონით წარმოითქმის. ამ სახის you know-ს ქართული შესატყვისია — „იცი?“. Living in Cyprus I've seen quite a number of historical events, you know — კვიპროსზე ყოფნისას ბევრ ისტორიულ მოვლენას შევესწარი, იცი.

2. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ you know-ს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა შეარბილოს ნათქვამი, ნაკლებად კატეგორიული გახადოს იგი, ამასთანავე, თანაგრძნობა გამოხატოს ადრესატისადმი. ასეთ you know-ს ქართულში შეესატყვისება „იცი?“, „იცი რა?“, „რას იზამ?“, „რა ვქნათ?!.“

We ought to start now, we haven't got much time left, you know — რას იზამ, მეტი დრო აღარ დავგრძეობ, უნდა წავიდეთ.

3. you know შეიძლება გამოყენებულ იქნას მსმენელის დასარწმუნებლად იმაში, რომ მისი ცოდნა ღირსეულად ფასდება: მოსაუბრეს თითქმის აღარ ებარება ეჭვი, რომ მსმენელმა უკვე ყველაფერი იცის. ასეთი you know დაღმავალი ტონით წარმოითქმის. მისი ქართული შესატყვისებია: „ხომ იცი“, „ხო აზრზე ხარ“, „გეცოდინება“, „გაიგებდი“, „გაგებული აქქება“. Kate has remarried, you know—გაიგებდი ალბათ, ქეთი ხელმეორედ გათხოვდა;

She's a very experienced infant teacher, you know—ნამდვილად გეცოდინება, ის ბავშვების მეტად გამოცდილი მასწავლებელია.

4. you know ხშირად გამოხატავს წინასწარ შეტყობინებული თუ უკვე განდობილი რაიმე ამბის ცოდნას. ასეთ შემთხვევაში ორივე მხარისათვის ცნობილი ინფორმაცია მთლიანად ამოღებულია წინადადებიდან და შეცვლილია მრავლისმეტყველი მაერთებლით, რომელსაც ქართულში შეესატყვისება „ხომ იცი“. ამ მნიშვნელობით წარმოთქმული you know ხშირად საიდუმლო ქდე-

რადობას იძენს და მას შეესატყვისება ქართული „ჩვენ რომ ვიცით“ — I saw Mrs. Jones yesterday in the street with, you know — ქუჩაში ქალბატონი ჯონსი დავინახე, იმასთან, ჩვენ რომ ვიცით.

5. you know-ს შეიძლება ჰქონდეს გამაძლიერებელი, ემფატიკური მნიშვნელობა და ემსახურებოდეს რაიმე ფაქტის ხაზგასმით აღნიშვნას, მასზე მსმენელის ყურადღების გამახვილებას. ქართულში ასეთი ემფატიკური მაერთებლობა: „რომ იცოდე“, „წარმოგიდგენია?!“, „რას ამბობ?!“.

You know, I do talk quite openly to my pupils — რომ იცოდე, მე მუწადფებთან ძალიან გულახდილი ვარ; He hadn't even touched the food, you know — წარმოგიდგენია, ხელიც არ უხლია საჭმლისთვის.

6. you know შეიძლება ოდნავ შეურაცხყოფელიც აღმოჩნდეს, როცა მოსაუბრე თითქოს ეუბნება მსმენელს: „ნუთუ არ იცი?!“, „ნუთუ არ გახსოვს?!“. ამით უნდა აგრძნობინოს თანამოსაუბრეს, რომ მასზე მეტი იცის. ასეთ შემთხვევაში ქართველი იტყვის: „რა გაგიკვირდა?!“, „რა გიკვირს?!“

— Look how long he's been here

— It takes a long time, you know. — ნახე, რამდენ ხანს შეყოვნდა; — რა ვაგიკვირდა, ხომ იცი ამას რამდენი დრო სჭირდება.

7. you know ზოგჯერ გამოხატავს მოსაუბრის გაღიზიანებას ორი რამის გამო: ან იგი თავად ვერ ახერხებს მკაფიოდ, ნათლად გადმოსცეს სათქმელი, ან მას აბრაზებს მსმენელის უუნარობა, მიუხედეც ჩანაფიქრს. ამ მნიშვნელობით ნახმარი მაერთებლის ქართული შესატყვისია „რა ქვია იმას“. I'm looking for the, you know .. — იმას ვეძებ, აი, რა ქვია იმას...

8. you know ხშირად გვეხმარება თავიდან ავიცილოთ ორაზროვნება, გაუგებრობა. ქართულში ასეთ შემთხვევაში იხმარება „იცი“ ან „ხომ იცი“. I'll just pop down to the shop, you know, the one in the corner — ერთი მაღაზიაში ჩავალ, ხომ იცი კუთხეში რომაა.

9. you know ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსაუბრეს სურს შეამზადოს მსმენელი მოულოდნელი ან საწინააღმდეგო აზრის გამომხატველი პასუხისათვის. ანალოგიურ სიტუაციაში ქართულად ვამბობთ ხოლმე: „იცი“, „იცი რა“ [2, 7]. — The grounds are progressively getting worse; — You know, I thought they've always been like that. — მოედანი სულ უფრო და უფრო ფუჭდება; — იცი, მე მგონი სულ ასეთი იყო.

შესაბამისი მასალის ანალიზის საფუძველზე ი. დემეტრაძემ დაადგინა you know-ს კიდევ რამდენიმე მნიშვნელობა. კერძოდ:

ა) you know-მ შეიძლება გააგრძელოს, განავრცოს მოკლე წინადადება და, ამდენად, გააღრმავოს მასში გამოთქმული აზრის მნიშვნელობა. თუ ეს ნაერთებელი მუქარის გამომხატველ წინადადებას მოსდევს, მისი ქართული შესატყვისია „იცოდე“. You'll regret it, you know — იცოდე ინანებ.

ბ) მოსაუბრე ხშირად იყენებს you know-ს, როცა თავისი შინაგანი სამყაროს დაფარულ მხარეს აზიარებს მსმენელს. ქართულად მეტყველი ასეთ შემთხვევაში ლაპარაკს იწყებს სიტყვით „იცი“.

I still believe in father Christmas, you know — იცი, ახლაც მჯერა, რომ თოვლის ბაბუა არსებობს.

გ) ზოგჯერ you know დაცლილია ყოველგვარი მნიშვნელობისაგან და ხმოვანი პაუზის ტოლფასია. მოსაუბრე მას მხოლოდ უნებური პაუზების შესავ-

სებად იყენებს, ვიდრე შესაფერ სიტყვას იბოვიდეს. ქართულში ასეთი ფრაზაა „როგორ გითხრა“. I've been doing infant teaching for a short while and I'm sort of, you know, inexperienced.— ცოტა ხანია, რაც ბავშვებს ვასწავლი და იცი, როგორ გითხრა, გამოუცდელი ვარ.

ამრიგად, შესიტყვება you know შეიძლება შეგვხვდეს:

1. პირდაპირი სალექსიკონო მნიშვნელობით (როგორც წერიით, ასევე ზეპირი მეტყველების დროს);

1. მეერთების მნიშვნელობით (ზეპირმეტყველებისას, არაოფიციალური საუბრის დროს);

3. ხმოვანი პაუზის მნიშვნელობით (ზეპირმეტყველებისას, მეგობრული, სბონტანური საუბრის დროს).

შევნიშნავთ, რომ თანამედროვე სასაუბრო ინგლისურში სწორედ მეერთების მნიშვნელობით ნახმარი you know ხასიათდება ყველაზე დიდი სიხშირით. ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ სულ ორფურცლიან ტრანსკრიბირებულ ტექსტში you know მეერთების 18 მაგალითი შეგვხვდა.

ეფექტობთ, ზემოაღნიშნულიდან ნათელია — კომუნიკაციისას ინგლისური ენის შემსწავლელი შესაძლოა სირთულეთა ლაბირინთებში მოხვდეს, იქიდან თავის დაღწევა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მან იცის მიღებული ინფორმაციის სწორად დეკოდირების წესი და აღჭურვილია სათანადო ფონისეული ცოდნით (background knowledge); ფონისეული ცოდნა კი სხვადასხვა საშუალებით მიიღწევა და იმაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან და რა სახის კომუნიკაციასთან გვაქვს საქმე.

ყოველ მოლაპარაკეს საუბრისას (ან მწერალს — წერისას) გარკვეული მიზანი აქვს: ადამიანი ყოველთვის გულისხმობს რაღაცას ნათქვამის მიღმა (ისევე, როგორც რაღაცის დამწერი — მწერალი, სამეცნიერო სტატიის ავტორი, ოფიციალური დოკუმენტის შემდგენელი და ა. შ. — სტრიქონებს მიღმა). აპიტომ ნათქვამის (თუ დაწერილის) სწორად, უშეცდომოდ ამოსაცნობად აუცილებელია ვიცნობდეთ მთქმელის (დამწერის) სამყაროს. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სტატია მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ქართველ-ინგლისელ კომუნიკანტთა ურთიერთგაგების გაადვილების საქმეში. პარტნიორების ნიერ ერთმანეთის აზრების სწორად გაგება კი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და აქტუალურია დღეს.

ლიტერატურა

1. Brown G., Yule G., Discourse Analysis, Cambridge University Press, 1983.
2. Crystal N., Who Cares about English Usage?, London, 1984.
3. Crystal D., Davy D., Advanced Conversational English, London, 1975.
4. Galperin I., Stylistics, Moscow, 1975.
5. Leech G., Svartvik J., A Communicative Grammar of English. London, 1975.
6. Long R., The Sentence and its Parts, The University of Chicago Press, 1961.
7. Quirk R., Greenbaum S., Leech G., Svartvik J., A Comprehensive Grammar of the English Language, London, 1985.

РОЛЬ КОННЕКТИВОВ В ПРАВИЛЬНОМ ДЕКОДИРОВАНИИ ВЫСКАЗЫВАНИЯ

Резюме

Коннективы выражают отношение говорящего к слушающему или к смыслу, высказанному самим говорящим. Они играют весьма значительную роль в установлении определенных отношений между говорящим и слушающим. В современном разговорном английском встречается несколько сотен коннективов. Выявление их точных значений и, следовательно, правильное их применение является особо важным для иностранца. Применение коннективов осложняется тем, что их употребление значительно расходится с их первоначальным лексическим значением. Правильное декодирование оттенков значений, которые придают целому высказыванию коннективы, зависит от фоновых знаний говорящих.

В статье дается смысловое и функциональное деление коннективов в английском языке с учетом их грузинских эквивалентов. Наиболее полно исследуется коннектив *you know*. Исследование спонтанных диалогов англичан дало возможность авторам статьи выявить дополнительные группы значений коннектива *you know*, показать тончайшие нюансы его применения в современном разговорном английском и указать на его эквиваленты в современном грузинском языке.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ინგლისური ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამ-
ყრელიძემ

ფასი 2 მან.

611/23

ინდექსი 76198